

სვ

№27(108) 4/VII.-10/VII
ფასი 60 თ.

1168
2002



რატომ ეხალეებიან გოგი თოფაძის ოჯახის წევრები ჟურნალისტებს

ნუნუ გაგუნია: გორა აბაშიძის თვითმკვლელობაში ბრალს ვღებ...



საიდან
იწყება
ფახის
„წაკითხვა“



რისტვის
„უთხლაშუნებს“
მანა
ნადირაძეს
მეგობარი



გვ. 15

ქალბატონი გულნაზი
(ოთარ რამიშვილის მეუღლე):

..... ჩემზე მეტად ოთარი აჭვიანოვდა
სოლზე. მოვიდოდა თუ არა
უინ გვიან, უკვე ჩვევად
კმონდა, რომ ჯერ სანოლის
ქვეშ უიხედავდა სოლზე...
მეს ვიპოვე გამოსავალი
— ჩვენს სანოლს ფახეზი მოვასხა...”

შინაგარეულობა

„ახალგაზრდობა –
იმედი სვალის!“ 3

ერთი კითხვა

ოჯახი 4

რატომ ემალებიან
გოგი თოფაქის ოჯახის
წევრები ჟურნალისტებს 6

ფსიქო-პეოქიური პორტრეტი

რა ჩვევისთვის „უთსლაუნიებს“
მაია ნაღირაძეს მეგობარი? 9

კრიტიკა

ორ პოლიციელს განზრახ
გაკვლავობისთვის ასაპართლევენ 12

კოლორიტი

ოთარ რამიშვილის მეუღლე
ძმრის ბასტუდენტებაზე
ოსნებობს 15

მოქალაქე

თათა ვარდანაშვილი:
„ფეხსაცმელს თავისებური
სხივი უნდა ჰქონდეს“ 18

ტკივილი

ნუნუ ბაბუნიასა და გოგა
აბაშიძის ქალიშვილს ჩემბა
თსოვნამ სრემლები მოჰპოვარა... 20

ავკლავ

მრავალი კონკურსის ლაურეატი
ილონა ასლანიშვილი ბავშვობის
ღაბრუნებაზე ოსნებობს 24

საუნჯე

როგორ ამგაღებდა
ნინო რამიშვილი ბესიკ
ბაკურაძეს სასიძოდ 26

საუკუნის ტოლი

„ხანდახან მგონია, ისევ ის
16 წლის კოვჩია გოგო ვარ...“ 29

ანტილაკრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი
კოლაჟი გოგა ღვალის
უბის წიგნაკიდან 30

სამყარო

გაჟურნალობა ტალახით 32

**რატომ ემალებიან გოგი თოფაქის
ოჯახის წევრები ჟურნალისტებს**




ქალბატონი მარინასა და ბატონი გოგის გემოვნება რადიკალურად განსხვავებულია. განსაცემელს ცოლქმარი თავ-თავისი გემოვნებით ყიდულობს – იმ დღიდან, რაც ბატონმა გოგომ მეუღლეს იუგოსლავიიდან ფეხსაცმელი ჩამოუტანა და ორივე ერთი ფეხის აღმოჩნდა...

6

**ნუნუ ბაბუნიასა და გოგა აბაშიძის ქალიშვილს
ჩემბა თსოვნამ სრემლები მოჰპოვარა...**

მე ყველას ვადანაშაულებ გოგას სიკვდილში. მხოლოდ ლეილა აბაშიძეს ამ ცოდვას ვერ ავკიდებ. მე ვადანაშაულებ იმ მეგობრებსაც, რომლებიც დედის მეორე ქმარზე უკეთებდნენ; მევალეს, რომელმაც არ დააცადა, სადმე რომ ემოვა ფული...



20

**ორ პოლიციელს განზრახ
გაკვლავობისთვის ასაპართლევენ**



ამ ინფორმაციის საფუძველზე, შექმნა თეორიული ჯგუფი. მოთხოვნას – განერებულებო, მძღოლი არ დაემორჩილა, პოლიციელებმა – ავტომანქანას ავტომატების ჯერი დაუშინეს. წინა სავარძელში მჯდომი ალექსანდრე ჯაფარიძე სასიკვდილოდ დაიჭრა.

12

**რა ჩვევისთვის „უთსლაუნიებს“
მაია ნაღირაძეს მეგობარი?**

კუბაში წასვლა მაინტერესებს, ოღონდ მანამ, სანამ ფიდელ კასტრო ცოცხალია. მიინდა დაკონსერვებული სოციალიზმი ვნახო. სანამ საბჭოთა კავშირში ვცხოვრობდით, ისინიც და ჩვენც ერთი ოჯახი, ერთი „ქაქი“ ვიყავით.



9

საქართველოს
მართლმადიდებელი
ეკლესიისთვის

საბანური

ხირიშის თოვი მხოლოდ ყირიმული არ ყოფილა... 34

მუნდიალი

• „მსოფლიო ჩემპიონატი მაინც დაგვიტოვებით!“ 36
• ბრაზილია – სკანდალურ-სენსაციური მუნდიალის ტრიუმფატორი 37

პარსკლავი

მორსხვი ჯულიანა მური ეკრანზე გაშიშვლებას ფილოსოფიურად უღგება 40

მოგზაურის დღიურები

რა შესკვებია თბილისურ ვერსხლის ბეჭედს ანუ ისევ საკუთარი თავის იმედოდ ამერიკაში... 43

რომანი

რუსულან ბერიძე. ლანღების ცეკვა (ბაბრქელება) 46

ბოროტი

50

ავტო

54

საუკუნეების სიღრმედან

ინტრიგები საქართველოს სამეფო კარზე 56

ჯანმრთელობა

• ვეგეტოლოგიონია 58
• ქალი და მამაკაცი – 14 განმასხვავებელი ნიშანი 59
• კითხვა-პასუხი 60

სქანოკრი

61

ჰოროსკოპი

კვირის (8-14 ივლისი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტანტი

ბაბუებისა და ბებიებისთვის – როგორ გავლენას ახდენთ შვილიშვილებზე? 63

კალენდოსკოპი

ჩრდილ-ჩრდილი ამბები 64

ბარაკანაზა: გიორგი შორჭულიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გაიშალა კვირაში ერთხელ. სუთვაბათობით გაზეთი „კვირის კალიტრის“ დაბრუნება უზრუნველყოფს თვისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ეთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს. მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე რედაქტორი: გოჩა ტყემლაშვილი მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32 ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

საუბუნის ტოლი




ძალიან ცოცხალი ყოფილა ერთი საუბუნე – თვალის დახამხამებაში გაირბინა. თითქოს გუშინ იყო ყოველივე. დრო ულმობელი და ვერაგია. ისე მიქრის, შენ არც არაფერს გეკითხება. ხანდახან მგონია, ისევ ის 16 წლის კობა და კოპწია გოგო ვარ...

29

რა შესკვებია თბილისურ ვერსხლის ბეჭედს ანუ ისევ საკუთარი თავის იმედოდ ამერიკაში...

– ეს თქვენთვის ავარჩიე, კაკო, მგონი სულაც ქართველი მწერალი უნდა იყოს... – ისე შემოქლიმა ქერათმიანმა გლორია, რომ დიღანდელი ხელის მოცარვა სულ გადამავეწყდა. მაგიდაზე ნოდარ ღუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ იდო.



43

კურნიკოვას უორტი გახადეს



კორტებზე მისი გამოჩენა არასოდეს რჩება შეუმჩნეველი. ინგლისის სამეფო კლუბის წესების თანახმად, მოთამაშეები თეთრ ფორმებში უნდა იყვნენ ჩაცმულნი. კურნიკოვა კი კორტებზე შავი შორტით გავიდა. პასუხისმგებელი პირები მაშინვე კორტზე ჩავიდნენ და ანას შორტის გახდა მოსთხოვეს.

53

კონსტიტუციის ციფრა

– ეს ქალები მენტვის კახკები ან დამნაშავეები კი არა, მხოლოდ და მხოლოდ მოწმეები არიან, მსხვერპლი კი, უბრალოდ, მესამე კახკა კი არა, მათი უახლოესი მეგობარი იყო! ამიტომ, სანამ კიდევ რამის თქმას დააპირებ, ტვინი გაანძრიე.



46

„ახალგაზრდობა – იმედი ხვალის!“



კარგი ახალგაზრდობა გვყავს, კარგი! ვერაფერს იტყვი! არადა, როგორი ლაპარაკი იცის ზოგიერთმა – შეეპარებათ თუ არა სიბერე, ბოლმით და შურით ივსებიან, ბუზღუნით იწყებენ და ღანძღვა-გინებით ამთავრებენ: რას ჰგვანანო, როგორ აცვიათო, რა მუსიკას უსმენენო, მორფიან პაპიროსებს ეწვეიანო, წიგნს არ კითხულობენო, უფროსებს პატივს არ სცემენო, ღმერთი არ სწამთო და რა ვიცი, კიდეც ათას უბედურებას აბრალებენ საწყალ ბავშვებს...

მერე, რომელიმე „ბებერთაგანი“, თუ შემთხვევით მიხვდა, რომ ნამეტანი მოუვიდათ, გამოვა და მენტორული ტონით აცხადებს: რა მოხდა, ბატონო, მერე – „მამათა და შვილთა ბრძოლა“ ყოველთვის არსებობდა და იარსებებს, ასე გვსაყვე-ღურობდა ჩვენც ჩვენი მამების თაობა, მაგრამ ჭკუაზე რომ

მოვედით, გავითვალისწინეთ მათი რჩევები და ჩვენც კაცებად ვიქცეით და ქვეყანაც ქვეყანას დავამსვავსეთო! აბა, ნახეთ, რამდენი ფაბრიკა-ქარხანა, რამდენი სკოლა და საბავშვო ბაღი აშენდა ჩვენს დროს, რამდენჯერ გაიზარდა ქვანახშირის წარმოება და ერთ სულ მოსახლეზე „უიგუ-ლების“ რიცხვი 1913 წელთან შედარებითო! ამაშია, ბატონო, საქმე, თორემ ჩვენ რომ ჩვენი ბაღები გვიყვარს, ჩვენს მამებს ისე რომ ვყვარებოდით, რა გვიჭირდაო (აქ მაინც იმას გულისხმობენ, რომ ავადმყოფი და მოღებილი შვილი უფრო ეცოდება და უყვარს მშობელს)...

ერთი სიტყვით, ეს პრობლემა ისეთივე ჩვეულებრივი და ძველია, როგორიც თვით კაცობრიობა და ბებრებს რომ ჩვეულებრივზე მეტად არ გადაემლაშებიანთ ახალგაზრდების თათხვა და ახალგაზრდებიც „ჩვეულებრივად კარგები“ რომ გვყავდეს და არა განსაკუთრებულნი და გამორჩეულნი, არც თქვენ დაგლოდით ამაზე საუბრით და არც მე შევიწუხებდი წერით თავს. მაგრამ, საბედნიეროდ, სწორედ ასეა – საუკუნე-ნახევრის წინ აჩუქა მამაზეციერმა ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს 60-იანელთა, ანუ ე.წ. „თერგდალეულთა“ თაობა დიდი ილიას წინამძღოლობით და აი, ახლაც – როდესაც საქართველოს გაუჭირდა, კვლავ „ზეცით მოგვევლინა“ ასეთი თაობა – ვუყურებდი ტელევიზორში პროფესორ გურამ შარაძისა და „თავისუფლების ინსტიტუტელ“ ლევან რამიშვილის დისკუსიას და გული სიამაყით მევსებოდა: მართალი უთქვამს ბრძენს, – „ისტორია მეორდებაო“, რით არ არის ეს ყმაწვილი კაცი ახალი ილია ჭავჭავაძე, ანდა მისი მეგობრები – ილიას თანამებრძოლთა შთამომავლები?! რა მოხდა მერე, ისინი თუ „თერგდალეულები“ იყვნენ, ესენი – „მისისიპდალეულები“ არიან, იმიტომ, რომ ამერიკაში მიიღეს სწავლა-განათლება

პეტერბურგის მაგივრად.

არ მინდა, ვინმემ ისე გაიგოს, თითქოს ზუსტ ანალოგიას ვხედავ „საქართველოს გადამრჩენელ“ ორ თაობას შორის და სწორედ ეს უფრო მიხარებს გულს, რომ „ესენი“ უფრო „მაგრები“ არიან – აბა, ის ზემოთ ნახსენები კამათი გაიხსენეთ ილიასა და გრიგოლ ორბელიანს შორის, რაღაც ლექსებითა და „ჩასტუმკებით“ კენწლავდნენ ერთმანეთს, აქ კი?! როგორი პირდაპირი და შეუპოვარი იყო ხსენებული მოქალაქე რამიშვილი – მიუხედავად იმისა, რომ ამკარად იგრძნობოდა, როგორ ერიდებოდა და უჭირდა უფროს ადამიანთან შეპასუხება, სიმართლე მაინც მთავარია და ამიტომ, მორიდებით, მაგრამ მაინც ეუბნებოდა:

– თქვენ თუ „კაგებეშნიკი“ არა ხართ, კომუნისტების დროს როგორ დადიოდით საზღვარგარეთ?!

– თქვენი პრეზიდენტი თუ კაი კაცია და თქვენ იმაზე უკეთესი, რა დამსახურებისთვის მოცდათ ვახტანგ გორგასლის ორდენი?!

– თქვენ თუ მართლმადიდებელი სექტანტები ფულს არ გიხდიან, რას ერჩით ჭეშმარიტ იელოვლებს?!

– თქვენ თუ ქართულთა ავტონომიურ-სეპ-

არატისტული რესპუბლიკის შექმნის დავალება არ მიგიღიათ, რატომ მოითხოვთ ეროვნების აღმნიშვნელი რეკვიზიტის აღდგენას?!

– თქვენ თუ ხელიდან წასული ბებერი „ღონ ჟუანი“ და მექალთანე არ ბრძანდებით, რატომ არ გამოდიხართ პიდარასტების უფლებების დასაცავად?! – და ა.შ.

მოკლედ, შარაძეს რომ ეგონა, „ტუზ-კოზირი“ მიჭირავს ხელშიო, რამიშვილმა მაინც „მოუჯოკრა“. ასეა, ახალგაზრდობა ყოველთვის იმარჯვებს! ახლაც ასე იქნება და დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო სულ მალე „დემოკრატიის მორევი“ შთაინთქმება!

P.S. ისტორიას და ისტორიოგრაფიას რაც შეეხება: ილიას თაობას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „60-იანელებს“ უწოდებდნენ, რადგან სწორედ 1860-იან წლებში გამოვიდნენ საზოგადოებრივ ასპარეზზე. ჩვენი საამაყო ახლანდელი თაობა კი XXI საუკუნის გარიჟრაჟზე იწყებს აქტიურ მოღვაწეობას, ანუ 2000 წლიდან და ამიტომ, დარწმუნებული ვარ, ისინი „00-იანელთა თაობის“ თიკუნით შევლენ საქართველოს ისტორიაში!

პროპოზიტორი

„პალები რესტრუქტურიზაციაჲ, გაღაჭრიტ ვერაფერს ვიტყვიტ“

— დავალიანების დასაფარავად „თბილგაზმა“ 15 მილიონი ლარი გამოძენა, გაზმომარაგების აღდგენის თარიღის საკითხი კი, კვლავ გაურკვეველი რჩება. თუ შეგიძლიათ გვითხრათ, ბოლოს და ბოლოს, როდის აღდგება გაზმომარაგება დედაქალაქში?

პახტანვ ცაავა, „თბილგაზის“ გენდირექტორი:

— არ ვიცი, ჯერჯერობით ზუსტად ვერ გეტყვით, როდის განახლდება გაზმომარაგება. ისე, ეს პრობლემა რომ შეგ-



ვექმნებოდა, თავიდანვე უნდა გვეფიქრა. მოსახლეობას თავის დროზე რომ გადაეხადა ფული, ეს აღარ მოხდებოდა! ახლა კი, აირის ღირებულების დაფარვას წინასწარ გვთხოვენ, მაგრამ რაც მთავარია, „იტერა“ სრული — 90-მილიონიანი დავალიანების დაფარვის საკითხს სვამს და სანამ ეს არ გაირკვევა, გაზმომარაგების აღდგენა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ამ ვალის რესტრუქტურისაციის საკითხი კი, მოსკოვში ჩვენი დელეგაციის მოლაპარაკების შედეგებზე დამოკიდებული.

„ეტყობა, აქას ვიღაც-ვიღაცების ინტერესებია ჩაღებული...“

— პარლამენტში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია კანონპროექტმა „ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“, რომელიც მიმდინარე კვირაში უნდა მიიღონ დეპუტატებმა. ახალი დაპირებების მიზეზი ხდება ქართულ ბაზარზე ახალი ნარკოტიკული ნივთიერების — მეტადონის, სამკურნალო დანიშნულებით შემოტანა. პარლამენტში გაკეთდა განცხადება, რომ ამ ნარკოტიკული პრეპარატის შემოტანით, სოროსის ფონდია დაინტერესებული და რომ მეტადონს ფაშისტები სამხედრო ტყვეების ასალაპარაკებლად იყენებდნენ რა შეგიძლიათ გვითხრათ ამ სკანდალთან

დაკავშირებით?

ნატო ჩხეიძე, პარლამენტარი:

— საქმე ის გახლავთ, რომ ნარკოტიკების ჩანაცვლება მეტადონით, ნარკომანებს კი არ განკურნავს, პირიქით — სავალალო შედეგებამდე მიიყვანს. ეს არის საშიში სინთეზური პრეპარატი, რომელიც ევროპიდან და ამერიკიდან გამოაძევეს. თვითონ მეტადონის პროპაგანდისტებიც კი აღიარებენ, რომ მას ორადორი (თუმცა, სინამდვილეში — მეტი) ნაკლი აქვს: ყაზობასა და იმპოტენციას იწვევს... როგორც ჩანს, მათი მწარმოებლები გასაღების ახალ ბაზარს ეძებენ და ფიქრობენ, რომ ამიერ-



კავკასია კარგი გასაღების ბაზარი იქნება მათთვის. ვინც მხარს უჭერს ამ პრეპარატის საქართველოში შემოტანას, ეტყობა, მეტადონის შესახებ ან ინფორმაცია არა აქვს, ან მის მწარმოებელთა ინტერესებს ლობირებს. საქმე ის არის, რომ ნარკომანებისთვის ეს რეალური დახმარება არ არის. აქედან გამომდინარე, ასეთი კანონპროექტის კანონად მიღება არასასურველია! ნარკომანი ავადმყოფად ახლაც არის გამოცხადებული და ამას ახალი კანონი აღარ სჭირდება. ნარკომანი, რომელიც გამოთქვამს მკურნალობის სურვილს და ნარკოლოგიურ დაწესებულებას მიაკითხავს, აბსოლუტურად ხელშეუხებელია! გაანია, როგორ და რა ნარკოტიკებით ვუკურნალებთ და რა პრეპარატებს შემოვიტანთ! ეტყობა, ისევე როგორც სხვა ყველაფერში, აქაც ვიღაც-ვიღაცების ინტერესებია ჩაღებული...

„ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა პარტიიდან საკრებულოში გაიღწნენ, მალე მოქალაქეებში აღმოჩნდებიან...“

— მოსალოდნელია, რომ ავთანდილ ჯორბენაძის გავლენა სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებაზე კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან ის, განახლებული მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარე გახდა. როგორ ფიქრობთ, გაიზრდება თუ არა შესაბამისად, თვით მოქალაქეების გავლენა?

კობა დავითაშვილი, პარლამენტარი:

— არჩევნების პერიოდში ხშირად გვსმენია, რომ მოქალაქეები არის მკვდარი პარტია, რომლის გაცოცხლებაც შეუძლებელია. ახლა კი, მკვდრის გაცოცხლების მცდელობასთან გვაქვს საქმე. ის პროცესი, რაც მოქალაქეებში დაიწყო, ქმნის

შთაბეჭდილებას, რომ შევარდნაძემ აქცენტი გააკეთა ჯორბენაძეზე და პარტიების წინაშე ღიად სვამს საკითხს: ან იყავი მოქალაქეებში ან, თუ არ ხარ, მეცოლინება, რომ სხვა ხარ... აქედან გამომდინარე, ძალიან დიდი შანსია იმისა, რომ ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა პარტიის სახელით საკრებულოში გავიდნენ, მალე მოქალაქეებში აღმოჩნდებიან. მაქვს ისეთი ინფორმაცია, რომ ეს ეჭვი ნამდვილად არ არის უსაფუძვლო. დაველოდოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ჯერჯერობით კი, მეც და ჩემს თანამოაზრეებსაც, კმაყოფილებისთვის მხოლოდ ერთი საფუძველი გვაქვს: ხმების ხელახალი გადათვლის თუნდაც ერთი პრეცედენტის დაშვება, რომელიც მოსვენებას დაუკარგავს

გამყალბებლებს, სერიოზულ გამარჯვებულ მიმანჩია.



„ბუნებრივია, ქალიან მახარებს ეს გამარჯვება!“

— როგორც შევითყვეოთ, ახლახან მოსკოვში ჩატარებული ფესტივალ-იდან დიდი წარმატებით დაბრუნდით. უფრო დაწვრილებით მოგვიყვებით ამ ფესტივალის შესახებ?

ქრისტინა იმედაძე, მომღერალი („არტ-იმედი“):

— მოსკოვში ჩატარდა ფესტივალი, რომლის გენერალური დირექტორი საშა რუმიანცევი გახლდათ. კონკურსი ორ ეტაპად იყო დაყოფილი: პირველ დღეს შევასრულე სპეციალურად ჩემთვის დაწერილი ინგლისური სიმღერა, მეორე დღეს

კი — „მოხვეის ქალო თინაოს“ თანამედროვე ვარიანტი. ორივე სიმღერას ყიურის დიდი მოწონება ხვდა წილად. კონკურსში 60 მომღერალი მონაწილეობდა. აქედან ყველაზე ახალგაზრდა — 18 წლის, მე ვიყავი. ფინალში გავედი და გამარჯვებულ 12 მომღერალს შორის აღმოვჩნდი. ბუნებრივია, ძალიან მახარებს ეს გამარჯვება! სულ რაღაც ერთ თვეში — პირველ აგვისტოს იურმალაში გაიმართება ფინალი და ვნახოთ, რა იქნება. ვეცდები, ჩემი თაყვანისმცემლები ამჯერადაც არ გავაწბილო...



„მისას შევარდნაზე თავის პოსტზე რეკომენდაციას მისცემს, ხალხის თვალში უკვე განწიკვლია!“



— მოქალაქეთა კავშირის მე-5 ყრილობაზე ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ავთანდილ ჯორბენაძის კანდიდატურა სწორედ რომ ღირსეულია! რა შეფასებას მისცემდით პრეზიდენტის ამ განცხადებას?

შალვა ნათელაშვილი, ლეობორისტული პარტიის ლიდერი:

— ჯერ ერთი, იქიდან დავიწყეთ, რომ მოქალაქეთა კავშირის ვერანაირი ყრილობები და კონგრესები ვეღარ გამოაცოცხლებს! ამ პოლიტიკური ძალის რეაბილიტაციის

მცდელობას უკვე მივეცი შეფასება და XXI საუკუნის ანეკლოტი ვუწოდებ. ნორმალურ ქვეყანაში, კანონით, მსგავსი პარტიები სასამართლო წესით იკრძალება, მაგრამ აქ ეტყობა, ყველაფერი დასაშვებია!.. ვნახოთ — შეიძლება, მოქალაქეთა კავშირის აკრძალვის მოთხოვნით მივმართოთ კიდევ სასამართლოს. რაც შეეხება, ჯორბენაძის გაპრეზიდენტებას — ის კაცი, ვისაც შევარდნაძე თავის პოსტზე რეკომენდაციას აძლევს, ხალხის თვალში უკვე განწიკვლია! პრეზიდენტმა ამ განცხადებით შეიძლება, საერთოდ დაღუპოს ჯორბენაძის პოლიტიკური იმიჯი!

ნაზი შამანაურის დაბადების დღეს თავისუფალი სიტყვის დღად გამოაცხადებენ?

— მაინცდამაინც 5 ივლისი რატომ გამოაცხადებთ თავისუფალი ქართული სიტყვის დღედ და რა გაქვთ დაგვგებოლი ამ დღისთვის?

გიორგი კირვალიშვილი, ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი:

— 5 ივლისი ნაზი შამანაურის დაბადების დღე გახლავთ! ყველამ კარგად იცის, ვინ იყო ნაზი შამანაური — პირველი თავისუფალი ქართველი ჟურნალისტი, რომელ-

იც დაუპირისპირდა ამხელა საბჭოთა იმპერიას და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომლის პირველი მდივანიც მაშინ, ჩვენი დღევანდელი პრეზიდენტი გახლდათ. ამის გამო ნაზი შამანაური ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხვდა, სადაც გარდაიცვალა კიდევ 1983 წლის 23 იანვარს... 5 ივლისს, 13.00 საათზე, ამ დღესთან დაკავშირებით ვეკვძავთ ჟურნალისტებთან და საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრას.



„მისთვის იყო ეს იარაღი განკუთვნილი, ამას გამოიძიებთ გაარკვევს...“

— „ტყის ძმების“ მეთაური დათო შენგელია ამტკიცებს, რომ ნატატართან დაკავებული იარაღი პარტიზანებისთვის იყო განკუთვნილი და აგერ, რამდენი ხანა იხვენება — უშიშროების დაკავებული თანამშრომელი გაათავისუფლეთ და გინდათ თუ არა, ამ საქმესთან დაკავ-

შირებით მე დამკითხეთო... თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ?

ირაკლი ბათიაშვილი, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე:

— სიმართლე რომ ვითხრათ, ვეჭვობდით, რომ ეს იარაღი პარტიზანებისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ ვერსიების

დონეზე საუბარი არ მინდა, თანაც, კანონი კანონია: ეს იყო იარაღის უკანონო შემოტანა; სხვა საქმეა — ვისთვის და რისთვის იყო განკუთვნილი, — ამას უკვე გამოიძიებთ გაარკვევს! როგორ გავათავისუფლოთ უშიშროების თანამშრომელი, როცა იარაღის მთელი არსენალით დავაკავეთ?!

მოაგვალა ნინო ჯაფარიძე

რატომ ემალებიან გოგი თოფაძის ოჯახის წევრები ჟურნალისტებს

გოგი თოფაძე და მისი მეუღლე შვილიშვილის მოლოდინში არიან. მამის მოსახელე, გიორგი, მეორე შვილს ელოდება... მას შემდეგ, რაც გოგი თოფაძის სახელთან ქართული ლუდის წარმატება გაიგივდა, ინტერესი ამ ოჯახის მიმართ გაათმაგდა. მაგრამ თოფაძეები პრესის წარმომადგენელთაგან თავს შორს იჭერენ... თუმცა ჩვენ მაინც მოვახერხეთ მათ ოჯახში სტუმრობა და ქალბატონ მარინასთან ინტერვიუს ჩაწერა, საიდანაც მკითხველი საინტერესო დეტალებს შეიტყობს

ლელა ჭანკიტაძე

ქალბატონი მარინასა და ბატონი გოგის გემოვნება რადიკალურად განსხვავებულია. ბატონ გოგის ხასხასა, მხიარული ფერები უყვარს, მის მეუღლეს კი — უფრო „დაბუდარი“ და მკაცრი. ტანსაცმელს ცოცხარი თავთავისი გემოვნებით ყიდულობს — იმ დღიდან, რაც ბატონმა გოგიმ მეუღლეს იუგოსლავიიდან ფეხსაცმელი ჩამოუტანა და ორივე ერთი ფეხის აღმოჩნდა... მაშინ ძალიან ახალგაზრდები იყვნენ, მაგრამ ის „მარცხი“ დღემდე არ ავიწყდებათ. ქალბატონმა მარინამ წინასწარ არასდროს იცის, ქმარს რა უნდა აჩუქოს, რომ ასიაძოვნოს, რადგან ბატონი გოგი არასდროს აშბობს, რა უნდა. თუმცა, მეუღლის მირთმეული საჩუქარი ყოველთვის მოსწონს. საერთოდ, წესად არა აქვს საჩუქრის დაწუნება. თავად ბატონი გოგი მეუღლეს ყოველთვის სამკაულს უძღვინის და ცდილობს, ძვირფასი ნივთის არჩევაში არ შეცდეს. დღემდე მარცხი ამ მხრივ არც მოსვლია.

ბატონი გოგი არც საოჯახო საქმეებში ერევა და არც ბინის მოწყობაში. როგორც ქალბატონი მარინა აშბობს, ამის თაობაზე მათ განსაკუთრებული მსჯელობა არ ჰქონიათ. ყველას ჰკონია, რომ ისინი ძალიან მდიდრულად ცხოვრობენ, მაგრამ ეს ასე არ არის. მათი ბინა მდიდრულად მოწყობილ მონადირის სახლს ჰგავს და არა



ბიზნესმენისას. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა.

ქალბატონ მარინას განსაკუთრებით, სახვითი ხელოვნების ნიმუშები უყვარს. უბეტესად, ქართული მხატვრების სურათებს ყიდულობს. ზოგჯერ უძღვინან კიდევ: კოკა ივანტოვმა მას სამი სურათი უსახსოვრა. ბატონი კოკა თოფაძეების ოჯახის მეგობარი და ნათესავია. კედლებზე უამრავი ფოტოსურათია. ვის არ ნახავთ აქ: ავთო ვარაზს, ირაკლი ფარჯიანს, ირაკლი სუთიძეს, ლილა შელიას და სხვებს. ქალბატონი მარინა ხელოვნების ქომაგია. ჩვენ ისეთი მხატვრები გვყავს, მსოფლიო დონის მხატვრებს რომ არ ჩამოუვარდებიანო, — გაბიზიარა მან თავისი აზრი.

გოგი თოფაძის ოჯახი ზაფხულობით წყნეთში ისვენებს ხოლმე. ბატონი გოგი და ქალბატონი მარინა თავიანთ შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად, წელსაც წყნეთს მიაშურებენ, — მაშინ, როცა მათი ოჯახი კიდევ ერთი წვერით გაიზრდება. ქალბატონმა მარინამ თავისი ოჯახი ასე წარმოგვიდგინა:

— მყავს ორი შვილი, ოთხი შვილიშვილი. შვილები დაცოლშვილებული არიან. ყველანი ერთ სახლში ვცხოვრობთ, სხვადასხვა სართულზე. ამ ბინაში კი, მარტო

მე ისეთი ღია ჭრილობა მაქვს, რომელიც არ შეშლდება; მშობელი არ უნდა მოესწროს შვილის სიკვდილს.

მე და გოგი ვცხოვრობთ. ჩემი უფროსი ვაჟი, ირაკლი ოცდაცამეტი წლის არის; გოგისთან მუშაობს ლუდის ქარხანაში. მან მამა შეეცვალა და დირექტორი გახდა, რადგან ახლა გოგი თავისი პარტიის საქმეებში თაა დაკავებული. ჩემი უმცროსი ვაჟი, გიორგი, ოცდაოთხი წლისაა, ისიც მამასთან მუშაობს ქარხანაში. ირაკლის მეუღლე უცხო ენების სპეციალისტია, მაგრამ პატარა ბავშვი ჰყავს და არ მუშაობს. გიორგის მეუღლე, სამედიცინო ინსტიტუტის მეხუთე კურსის სტუდენტია. ბავშვს ელოდება. ჩვენს ოჯახს სულ რამდენიმე დღეში ახალი წევრი შეემატება.

— თუ იყო თქვენსა და ბატონ გოგის ცხოვრებაში მძიმე პერიოდი? გიჭირდათ ოდესმე?

— გოგიმ ძალიან დიდი ხნის წინ დაიწყო ბიზნესი. ოცდარვა წლის იყო, საპნის ქარხნის დირექტორად რომ დანიშნეს; დაახლოებით ოთხი წელი იმუშავა, შემდეგ ლუდის გაერთიანებული ქარხნის დირექტორად გადაიყვანეს. ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერი იყო, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ადამიანმა ყველაფერი შეიძლება აიტანოს; როცა ყველა კარგად გყავს; ყველაფერი სჯობს იმას, რაც ჩვენ შეგვემთხვა. ჩვენი ვაჟი — ლევანი დაიღუპა. ამის შემდეგ, მიჭირს რაიმე გაჭირვებაზე საუბარი. ალბათ, არ უნდა დაიჩვილო, სანამ ყველანი კარგად გყავს და გვერდით გყავს. მე ისეთი ღია ჭრილობა მაქვს, რომელიც არ შეშლება, მშობელი არ უნდა მოესწროს





...სულ ემოციებშია

შვილის სიკვდილს. ან თუ მოესწრება, მასაც მამინვე უნდა გაუსკდეს გული და მოკვდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ ხდება. მოულოდნელი ელდა იყო. ჯანმრთელი, ენერგიული, სიცოცხლით სავსე შვილი ავტოავარიაში მოყვა და თხუთმეტ წუთში გამოძეცალა ხელიდან. მაშინ ოცდასამი წლის იყო. მისი დალუპვიდან უკვე თერთმეტი წელი გავიდა. წლებს არა აქვს მნიშვნელობა. რაც დრო გადის, კიდევ უფრო მიჭირს შვილის დალუპვის გადატანა. არ შეიძლება, მაგრამ ცხოვრება გრძელდება, ყველაზე ვზრუნავ, ვცდილობ, რაც შემიძლია, იმის მაქსიმუმში გავაკეთო და ყველას გვერდით დაეუდგე, მაგრამ ჩემი ტკივილი წუთითაც არ მტოვებს.

— შვილი ხომ დარჩა ლევანს?

— მისი ვაჟი, გიორგი, ათი თვის იყო, ლევანი რომ დაიღუპა. ამ დღეებში ის თორმეტი წლის გახდა. მამა არ ახსოვს... დედასთან ცხოვრობს. ჩვენთან ყოველ შაბათ-კვირას მოდის. გიორგი ჩემთვის დიდი ნუგეშია. დიდი ბედნიერებაა ისიც, ჩემს შვილს თავისი სიცოცხლის ნაწილი რომ დარჩა. ვცხოვრობთ ასე, ტკივილით. მოგესვენებათ, ბიზნესმენისა და პოლიტიკოსის ოჯახი ისედაც სულ ემოციებშია. დაძაბულობა და სტრესი არ გვაკლია. გოგის იმდენად დაძაბული ცხოვრება აქვს, მიკვირს კიდევ, როგორ უძკლავდება ასეთ გონებრივ და ფიზიკურ დატვირთვას. დილით რომ გავა სახლიდან, ლამის პირველ საათამდე ვეღარ ბრუნდება. იღლება — ოცი წლის ბიჭი ხომ არ არის, დაღლა რომ არ შეეუტყოს?! არსებობს სხვაგვარი დაღლა და დაძაბულობაც, მაგრამ მე ერთი რამის მჯერა: გოგი კეთილშობილი ადამიანია, ძალიან კაცთმოყვარეა, ცდილობს, სხვებისთვის მაქსიმუმზე მეტი გააკეთოს. მჯერა ამ სიკეთისთვის ღმერთი იფარავს...

— ქველმოქმედებას თქვენც ეწევი?

— მე დამოკიდებული ვარ გოგიზე: რომ გითხრათ, რამდენი მაქვს ხელფასი, გაგეცინებათ. ბიზნესმენების ცოლები — თვრამეტი ქალი — გაერთიანებულები ვართ და ყოველთვიურად გარკვეულ თანხას ვდებთ. ყოველგვარი ხმაურის გარეშე ამ თანხებს ვურიგებთ უდღემამო ბავშვებს, მრავალშვილიან ოჯახებს, ნიჭიერ ბავშვებს. შემიძლია ვთქვა, რომ ნიკა მემანიშვილს ძალიან დავეხმარეთ. მოდიან ჩვენთან, გვოხროვენ დახმარებას, თუ შეგვიძლია, უარს არავის ვუბნებით.

— თუ ყოფილა შემთხვევა,

როცა თქვენს ოჯახსაც დასჭირვებია სხვისი დახმარება?

— მიმაჩნია, რომ ადამიანმა, რომელსაც არ შია, არ უნდა დაიჩვილოს და არ უნდა გაიმვიროს ხელი. ჩავარდნის პერიოდები ჩვენც გვექონია, მაგრამ არასდროს მომსვლია აზრად, დახმარება მეთხოვა. შეიძლება ძალიან არც გავგჭორვებო, როცა არ გაქვს იმის საშუალება, რომ მშვიერ ბავშვს აჭამო, ეს აუტანელია. არ ვიცი, ასეთ შემთხვევაში რას ვიზამდი, ალბათ, ფიზიკურად, იმაზე მეტს ვიშრომებდი, ვიდრე შემიძლია.

— ბატონი გოგი, შეძლებული ოჯახის შვილია? ვინ იყვნენ მისი მშობლები, წინაპრები?

— გოგი ძალიან საინტერესო ოჯახის შთამომავალია. მისი ბაბუა იყო მოხვევაყაზბეგი. მან გაიყვანა პირველი გზა ვლადიკავკაზში. ამისთვის გერმანელები ჩამოიყვანა. გერმანიიდანვე ჩამოიყვანა მუღლუ, იქაური ქალი, ქალბატონი ვერა, რომელიც თავდადებული მუღლუ აღმოჩნდა. მან ქართული ისე კარგად შეისწავლა, რომ შვილებს გერმანული ენაც კი აღარ ასწავლა. გოგის დედა, თინა მაჭავარიანი იყო იმერეთიდან, ძალიან კარგი პედაგოგი და ადამიანი. გოგის მამა, ლევან თოფაძე კვების მრეწველობაში მუშაობდა, ძალზე ჭკვიანი და ერუდირებული კაცი გახლდათ. გოგის მშობლები რეპრესირებულები იყვნენ — ქალბატონი ვერას გერმანელობის გამო. თვითონ მას ხელს არ ჰკიდებდნენ, შვილები კი გადაუსახლეს. ამის გამო, გოგის ძალიან მძიმე ბავშვობა ჰქონდა.

— თქვენ როდის გაიცანით ბატონი გოგი? სიყვარულით შეუღლდით?

— გოგი ოცდაექვსი წლის იყო, მე — ოცდაერთის. ჩემი მეგობარი იმ ინსტიტუტში მუშაობდა, სადაც გოგი. ერთმანეთიც მან გაგვაცნო. მერე ისე მოხდა, რომ ერთმანეთი შეგვიყვარდა და შევეუღლდით კიდევ. გოგი კარგი მუღლუ აღმოჩნდა. ამ ბოლო წლებს არ ვგულისხმობ — ბოლო პერიოდში ის ყველასათვის ცუდია, რადგან არასდროს არის შინ. შვილები კი ხედავენ, მაგრამ ჩვენ გვენატრება. ცუდი მუღლუ არასდროს ყოფილა...

— თუ შეგიძლიათ დაასახელოთ მისი ყველაზე კარგი თვისება?

— რაც არ უნდა გამოუვალ მდგომარ-

ეობაში ვყოფილიყავით, ვიცოდი, რომ ის გამოსავალს იპოვიდა. მთელი ცხოვრების მანძილზე ის ჩემთვის იყო საყრდენი. ეს ქალისთვის ბევრს ნიშნავს. თავისუფალ დროს გოგი სახლში არასდროს იყო. მოგესვენებათ, მას როგორ უყვარს ნადირობა და თხილამურებით სრიალი.

— ხიფათი არასდროს შემთხვევია?

— ბევრი კურიოზი აქვს გადატანილი, ბევრი ხიფათიც, მაგრამ ყოველივე ამის შესახებ გვიან ვიგებდით ხოლმე. მიმაღლავდა, რადგან მშობარა ვარ და იცოდა, რომ ძალიან შევშინდებოდი. ერთხელ სანადიროდ იყო წასული და უცბად ქარიშხალი ამოვარდა. გზები ჩაიკეტა. სამი დღე-ღამის განმავლობაში არ ვიცოდით, სად უნდა გვექებნა. გაყინულები და დაკარგულები ჩამოვიდნენ... ერთხელ კლდიდან დაუცდა ფეხი. მაშინ სასწაულებრივად გადაარჩა.

— ყველაზე დიდი ნადირი, რომელიც ბატონ გოგის მოუკლავს, რომელია?

— მელა, ტურა, ძეგლი, დათვი. ჩემი შვილი, ირაკლი ძირითადად, ტანზე ნადირობდა ხოლმე, მაგრამ რაც ჩქნეთში სიტუაცია დაიძაბა, ტანზე სანადიროდ აღარ წასულა. ჯიხვზე ნადირობაც უყვარს. ყაზბეგში ხშირად დადის. თავიდან ამის გამო ძალიან ვნერვიულობდი. ახლა ცოტათი შევეჩვიე. ირაკლის ანკესით თევზაობაც უყვარს. ბუნებთაც წყნარი და ჩუმია. გიორგის თევზაობა არ უყვარს. სარც ნადირობის დიდი მოყვარულია. დათვზე სანადიროდ მიჰყვება ხოლმე გოგის... ჩემს შვილებზე საყვედური ნამდვილად არ მეთქმის. მათგან ისეთი არაფერი გვახსოვს მე და გოგის, გულში რომ ჩავგრჩნოდა.

— თუ მონანილეობდა ბატონი გოგი ვაჟების აღზრდაში?

— თორმეტ წლამდე თითქმის არ ჩარეულა, შემდეგ დაიწყო ბიჭების წაყვანა სანა-

დიროდ და დაუმეგობრდა კიდევ შვილებს. შვილიშვილებთან უფრო თამაშობს. თუმცა, ესეც იშვიათად ხდება. უყურადღებო ნამდვილად არ არის, მაგრამ დრო არ რჩება. მატერიალურ მხარეს მთლიანად გოგი ავგარებს, დანარჩენ საქმეებს კი მე ვუძღვები. ირაკლიც მეხმარება. გოგის კონსულტაცია როცა გვჭირდება, უარს არასდროს გვეუბნება.

— თქვენ სად მუშაობთ?

— სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ვასწავლი ინგლისურ ენას. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი კათედრის გამგეს, ქალბატონ ნინო თავთაქიშვილს: შვილის გარდაცვალების გამო ისეთ მდგომარეობაში ვიყავი, მას რომ არ დაეძალებინა სამსახურში დაბრუნება, ვერ შევძლებდი. მან დაიყენა და მეც დაეთანხმდი. სწორადაც მოვიქეცი. ახლა ძალიან მადლობელი ვარ. წიგნთან მაქვს საქმე და ბავშვებთან.

— თქვენს შვილებს თუ ახწავლიდით ინგლისურს?

— არა. ეს ვერ შევძელი. ბიჭები მასწავლებელთან დადიოდნენ და ასე ისწავლეს. გიორგიმ ინგლისურიც იცის, გერმანულიც და ფრანგულიც.

— თქვენი ვაჟები თუ აპირებენ პოლიტიკაში ჩაბმას?

— არა. ისეთი მორცხვები არიან, ჟურნალისტები ინტერვიუსთვის რომ ურეკავენ, იმალებიან. გოგიც თუ წავიდიოდა პოლიტიკაში, არ მეგონა.

— როგორია ბატონი გოგი ოჯახში? ხმაურიანი და პრეტენზიული თუ არის?

— ხმაურიანია. ერთ ადგილას ვერ ჩერდება, სულ მოძრაობაშია. ძალიან მოძთხოვნიია. ყველასგან მაქსიმუმს მოითხოვს. ყველას სთხოვს შრომას. ეს ალბათ კარგი-

გოგიც თუ წავიდიოდა პოლიტიკაში, არ მეგონა („წლის საუკეთესო ბიზნესმენად“ დაჯილდოებისას)

ცაა: რაც უფრო დატვირთული ახალგაზრდა, მით უფრო ცოტა დრო რჩება ცუდის გასაკეთებლად. სამწუხაროდ, ბევრი ახალგაზრდა უშიზეზოდ იღუპება. უმუშევრობამ და ცხოვრების ცუდმა პირობებმა მძიმე დღი დასავა ჩვენს ახალგაზრდობას. იმაზე დიდი საშინელება, როგორც ნარკომანიაა, ჩემი აზრით, არ არსებობს. მშობელმა გარკვეულ ასაკში კონტროლი უნდა გაუწიოს შვილს. ყოველთვის მკაცრი მშობელი ვიყავი და ასეა დღემდე. გოგის არასდროს დაუსჯია შვილები. პირქით, ყოველთვის მსაყველურობდა, ზედმეტი მოვლისო. შეიძლება ცუდია, მაგრამ არასდროს არ ვარ კმაყოფილი შვილებით და მათგან უფრო მეტს ვითხოვ.

— რძლების მიმართაც ასეთი მომთხოვნე ხართ?

— არა. რა თქმა უნდა, არა. ძალიან კარგი გოგონები არიან. სულ ვცდილობ, ზედმეტად არ ჩავერიო მათ ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიური შეხება მაქვს, ყოველდღე ავდივარ მათთან და ისინიც ჩამოდიან ჩემთან, მაინც არ მივცემ შენიშვნას. ეს მათი ცხოვრებაა და თუ თვითონ არიან კმაყოფილები, მე არა მაქვს უფლება, რომ ჩავერიო. რაზე წარმოუდგენელს თუ დაამაგებენ, რა თქმა უნდა, გვერდიდან არ დავუწყებ ყურებას.

— თქვენს ოჯახში დღესასწაულებს როგორ აღნიშნავენ?

— ძალიან მიყვარს აღდგომა. ყოველთვის მიყვარდა ეს დღესასწაული. ამ დღეს ყველანი ერთად ვიკრიბებით ხოლმე. ლევანის გარდაცვალების შემდეგ, ჩემს სახლში დღესასწაულებს ისე აღარ აღვნიშნავთ, როგორც ეს ძილებულია. მაგალითად, ახალ წელს ყველა თავის სახლში ხვდება. რაც ჩემი შვილი აღარ არის, მე ჩემს მშობლებთან გორში მივდივარ. ოცდათერთმეტ დეკემბერს მივდივარ ხოლმე და პირველში ღამით ჩამოვდივარ. წელს თებერვალში მამა გარდაამეცვალა, არ ვიცი, როგორ შევხვდები მომავალ ახალ წელს... ასე რომ, ჩვენს ოჯახში დღესასწაული მხოლოდ აღდგომაა. ამ დღეს ყველანი ერთად ვართ. მე თვითონ ვაცხობ სააღდგომო პასკას. ვცდილობ ყველაფერი ის მოვაშადო, რაც ლევანს უყვარდა, ყველაფერი ისე გავაკეთო, როგორც მას მოეწონებოდა. ადრე ძალზე სტუმართმოყვარე ოჯახი გვქონდა. ჩვენთან სულ ხალხი

იყო, ჩემი შვილების მეგობრები დღემდე ჩემი მეგობრებივით არიან. ყველანი მიმყავდა ხოლმე დასასვენებლად. ლევანის დაღუპვამ ჩვენი ცხოვრების სტილი შეცვალა.

— ოჯახში არც დაბადების დღეებს აღნიშნავთ?

— არა. ირაკლი თხუთმეტ აპრილს არის დაბადებული, გოგი — თვრამეტ აპრილს. ეს თვე განსაკუთრებული იყო ჩვენს ოჯახში. ახლა, ჩემს შვილიშვილებს შემძილია გაეუმალლო სადღესასწაულო სუფრა. თუმცა ამჟამად მოდამია დაბადების დღის კაფეში ან რესტორანში გადახდა.

— მეხუთე შვილიშვილი შეიძლება ხვალ შეგეძინოთ?

— შეიძლება. წინასწარ არ ვიცი, ბიჭი გაჩნდება თუ გოგო. ასე უნდოდა ჩემს რძალს. ალბათ, ეს სწორიც არის. ჩემს დროს ექოსკობა არ იყო. მაინც ყოველთვის ვიცოდი, რომ ბიჭი შემიძინებოდა. გოგის გოგოც უნდოდა, მაგრამ მე სულ ვაჟის წინათგობობა მქონდა... ირაკლისა და ლევანს შორის სხვაობა წელიწად-ნახევარი იყო. გიორგი დიდი შესვენების შემდეგ გავაჩინე. ის ირაკლიზე ათი წლით უმცროსია. გოგის ძალიან უნდოდა მესამე შვილი. მისი მადლობელი ვარ ამის გამო. როცა დიდ ოჯახში ცხოვრებას ხარ მიჩვეული და უცბად შვილს კარგავ, ეს კიდევ უფრო აუტანელია. მეტრალეა ის ხალხი, ვინც ერთი შვილის ამარა დარჩა.

— თქვენი ოჯახის წევრებიდან, უცხოეთში ცხოვრებაზე არავის უფიქრია?

— არასდროს. გიორგი არეულობის წლებში ავსტრიაში გავაგზავნეთ. იქ უნივერსიტეტში სწავლობდა. შეიდი წლის განმავლობაში, წელიწადში ორჯერ, თითო თვით ჩავდიოდი მასთან. ზაფხულობით თვითონაც ჩამოდიოდა. მაინც ძალიან გაუჭირდა. სხვათა შორის, იქ ყოფნის პერიოდში, ასეთი რამ აღმოვაჩინე: კარგ ქართველს არც ერთი ერის წარმომადგენელი არ სჯობს: ქართველს აქვს საღი გონება, სწრაფი აზროვნება, ცოტა ეშმაკობაც. სტუდენტები გიორგიმ გააცნო ერთმანეთს — იმდენად არაკონტაქტურები იყვნენ, მთელი დღეები მეცადინებოდნენ. გიორგი ღამით დაჯდებოდა, ორი საათი იმეცადინებდა, გამოცდებს უპრობლემოდ აბარებდა... შეიძლება ვიღაცას მაღალფარდოვან სიტყვებად მოეჩვენოს, მაგრამ ჩვენ სხვაგან ცხოვრება არ გვინდა. იქ უნდა ვიცხოვროთ, სადაც ჩვენი სამშობლოა.



მაია შავეიაშვილი

— პოლიტიკაში ჩემი მოხვედრა დიდწილად იმ ადამიანების გამო მოხდა, რომლებთანაც მე ვარ, ტრადიციონალისტთა კავშირს ვეულისხმობ. მათ ჩათვალეს, რომ რაღაც ნიშნით, რაღაც თვისებებით, მე ამას ვიმსახურებ.

— თქვენ ერთადერთი პარლამენტარი ხართ, პროფესიით ფსიქოლოგი?

— სხვათა შორის, ყველა დებუტატის პროფესია არ ვიცი. შეიძლება, სხვაც არის, ვერ გეტყვით.

— პარლამენტარები ფსიქოლოგიური დახმარებისთვის სშირად გაკითხავენ?

— არა. ჯერ ერთი, არც ერთი პოლიტიკოსი არ ფიქრობს, რომ მას რაიმე პრობლემა აქვს, მეორეც — რომც იფიქროს, ამ შემთხვევაში მე მათი კოლეგა ვარ და არა ფსიქოლოგი. ასეთი ფაქტი არც ერთი მიმართულებით არ იქნებოდა გამართლებული.

— ამის მიუხედავად, ხომ არ ფიქრობთ, რომ პარლამენტარებს და საერთოდ, ჩვენს პოლიტიკოსებს ფსიქოლოგიური დახმარება სჭირდებათ?

— საერთოდ, ყველა ადამიანს სჭირდება ფსიქოლოგი და ასეთ ვეზალტრირებულ პოლიტიკოსებს, რომლებიც უხვად არიან ჩვენს პოლიტიკურ ასპარეზზე — განსაკუთრებით. სულ ცოტა, იმიჯმეიკერი მაინც ესაჭიროებათ, რომელსაც ფსიქოლოგიაზე წარმოდგენა აქვს.

— ჩვენი პრეზიდენტიც ხომ არ საჭიროებს ფსიქოლოგიურ დახმარებას?

— დახმარება ნამდვილად სჭირდება, მაგრამ ვერ გეტყვით — მართლა არ ვიცი, — ფსიქოლოგის დახმარება სჭირდება თუ ვინმე სხვისი...

— რატომ აირჩიეთ ეს პროფესია?

— აღარც მახსოვს. ისე, გულწრფელად რომ ვთხრობ, სინამდვილეში, ალბათ, არ მინდოდა, რაღაც ტრადიციული პროფესია მქონოდა. არ ვიცი, ამას მაშინ რამდენად ვაცნობიერებდი, მაგრამ ფაქტია, რომ თვითანალიზი ამისკენ უფრო მიბიძგებს. არჩევანს არ ვნანობ, იმიტომ, რომ ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე ძალიან ცუდადც რომ ისწავლო, ისეთ განსხვავებულ, საინტერესო და რთულ დისციპლინებს ეცნობი, რომ საბოლოო ჯამში, განათლების ფასეულობაზე ძალიან მოწონებულად ვარჩობდი. მოხარული ვარ, რომ ეს არჩევანი გააკეთე, თუნდაც ეს კულაბზიკობის გამო მომხდარიყო. ახლა ვამბობ ამას, თორემ მაშინ არ მახსოვს, ასე იყო თუ არა.

კიდევ კარგი, „ტრადიციონალისტ“ მაია ნადირაძე ბიჭი არ არის! ამით მამამისიც ხარობდა ხოლმე და მაიას ასტაჯანობით თავმოებურებულ ბებიასაც ამშვიდებდა: არ გიხარიათ, ბიჭი რომ არ არის, ბიჭად რომ არ დაიბადო? გოგოდ გაჩნდა და... რომ არა დედამისი, მისგან რა გამოვიდოდა — ეს თავადაც, ფსიქოლოგმა და პარლამენტარმა, მაია ნადირაძემ არ იცის... თუმცა, ახლა ამაზე მსჯელობას აზრი არ აქვს — ის უკვე 171 სმ სიმაღლის, 57 კგ წონისა და... არა, ასაკს მაინც არ დავასახელებთ, რადგან მომზიბველელი ქალბატონი მუდამ ძალიან ახალგაზრდაა... როგორ გახდა ასტაჯანა გოგონა მომზიბველელი ქალბატონი, ამაზე ბევრი რომ არ გავაგრძელო, მოკლედ გეტყვით: დედამ მაიას „კარგად მოქცევა“ ასწავლა... ეს კი მოგვიანებით „ტრადიციონალისტებმა“ შენიშნეს...



რატომ ჩვენი სივრცის „უთხლაუნიებს“ მაია ნადირაძეს მეგობარი?

— ქალბატონო მაია, როგორ ოჯახურ გარემოში გაიზარდეთ?

— ჩემი ბავშვობა ორდინარული არ იყო. ჩემი მშობლები გაშორებულნი იყვნენ, ამიტომ ვცხოვრობდი ორ, აბსოლუტურად განსხვავებულ სამყაროში. დედაჩემი და ბებიამე ძალიან აკადემიურ ჩარჩოებში მზრდიდნენ. დედის მთავარი დევიზი იყო და არის ის, რომ დრო, რომელიც არ იხარჯება განათლებისთვის ან შემეცნებისთვის — დაკარგულია. ამ მხრივ არანაირი შეღავათები არ არსებობდა. ეს მოსაყოლად უფრო რომანტიკულია, ვიდრე ბავშვობაში გადასატანი. თუმცა, მე მხოლოდ მადლობა შემიძლია ვუთხრა დედას. სშირად ვამბობ ხოლმე — ალბათ, ჩემნაირი ასტაჯანისგან მხოლოდ დედაჩემს შეეძლო რაღაც გამოეყვანა-მეთქი. ის რაღაც წესი, რომელიც დაცული იყო თბილისში — დედისთან, სოფელში — მამასთან, ირდევოდა. იქაც იყო გარკვეული წესები, განა თავაშეუბული ვიყავი... მაგრამ იქ უფრო ხალასი და თავისუფალი ცხოვრების წესი იყო, აბსოლუტურად სხვა დამოკიდებულება ჩემსა და მამაჩემს შორის. ის უფრო რომანტიკული კაცი იყო. სამშობლოსთან დამოკიდებულებასაც სხვანაირად მწოდებდა ხოლმე. არქეოლოგი იყო. სოფელში, საიდანაც წარმოშობით ვარ (საჩხერის რაიონის სოფელი ჭორვილა), ექსპედიციის საბარგო მანქანით ჩავდიოდით ხოლმე. რომ გავივლიდით ერთ ადგილას — ახლა იქ ცნობილი გათხრებია, — მეუბნებოდა: მე თუ ვერ მოვესწარი, დიდი

ქალი რომ გახდები, შენ თქვი, მამაჩემი ამბობდა, რომ ამ ადგილას დიდი ნაქალაქიარია. მერე მამამ მოახერხა იმის გათხრა და, რა თქმა უნდა, ნაქალაქი აღმოჩნდა. თავისთავად ამ ფაქტის გასწავლაც კი ნებისმიერ ადამიანს რომანტიკულობის ხარისხს უმატებს. მამაჩემს არასოდეს დავუსვჯივარ. ერთხელ, გათხრებიდან რომ მოვიდა, ბებიამ უთხრა: ხიდან ჩამოხტა, რაღაცა მოტეხა, რაღაცა გააფუჭა... ვითომ, თავის ჭკუაში, შესწივლა, რომ იქნებ დავესვჯე. მამამ გაიცინა და უთხრა, სპეციალურად იმერული აქცენტით: არ გიხარიათ, მერე, ბიჭი რომ არ არის, ბიჭად რომ არ დეიბადო?... სკოლაშიც სშირად შესწიოდნენ დედას: ბერს ლაპარაკობს, ბერს დარბისო...

— დედა სშირად გსჯიდათ?

— ვერ გეტყვით, რომ მსჯიდა. ის ძალიან აკადემიური ადამიანია. ახლაც კი, დედაჩემი ჩემთან რომ არის, ჩვენ უფრო კორექტულად ვიქცევით. თვითონ ასე არ მაჩნია, მაგრამ... ბავშვობაში, როცა გავაბრაზებდი, გამებუტებოდა ხოლმე. არა, გამებუტებოდა კი არა, ნაკლებად მელაპარაკებოდა და ეს ჩემთვის საკმარისი იყო. ამას აკონაენსირებდა ბებია. 14 წლის ვიყავი, როცა გარდაიცვალა. მას ჩემთვის არასოდეს არაფერზე უთქვამს უარი. თუ სადმე წასვლა მინდოდა, არ მზღულავდა, თან დამეცებოდა ხოლმე. ჩვენთან ერთად მოდიოდა ყველა ჩემი ამხანაგიც. რადგან უფროსი მოგვეცებოდა, არც იმით უშლიდნენ წამოსვლას.



— რით გამოირჩეოდით თანატოლებსიგან?

— არც არაფრით. მე მგონი, ისეთი განსაკუთრებული არაფრით. ეს არ გამიხმაურებია არასდროს, აი, ახლა ვამბობ პირველად: 14 წლის ვიყავი, როცა დისიდენტური ლიტერატურა წავიკითხე და დედაჩემს ეს არ აუკრძალავს.

— დარწმუნებული ვარ, სკოლის ასაკში ერთხელ მაინც იქნებოდით შეყვარებული...

— არა. ეტყობა, ცუდად მოგიყვებით, დედაჩემი როგორი ადამიანია... ბიჭები კი მყავდა, მეგობრები, რომლებიც მხოლოდ იმაზე იყვნენ გამახვილებულნი, რომ ჩემთვის ცუდად არავის შემოეხედა. ამ როლში ძალიან დიდხანს ვიყავი. სხვათა შორის, ახლაც, არა, ცოტა უფრო ადრე, ხანდახან, რაღაც ისეთი ვითარება რომ არის, ისინი მახსენდებიან ხოლმე. ისიც უნდა ვითხრა, რომ I სკოლაში, სადაც მე ვსწავლობდი, ისეთი ლამაზი გოგონები იყვნენ, რომ იქ ჩემთვის არავის ეცალა.

— ეი, არც არავის ჰყვარებინართ?

— არა. იცით, ყველა ადამიანი თავის ცხოვრების წესს თვითონ ირჩევს... უნივერსიტეტში სწავლამდე, შეიძლება ვინმეს მოეწონდი, მაგრამ ამაზე სერიოზული საუბარი არ ყოფილა. მერე, ნუ, გათხოვდი...

— როგორ გაიცანით თქვენი პირველი მეუღლე?

— ერთ კურსზე ვსწავლობდით. ძალიან ბევრი მსგავსი რამ გვექონდა, ამიტომ გასაგები იყო ჩვენი დაახლოება. 20 წლის გავთხოვდი, 23-ის — გავეყარე. არ მკითხოთ — რატომ. არც მახსოვს. ეს ძალიან დიდი ხნის წინ იყო. იმის მერე, მარტო ჩვენს ქვეყანაში, 2 „სერიოზული“ ეპოქა გამოიცვალა. ეს იმ შემთხვევაში შეიძლება ახსოვდეს ადამიანს, როცა გულნატკენი ან გულდაწყვეტილია. ჩემს შემთხ-

ვევაში, არც ერთს არ აქვს ადგილი.

— უცხო მამაკაცს რომ დიანახავთ, პირველ რიგში, რას აკვირდებით — თითქმის, თვალებს?..

— ნებისმიერ ადამიანს, ქალი იქნება თუ კაცი, მხოლოდ და მხოლოდ მისი ინტელექტუალური შესაძლებლობების მიხედვით ვარჩევ.

— ეი. მის ფიზიკურ მხარეს არ აკვირდებით?

— არა, როგორ არა, ბრძმა კი არა ვარ. თუ ვიღაცა თვალში მომხვდა და კარგი აღნაგობა აქვს, ამას აუცილებლად ვიტყვი, როგორც ფაქტის კონსტატაცია. თუ ადამიანს გონიერების დიდი კოეფიციენტი აქვს, მის გარეგნობას აღარც შევამჩნევ. საერთოდაც, მე და ჩემი შვილები ქუჩაში რომ მივდივართ, ჩემ გარშემო რა ხდება, ამას ჩემი პატარა გოგონა მიყვება ხოლმე.

— ეი. გარემოს ყურადღებას არ აქცევთ?

— არა, ვუყურებ ჩემს გზას, რომელიც უნდა გავიარო.

— როგორი გარემო გიცვლით გუნება-განწყობილებას, რა გალიზიანებთ?

— როგორ ვითხრათ, მალიზიანებს მრავალრიცხოვანი წვეულება, თუ ის დიდხანს გრძელდება. საერთოდ, ახლა, ჩემს ასაკში, ჩემს მდგომარეობაში იქამდე კი მივალწვი, რომ რაც მალიზიანებს, იმ მდგომარეობაში თავი არ ჩავყოფი. ის წვეულებები მიყვარს, რომელსაც ჩემი მეგობრები მართავენ ხოლმე: იქ ყველა ნაცნობია, გადაძახილივით არის ხოლმე სუბრობა — სიცილიც და სიმღერაც... არ მიყვარს ფუჭი საუბრების მოსმენა, არც ის, როცა 2 ადამიანი მესამეზე, მით უმეტეს ადამიანზე, რომელსაც არ იცნობს, რაღაცას ჰყვება. ამ დროს ვატყობ ხოლმე ჩემს თავს, რომ საყვედურისგან თავის შეკავება არ შემიძლია. ძალიან მალიზიანებს ტყუილი. რაღაც ლეტექტორივით მაქვს და იმ წუთში, როცა ვხვდები, რომ ადამიანი იტყუება, შეიძლება, საკუთარი თავის კონტროლი ცოტა შემისუსტდეს...

— კონტროლი რომ გისუსტდებათ, როგორ ხართ?



— თუ რაღაცის გამო ძალიან განერვიულებული ვარ, შეიძლება ხმაძლავა მხოლოდ ეს ვთქვა: ნუ, ცუდად ვარ. საერთოდ, არ ვყვირი ხოლმე. მარტო ძალიან ახლობლების წრეში, მაგალითად, ჩემი შვილების შემთხვევაში, მიყვირია. მე და ჩემს მეუღლეს არასდროს გვიჩხუბია. ყვირილამდეც არასდროს მივსულვართ.

— ახლანდელმა მეუღლემ რა თვისებებით მოგნიბლათ?

— სხვათა შორის, პირველ მეუღლესთან გაყრის მერე, მალევე გავიცანი. ჩემთვის ეს ერთგვარი გეზოტიკა იყო... ძალიან ხალისიანი ადამიანია, უზღვაო იუმორის გრძობა აქვს, ძალიან კარგად მღერის, კეთილშობილია... ეს არის ადამიანი, რომელსაც არასდროს, მცდელობაც კი არ ჰქონია, რომ მე შემბრძოლებოდა.

— როცა საპირისპირო სქესის ადამიანი გაკრიტიკებთ, როგორი რეაქცია გაქვთ?

— თქვენ ვინდით მითხრათ, რომ... ისე მიყურებს, რომ მაკრიტიკებს? ასეთი რამ, სახეში მიყურებდეს და მაკრიტიკებდეს — არ მახსენდება. გააჩნია, ვინ არის ის ადამიანი. თუ ახლობელი არ არის, მის კრიტიკას ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს. თუ მეგობარი და თანამოაზრეა, შეიძლება შევეკამათო, მაგრამ აუცილებლად მოუხუმენ. ეს კრიტიკა კვალს ტოვებს. ახლა, ვინც აივლის და ჩაივლის, თვალში არ მოუვალ და მერე, რაღაც აზრს გამოთქვამს... ეს ჩემს ყურამდე არ მოდის.

— წარმოიდგინეთ, წვეულებაზე ცეკვის დროს, მოულოდნელად მოპრიალბულ იატაკზე დავარდით. რას იზამთ?

— ვერაფრით ამ ამოცანას ვერ ამოვხსნი. მე ძალიან რაციონალური ტვინი მაქვს და სანამ ვიცეკვებ, რაც ნაკლებად წარმოსადგენია, ცეკვის ბოლომდე ყველა კადრი ჩემს თავში გაირბენს, ამიტომ დაცემასაც წინასწარ გამოვიცნობ და თავს ავარიდებ — ან ვიცეკვებ, ან ისე — რომ არ დავვარდებ. თუქცა, ამ შემთხვევაში ბუნებრივად ყველაზე სწორია. დავვარდი, ხომ? ამის გამო გულყრები და შეურაცხყოფილი რაღაც არ დამეძარტება. თუ მერე ვიღაც იტყვის, — მაია სადღაც გაიშხლართაო, არც ამის დარდი მაქვს.

— გასაგებია. ახლა, წარმოიდგინეთ, თქვენს ანგარიშზე მილიონი დოლარი გადმორიცხეს. რას იზამთ?

— რას ვიზამ და დავხარჯავ. ვაი, ეს ისეთი იოლია ჩემთვის! ახლა, თუ ფიქრობთ, რომ მაშინვე გავიქცევი და სახლს და მანქანას ვიყიდი, ნამდვილად — არა. მანქანა მაქვს, სახლი — არა და ჩემი საყოფაცხოვრებო პირობები ნამდვილად საშუალო დონესაც კი არ აკმაყოფილებს, მაგრამ არა უშავს რა. მიმაჩნია, რომ მდგომარეობა გამოს-

წორდება. ამ ფულით ჩემი შვილებისა და არა მარტო მათ განათლებას რომ ვუზრუნველყოფ — ეს ფაქტია. მე რომ ახლა მართლა ბევრი ფული მქონდეს, შეიარაღებული რაზმის დაქირავებაც რომ დამჭირდეს, ჩვენს ქვეყანაში განათლების სისტემას ვერ შევცვლიდი... ძალიან მიყვარს მოგზაურობა. სხვათა შორის, გაგიკვირდებათ — კუბაში წასვლა მაინტერესებს, ოღონდ მანამ, სანამ ფიდელ კასტრო ცოცხალია. მიხდა დაკონსერვებული სოციალიზმი ვნახო. სანამ საბჭოთა კავშირში ვცხოვრობდით, ისინიც და ჩვენც ერთი ოჯახი, ერთი „ქაქი“ ვიყავით. ახლა ამას ისე მინდა შევხედო, როგორც თავის დროზე, ჩვენ გვიყურებდა გერმანელი... წავიდოდი ვევიპტეში, ავსტრალიაში... ვეცდებოდი, ჩემი შვილებიც მეზიარებინა ამ სიამოვნებისთვის. ვერ ვეტყვი, რომ ამ მილიონს მარტო დროს ტარებაში დავხარჯავდი. ეს ნერვებს ამიშლიდა.

— არ გაგიკვირდებათ, მოულოდნელად ანგარიშზე ეს თანხა რომ გაჩნდება?

— მე მეგონა, თქვენ ასტრატულად მითხარით, თორემ... მე ამას ისე გამოვიკვლეე და გამოვარკვეე, რომ 10 პატრონი ვუშოვი. ამასთან დაკავშირებით, ერთი ამბავი მასხინდება. მე და ჩემი შვილი, მაშინ 7 წლის იყო, მაღაზიაში ქსოვილების საყიდლად შევედი. კერვით ვიყავი გატაცებული და სამეცადინოდ, ბევრი, შედარებით იაფფასიანი ქსოვილი შევიძინე. სალაროსთან რომ მივედი, გამყიდველმა დამიძახა — გახარებული იყო, ასეთი მყიდველი რომ გამოუჩნდა; მომწონდა ნავაჭრი, გამოვართვი, ჩავეჯექით მანქანაში და წავედი. მეტრო „დელისთან“ გაჩერდით. რაღაც უნდა მეყიდა, გავსენი საფულე და... იგივე რაოდენობის ფული მქონდა. მიგბრუნდი უკან. მოვუბოდიშე: ფული არ გადამიხდია-მეთქი. მათ არც ასსოვდათ. სხვათა შორის, ისეთი უცნაური რეაქცია ჰქონდათ... გაღიზიანდნენ ჩემზე, ეჭვის თვალით მიყურებდნენ, არც მადლობა უთქვამთ... მე დანაშაულებით ვიცი: ის, რაც შენი არ არის და აიღებ, არ შეგერება.

— იმის მიუხედავად, რომ ძალიან არ გიყვართ ტყუილი, ეს, ალბათ, ზოგჯერ მაინც გჭირდებათ. სავარაუდოდ, დღეში რამდენჯერ იტყუებით?

— უიმე... ხდება ასე, რა თქმა უნდა. ადამიანი, რომელიც ამბობს, არ ვიტყუებით, ისეთი ფილია, რომ ცინემა ჩასასმელი. საქმე ის არის, როგორ აკონტროლებ თავს ტყუილის თქმის დროს ან ამას როგორ არიღებ თავს. მე მტკნარ ტყუილს არასდროს ვამბობ. აი, მაგალითად, ვიღაცამ გამაფრთხილა, რომ „ამაზე“, „იმას“, „ეს“ არ უთხრა. მევე მხედვება „ის“ და მეკითხება, „ეს“ როგორ არისო? მე ვპასუხობ: უიმე, კი არ ვიცი. წესით, „ის“ უნდა ხვდებოდეს, რომ „ამაზე“ ლაპარაკი მე არ მინდა.

— დაფუშვით, ძალიან გიყვართ ვიღაც მამაკაცი, გიყვებით, ბოდავით...

— ვეცემი...
— კარგით, ეცემით. მის მოსაპოვებლად ყველაფერზე წახვალთ. მოულოდნელად შეიტყვეთ, რომ მას შიდა აქვს. რას იზამთ?

— თქვენ ხომ ფსიქოლოგი ხართ. თქვენ ხომ იცით, რომ ის, რაც უკვე აკრძალულია, ტაბუირებულია ფსიქიკაში; იმ ვითარებაში თავს ვერ ჩაიფლებ. მე თავს იმ მდგომარეობაში ვერ ჩაიფლებ, რომ შიდაიანი კაცი მიყვარდეს: ეს ჩემთვის ძალიან ტაბუირებულია.

— თქვენ ხომ ის მანამდე გიყვარდათ, სანამ გაიგებდით, რომ შიდა აქვს?

— იცით, როცა ადამიანი ძალიან გიყვარს... ჯერ ერთი, შიდასაც აქვს თავისი დამცავი საშუალებები, მეორეც — ვეცდები, რომ მისი სიცოცხლე გავახანგრძლივო. აი, იმ მილიონ დოლარს, თქვენ რომ „გადმოძირიცხეთ“, იმას მოვასხმარ.

— თქვენ, ალბათ, „რომანტიკული“ ფერები გიყვართ?

— მე ცოტა დალტონიკი ვარ, ყვითლისა და მწვანის გარჩევა მიჭირს. ერთხელ, „ფაზელს“ (თავსატეხი, ინგლ. — ავტ.) ვაკეთებდი. 3 პატარა სურათი უნდა გამეკეთებინა, ბოლოს კი გამოვიღო პანორამა ოკეანის წიაღში. ბევრი მწვანე და ყვითელი ფერი იყო. ჩემი შვილი ამბობდა ხოლმე: მაიკოს ლიბონი უჭირავს ხელში, რომ მწვანე ყვითლისგან გაარჩიოს... ადრე ცისფერი მიყვარდა, ახლა თანამედროვე, გარდამავალი ფერები მიყვარს. მიმაჩნია, რომ რომანტიკული ადამიანი ვარ. ამავე დროს, ძალიან რაციონალური ტვინი მაქვს. ჩემი რაციონალიზმი რომანტიკაში არსებობის საშუალებასაც მაძლევს. რეალობას არ ვწყდები და ილუზიაში არ ვვარდები. მიხდა, რომ ჩემი პოლიტიკური მოღვაწეობაც ამით იყოს ნიშნდობლივი. საქმე რომ გააკეთო სწორად, კონფორმიზმზე — და არა კომპრომისზე — არ უნდა წახვიდე და საქმეც აუცილებლად გამოვა. კომპრომისი პოლიტიკისთვის აუცილებელი რამეა, კონფორმიზმი — არა. როცა საკუთარ იდეას ცოტას თმობ, იმიტომ, რომ ვიღაცის იდეასაც მისცე გზა, ეს ძალიან ძნელია, მაგრამ აუცილებელი. კონფორმიზმი უკვე დაეცა, პრინციპს დალატობ, მაგრამ ადვილია თქვა — მომეცი ეს და მოგცემ ამას.

— ქალბატონო მაია, უძილობას ხომ არ უწივით?

— არა, ძილი კარგი მაქვს. გაღვიძება პრობლემა. პარლამენტში რომ მოვედი, თავიდან სხვა ვალდებულებები იყო. სხდომა რომ იწყებოდა, მთელი ოჯახი მე მადვიებდა ხოლმე. ერთხელ, ძალიან გვიან დავიძინე, დილით მიბილურზე დამირეკეს. ავიღე და



ნინო ბურჯანაძესთან ერთად

უნდა ვუთხრა — ბოდიში და თავი დამანებეთ-მეთქი, რომ იქიდან ინგლისური ლაპარაკი გავიგონე. ისეთი მობილიზაცია მოვახდინე, რომ 3 საათის დაძინებული აბსოლუტურად გამოფხიზლდი და პასუხიც გავეცი. ჩემი პატარა შვილი ამბობს: ძლივს არ მივხვდით, როგორ უნდა გავაღვიძოთ? — დაფურეკოთ და ინგლისურად დაველაპარაკოთო. მაგრამ დღემდე არც ამ მეთოდით უსარგებლიათ და არც პოლიცია გამოუძახებიათ.

— საზოგადოებაში ყოფნისას, ვიღაც თქვენ გვერდით ფრჩხილებს რომ იკვნეტდეს, რეაქცია გექნება?

— კი, რა თქმა უნდა, მაგრამ მას არაფერს ვეტყვი.

— თუ ის თქვენი მეგობარია?


— მაშინ — თხლაშ! — გავარტყამ. მე თვითონაც, ხანდახან, როცა ვფიქრობ ხოლმე, ფრჩხილების კვნეტა — არა, თითის წვალება ვიცი. ჩემი ერთი მეგობარი, რომელსაც ჰგონია, რომ თითებს ვიჭამ, პირდაპირ — თხლაშ, ხელებში მირტყამს...

P.S. მაია ნადირაძეს „თხლაშუნს“ მხოლოდ მეგობარი თუ გაუბედავს, თორემ ამას სხვა როგორ გარისკავს?! ისე, ასეთი მოულოდნელობებს თუ გაუთვალისწინებელ შემთხვევებს მაია ნადირაძე ვერც იტანს. ოქმორის უნარი კი აქვს, მაგრამ ზოგჯერ კონტროლს ადვილად კარგავს და სხვის „გათხლაშუნებასაც“ ასერხებს. საკუთარ თავში დაჯერებული და პუნქტუალური პარლამენტარი, მართალია, გულწრფელად აღიარებს, რომ მის შესახებ გამოთქმული სხვისი აზრი „არ აღარდებს“, მაგრამ ამას როგორ დაევიწყებ? აა, როგორ შეიძლება, პარლამენტარს, მასზე ხალხი რას იტყვის, არ აღარდებდეს?! თან ქალბატონ მაიას ხომ კარგი საქციელი ბავშვობიდან დღეისაგან აქვს ნასწავლი, მაგრამ... ნეტა, სხვა პარლამენტარებს დღეები არ ჰყავთ?..

ორ პოლიციელს განზრახ მკვლელობისთვის ასაპართლეები

„უდანაშაულო ადამიანის სიბრძნე შეინიჭეს და პასუხი უნდა აპონ!“

უზენაეს სასამართლოში 32 წლის ალექსანდრე ჯაფარიძის განზრახ მკვლელობისთვის ორ პოლიციელს ასაპართლეებენ. განსასჯელები — ალბერტ ამირაშვილი და გრიგოლ ჟიჟიაშვილი მცხეთის შინაგან საქმეთა სამმართველოს ყოფილი თანამშრომლები არიან; ამირაშვილი — წოდებით უფროსი ლეიტენანტი, კრიმინალური პოლიციის სისხლის სამართლის სამძებროს ჯგუფის ინსპექტორი, ხოლო ჟიჟიაშვილი (კაპიტანი) — ადმინისტრაციული პოლიციის უზნის უფროსი ინსპექტორი გახლდათ. მაშინ, როცა მკვლელობა მოხდა, მათ სწორედ დასახელებული თანამდებობები ეკავათ.



მოძრაობა განაგრძო. პოლიციელებმა — კერძოდ, ამირაშვილმა და ჟიჟიაშვილმა, ავტომანქანას ავტომატების ჯერი დაუშინეს. ტყვიებმა მანქანას მარჯვენა კარი დაუზიანა, უკანა საქარე მინა ჩაუშტვრია, წინა სავარძელში მჯდომი ალექსანდრე ჯაფარიძე კი სასიკვდილოდ დაიჭრა: მას თავში მოხვდა ტყვია, რის შედეგადაც მაშინვე გარდაიცვალა. მანქანაში მსხდომთაგან მინის ნამსხვრევებით მსუბუქად დაიჭრა კახაბერ ჭელიძე. რაც შეეხება იოსებ ზარიაშვილსა და ნათია გერმანოზაშვილს, ისინი ტყვიას გადაურჩნენ, მიუხედავად იმისა, რომ სროლის შედეგად მათ სიცოცხლესაც ღიღი საფრთხე ემუქრებოდა.

მეზო სანაპი

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე მცხეთის რაიონის პროკურატურაში აღიძრა, თუმცა, მისი გამოძიება საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ განახორციელა. 25 წლის ამირაშვილსა და 41 წლის ჟიჟიაშვილს 109-ე მუხლი (დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობა) მიუყენეს. მიუხედავად ამისა, დაზარალებული მხარე გამოძიების მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამს. დაზარალებულთა თქმით, პროკურატურამ ყოფილი პოლიციელების მიმართ ვითომ სიმკაცრე გამოიჩინა, აღნიშნული მუხლიც განგებ, მოწინააღმდეგე მხარისთვის თვალის ასახვევად მიუყენა, სინამდვილეში კი, საქმის მასალებში ბრალდებულებს ყველანაირი პირობა შეუქმნა მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად.

მოძრაობდა „ჟიგულის“ მარკის ავტომანქანა (მიუთითა ნომერიც), რომელშიც მისთვის უცნობი ორი მამაკაცისა და ქალის გარდა, მუხრანის მკვიდრი, ადრე ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებაში მხილებული — იოსებ ზარიაშვილი იჯდა. მისივე თქმით, ამ უკანასკნელს შესაძლოა, ნარკოტიკები ჰქონოდა და მათი ზემოქმედების ქვეშაც ყოფილიყო.

ამ ინფორმაციის საფუძველზე, ქვეანყოფილების უფროსმა საჩქაროდ შექმნა ოპერატიული ჯგუფი, რომელშიც ამირაშვილისა და ჟიჟიაშვილის გარდა, კიდევ სამი პოლიციელი შედიოდა. ჟიჟიაშვილმა, ამირაშვილმა და ჯგუფის ერთერთმა წევრმა — დალაქიშვილმა უფროსის განკარგულებით, ცეცხლსასროლი იარაღი — „ა-კა-ეს“-ის ავტომატები საბრძოლო ვაზნებითურთ მიიღეს და ქსოვრისსა და მუხრანს შორის მდებარე გზაზე აღნიშნული ავტომანქანის ჩამოვლას დაელოდნენ.

„პოლიციის შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის თანახმად, პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს, სატრანსპორტო საშუალების გაჩერების მიზნით, ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენოს მხოლოდ უკიდურესი შემთხვევის დროს, თანაც მაშინ, როცა მძღოლის მოქმედება საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, მძღოლი კი არ ემორჩილება პოლიციელის არაერთგზის მოთხოვნას. ამავე კანონის თანახმად, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება აკრძალულია ისეთ ადგილებში, სადაც შესაძლებელია სხვა პირიც დაზიანდეს. პროკურატურის განცხადებით, ჟიჟიაშვილმა და ამირაშვილმა აღნიშნული კანონის ეს მოთხოვნები უხეშად დაარღვიეს და თავიანთი საშსახურებრივ უფლებამოსილებას გადააჭარბეს. ამასთანავე დადგინდა — ტყვია, რომელმაც ჯაფარიძის სიცოცხლე შეიწირა, ამირაშვილის მიერ იყო გასროლილი. პროკურატურა იმასაც დასძენს, რომ სროლის დროს ამირაშვილს ვინმეს მოკვლა არ სურდა, მაგრამ ვითარებიდან გამომდინარე, მანქანაში მსხდომთაგან რომელიმე პირის სიკვდილის შესაძლებლობასაც დასაშვებად მიიჩნევდა.

გენპროკურატურის მიერ შედგენილი საბრალდებო დასკვნის თანახმად, მკვლელობა 2001 წლის 20 აგვისტოს სოფელ მუხრანთან მოხდა. დაახლოებით 20 საათსა და 27 წუთზე, მცხეთის შს სამმართველოს კრიმინალური პოლიციის უფროსი, მობილური ტელეფონით დაუკავშირდა სოფელ მუხრანის ქვეანყოფილების უფროსს და აცნობა, რომ სოფელ ქსოვრისიდან მუხრანის მიმართულებით

დაახლოებით 20 საათსა და 50 წუთზე „ჟიგულის“ გამოჩნდა. მანქანას სწორედ იოსებ ზარიაშვილი მართავდა. მის გვერდით ალექსანდრე ჯაფარიძე იჯდა, ხოლო უკან, ავტომანქანის პატრონი — კახაბერ ჭელიძე და ნათია გერმანოზაშვილი. როგორც საბრალდებო დასკვნაშია მითითებული, პოლიციელთა მოთხოვნას — გაჩერებულიყო, მძღოლი არ დაემორჩილა, პირიქით — სიჩქარეს მოუმატა და

ამირაშვილი და ჟიჟიაშვილი დააკავეს. თავი დამნაშავედ არც ერთმა მათგანმა არ ცნო და საბოლოო ბრალდების წაყენებისას, ღუმილის უფლება გამოიყენა. თუმცა, საქმის მასალებში დევს მათ მიერ პროკურატურისთვის მიცემული ჩვენებე-

ბი, რომელიც გამოიხატა ბრალდების წყენებამდე მიიღო.

ამირაშვილის თქმით, მისი მხრიდან ავტომატიდან გასროლა „ჟიგულში“ მსხლოთა ქმედებამ განაპირობა. მისივე მტკიცებით, თავდაპირველად, სწორედ აღნიშნული ავტომანქანიდან გასხნეს ცეცხლი, პოლიციელებმა კი, ამის საპასუხოდ დაიწყეს სროლა.

„...ავტომანქანის მძღოლს ვანიშნეთ, გაჩერებულიყო. მან კი სიჩქარეს უმატა. ამიტომ მე ავტომატი საბრძოლო მდგომარეობაში მოვიყვანე და იგი ერთჯერად რეჟიმზე დავაყენე. მძღოლმა ამის შემდეგაც გააგრძელა სვლა და საჭე ჩვენკენ მოძარბა. ამის გამო, ჩვენ ჯერ უკან დავიხიეთ, მერე კი, როცა ავტომანქანა გაგვცდა, იქიდან იარაღიდან გასროლის ხმა მომესმა. ამას ჩემ გვერდით მყოფი პოლიციელების მხრიდან მოჰყვა სროლა. მეც, ჩემი ავტომატიდან დამიზნებით, ოთხჯერ გავისროლე, ავტომანქანის საბურავების მიმართულებით. ჟიჟიაშვილი და დალაქიშვილი რა მიმართულებით ისროდნენ, არ ვიცი. სროლების შემდეგ, ავტომანქანამ 150-200 მეტრი გაიარა. შემდეგ გაჩერდა და მარცხენა მხრიდან ახალგაზრდა ბიჭი გადმოვიდა. ორი ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ისევ უკან შეტრიალდა, მანქანიდან რაღაც ნივთი აიღო და გზის მარცხნივ მდებარე, სიმიზის ნათესებისკენ გაიქცა. ჯგუფის ერთ-ერთი წევრი გაქცეულს დაედევნა, მე კი, თანამშრომლებთან ერთად, გაჩერებულ ავტომანქანასთან მივედი. წინა სავარძელში დაჭრილი მამაკაცი უგონოდ იჯდა. მეორემ კი, რომელიც მანქანიდან გადმოსულიყო და ჩვენი მისამართით ივინებოდა, პერანგი ჩამომახია...“ – წერს ჩვენებაში ამირაშვილი.

მეორე ბრალდებული – ჟიჟიაშვილიც თავის ჩვენებაში აღნიშნავს, რომ „ჟიგულ-იდან“ ორი გასროლის ხმა გაიგონა. ის იოსებ ზარიაშვილის მიერ მანქანიდან რაღაც ნივთის აღების ფაქტსა და გაქცევისას ადასტურებს. ბრალდებულთა თქმით, პოლიციელმა, რომელიც გაქცეულ ზარიაშვილს უკან დაედევნა, იგივე დააკავა.

დაზარალებულები, ყოფილი პოლიციელების მიერ მოყვანილ ამ ფაქტებს უარყოფენ და დასძენენ, რომ შემთხვევის

დღეს, ავტომანქანით მათ არანაირი ნარკოტიკი არ გადაჰქონდათ, ცეცხლსასროლი იარაღი კი საერთოდ არ ჰქონიათ.

პახაზური ჭაიშიძე, დაზარალებული:

„2001 წლის 20 აგვისტოს, საღამოს ჩემმა თანამშრომელმა, ალექსანდრე ჯაფარიძემ მთხოვა, მის ბინაში მომუშავე ხელოსანი მცხეთის რაიონის სოფელ ჩარდახში წამეყვანა. დავთანხმდი და იმავე საღამოს, ჯაფარიძის სახლში თბილისში, ნუცუბიძის პლატოზე მივედი. ჯაფარიძემ ხელოსანი წამოიყვანა და იგი სოფელში ჩავიყვანეთ. უკან რომ ვბრუნდებოდით, ჩარდახის გადასახვევთან, ჯაფარიძის მეგობარი – იოსებ ზარიაშვილი შემოგვხვდა. ზარიაშვილმა სოფელ მუხრანში ჩაყვანა გვთხოვა. რა თქმა უნდა, მასაც დავთანხმდით. გზაში, თბილისი-გორის გზატკეცილზე მოძრაობისას, ახალგაზრდა ქალი შევნიშნეთ. ტრანსპორტს ელოდებოდა. მე მას მანქანა გაუჩერე და თბილისში წაყვანა შევთავაზე. ქალი – ნათია გერმანოზაშვილი დავთანხმდა და მანქანაში ჩაჯდა. მუხრანში ჩასვლისას, ჯაფარიძემ და ზარიაშვილმა სოფელ ქსოვრისში მიყვანა მთხოვეს. მე გზა არ ვიცოდი და ამიტომაც, საჭესთან ზარიაშვილი დაჯდა.“

როცა ქსოვრისიდან უკან ვბრუნდებოდით, საავტომობილო გზის ერთ-ერთ მონაკვეთზე პოლიციელების მიერ მოწოდებული პიკეტი დავხვდეთ. ორი ავტომანქანა იყო გაჩერებული და დაახლოებით 6-7 პოლიციელი იდგა. ერთ-ერთმა ზარიაშვილს ანიშნა – გაჩერებულიყო, მაგრამ მან სვლა განაგრძო და სიჩქარესაც უმატა. მაშინ პოლიციელებმა ავტომატები მოიმარჯვეს

და ჩვენს მანქანას სროლა დაუწყეს. მე უკანა სავარძელში ჩავწექი, თან ზარიაშვილს დავეუყვირე – გაჩერე მანქანა-მეთქი. ზარიაშვილმა მანქანა მაშინვე გაჩერა და იკითხა: მოგარტყევსო? ამის შემდეგ, იგი ავტომანქანიდან გადახტა და ნათესებისკენ გაიქცა.

მანქანიდან მეც გადავედი. მაშინ შევნიშნე, რომ ჯაფარიძეს გონება დაკარგვოდა და მთლად სისხლში იყო ამოსვრილი. გაბრაზებულმა, ავტომანქანასთან მოახლოებულ პოლიციელებს დავეუწყე კამათი. ცოტა ხანში დავეწყარდი და პოლიციელების დახმარებით, უგონო, დაჭრილი ჯაფარიძე პოლიციის მანქანაში გადავსვი. ჯაფარიძე მცხეთის საავადმყოფოში თავად პოლიციელებმა წაიყვანეს, მე კი ჩემი ავტომანქანით გავვეცი მათ უკან, თან მეც დაჭრილი ვიყავი. საავადმყოფოში მისვლისას შევიტყვე, რომ ჯაფარიძე უკვე მკვდარი იყო.“

კახაბერ ჭელიძის ჩვენებით, ზარიაშვილს იმ დღეს ნარკოტიკული ნივთიერება არ ჰქონია.

იოსებ ზარიაშვილი, დაზარალებული:

„...პიკეტთან მიახლოებისას, პოლიციელის ნიშანზე – გამეჩერებინა მანქანა, არ შევჩერდი. ამის მიზეზი ის იყო, რომ შემთხვევამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე, ნარკოტიკების მოხმარებისთვის დაჯარიმებული ვახლდით... შემეშინდა, ამჯერად პოლიციელებს ჩემთვის ნარკოტიკი არ ჩაელოთ და მანქანა ამიტომაც არ გავაჩერე. როცა პიკეტს გავცდი, ავტომატების სროლის ხმა მომესმა, ამას ნათია გერმანოზაშვილის კვილი და ჭელიძის ყვირილი მოჰყვა. მე მანქანა გავაჩერე, რადგან საბურავი და-

ჩვენ მივალნიეთ ახას!
საერთო წონის დაკლება 31 კგ!!!

წონის დაკლების და ჯანმრთელობის კონგრულის ახალი სისტემის საშუალებით ჩვენ დავიბრუნეთ ახალგაზრდული იერი და ჯანმრთელობა!

დაიბრუნეთ თქვენი ახალგაზრდობა და ჯანმრთელობა ჩვენი კვალიფიციური ზალაბიბიპრობის კვალი.

დაგვირეკეთ: 957067 (17 სთ-მდე); 227756; 382374 (17 სთ-ის შემდეგ); 893345008 ანდრო, ნატა



ზიანებული იყო, ჯაფარიძე კი სისხლით იყო მოსვრილი. შემეშინდა, ავტომანქანა მაშინვე მივატოვე და გზის მარცხნივ - ნათესებისკენ გავიქეცი. ერთ-ერთი ნაცნობის - ჯ. დალაქიშვილის სახლში მივედი და მის მეუღლეს ვთხოვე: როგორმე დაძმალე, პოლიცია მოსაკლავად მომდევს-მეთქი...

იმ დღეს, არც ნარკოტიკული ნივთიერება და არც ციკლოსასროლი იარაღი არ მქონია.

თუმცა, პოლიციის ოპერატიული ჯგუფის ერთ-ერთი წევრის - ნიკოლოზ მიგრაულის ჩვენებით, ზარიაშვილმა, როცა იგი პიკეტს 10-15 მეტრით გასცდა, ავტომანქანის ფანჯრიდან ხელი გამოყო და პისტოლეტიდან ორჯერ გაისროლა. 100-150 მეტრის გაშლის შემდეგ კი, მანქანა გააჩერა და იქიდან იარაღით ხელში გადმოვიდა. თან რაღაც ფუთა გადმოიტანა და ნათესებისკენ გაიქცა. მიგრაული დასძენს, რომ ის ზარიაშვილს მაშინვე დაედევნა, მაგრამ ეს უკანასკნელი ნათესებში ჩაიმაღლა და ერთხელ კიდევ გაისროლა. „ასეთ პირობებში მისი დაკავება შეუძლებელი იყო“, - წერს მიგრაული. აღსანიშნავია, რომ არც უიჟიაშვილი და არც ამირაშვილი ზარიაშვილის მიერ მანქანიდან გადასვლისთანავე ფუთის გადმოტანის ფაქტს არ აფიქსირებენ; მათი თქმით, ეს უკანასკნელი, ავტომანქანასთან მეორედ მიბრუნდა და იქიდან რაღაც ნივთი მხოლოდ მაშინ აიღო. ბრალდებულები არც იმას ამბობენ, რომ ზარიაშვილის ხელში პისტოლეტი დაინახეს. ნათია გერ-

მანოზაშვილიც, დანარჩენ დაზარალებულთა მსგავსად, ირწმუნება, რომ ზარიაშვილს თან არც ფუთა, არც ნარკოტიკები და არც იარაღი არ ჰქონია.

პროკურატურის გამოძიებულთა თქმით, იოსებ ზარიაშვილმა მათ განუცხადა, რომ 2001 წლის 20 აგვისტოს, სოფელ ქსოვრისში მგზავრობისას, მას მცხ-

ეთის შს სამმართველოს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ქვეგანყოფილების ინსპექტორი, გიორგი ტატუნაშვილი შეხვდა. ზარიაშვილის თქმით, მუხრანის ქვეგანყოფილებაში, როგორც ჩანს, „ჟიგულით“ მისი მგზავრობის თაობაზე სწორედ ტატუნაშვილისგან შეიტყო. ტატუნაშვილმა თავის ჩვენებაში ზარიაშვილთან შეხვედრის ფაქტი მართლაც დაადასტურა, თუმცა, მის შესახებ ინფორმაციის გაცემა უარყო. გენპროკურატურის ინფორმაციით, ტატუნაშვილისა და მცხეთის რაიონის კრიმინალური პოლიციის უფროსის, აგრეთვე მიგრაულის მობილურ ტელეფონებზე, მათ მიერ ერთმანეთთან დასაკავშირებლად განხორციელებული შემავალი და გამავალი ზარები 2001 წლის 20 აგვისტოს საღამოს მართლაც ფიქსირდება.

განსასჯელთა მხარე ირწმუნება, რომ გენერალურმა პროკურატურამ ბრალდებები ყოველგვარი საფუძვლის გარეშე წარმოადგინა. ამირაშვილის ადვოკატის - ეკა ბესელიას თქმით, საქმის მასალებში 109-ე მუხლის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ არსებობს.

იპა გუსელია:

„მოცემულ შემთხვევაში, თავად გამოძიების მასალებიდან ირკვევა, რომ არც მიზნობრივ სროლებთან და არც განზრახ მკვლელობასთან არ გვაქვს საქმე. ამას პროკურატურამ რატომღაც გვერდი აუარა და ამირაშვილს, ისევე როგორც მეორე პოლიციელს, საკმაოდ მძიმე ბრალდებები წაუყენა. ამირაშვილმა და მასთან ერთად მყოფმა თანამშრომლებმა სპეციალური დავალება მიიღეს უშუალოდ უფროსისგან - მიგრაულისგან და ამ უკანასკნელის მითითებებს ასრულებდნენ. აქედან გამომდინარე, ამირაშვილს აღნიშნულ ავტომანქანაში მჯდომი რომელიმე პიროვნებისადმი არ შეიძლება რაიმე პირადი დაინტერესება ჰქონოდა და მისი მოკვლა განეზრახა. თანაც, ხუთივე პოლიციელი აცხადებს, რომ პირველად სროლები „ჟიგულიდან“ გაისმა, რის შემდეგაც, ისინი იძულებულნი გახდნენ, საპასუხო გასროლები ეწარმოებინათ. გარდა ამისა, პოლიციელები, მათ შორის ამირაშვილიც, მანქანის საბურავებისკენ ისროდნენ ტყვიებს. ტყვიები, რითაც ავტომანქანა დაზიანდა, ექსპერტიზის დასკვნის

ნის თანახმად, ასფალტიდანაა ასხლეტილი, ხოლო ტყვია, რომელიც ჯაფარიძეს თავში მოხვდა, არავინ იცის, რა მიმართულებით იყო ნასროლი. ექსპერტებმა ამის შესახებ ვერაფერი თქვეს. მათი თქმით, მოცემულ პირობებში, ამის დადგენა შეუძლებელია. აქედან კი უნდა გაკეთდეს დასკვნა: გამორიცხულია, რომ პოლიციელებს მიზნობრივი სროლები ეწარმოებინათ. პროკურატურასაც სწორედ ეს შეფასება უნდა მიეცა საქმისთვის. გამოძიების მასალებში არაფერი მიუთითებს ამირაშვილის მიერ ჯაფარიძის მკვლელობის განზრახვაზე. თუმცა, გარდა ამისა, ძიების მიერ ბევრი პროცესუალური შეცდომაცაა დაშვებული. ნივთმტკიცებები კანონის დარღვევითაა მოპოვებული, ექსპერტიზები დაგვიანებითაა ჩატარებული. ყოველივე ეს, იმის საბაბს მძღვეს, რომ ექსპერტიზის დასკვნებიც ეჭვქვეშ დავაყენო“.

წინა სასამართლო სხდომაზე ადვოკატმა სასამართლო კოლეგიას მიმართა შუამდგომლობით, პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ნივთმტკიცებების დაუშვებელ მტკიცებულებებად ცნობის შესახებ. გარდა ამისა, განსასჯელის მხარე, სასამართლოსგან ყოფილი პოლიციელების მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას მოითხოვს. დაზარალებულის - ჯაფარიძის ადვოკატი, ელგუჯა შირველაშვილი ამ მოთხოვნას, რა თქმა უნდა, არ ეთანხმება, თუმცა პროკურატურის მიერ ძიებისას დაშვებულ შეცდომებს ისიც ადასტურებს.

ელგუჯა შირველაშვილი:

„ეს საქმე თავდაპირველად მცხეთის რაიონის პროკურატურამ „გააფუჭა“. ნივთმტკიცებების ამოღებისას პროცესუალური ნორმები შეგნებულად დაარღვიეს, რათა მომავალში - საქმის სასამართლო განხილვისას, ეს განსასჯელთა მხარისთვის ხელჩასაჭიდი ყოფილიყო. მხოლოდ მუხლის მიყენება არ ნიშნავს ობიექტურობას, მთავარი, წარმოებული გამოძიების კურსია. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ცხადია, რომ პოლიციელებმა კანონის უხეში დარღვევით, უმძიმესი დანაშაული ჩაიდინეს და სრულიად უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს“.



მთხრანაი უპირობო პაუზა ქაინი გაცხადებდა მისთვის

საყოველთაოდ ცნობილია, რომ გიტარის ვირტუოზი ოთარ რამიშვილი, კოლორიტული და უცნაური კაცია. მაგრამ როგორც მისი მეგობრები და ოჯახის წევრები ამბობენ, ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული, რადგან, თავისი უცნაურობის მიუხედავად, მაინც ყველასათვის საყვარელი და მიმზიდველი ადამიანია. ასე იყო ყოველთვის, ასეა დღესაც.

ბატონ ოთარს ინტერვიუზე ტელეფონით შევეუთანხმდი და მორიდებით ვთხოვე: თქვენთან ოჯახში მინდა მოსვლა-მეთქი. მერე, მოდი — რას მებგენებიო? — მითხრა. მივედი.

დავჯექი თუ არა, დიქტოფონი მოვიმარჯვე, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ უჩვეულო საუბარი მელოდა: ერთი შეკითხვის დასმაც ვერ მოვასწარი, რომ ბატონი ოთარი მოულოდნელად ადგა და მე და ქალბატონ გულნაზს, ერთი ფლაკონი სურნელოვანი წყალი დაგვასხურა თავზე. როგორც იტყვიან ხოლმე, სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი, მისმა მეუღლემ კი გულიანად გაიცინა და ხალისიანად განმიმარტა: არ გაგიკვირდეს, ეს იმას ნიშნავს, რომ მოენონო. ამის შემდეგ არაორდინარულმა მასპინძელმა თავისი ფინჯნიდან მინილადა ყავა და თან ნამცხვრის მოზრდილ ნაჭერზე მიმითითა: სანამ ამას მთლიანად არ შეჭამ, მანამდე არაფერს გატყვიო. „მოსჯილ“ ნამცხვარს რომ შევექცეოდი, ჩემი გაუთხოვრობის ამბავი შეიტყო, გულწრფელად შეწუხდა და გასამხნეველად, ერთი-ორი ისეთი „სმეწნოი“ სიტყვა მიჩურჩულა, როგორც მხოლოდ მისი თაობის ნაღვ ქალაქელ კაცს შეეფერება. და ეს ყველაფერი ისე თბილად და ლაღად მიმოიქმედა, რომ ჩემთვის ნათელი გახდა, თუ რატომ უყვარს ეს ჩახრინწულსმიანი კაცი მთელ ქალაქს.



ნანა ქიბიაური

— ბატონო ოთარ, ერთ-ერთ ინტერვიუში, შეკითხვაზე — თუ რისი გეგმიათ, ბრძანეთ: მინისძვრისა და ომისო. თბილისში მომხდარი ბოლო მინისძვრა როგორ გადაიტანეთ?

— გადავიტანეთ... ჩვენ ირგვლივ ბევრი სახლი დაინგრა, ჩვენი კორპუსი კი მაგრად დგას. კაი აშენებულია, ბზარც კი არ გასჩენია, მაგრამ საერთო მდგომარეობა ისეთი, რომ რა მნიშვნელობა აქვს, ის კორპუსი, სადაც რამდენიმე ცხოვრობენ, გადარჩა თუ არა... ჩვენმა მთავრობამ მთელი საქართველო დაწვინა რეანიმაციაში და კაცმა არ იცის, რა იქნება ხვალ. ყველა, საკუთარ კუთილდღობაზე ზრუნავს. ქვეყანა აღარავის ახსოვს. ერთი სიმღერა მაქვს, სადაც ასეთი სიტყვებია: „წინ ყოველთვის კუბო მიაქვთ, უკან რჩება ქონება“: ქონებით დამარხული მე არავინ მინახავს — რად უნდათ ეს სასახლეები, ვერ ვხვდები.

— თქვენი სახლი არ ჰგავს „იმათ“ სასახლეებს. აქ ვინ და როგორ ცხოვრობთ? მოგიყვებით თქვენი მშობლებისა და ოჯახის შესახებ.

— ჩემი მშობლები ეკონომისტები იყვნენ და ინსტიტუტში მუშაობდნენ. სინდისი და პატიოსნება იყო მათთვის მთავარი. დედა ულამაზესი ქალი იყო. ყველას უყვარდა. საოცარი დამოკიდებულება ჰქონდათ ჩემს მშობლებს ერთმანეთთან. მათი ხმამაღალი ლაპარაკი არასოდეს გვსმენია. მამა ბრწყინვალედ უკრავდა შვილსმიანი გიტარაზე. ახალგაზრდობაში, სოციალ-დემოკრატიული

პარტიის წევრი იყო. კომუნისტური რეჟიმის პერიოდში დააპატიმრეს და მოსკოვში, „ბუტირკის“ ციხეში გადააგზავნეს, მოგვიანებით კი, კურსკში გადაასახლეს. ათი წლის შემდეგ მოხდა მისი რეაბილიტაცია. რაც შეეხება ჩემს ოჯახს — სამი შვილი მყავს: ზურიკო, მიშეკო და ლევანი. კარგი შვილები არიან, ჩემმა ცოლმა ისე კარგად გაზარდა და ისე შევიდა ეშხში, რომ მეც „მათ მიმყოლა“. ძნელად აღსაზრდელი ვიყავი, ახლა წესიერი ვარ... უფროსი შვილი — ზურიკო, ცნობილი ჯაზმენია. მიშეკომ კონსერვატორია დაამთავრა, წერს სიმღერებს, შესანიშნავად უკრავს ვიოლინოზე. დაამთავრა აგრეთვე იურიდიული ფაკულტეტი და ამჟამად, ადვოკატად მუშაობს. უმცროსმა შვილმა ეკონომიკური ფაკულტეტი და ფიზიკულურის ინსტიტუტი დაამთავრა. მყავს რძლები და შვილიშვილები.

— მეუღლეზე რატომ არაფერს გვეუბნებით?

— მეუღლეზე რა ვითხრათ? — 33 წლის წინ, სამტრედიიდან წამოვიყვანე. მერე ერთად ვიწექით. მერე... 3 ბიჭი გვყავს — ეს ხომ უკვე მოგიყვით. გულნაზი იმიტომ მოვიყვანე, რომ აღრეც ვგეთი კარგი იყო, როგორც ახლაც.

— ქალბატონო გულნაზ, გვიამბეთ, როგორ გაიცანით ერთმანეთი?

— ერთმანეთი შუამავლის მეშვეობით გავიცანი, გაცნობიდან რამდენიმე დღეში კი გამოვეყვი. მის შესახებ მართლ ის ვიცოდი, რომ იყო ქალაქელი კაცი, რომელიც კარგად უკრავდა გიტარაზე... ეს მოხდა 1969 წლის 28 აგვისტოს. მარიამობის



დღეს. ეს დღე ძალიან მიყვარს. მას შემდეგ ერთად ვართ.

— თქვენს ოჯახში ყველა მღერის. თქვენ არ გასწავლათ ბატონმა ოთარმა სიმღერა?

— კი, როგორ არა — „თავო ჩემო“ და 33 წელია ამ სიმღერას ვმღერო... მას შემდეგ, რაც შევუღლდით, ოთარი ერთი დღითაც არ დამიტოვებია. სულ მას დავუბნებ, მას ველოდები, მას შევყურებ თვალებში. ოთარს ძალიან კარგი მშობლები ჰყავდა. დღეს ისინი ცოცხლები აღარ არიან და რაღაცნაირად მგონია, რომ მე მათ წინაშე ვალდებული ვარ! მე ხომ არანაირ სიტუაციაში გვერდიდან არ მოცილებივარ მათ შვილს, არასოდეს დამიძინია მანამდე, სანამ ოთარი შინ არ მოვიდოდა... 19 წლის გაეთხოვდი. ზურთიკო ოთართან დამხვდა, 7 წლის იყო მაშინ. სწრაფად გაფრინდა დრო. აგერ სამივეს უკვე თავ-თავისი ოჯახი აქვს. ყველაფერი ძალიან სწრაფად იცვლება. მხოლოდ ერთი რამ არის უცვლელი ჩემს ცხოვრებაში — ოთარი! მე მას ისევ ისე ვეძებ და ველოდები, როგორც უწინ... ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ მდიდრები. 5 მანეთზე მეტი ფული არასოდეს მქონია და თუ ახლა 5 ლარი მაქვს, ბუნდოვნებისთვის ესეც მყოფნის. ოთარმა მეც ისეთივე უცნაური ცხოვრებით მაცხოვრა, როგორი უცნაურიც თვითონაა. მან შემჩნია იმას, რომ ოჯახმა შეიძლება ტკბილი სიტყვით იცხოვროს და არა ფულით. „იხილეთ ავიშენებ სასახლეს, ღიმილით დაგიმშვენებ მკერდს“ — მიმღეროდა, თან კომენტარის გაკეთებასაც ასწრებდა: აბა, აგური ყველამ სახლში წაიღო... დღემდე ამ „სასახლემ“ მაცხოვრებს... ოთარს სულ უნდა სდის, თუმცა, წინასწარ უნდა იყო იმ აზრს შეგუებული, რომ მას ისევე ვერ დაიჭერ, როგორც ქარს მინდორში. გიზო ნიშნაძე ოთარის შესახებ ამბობდა: „ასეთი თავისუფალი კაცი ჯერ არ მინახავს, ცოტადა აკლია სიგიჟემდე. მან დაამტკიცა არქონების ფუფუნება. ოთარი არ არის ფილოლოგი, მაგრამ ლექსს წერს, გიტარაც არაფერს უსწავლებია მისთვის საფუძვლიანად, მაგრამ განუძიერებლად უკრავს, ხმა არ აქვს, მაგრამ საოცრად მღერის. არა მგონია, წიგნის წასაკითხად ეცალოს, იგი თვითონ არის წიგნი და წასაკითხი პიროვნება — ხან მეფე, ხან მღაბიო“. გიზო კარგად იცნობს ოთარს. ის

არ ცდება მის შეფასებაში.

— ახლა ისევ ბატონ ოთარს შევეკითხები. ალბათ, ხშირად გინევადათ იმის ახსნა, თუ რატომ გაქვთ ჩახლერილი ხმა.

— წკრიალა ხმა არ მაქვს. ან რატომ უნდა მქონდეს? — პედერასტი ხომ არა ვარ! ასეთი ხმისთვის ამერიკაში ოპერაციებს იკეთებენ. რატომ მაქვს ჩახლერილი ხმა? ცხრა წლის ვიყავი. ჩემი ბავშვობის მეგობრის, აწ გარდაცვლილი ანზორ ჩხიკავაძის ბაბუა სოფელში ჭაჭის არაფს ხდიდა. ცხელი არაფი ვსვით უზომოდ. მხოლოდ ის მახსოვს, როგორ გაგვახვიეს სველ ზეწრებში... ამის შემდეგ დამრჩა ნახვარი ხმა და სიმღერის სურვილიც უფრო მომემატა. სიმღერას მაინც ვახერხებ. არჩვენების დროს კი, მშვენიერი გამოსავალი მაქვს: აბა როგორ მიეცე რომელიმე პარტიას ხმა, როდესაც ის საერთოდ არ მაქვს-მეთქი? ვამბობ. ერთმა მაინც ვერ მოითმინა და მირჩია: კვერცხი გადაყლაპე და ხმა მოგივაო. მე ვუპასუხე: კვერცხს რომ ხმის მოყვანა შეეძლოს, ქათმის კურტუმი ოპერა იქნებოდა-მეთქი.

— მთავარია გქონდეს ფული, რომ არ იყო დაზარალებული — მღერო, მაგრამ კიდევ რას აკეთებთ იმისათვის, რომ ფული გქონდეთ?

— რაც შემიძლია, ყველაფერს გაგაკეთებ მძაკაციისთვის, მეგობრისთვის, გაჭირვებულისთვის, იმის გულისთვის, ვისაც შემიძლია რამით დავეხმარო, მაგრამ ფულის გულისთვის რა უნდა გააკეთო? არც ფული მიტაცებს და არც სხვისი სიმდიდრე. მაქვს თუ არა, არ ვწუწუნებ. თუ მაქვს, ხომ კარგი, თუ არა და — ფანჯრიდან ვიყურები.

— ქალბატონო გულნაზ, თქვენ როგორ ეგუებით მეუღლის უცნაურობებს?

— გადასარეკად. როცა ოთარი შინ მოდის, ვიღებ კალამს, ფურცელს და ვიწერ ყველაფერს, რასაც ამბობს. ასე იწერება ოთარის ლექსები. გამოსულია მისი ლექსების 4 კრებული. ახლა გამოვა მეხუთე — „გული უმღერის გულს“... ოთარს ერთი ჩვევა აქვს: ლექსს სამზარეულოს გარდა ვერსად წერს. ამას წინათ კი, ისეთი რამ მოხდა, გული დღემდე მტკიავს: ქუჩაში ერთად გამოვედით. ოთარი, რა თქმა უნდა, კაფეში შეიპატოიეს. ასე აღმოვჩნდით ახალგაზრდობით გარშემორტყმულნი. ოთარს სთხოვეს, „მსატვარი“ ემღერა. შემდეგ, ერთმა გოგონამ იკითხა: ეს ლექსი იცით, ვისაო? — ოთარმა ჯერ ყურადღება არ მიაქცია, შემდეგ კი უპასუხა: ვისი იქნება, შვილო, ჩემია, ცხოვრებაში სხვისი არაფერი მიმითვისებიაო. მერე იმ გოგონამ უთხრა: ერთი პოეტი ამბობს, ჩემი ლექსია და არ ვიცი, ოთართან საიდან გაჩნდა... მეშინია, მომავალში ოთარის ლექსები და სიმღერები ისეთივე დავის საგანი არ გახდეს, როგორც „ყვავილების ქვეყანა“ გახდა. ის უამრავი

ლექსის და სიმღერის ავტორია. ჰყავდა 2000-მდე მოსწავლე, რომლის შემოქმედებასაც ამკარად ეტყობა ოთარ რამიშვილის სკოლის კვალი. ამ დროს, ის არც მწერალთა კავშირის წევრია და არც კომპოზიტორთა კავშირის. ამას წინათ, მიველი ვუა აზარაშვილთან და ვთხოვე: ოთარი ბევრი სიმღერის ავტორია და იქნებ, კომპოზიტორთა კავშირის წევრად მიიღონ-მეთქი. ბატონმა ვუამ მითხრა: ამისთვის აუცილებელია, კონსერვატორია ჰქონდეს დამთავრებული. ეს რომ ახლა კონსერვატორიაში ჩააბარებს-მეთქი... — ჩემთვის გაგიფიქრე უიმედოდ, მაგრამ სახლში მისულმა მაინც ვკითხე: ოთარ, კონსერვატორიაში ჩააბარებ-მეთქი? იცით, რა მიპასუხა? რატომაც არა? — კონსერვატორიაში ჩააბარებ და მუსათგვერდში დაგამთავრებო... მეშინია, სამომავლოდ არ დაიკარგოს მისი შემოქმედება და ჩვენს შთამომავლობას არ შეექმნას პრობლემები საავტორო უფლების გამო. ისე მინდა დავიყოლიო ოთარი, ისე მინდა, კონსერვატორიაში ჩააბაროს და სტუდენტი გახდეს, რომ ამაზე მეტად ახლა არაფერზე ვფიქრობ. მის მრავალრიცხოვან კუროზს მართლაც დაავიკრებინებდა სტუდენტური ცხოვრება.

— ამ მრავალრიცხოვანი კუროზიდან, ერთი-ორს ხომ ვერ მოგვიყვებით?

— რატომაც არა? სამტრედიამი ვართ დაკრძალვასზე. მომიანლოვდა ერთი კაცი და მეუბნება: ქალბატონო გულნაზ, თქვენი დახმარება მჭირდებაო. — რაშია საქმე-მეთქი? — კვითხე. — რამდენჯერმე მყავს გაცნობილი თქვენი მეუღლე, მაგრამ ვერასოდეს ვერ მცნობს; აგერ ახლაც, მის გვერდით ვიჯექი და ვერ მიცნო; მომიყვით მისი ცხოვრებიდან რაღაც შემთხვევა, ისეთი, რომ მისი ცოდნით გაგაოცო და თავი დაგამახსოვრო. ასეთ დროს რა მეკურონიზება-მეთქი? — ერთი კი გაგიფიქრე, მაგრამ მაშინვე გამახსენდა, რით იყო ბოლო დროს ოთარი მთელი არსებით გატაცებული და ცლუნებას ვერ ეძლიე. მოკლედ მოგიყვებით: ოთარს ვიდაცამ გასაბერი ნავი აჩუქა. გაბერა, გაიტანა აივანზე, ჩაჯდა შივ და მოუსვა ნიჩბები. აივანი ვიწრო იყო და ნიჩბები გადაჭრა. მერე ნავი ეზოში ჩაიტანა. იქ უკვე გრძელი ნიჩბები გახდა საჭირო. წავიდა, ლისის ტბიდან ჩამოიტანა ნიჩბები, დაუძახა ეზოს ბავშვებს და მთელი დღეების განმავლობაში მე — ოთარი, დღეებს კი — შვილები ვერ ამოგყავდა სახლში... შემომესმა ბავშვის ტირილი. გავეარდი აივანზე და ეზოში გადავხვე; ოთარ, ბავშვი რატომ ტირის-მეთქი? — რატომ და წინ უნდა დაჯდომო. — მერე დასვი, რა მოგივიდა-მეთქი? — როგორ დავსვა, წყალში რომ გადავარდესო?... მოკლედ, ეს და კიდევ რამდენიმე სხვა ამბავი მოუყვები იმ კაცს. ისიც მივიდა ოთართან და უამბო. ეს ყველაფერი საიდან იცით? გაგიუდა ოთარი.

იმ კაცმა უპასუხა: მე ნათელმზილველი ვარო. წამოვივლით სამტრედიიდან და ოთარმა მთელი გზა ილაპარაკა: ეს რა ვნახე, ეს ვინ ვნახე, საიდან გაივო? — ყველაფერი სიმართლე მითხრაო. ჩამოვიდა თბილისში, დარეკა თავის მეგობრებთან. წამოდიო, სამტრედიისში წავიყვანო და ნამდვილ წინასწარმეტყველს გაგაცნობო. დაიძინებდა თუ არა, მე ვურეკავდი იმ მეგობრებს და ვუბნებოდი: არ გაპყვით — რა სამტრედია, რის ნათელმზილველი?! — კურიოზია-მეთქი. მერე ერთი ჟურნალისტი გადამეკადა: რომელიმე კურიოზი მოგვიყვით თქვენი მეუღლის ცხოვრებიდანო და ეს ამბავი ვუამბე. ოთარმა გაზეიში რომ წაიკითხა, სინამდვილეში რაში იყო საქმე, ისე გაბრაზდა, კინაღამ გაგიჟდა... მას ძალიან უყვარს ქუთაისი და ქუთაისური ოუშორი. იქ თითქოს ყველაფერი გაცივებს და გახალისებს. ასეთი შემთხვევა იყო: მოგვიასლოვდა დედა-შვილი. აღფრთოვანებული დედა ოთარს მიესალმა: ძალიან გვიყვარხართ, ბატონო, მთელი ოჯახი ვუსმენთ თქვენს სიმღერებსო. მერე შვილს მიუტრიალდა: იცანი, დედა, აი, ბიძიე ვინაა? — ვიცანი, აბა არ ვიცანი? — უპასუხა ბიჭმა. — ვინაა? — კიდევ ჩაეკითხა შვილს ქალი. — ვინაა და, ბზიკზე რომ მღერის, იგიო... ასეთი შემთხვევაც ბევრია.

— **თქვენ, საკმაოდ სიმპათიური ქალბატონო, მეუღლეზე ბევრად უმცროსი ბრძანდებით. ის კი ხშირად არ არის შინ...**

— ვხვდები, საითკენ მიბიძებთ: გინდათ მკითხოთ, ეჭვიანია თუ არა ოთარი, ან მე ვეჭვიანობდი თუ არა? მე როცა ვეჭვიანობდი, ყოველთვის მქონდა ამის საფუძველი. ოთარს კი — არასდროს. მაგრამ ჩემზე მეტად, მაინც ის ეჭვიანობდა ხოლმე. მოვიდოდა თუ არა შინ გვიან, უკვე ჩვევად ჰქონდა, რომ ჯერ საწოლის ქვეშ შეიხედავდა ხოლმე... მეც ვიპოვე გამოსავალი — ჩვენს საწოლს ფეხები მოვაცალე... ახლა რძლები ჰყავს ცუდ დღეში, მერე ალბათ შვილიშვილებს არ მოაცილებს თვალს. ჩვენს ოჯახში 4 კაცი და ერთი ქალი ვცხოვრობდით. ოთხ ვაჟს ვზრდიდი, ოთარი

მათ შორის ყველაზე „ხნელად აღსაზრდელი ბავშვი“ იყო. სულ ვნატრობდი, ერთი გოგო მაინც მყოლოდა. და აი, სიბერეში ამხნდა ოცნება: შვილიშვილები ისეთი გოგოები მყავს, ერთმანეთზე უკეთესები. რძლებიც ლამაზები არიან.

— **მოდიოთ ახლა, თქვენს რძალს ვკითხოთ — როგორ უძლებს აზიატ და ეჭვიან მამამთილს.**

მანია რამიშვილი, ლევან რამიშვილის მეუღლე:

— მისხილოვიჩზე მეკითხებით? ბავშვივით გულუბრყვილო და საყვარელი კაცია. როდესაც ბავშვი პატარა მყავდა, დილით ადრე ვდგებოდი. გამოვიდოდი სამზარეულოში და რა თქმა უნდა, იქ მხვდებოდა მამამთილი, ახალი ლექსით ხელში. ძალიან ცნობისმოყვარეა (დღის განმავლობაში ერთი კითხვა შეუძლია 10-ჯერ დაგისვას) და ძალიან აზიატი. როდესაც ჩვენს ოჯახში ან მეზობელი, ან მისი შვილების მეგობრები მოდიან, მისხილოვიჩი ფხიზლად არის, რომ ოჯახში შემოსული მამაკაცები მარტო ხელის ჩამორთმევით დაკმაყოფილდნენ და ტრადიციულად არ გადაგვკოცნონ. თუ რომელიმე, დადგენილი წესიდან გადახვევას ეცდება, იმას მაშინვე ხელით შეაჩერებს: ჰოპ, დანარჩენი საჭირო აღარ არისო... ჩემს მამამთილს იმედები ქორწილის დღიდანვე გავუტყუე. ძალიან მიყვარს ცეკვა. ჰოდა, ჩემს ქორწილში, მე მგონი, ყველაზე მეტი მე ვიცეკვე და ვიმზიარე. მისხილოვიჩი უკვე ნასვამი იყო, გვერდზე რომ გამიყვანა და სინანულით მითხრა: მე შენ სხვანაირი გოგო მეგონეო... მასხოვს, კიდევ ერთი ასეთი შემთხვევა. ერთხელ, შინ გვიან დაგზრუნდი. ჩემს მეუღლეს არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამს, ეტყობა, იცოდა სადაც ვიყავი. ჯერ იცადა, იცადა, როდის მეტყვოდა ლევანი საყვედურს, მაგრამ როცა მიხვდა, რომ არანაირი რეაქცია არ ჰქონდა, ისევ საკუთარ თავზე აიღო ოჯახური დისციპლინის მოვარების საკითხი. ძალიან კორექტულად კი გამოუვიდა. ასე მითხრა: იცი მათა, ჩვენ ყველანი სახლში ვართო...

— **ბატონო ოთარ, რატომ ხართ ასეთი მკაცრი? კარგად იცნობთ კაცთა**

მოდგმას და იმიტომ?

— არა, უბრალოდ, ჩემი პრინციპი მაქვს: ქალი უნდა „თამაშობდეს“ სამკუთხედს — ლოგინი, სამზარეულო, „ვანა“; „ვანა“, ლოგინი, სამზარეულო. თუ ამ მარშრუტიდან კიდევ სადმე გადაუხვია, წასულია იმ ოჯახის საქმე. ქვეყანაზე სინდისი და ნაშუსია დაკარგული. ახლა რაც ხდება, ადრე სად იყო ასე? ჩემს ახალგაზრდობაში, მთელ თბილისში ორადორი მსუბუქი ყოფაქცევის ქალი იყო. ახლა, თითო კვარტალშია 100-დან 200-მდე კაცებიც იმპოტენტები გახდნენ: სულ ტიტველა ქალებს უყურებენ და არაფრის სურვილი აღარ აქვთ. საითაც არ უნდა გაიხელო, ყველას ჭიპი უჩანს. გაგიჟდები კაცი. ყველაფერი შეიცვალა. ადრე ქალს ვუმღეროდით, ქალის სილამაზეს, ჩვენს თბილის-ქალაქს, ჩვენს სამეგობროს. ახლა ვაშლისა და ატმის გამყიდველებს უმღერიან. რას ვიზამთ — ყველა თაობას თავისი პრინციპი აქვს. ჯან-ღონით საესე ახალგაზრდა ბიჭებს საშუალო არ აქვთ და მშხერი ცოლ-შვილი უტირით. მოიპარავენ, აბა რას იზამენ?

— **თქვენზე ამბობენ, განსაკუთრებული ტიპის დისიდენტიაო: იყო დრო, როდესაც კონცერტზე გამოსვლასაც გიკრძალავდნენ. გატყობო, ახლაც არ ხართ ამ მთაფრობით აღფრთოვანებული.**

— არ არის ეგრე. პოლიტიკაში ადრეც ბეცი ვიყავი და ახლაც ბეცი ვარ. თუ რამე მაქვს სათქმელი, პირდაპირ ვამბობ — ჩემი მუსიკით, ჩემი ლექსით ვამბობ. პოლიტიკოსებზე რა ვითხრაო? — ცუდად არავინ მხვდება, კაი მოსაღმბეა იციან, მაგრამ სიტყვის კაცები არ არიან. ტელევიზორში ერთმანეთს მაგრად უბრაზუნებენ, მერე კი, ბეჭებზე მოუთათუნებენ ხოლმე ერთმანეთს ხელს — მაგრად ხომ არ მომივიდაო!

— **გაგიგბ, ბევრი მინვევა გქონათ საზღვარგარეთიდან...**

— კი, კი, მიწვევა ბევრი მაქვს, აქედან ერთია ყველაზე საინტერესო და წავალ კიდევ.

— **სად?**

— **მუნათვეგრდში.**

ჯვარო გნერათო, ბატონო ოთარ!

მიშა რამიშვილი



პურა შვილთან ერთად



ლევანი შვილთან ერთად



თათა ვარდანაშვილი:

ფესსაცმერს თაფისებოფი სსიფი უნცა ჰქონცეს

ელისო გურბანიკა

„არ ვიცი, ვინ დაგისახელოთ ჩემი თაობის დიზაინერი, რომ ფესსაცმლის შესახებ ჩემზე მეტი იცოდეს. მე ჩემს საქმეში ხელოსნობა ხელოვნების დონემდე მაქვს აყვანილი“, — ამბობს ფესსაცმლის მოდელიერი თათა ვარდანაშვილი. თათას ეს სიტყვები ტრიაბახად რომ არ ჩაეთვლება, ამას მისი კლიენტებიც მოწმობენ. დღეს ქართული შოუბიზნესის თითქმის ყველა წარმომადგენელი სწორედ ამ დიზაინერის გემოვნებას ენდობა. მარტო ქართული კი არა, აზერბაიჯანული ესტრადის ვარსკვლავებიც თბილისში სტუმრო-



ბისას, აუცილებლად შეივლიან თათას სტუდიაში და ერთ წველ ფესსაცმელს მაინც გაიფოლებენ ხოლმე ბაქოში. ფესსაცმლის კერვა თათამ ძველებური „ზინგერის“ მანქანით დაიწყო. დღეს კი იგი არა მარტო ცნობილი მოდელიერი, არამედ საკუთარი სტუდიის მფლობელიცაა, სადაც უამრავი მანქანა და ათეულობით ხელოსანი მუშაობს.



თათა ვარდანაშვილი

როგორ გაჩნდა იდეა ანუ ბულაჩაურის სარდაფი

— უშუალოდ ჩემი პროფესიის მიხედვით ვმუშაობ. სამხატვრო აკადემიაში ტყავის მოდელირების ფაკულტეტი დავამთავრე. გვასწავლიდნენ ფესსაცმლის მოდელირებას, მაგრამ მოდელირების გარდა, ფესსაცმლის შეკერვას უამრავი კომპონენტის ცოდნა სჭირდება. ამგვარ პროფესიონალურ ცოდნას, ბუნებრივია, საქართველოში ვერ მივიღებდი. ასპირანტურაში სწავლის პერიოდში „ისნის“ ფესსაცმლის ფაბრიკაში ჩემს პრაქტიკას, შემთხვევით, იტალიელი სპეციალისტების ჩამოსვლა დაემთხვა. გემასსოვრებათ ალბათ ის პერიოდი, ფირმა „ქართუ“ საქართველოში პირველ იტალიურ ფესსაცმელს რომ კერავდა. იტალიელებმა ჩვენთან ქართული ღიზან-ცენტრის შექმნა გადაწყვიტეს. სურდათ გაეზარდათ ქართველი სპეციალისტები. ამ ვაკუუმში მეც მოვხვდი. სადიპლომი ნაშრომისთვის ფესსაცმლის შესაკერად ბულაჩაურის ქუჩაზე პატარა სარდაფი ვიქირავე. მაშინ ცოტა ვინმე თუ კერავდა თბილისში თანამედროვე ღიზანის ფესსაცმელს. ვერ ერთმა ცნობისმოყვარე სახემ შემიხვდა ჩემს სარდაფ-

ში, შემდეგ ამ ერთს მეორე მოჰყვა. რატომ გაჩნდა უცებ მოთხოვნა ჩემ მიერ შეკერილ ფესსაცმელზე? ვერაფერს წარმოედგინა, რომ იგი ქარხნული წესით არ იყო შეკერილი. არც კი ვიცი, როგორ ვახერხებდი ამას. აქ მანქანა-დანადგარებმა უნდა შევიწყოს ხელი. არაფრისგან დავიწყე მუშაობა. არავინ მყოლია ისეთი, ვინც ფულს მომცემდა, არც მე მქონდა საჭირო თანხა, საქმეში რომ ჩამეღო. სახლში ერთი ძველებური „ზინგერის“ მანქანა მქონდა, რომელიც კარგად კრავდა ტყავს. ამ მანქანით დავიწყე მუშაობა. შემდეგ ჩემი დანახოვით ვერ ფესსაცმლის საკერავი დანადგარი შევიძინე, შემდეგ ძირების სახეხი. სრულყოფილი ფესსაცმლის შეკერვას 97 პროცენტით მაინც სჭირდება. სამი წელი მოვანდობე, რომ იმის მინიმუმი მაინც შეემგროვებინა, რაც აუცილებელია.

წარმატების საიდუმლო

— რასაც გიყვებით, ძნელი დასაჯერებელია, არა? თქვენი არ მიკვირს — არავის სჯერა. ყველას ჰგონია, რომ ვივინებ. ის კი არა და, ჩემს საკუთარ ღელ-მამსაც არ სჯერა, რომ ჩემით მივალწიე ამდენს... გემოვნებამდე აღამიანს შრომისმოყვარეობა სჭირდება. ყველას, ვინც მიცნობს, რომ ჰკითხო — რატომ სცემ თათას პატივსო? — ვიპასუვებს: მისი შრომისმოყვარეობის გამო. სკოლა ისე დავამთავრე, „ოთხიანი“ არ მიმიღია. მე თვითონ იმდენად მიყვარს ჩემი საქმე, იმდენი ენერჯია დავხარჯე იმის სასწავლად, რაც ვიცი... არ ვიცი, ვინ დაგისახელოთ ჩემი თაობის ღიზანერი, რომ ჩემზე მეტი იცოდეს. საქმე ხომ ისეთი რაღაცაა, თუ თვითონ არ უღალატე,

არ გიღალატებს. როცა რაღაც ძალიან გიყვარს, ხომ ვერ წარმოგიდგინია მის გარეშე ცხოვრება. ასეთი დამოკიდებულება გვაქვს მე და ჩემს პროფესიასაც. ყოველდღე, დღიდან დამის ორ საათამდე ვმუშაობ. ამ მუშაობით ჩემს თავს შევძინე ის, რაც ახლა მაქვს: საქმე, რომელიც მიყვარს.

როგორ გაიცნეს ავთო ცქვიტინიძემ და თათა ვარდანაშვილმა ერთმანეთი

— დღეს ავთოც უჩრჩევს ყველას, ჩემთან შეიკვირნენ ფესსაცმელი და მეც ვუჩრჩევ ჩემს კლიენტებს, ავთოს მიმართონ კაბისა თუ



დღეს ქართული შოუბიზნესის თითქმის ყველა წარმომადგენელი სწორედ ამ დიზაინერის გემოვნებას ენდობა (ღელა წურწუშია)

კოსტიუმისთვის. უზომო პატივს ვცემთ ერთ-მანეთს და ამ პატივისცემიდან იწყება ის ურთიერთობა, რაც გვაქვს. შარშან დაბადების დღის აღსანიშნავად, ჩემს თავს გამოფენა მივუძღვენი. საერთოდ, ყოველი წლის ამ დღეს ჩემს ნამუშევრებს გამოფენ ხოლმე. ამას რეკლამისთვის, პრესისა და ტელევიზიისთვის არ ვაკეთებ. მინდა, პირველ რიგში, მე დავინახო, რა გავაკეთე წლიდან წლამდე, რამდენად გავიზარდე. როგორც უკვე ვთხარით, არც შარშან დავარდვი ტრადიცია. დავ-პატივე ჩვენი მომღერლები და მსახიობები. შოუბიზნესის ყველა წარმომადგენელი ამ დღის უკვე ჩემი კლიენტები იყო და ავთო ცქიტიბიბისა, მაგრამ ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობდით. ლელა წურწუშიამ მიხივია: იქნებ, ავთოც დავებატიყა და ბარემ გავეცნოთ ერთ-მანეთით. ამ გამოფენის შემდეგ წავედი მის ჩვენებაზე. ერთმანეთს საჩუქრებიც მივუძღვენი. თვითონ კოსტიუმი მაჩუქა, მე ფეხსაცმელი შევუკერე და მაკა ასათიანის „ფენ-ფარითზე“ ერთმანეთის შეკერილი სამოსით გამოვცხადდით. მაკასთანაც კარგი ურთიერთობა მაქვს. მას ვერ კიდევ სამხატვრო აკადემიაში სწავლის დაწყებამდე ვიცნობდი, მაგრამ როგორც ღიზინერთან, ავთოსთან მეტი საერთო აღმოვაჩინე. მაკა ძალიან ნიჭიერია, მაგრამ ჩვენს პირობებში, მის არაორდინარულ სამოსს ბევრი ვერ ატარებს. ფეხსაცმელი, რომელსაც მაკას კაბისთვის შევკერავ, პრაქტიკული ვერ იქნება. ფეხსაცმელი კი, პირველ რიგში პრაქტიკული უნდა იყოს.

**ჯანმრთელობისთვის
ტყავის სარჩული ძალზე
მნიშვნელოვანია**

— ყოველთვის ვცდილობ, ჩემი ფეხსაცმელი ხელმისაწვდომი იყოს. ამიტომაც მინიმალურ მოგებაზე ვმუშაობ. ძალიან ძნელია, თან კარგი ფეხსაცმელი შეკერო, ნატურალური ტყავისგან და თან ლამის ბაზრობის ფასში ჩაუტო. აუცილებელია, რომ ფეხსაცმელს, ზედაპირის გარდა, სარჩულიც ნატურალური ტყავის ჰქონდეს. ჯანმრთელობისთვის ეს ძალზედ მნიშვნელოვანია. დახლოებით ორი წლის წინ, საქმესთან დაკავშირებით, საზღვარგარეთ მომიწია წასვლა. ყველაფერი გამზადებული დავუტოვე ხელოსნებს, თარგებიც და მასალებიც. ჩემს ჩამოსვლამდე, ხელოსნებმა ფეხსაცმელი შეკერეს, შემკვეთებმაც კმაყოფილი სახით წაიღეს თავ-თავიანთი შეკვეთები და შემდეგი სეზონისთვის ისევ მომაკითხეს ფეხსაცმლის შესაკერად. წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როდესაც ჩემმა კლიენტებმა ფეხზე გაიხადეს და ირგვლივ სამინელი სუნით დატრიალდა. როგორც შემდეგ შევიტყვე, ხელოსნებს ყველაფერი ისე გაუკეთებიათ, როგორც დავავალე, ერთი გამონაკლისის გარდა: ნამდვილი ტყავის სარჩული ხელოვნურით შეუკვლიათ... ჩემი შეკ-



ფეხის „წაკითხვა“ ფეხსაცმლის ცხვირიდან იწყება

ერლი ფეხსაცმელი მალაზიაში არ იყიდება. სამწუხაროდ, დღეს ჩვენი საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილს ვემსახურები და დროის სიმცირის გამო, არ შემიძლია, ის მოთხოვნა დავაკმაყოფილო, რაც ჩემს ფეხსაცმელზე არსებობს. ვაპირებ თუ არა საკუთარი მალაზიის გახსნას? ჯერჯერობით არა. იმისთვის, რომ ევროპული სტანდარტებით, ძალიან კარგი ხარისხის ფეხსაცმელი ვაწარმოო, აუცილებლად მჭირდება ორი-სამი დანადგარი. მათ გარეშე კი საკუთარი მალაზიის გახსნის უფლებას თავს ვერ მივცემ.

**„დღეს თვითონ ვქმნი მოდას“
ანუ როგორი ფეხსაცმელია
მოდაში?**

— დრე უფრო ვცდილობდი, თანამედროვე მოდის მოთხოვნების შესაბამისი ფეხსაცმელი შემექმნა. დღეს თვითონ ვცვლი იმას, რაც არ მომწონს. ჩემი კლიენტებიც მენდობიან და აღარ მოაქვთ ჩემთან, ვთქვათ, „პოტიჩელის“ ფეხსაცმელი იმისთვის, რომ მსგავსი შევუკერო. დღეს ჩემგან ფანტაზიას მოითხოვენ. საერთოდ, მოდა გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება. მაგალითად: არ შეიძლება, „შლაქსების“ შემდეგ „ბულილკა“ შარვალი შემოვიდეს მოდაში. ასეა ფეხსაცმელიც: თუ მოდელიერი ხარ, მოდის პროგნოზირება უნდა შეგეძლოს. მაინც, როგორც 2002 წლის ზაფხულის ფეხსაცმლის მოდა? წვეტი ფეხსაცმელზე გრძელწვეტიანი ფეხსაცმელი ქალის გარდერობისთვის ისეთივე აუცილებელია, როგორც, ვთქვათ, თეთრეული, მაგრამ ყველა მოდელიერი და მეც მათ შორის ვცდილობ, რომ ამ წვეტს ორიგინალური ფორმა მივცეთ. ზოგიერთის აზრით, ყველა ქალს არ უნდება ამ სტილის ფეხსაცმელი. მე მგონი, პირიქით. ფეხის „წაკითხვა“ ფეხსაცმლის ცხვირიდან იწყება და ზემოთ ხსენებული მოდელი ფეხს უფრო გრძელსა და თხელს აჩენს.

მოდაში ოვალური ფორმის ფეხსაცმელიც, მაგრამ ოვალთიანი ფორმის სტილის პრაქტიკული ფეხსაცმელს უფრო უნდება. თან ამ ოვალსაც მოგონი ფორმა უნდა ჰქონდეს. რაც შეეხება ფეხსაცმლის ქუსლს, პოპულარულია წვრილი, მომრგვალო ფორმის, სამუალო და დაბალი ქუსლი. ჩაცმის

**ავთო ცქვიტინიძესა და
ვაჟიშვილთან ერთად**



მოდაშია ოვალური ფორმის ფეხსაცმელიც

სტილი შემოვიდა ისეთი, რომელსაც ასეთი ფეხსაცმელი უნდება. მოდაშია ე.წ. „მოსწავლის ქუსლი“, „პლატფორმი“ კი, სხვა ფეხსაცმლისგან განსხვავებით, მალაღ ძირზეა მოდაში. უპირატესობა დაუშუშაველ ხის ძირებს ენიჭება. გაისად კი მოდაში „ესპადრელები“ შემოვა.

ღია ვმსსაცემლი: პირადად მე, ისეთი ფეხსაცმელს ვანიჭებ უპირატესობას, რომელშიც ნაკლებად ჩანს თითები. რაც უნდა აქტუალური იყოს ღია ფეხსაცმელი, გამოსასვლელად, ნაკლებად ჩაიცვამ. როგორც შიშველი ვერ გახვალ საზოგადოებაში, ასევე უხერხულია, ისეთი ქომის ან ღია ფეხსაცმლის ტარება, რომელიც თითებს ნაწილობრივ მინც არ ფარავს. მოდაშია „ბეჭდანი“ — ცერა თითის გასაყრელი ფეხსაცმელი, „ბალეტებიც“ — ბევრ-ბევრ წვრილთასმინი სანდლებიც და ფეხსაცმელიც ერთი განიერი თასით, რომელიც კოჭს ზემოთ იქნება დამაგრებული. წელს ძალზე პოპულარულია ნაქარები ან ყვავილები ფეხსაცმლის გამჭვირვალე ზედაპირზე. პოპულარულია დაწნული ტყავის, ჩალის ან სელისბადანი ფეხსაცმელიც.

ფიქრები: მოდაში პირისფერი გამა. შარშან, საზღვარგარეთ, ძალზედ გავრცელებული იყო ცისარტყელას ფერები. საერთოდ, ზაფხულისთვის ყოველთვის ღია გამას ენიჭება უპირატესობა, მაგრამ ჩვენში ტრადიციულად, შავს არჩევენ. მართალია, შავი ბევრ ნაკლს ფარავს, მაგრამ მაინც მინდა ვურჩიო ქალბატონებს — ნუ შეიკრავთ ამ ფერის ფეხსაცმელს. მათ, ვისაც მეტი სამოსი უყვარს, ღვინისფერს ვთავაზობ. ეს ფერი მოდაშიცაა და მეც ძალიან მიყვარს. ღვინისფერი განსაკუთრებულ იდუმალებას სძენს ქალს. რაც ყველაზე მთავარია, ფეხსაცმელს თავისებური სხივი უნდა ჰქონდეს.



საქართველოში არ მეგულება ადამიანი, ვისაც ერთხელ მაინც არა აქვს ნანახი ქართული მხატვრული ფილმები: „მაია წყნეთელი“, „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“, „ჩვენი ეზო“... მრავალი წლის წინ, უცერად შემოიტრა ქართულ კინოში შესანიშნავი გარეგნობის, სრულიად ახალგაზრდა მსახიობი — გოჩა აბაშიძე. მან მხოლოდ რვა ფილმში ითამაშა, დატოვა ლეგენდა საკუთარ ხელოვნებაზე და ასევე უცერად გამოეთხოვა წუთისოფელს. რატომ, რისთვის, ანდა, ვის გამო დაასრულა გოჩა აბაშიძემ თვითმკვლელობით სიცოცხლე?

ამ გაზაფხულზე, 26 მაისს, 65 წელი შეუსრულდებოდა: იმ საბედისწერო დღიდან კი, 40 წელი გავიდა და სიმართლის თქმის დროც დადგა... იმ ტრაგიკული ამბავის გარემოებებში გასარკვევად, გოჩა აბაშიძის მეუღლეს — კომპოზიტორსა და მომღერალს ნუნუ გაბუნიას ვწვდით.

მაია კახიძე



ვა უყვარდა, ლამაზი, დაძმური ურთიერთობა გვქონდა. მაშინ ერთი ბიჭი მომწონდა. რასაკვირველია, გოჩამაც იცოდა ამის შესახებ. ბავშვი ვიყავი და გრძნობაც ბავშვური მქონდა. როგორც ჩანს, გოჩა ამას მიხვდა და ერთ მშვენიერ დღეს მითხრა: მიყვარხარ, უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლიათ. იმდენად მოულოდნელი იყო სიყვარულის ახსნა, რომ მაშინვე ვუთხარი: ძალიან კარგი ბიჭი ხარ, შესანიშნავი ამხანაგი, ძმასავით მიყვარხარ და როცა გრძნობა გაგივლის, მაშინ მოდი-მეთქი.

— რა გიპასუხათ?

— მეგობარი ახლდა, სოსო ხელაშვილი. მერე მიაბო სოსომ: კიდე კარგი, მის გვერდით ვიყავი, თორემ, ალბათ, თავს მოიკლავდა, ძლივს დავამშვიდ-ელო...

— ამ ფაქტის მერე, როდის ნახეთ ერთმანეთი?

— მეორე დღეს არ მოვიდა და ვიგრძენი, რომ თითქოს რაღაც დამაკლდა. მესამე დღეს გვესტუმრა, ნასვამი იყო. ჩვენთან მეზობლები იყვნენ, მაგრამ

იმათიც არ მოერიდა და ყველაფერი ამოთქვა. გვიყვებოდა თავის უბედურებაზე. ტირილი დაიწყო: ნუნუმ სახლიდან დამითხოვა, არ ვუყვარვარ, ეს იყო ჩემი ერთადერთი იმედი და ამასაც არ ვუნდივარო... ისე ლაპარაკობდა, ყველანი აგვატირა.

— თქვენც?

— მეც და ძალიან შემებრაღა, თანაც ძვირფასი მეგობარი იყო ჩემთვის. ამიტომ გადავწყვიტე: ჯანდაბას ჩემი თავი, თუ ასეთი უბედურია და მე ვარ ერთადერთი იმედი, გავყვები ცოლად და გადავარჩენ-მეთქი. შემევედრა, ხელი მოვაწეროთ, თითს არ დაგაკარებ; რომ მეცოდინება, ჩემი ცოლი ხარ, მშვიდად ვიქნებიო.

— თუ სიყვარულს გეფიცებოდით, რატომღა გეუბნებოდით, უბედური ვარო?

— მისი უბედურების მიზეზი სხვა რამ გახლდათ. გოჩა საშინელ ღებრესიაში იყო. მას მძიმე ბავშვობა ჰქონდა გადატანილი, მამაც დაუპატიმრეს, რასაც ძალიან განიცდიდა. დედამისის პირადი

ნუნუ გაბუნიასა და გოჩა აბაშიძის ქალიშვილს ჩაემა თხოვნა

სრულდება მოკვება...



— ქალბატონო ნუნუ, მართალია, ძალიან დიდი დრო გავიდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ყველა წვრილმანი გახსოვთ...

— რა თქმა უნდა. 16 წლის ვიყავი,

გოჩა შემთხვევით რომ გავიცანი ახლობლის დაბადების დღეზე. გოჩაც ძალზედ ახალგაზრდა იყო, ჩემზე ოთხი წლით უფროსი. სწორედ იმ პერიოდში იღებდნენ მხატვრულ ფილმს — „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“. ცოცხალი მსახიობის დანახვა მაშინ დიდი ამბავი იყო. გოჩა აბაშიძემ ყველა მოხიბლა, არაჩვეულებრივი განწყობა შექმნა წვეულებაზე. იქიდან რომ წამოვედით, ჯერ მე გამაცვილეს, ახლოს ვცხოვრობდი, ოპერის გვერდით... ჩვეულებრივად გათენდა დილა, მაგრამ მოულოდნელად, შინ გოჩა გამოგვეცხადა. დედაჩემი გაცოცხლებული უყურებდა უცნობ ბიჭს, ოღონდ, გოჩა იმდენად უშუალო იყო, რომ რამდენიმე წუთში მოხიბლა დედაც. აი, ასე შემოიტრა ჩემს ცხოვრებაში გოჩა აბაშიძე.

შემდეგ ყოველდღე მოდიოდა. ისე გაშინაურდა ჩვენს „იტალიურ“ ეზოში, ზოგჯერ პირდაპირ მეზობლებს ეწვეოდა ხოლმე. ძალიან დავმეგობრდით, ჩვენი შეკრებები სასიამოვნო საუბრით, მხიარულებით გამოირჩეოდა. გოჩას საოცარი იუმორი ჰქონდა, ლექსების კითხ-

ცხოვრებაც სხვაგვარად წარიმართა – გათხოვდა და ესეც თრგუნავდა. მაშინ სხვა საქართველო იყო, სხვა დამოკიდებულებები და სიწმინდე... გოჩას მამა პატიმრობიდან რომ გაათავისუფლეს, მხოლოდ ერთხელ ვნახე, სევდიანი და ავადმყოფი ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა. მალევე გარდაიცვალა, ჩვენს ქორწინებამდე.

— ასე დაუინებით რომ გათხოვდათ ხელის მონერას, საბოლოო გადაწყვეტილება როდის მიიღეთ?

— თბილისში, ლესელიძის ქუჩაზე მდებარე მშენებლის ბიუროში წამიყვანა. ისეთი საშინელი და უსახური ოთახი იყო... 1957 წლის 17 აპრილს მოვაწერეთ ხელი. ციოდა, თხელი კაბა მეცვა და ისეთი გრძობა მქონდა, რომ ფილტვების ანთება დამემართებოდა და მოგკვდებოდა. გოჩას უნივერსიტეტის პროფესორი ახლდა. ერთი სიტყვით, ყველა ფორმალობის შემდეგ, ფუნქციონორზე წავედით რესტორანში. იმ პროფესორმა (სამწუხაროდ, გვარი აღარ მახსოვს) ულამაზესი პატარა ლარნაკი მაჩუქა. საღამოს, შინ რომ დავბრუნდით, გოჩამ დედაჩემს ქორწინების მოწმობა დაულო წინ. დედამ ისე ინერვიულა, ერთი კვირა საწოლიდან ვერ წამოდგა.

— საქორწინო მოგზაურობაში არ გაემგზავრეთ?

— პირნათლად შეასრულა პირობა: კარგა ხანს, მხოლოდ ხელმოწერილი ცოლ-ქმარი ვიყავით. გოჩა საჩხერის რაიონში, სოფელ ჭალაში დაიბადა. უტკბილესი ბებია ჰყავდა იქ და ზაფხულში მასთან წამიყვანა. თავს გვევლებოდა ბებია,

მერე, მახსოვს, გოჩას ბიძამ გადაგვიპატიჟა. დანგრეული ხიდი იყო გასავლელი მდინარე ყვირილაზე და ზურგზე მოკიდებული გადამიყვანა. ორივე ისეთი ახალგაზრდები ვიყავით... ცოლ-ქმარი ბიძამისის სახლში გავხდით... მეორე წელს კი მანანა შეგვეძინა. გოჩას ბიჭი უნდოდა, მაგრამ მანანა რომ ნახა, თვალები გაუბრწყინდა. საშინლად განიცდიდა ჩემს ცუდად ყოფნას – მე ხომ მშობიარობის შემდეგ, ფაქტობრივად, თავიდან ვისწავლე სიარული... არადა, ბავშვის მოცილებასაც მთავაზობდა მავანი – გოჩას სისხლი და ხორცი, ექიმსაც კი მოელაპარაკა ის პიროვნება. გოჩას გაუგია ამ ვერაგული განზრახვის შესახებ, ხელი მტაცა და თბილისის ზღვაზე წამიყვანა გადაღებაზე. მან მტკიცედ გადაწყვიტა, ბავშვი შეგვენარჩუნებინა... დღეს ბენიერი ვარ, მანანა რომ მყავს, ჩემი შვილი ყველაფერია ჩემთვის. რამდენჯერ მიფიქრია, გოჩას იმ ახლობლისთვის რომ დამეგლო ყური, რაღა იქნებოდა ჩემი სიცოცხლე მანანასა და შვილიშვილების გარეშე?!

— რომელ ახლობელზე საუბრობთ?

— არ მინდა ვინაობის დასახელება. თავს იმიტომ ვიკავებ, რომ ვიცი, ისევ მანანას ატკენენ გულს ამ ინტერვიუს დაბეჭდვის შემდეგ.

— თუკი ბავშვის მოცილება გაძალბებდნენ, ესე იგი, გოჩა აბაშიძეს არჩევანს უწუნებდნენ მისი ახლობლები?

— მამა არ მყავდა, არც მდიდარი ვიყავი და ეს იყო მთავარი მიზეზი და საერთოდ, ბევრი ისეთი ამბავი გადავიტანე... გოჩას თვითმკვლელობა უამრავმა ფაქტორმა განაპირობა.

— კერძოდ?

— ჯერ ერთი, მთელმა ქვეყანამ გაიგო გოჩას რომანის შესახებ. თელავში „მაია წყნეთელს“ იღებდნენ. მე მოულოდნელად ჩავედი, იმიტომ, რომ მითხრეს: გოჩა ცხენიდან გადმოვარდა, შემთხვევით დამბანა გაუვარდა და საფანტით მკლავი აქვს დაზიანებული, შეიძლება მარცხენა ხელიც კი მოჰკვეთონო. რა გამაჩერებდა თბილისში?! მაშინვე თელავში გადავფრინდი. სხვათა შორის, პირველად ვმგზავრობდი მარტო და თვითმფრინავშიც პირველად ჩავჯექი. გათენებული არ იყო, თელავის სასტუმროში რომ მივედი. შევნიშნე გადამღები ჯგუფის



წევრების შემოფოთებული მხერა. რამდენიმე წუთში, ყველაფერი ნათელი გახდა: გოჩა, ლეილა აბაშიძეს, თავის ნომერში გადაეყვანა მოსავლელად... მანამდე კი, თვითონ უკეთ უწყოდნენ ყველაფერი...

— იქნებ...

— იქნებ კი არა, ორივემ მიღალატა... მე და ლეილა რძალ-მული ვიყავით. ძალიან მიყვარდა, ისეთი ახლობლობა გვქონდა... შეიძლება ადამიანი ახლობელი იყოს, მაგრამ არ გიყვარდეს, მე კი ლეილა მართლა მიყვარდა.

— რით იმართლა თავი გოჩამ?

— არ წახვიდე, დავიღუპებითო, – მიმეორებდა, მაგრამ იმ დღესვე დავბრუნდი თბილისში, დედამთილთან მივედი და ყველაფერი ვუამბე. მივედი სამკვლად, მე მას დედას ვეძახდი და სწორედ დედას ვთხოვე დახმარება. გოჩას უზომოდ უყვარდა დედა და არასოდეს ეწინააღმდეგებოდა. ჩემი დედამთილი თელავში გაემგზავრა. ერთი სული მქონდა, დაბრუნებულიყო. კარგა ხნის მერე ჩამოვიდა. მაშინვე მასთან გავიქეცი და იცით, რა ვნახე?! – მთელი სახლი ახალი ფოტოსურათებით ჰქონდა მოფენილი, სამივენი ერთად იყვნენ გადაღებული... თვალთ დამიბნელდა. ლეილა ხომ თქვენი სისხლით ნათესავია – ეს როგორ შეიძლება-მეთქი?! ჩემმა დედამთილმა მიპასუხა: მე და ჩემი ქმარიც აბაშიძეები ვიყავით, რა, ცუდი შვილები გამომივიდაო?... გოჩას მშობლები მართლაც აბაშიძეები გახლდნენ და ლეილა ორივეს ღვიძლი ნათესავი იყო.

აუტანელი ტკივილი ვიგრძენი, უმაღ



ანაგის ქუჩაზე წავედი, მხოლოდ ტანსაცმელი წამოვიღე და დედაჩემთან დავბრუნდი. დავტოვე გოჩას მამის ბინა, სადაც მეგონა, რომ ბედნიერად ვცხოვრობდი ჩემს ქმარ-შვილთან ერთად... მერე იმ ბინაში ჩემი დედამთილი გადავიდა თავისი ოჯახით. ამასაც ძალიან განიცდიდა გოჩა.

24 წლის გოჩა ისეთი პოპულარული იყო, ცოტას თუ რგებია ასეთი პოპულარობა მის ასაკში. მისი ცხოვრების ყოველი დეტალი ხალხის მსჯელობის საგანი ხდებოდა. თან, იმ პერიოდში დიდი ვალი დაეღო. ავტომანქანა „პობედა“ გაყიდა. მყიდველმა თანხის საკმაოდ სოლიდური ნაწილი მისცა, დანარჩენი მანქანის გაფორმების მერე უნდა გადაეხადა, მაგრამ ვერ გადაიფორმა და უკანვე მიუყვანა. მანქანის ფული გოჩას დედამისისთვის ჰქონდა მიბარებული, იმას კი ფული დაეხარჯა და ვერ დაუბრუნა. მევალემ ძალიან შეაწუხა, გამუდმებით სადარბაზოსთან დარაჯობდა. გოჩა იმხანად ახალ ფილმზე დაამტკიცეს, ფილმში აღებული ჰონორარის იმედი ჰქონდა, მაგრამ მოულოდნელად როლიდან მოხსნეს და სხვა მსახიობი აიყვანეს. მაშინ კინოსტუდიის დირექტორი პაატა კობახიძე იყო. გოჩა და ლეილა ერთად მისულან, მაგრამ გოჩა მარტო შესულა და უთქვამს: ფილმიდან თუ მოხსნით, თავს მოვიკლავო. კობახიძეს უპასუხია: შენ კი არა, შავგულიძე მოკვდა და იმას არ გაჰყვლია არავინო... შეურაცხყოფილმა გოჩამ იქაურობა დატოვა და გაიქცა. კობახიძემ ლეილას სთხოვა, გაჰყვე და დაამშვიდეო. გოჩა ანაგის ქუჩაზე დაბრუნდა, დედამისთან, მაგრამ შინ არავინ დახვდა. ლეილას პატარა ბიჭი შეუგზავნია დასამახებლად, რომელიც გოჩამ უარით გამოისტუმრა, რამდენიმე წუთში კი, ერთი ჭიქა შაბიამანი დალია.

— მაშინვე გარდაიცვალა?

— არა, მეზობელს გაუგია, ცუდად რომ გახდა. ამასობაში, დედამისსაც შეატყობინეს. „სასწრაფო დახმარების“ მანქანას ლეილა და ჩემი დედამთილი გაჰყვნენ.

— თქვენ ვინ შეგატყობინათ?

— რადიოში ვმუშაობდი. ერთი თანამშრომელი შემოვიდა და გამოაცხადა: ხალხო! გაიგეთ? — გოჩა აბაშიძეს ლეილას გულისთვის მოუკლავს თავიო! არადა, მე უკვე საავადმყოფოში

წასასვლელად ვემზადებოდი, მაგრამ ეს რომ გავიგე, სკამზე დავეშვი და ვთქვი: თუ ლეილას გამო გააკეთა, **ТУДА ЕМУ И ДОРОГА**-მეთქი.

მართალია, დედაჩემთან ვცხოვრობდი, მაგრამ გოჩა ხშირად მოდიოდა. ბინა უნდა მიგველო და მეუბნებოდა: ყველაფერი კარგად იქნება, აი, ახალ ბინაში გადავალთ შენ, მანანა, მე და ცხოვრებაც დალაგდებაო... მალე გოჩა დაიღუპა, მაშინდელი ბინა კი მანანასთვის დღესაც დავის საგანი გახლავთ...

მე ყველას ვადანაშაულებ გოჩას სიკვდილში. იმის თქმაც არ შეიძლება, რომ მხოლოდ ლეილა აბაშიძის გამო მოიკლა თავი. ამ ცოდვას ლეილას ვერ აკვიდებ, ის ჩვენი ოჯახის წინაშე დამანაშავე. მე ვადანაშაულებ იმ მეგობრებსაც, რომლებიც დედის მეორე ქმარზე უკიჟინებდნენ; მევალეს, რომელმაც არ დააცადა, სადმე რომ ეშოვა ფული. გოჩა ისე უყვარდათ, ბევრი ახლობელი დაენმარებოდა და ასეთ დღეში არ ჩავარდებოდა. ექიმებმა საბედისწერო შეცდომა დაუშვეს — კუჭი სათანადოდ ვერ ამოურეცხეს და შაბიამნის კრისტალები სისხლში მოხვდა. გოჩა მოწამულიდან მერვე დღეს დაიღუპა. წინა საღამოს, ბიჭები მისულან, უძღვრიათ. სასიკვდილო არაფერი ეტყობოდა თურმე. ექიმებს სასწრაფო ოპერაცია რომ გაეკეთებინათ, დღეს ცოცხალი იქნებოდა. განა მე არ ვარ დამნაშავე? — მეც ხომ ვერ ვაპატიე დალატი!.. მოკვლედ, უამრავმა ფაქტორმა განაპირობა გოჩა აბაშიძის თვითმკვლელობა. უბედური ბიჭი იყო, ძალიან ახალგაზრდა, გამოუცდიელი და გაუჭირდა დაბრკოლებების გადალახვა. მას ყველაზე მეტად ერთი რამ ტანჯავდა, ამიტომ ვამბობ, უბედური იყო-მეთქი. მაგრამ უნდა გამიგოთ — იმ „რადიოს“ ვერ გეტყვით, რადგან ტკივილი, რომელიც ტრაგედიად ექცა, სიმძიმე, რომელსაც ის ატარებდა, მისი ოჯახიდან, ყმაწვილობიდან მომდინარეობდა და ამდენად...

— ლეილას აღარასოდეს შეხვედრისათვის?

— ორი წლის წინ, ერთ ვახშამზე შემთხვევით შეხვდი. დაახლოებით ორმოცი სტუმრის წინაშე წამოდგა ლეილა და ამდენი წლის შემდეგ, ხმამაღლა თქვა: ღმერთისა და ნუნუს წინაშე პატივებს ვითხოვო...

— უკანასკნელ გზაზე თუ გააცილეთ თქვენი შვილის მამა?

— ერთადერთხელ მივედი, როდესაც საავადმყოფოდან ანაგის ქუჩაზე მიასვენეს. მივედი, რადგან ვფიქრობდი: ვაითუ, საკუთარ თავს ვერ ვაპატიო მიუსვლელობა-მეთქი. მერე კი... მერე ნერვიულობისაგან ძალიან სიცხე მომცა...

— საფლავზეც არასოდეს მისულხართ?

— როგორ არა, ხშირად დავდივართ მე, მანანა და მანანას შვილები. მამის 65 წლისთავთან დაკავშირებით, მანანას ხსოვნის საღამო სურდა გამართა, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო, სექტემბრისთვის გადაიდო.

— რატომ აღარ გათხოვდით?

— კონსერვატორიის ორი ფაკულტეტი დავამთავრე — საკომპოზიტორო და ვოკალური. შვილი გასაზრდელი მყავდა. ბევრჯერ გამჭირვებია, მაგრამ შვილის სიყვარულით ყველაფერი გადამილახავს. რა თქმა უნდა, მთხოვნელებიც მყავდა, მაგრამ შეგნებულად ვთქვი უარი პირად ცხოვრებაზე. საქმე ის არის, რომ ისეთ ადრეულ ასაკში ვიწვნიე იმედგაცრუებული სიყვარულისგან მიღებული უსაშველო ტკივილი, დამცირება, ცრემლი და ელდა, ოცნებების დამსხვრევა, რომ ვერ გადავუსვი ხაზი წარსულს, გოჩას სიყვარულს, ჩვენს შვილს... ვერა, ვერ შეგძელი... დღესაც ტრაგედიული ვარ, გული მტკივა, ჩემი შვილი უძამოდ რომ გაიზარდა. მე ხომ საკუთარი გამოცდილებით ვიცი უძამობის სიმწარე — სულ პაწაწინას მომიკვდა მამა...


P.S. გოჩა აბაშიძის ერთადერთ ასულს, რომელიც ორი წლის ასაკში დაობლდა, ორიოდე სიტყვის თქმა ვთხოვე მამაზე, თუმცაღა... დღეს მანანა 24 წლის მამაზე უფროსია და დღემუდამ ენატრება. გოჩა აბაშიძის შვილიშვილებსაც კარგა ხანს უკვირდათ თურმე, რატომ იყო ბაბუა ასეთი ახალგაზრდა... ნუნუ ვაპუნიასა და გოჩა აბაშიძის ქალიშვილს ჩემმა თხოვნამ ცრემლები მოჰგვარა. წამიერად, დავიბენი თითქოს და ისლა მოვანერხე, რომ დიქტოფონი გამომერთო... ერთსაც დავამატებ: ამ ტრაგიკული ამბის რამდენიმე მნიშვნელოვანი ეპიზოდი, ასე ვთქვათ, „კადრს მიღმა“ დარჩა, საამისო მიზეზი კი, მერწმუნეთ, ნამდვილად მქონდა...



ლაბორატორია ინოტექ ინტერნაციონალი -

ზრუნვა ქალის ჯანმრთელობაზე

ბრძოლა ქალურ დაავადებებთან



ქალები ხშირად თავს არიდებენ გინეკოლოგთან ვიზიტს და ცდილობენ, თავად მოავდარონ ქალური პრობლემები. ამიტომ აუცილებელია ამ დაავადებებზე და მისი განკურნების თანამედროვე პრეპარატებზე საუბარი, რომელიც დაეხმარება ქალს უკეთ გაერკვეს თავისი ორგანიზმის ნიუანსებში და მოავდაროს ესა თუ ის პრობლემა... გთავაზობთ სპეციალისტის რჩევას ქალურ დაავადებათაგან ყველაზე გავრცელებული - ინფექციურ-ანთებითი დაავადების ანუ ვულვოვაგინიტიების შესახებ.

სპეციალისტის კომენტარი:

გინეკოლოგისთვის თბილისში ქალის ორგანიზმი ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს. აუცილებელია გამოკვლევა და დიაგნოზის ზუსტად დასმა. დღესდღეობით სამოს ინფექციებს პირველი ადგილი უჭირავს. ქალის სასქესო ორგანოების ინფექციურ-ანთებითი დაავადებები ანუ ვულვოვაგინიტიები 50-60%-ით შერწყმულია სოკოვან ინფექციასთან და გარდა დიდი რაოდენობით გამონადენისა, მას ახასიათებს წვის, ქავილისა და ტკივილის შეგრძნება. ასეთი სახის ვულვოვაგინიტი საჭიროებს ორმაგ თერაპიას: ანტიბიოტიკოთერაპიასა და სოკოს საწინააღმდეგო თერაპიულ მკურნალობას. ამის მიზნები მრავალგვარი შეიძლება იყოს: ადგილობრივი, მეზობელი ორგანოების დაავადებები, ან ზოგადი დაავადებები: დიაბეტი, ინფექციური დაავადებები, ასთენია, ენდოკრინული ჯირკვლების ფუნქციის დარღვევა, ანტიბიოტიკები ან ჰორმონალური ჩასახვის საწინააღმდეგო პრეპარატები, აგრეთვე დასუსტებულ ქალებში, ორსულებში, ნაწლავთა დისბაქტერიოზისა და განმეორებითი აბორტების დროს. ვულვოვაგინიტიები ხშირად აღენიშნებათ ქალებს სქესობრივი აქტივობის პერიოდშიც.

ვულვოვაგინიტიებს მკურნალობისათვის რეკომენდებულია ისეთი გამოცდილი ვაგინალური პრეპარატი, როგორცაა „პოლიჟინაქსი“. რომელსაც გინეკოლოგიური კაფსულების სახით აწარმოებს „ლაბორატორია ინოტექ ინტერნაციონალი“. „პოლიჟინაქსი“ კომპლექსური პრეპარატია და მოქმედებს როგორც ეფექტური პოლივალენტური თერაპიული საშუალება. „პოლიჟინაქსის“ ანთების საწინააღმდეგო ეფექტი შევებს ჰგერის პაციენტს პირველივე კაფსულის შემდეგ. რბილი კაფსულა, რომელიც არ საჭიროებს წინასწარ დასველებას, სამოს სიმშრალის დროს ადვილი შესაყვანია და არ აღიზიანებს სამოს ლორწოვანს.

ვულვოვაგინიტიებს ხშირად იწვევს ტრიქომონიაზი. თუ დროულად არ იმკურნალებთ, ინფექცია შეიძლება გავრცელდეს და გამოიწვიოს სერიოზული გართულებები - საშვილოსნოს ყელის დაზიანებიდან საშვილოსნოს მილების გაუვალობამდე. ტრიქომონიადებისგან სწრაფად და ეფექტურად დაეიცავთ „ატრიკან-250“. ეს პრეპარატი ხასიათდება ტრიქომონიციდული მოქმედებით. საკმარისია დღეში 2 აბის მიღება დილას და საღამოს. მკურნალობის კურსი მოიცავს მხოლოდ 4 დღეს, რის შემდეგაც დაავადების სიმპტომები ქრება. „ატრიკან-250“-ს კარგად იტანენ პაციენტები. იგი პრაქტიკულად არ იწვევს გვერდით მოვლენებს. ექიმის კონსულტაციით მისი გამოყენება შესაძლებელია ორსულებშიც.

მკურნალობის დროს თავი უნდა შეიკავოთ სქესობრივი კონტაქტისაგან. უნდა დაიცვათ პირადი ჰიგიენის წესები. აუცილებელია სქესობრივი პარტნიორების ერთდროული მკურნალობა მაშინაც კი, თუ ერთ-ერთ მათგანს არ აღმოაჩნდა ტრიქომონა.

მკურნალობის შემდეგ კიდევ ერთხელ უნდა ჩაიტაროთ გამოკვლევა, რათა დარწმუნდეთ სრულ გამოჯანმრთელებაში. ასე რომ, თუ თქვენ შეამჩნიეთ რაიმე დისკომფორტი, მათ შორის უჩვეულო გამონადენი, ნუ დაკარგავთ დროს და მიაკითხეთ ექიმს. შეგახსენებთ, წამალი ყველა შემთხვევისათვის არ არსებობს და ჯანმრთელმა ქალმა წელიწადში თუნდაც ერთხელ აუცილებლად უნდა მიაკითხოს გინეკოლოგს.



ლაბორატორია ინოტექ ინტერნაციონალი

იკითხეთ „ასა“-ს აფთიქაჟში

სერტიფიცირებულია

მომღერალი ილონა ასლანიშვილი ოცდაათ იენისს, უკრაინის ქალაქ დონეცკში (უკრაინა) გაემგზავრა, სადაც მონაწილეობდა IV საერთაშორისო კონკურსში. წელს ამ კონკურსის მიმართ ინტერესი განსაკუთრებით გაძლიერებული იყო, რადგან უიურის შემდგენლობაში ისეთი ცნობილი სახელები შევიდნენ, როგორებიცაა: ტოტო კუტუნო, რობერტინო ლორეტი, პატრიცია კაასი, ალა პუგაჩოვა. ილონა ასლანიშვილი, როგორც ნიჭიერი ახალგაზრდა მომღერალი დონეცკში მერაბ დონაძისა და სახელმწიფო ფილარმონიის რეკომენდაციით მოხვდა. მან უკვე გაიარა პირველი ტური. მეორე ტურში ის იმღერებს ედიტ ჰაფის სიმღერას, ხოლო ფინალში — „კრიმინალს“. ილონას იმედი აქვს, რომ ეს კონკურსი მას სერიოზულ წარმატებას და კონტრაქტს მოუტანს.

ილონა ასლანიშვილი ქართველმა მსმენელმა პირველად, კომპოზიტორ ნუნუ გაბუნიას საავტორო სადამოზე გაიცნო. მაშინ ორი წლის მომღერალმა საყოველთაო აღტაცება გამოიწვია. ამის შემდეგ ილონა სცენას აღარც მოსცილებია. ანსამბლ „ნერგებთან“ მან მთელი მსოფლიო შემოიარა. ილონა თავისი ბავშვობის შესახებ სიამაყით გვიამბობს:



მოკლე კონკურსის რაყიყი

ილონა ასლანიშვილი კონკურსში დახვდას მსმენელს

ლელა ჭანკობაძე

— მოღვაწეობა ორი წლისამ დაიწყო. ჩემი პირველი გამოსვლა ნამდვილად არ მახსოვს. ოცდაერთი წლის ვარ და უკვე ცხრამეტი წელია, პროფესიონალურ სცენაზე ვღვავარ. რაც თავი მახსოვს, სულ ვმღერი, ამიტომ არ შემიძლია ზუსტად ვთქვა, როგორი შეგრძნება დამეუფლა პირველი წარმატების დროს, ან როდის აღმოვაჩინე საკუთარ თავში მომღერალი. ოთხი წლის ასაკში, ანსამ-

ბლ „ნერგებში“ მივიღეს. ამ ანსამბლის სოლისტი ვიყავი თერთმეტ წლამდე, შემდეგ კი ფილარმონიის სოლისტი გავხდი.

— მუსიკის სიყვარული და ნიჭი საიდან გამოგვყვა? შენი ოჯახის წევრებს თუ ჰქონდათ რაიმე შესება მუსიკასთან?

— ჩემს ოჯახში ყველა ხელოვანია: ბაბუაჩემი სუხიშვილების ანსამბლში გარმონზე უკრავდა. დედაჩემს დამთავრებული აქვს კონსერვატორია. მე მუსიკალურ შეიღწეულში — კონსერვატორიასთან არსებული ვოკალურ-ექსპერიმენტულ სკოლაში ვსწავლობდი და ახლა კონსერვატორიაში, ვოკალზე ვმუშაობ.

— პირველმა ვინ შენიშნა შენი ნიჭი?

ძალბატონი მანანა, ილონას დედა:

— დედაჩემი რომ აძინებდა, უძღვროდა ხოლმე; პატარა ილონაც, ბებოსთან ერთად ღულუწებდა. ორი თვიდან შეეძლო, ბებია რომ ხმას აუწევდა, მასაც ხმამაღლა ეღულუნა. სწორედ ბებიამ დაასკვნა: ილონა მომღერალი გახდებაო. ერთი წლის რომ გახდა, ტელევიზიაში მივიყვანეთ. გაგვიდნენ ტელევიზიის თანამშრომლები: ხომ არ დაგვცინით? — ამან როგორ უნდა მიმღეროსო?! რომ იმღერა, ყველა გაოცდა... წლისა და რვა თვის ასაკში გადაიღეს და ტელევიზიით აჩვენეს. ყველა, ვინც ამ ამბავს გაიგებდა, გაკვირვებას ვერ მალავდა. ნინო რამიშვილი სულ ეუბნებოდა: დაიმახსოვრე — შენაირი მომღერალი მეორე არ იქნებაო. ნინოს ძალიან უყვარდა ილონა. ილონა კარგადაც ცეკვავდა, მოქნილი და პლას-

ტიკური იყო. ნინო რამიშვილმა სპეციალურად მისთვის დადგა „სირტაკი“. ეს ნომერი ბერძნებმა რომ ნახეს, მაშინვე საბერძნეთში მიიწვიეს. მაშინ ილონა თერთმეტი წლის იყო. პირველი სოლო კონცერტი ჰქონდა ოპერის თეატრში. ბერძნები შეთხვევით აღმოჩნდნენ დარბაზში და მაშინვე კონტრაქტი გავეფორმეს.

— რომელ ქვეყნებში აქვს ილონას ნამღერო?

— თითქმის მთელი მსოფლიო აქვს მოვლილი: მექსიკა, ირლანდია, ინგლისი, საბერძნეთი, ამერიკა, კუბა და ა.შ. დისნეის ფესტივალზე სტუმრის სტატუსით გამოვიდა, დანარჩენ ყველა ქვეყანაში, სადაც ჩვენ ვიყავით, ილონამ კონკურსებსა და ფესტივალებში მიიღო მონაწილეობა. პრიზის გარეშე არასდროს დარჩენილა.

— რა ფილდოები აქვს მიღებული ილონას?

— ექვსი წლის იყო, ლაურეატი რომ გახდა მოსკოვში გამართულ ხალხური თვითშემოქმედების კონკურსზე; ოქროს მედლით დააჯილდოეს. შემდეგ დიდ ბრიტანეთში ჩატარებული საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატიც გახდა. გაიმარჯვა კონკურსში — ნატყვზ პატპლფ, მიწვეული იყო ფესტივალზე „ვარნა-94“, სადაც ნებტუნის ოქროს გვირგვინი მიიღო. თხუთმეტი წლის ასაკში სალონიკის საპატიო მომღერალი გახდა.

— ილონა, ვინ ეწვევა შენი სიმღერების პოპულარიზაციას და თუ გაქვს ვრცელი რეპერტუარი?



— პროდიუსერი და მენეჯერი ვერ არ მყავს. იყო რამდენიმე შემთავაზება, მაგრამ უარი ვიქციე, რადგან ისინი არასერიოზულად ეკიდებოდნენ საქმეს. მე უკვე ვრცელი რეპერტუარი მაქვს. არ მაქვს არჩეული ერთი რომელიმე სტილი. მიყვარს სოული, მაგრამ ყველანაირ სიმღერას ვმღერო. უმეტესად, მაია ჭვლიძის სიმღერებს ვასრულებ. ორივე ალბომში („სიყვარულის გზა“ და „ლამაზი ფიქრები“) ძირითადად მაიას სიმღერები შეველა.

— მაინც იშვიათად ჩანხარ, რატომ?

— როცა მირეკავენ და კონცერტზე მიწვევენ, უარს არ ვამბობ, მაგრამ მე თვითონ არავის ვიხსოვ — მამღერეთ-მეთქი. ღამის კლუბებშიც არ ვმუშაობ. ალბათ იმიტომ, რომ ძალიან დაკავებული ვარ: პარლამენტში გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტში სტაჟორად ვმუშაობ. ასოციაცია „ახალგაზრდობა მშვიდობიანი კავკასიისთვის“ ხსნის ზელოვნების სკოლას, რომლის დირექტორიც მე ვიქნები. ეს სკოლა გამორჩეულად ნიჭიერი ბავშვებისთვის იხსნება... ბულგარეთში მივედილით ფესტივალზე. ავიაკომპანია „აირონიკა“ გამიწია სპონსორობა. უფასოდ შემძღოლ წასლაც და წამოსვლაც. ავიღე „ოქროს ნებჭუნის“ გვირგვინი და წამოვედით აერობორტში. გზაში „საცობში“ მოვხვდი. თვითმფრინავზე ორმოცი წუთი დამავიანდა. ჩვენმა გამცილებელმა რუპორით გამოაცხადა თურმე: დაიცადეთ, საქართველოს სახალხო არტისტი უნდა მოვიდეს... მოხდა სასწაული და რეისი შეჩერდა. მგზავრები სულმოუთმენლად ელოდნენ, ვინ მივიდოდა ისეთი, ვის გამოც რეისი გადადეს. მე რომ მივედი, გაკვირვებისაგან პირი დაადეს. მაშინ თორმეტი წლის ვიყავი. ბავშვობიდან მივეჩვიე სცენას, ტაშს, პოპულარობას. ბავშვობაში ძალიან პოპულარული ვიყავი, ხალხი უფრო მცნობდა. ახლა ჩემზე ხშირად ამბობენ: ეს იღონა ასლანიშვილია, ბავშვობაში რომ მღეროდაო.



— შენ თვითონ თუ წერ სიმღერებს?

— ბავშვობაში ვწერდი. „წერების“ ყველა წერილი მღეროდა ჩემს სიმღერებს. ახლა მოსწავლეები მყავს. მათ ვუწერ სიმღერებს. საერთოდ მიმანია, რომ ჩემი სიმღერები საბავშვოა და მე არ უნდა ვიმღერო. ჩემს საღამოზე გამოვიდა ერთი ჩემი მოსწავლეც — ვერიკო ნოხაძე, ძალიან ნიჭიერი გოგონაა.

— სცენაზე ვისი შეკერილი კოსტიუმებით გამოდისარ სოლი?

— ჩემი იმიჯმეკერია ივა ლომიძე. ჩვენ სულ ახლახან დავიწყეთ თანამშრომლობა. ჩემი სტილისტიცა ზურა ტალიაშვილი. მან ყოველთვის იცის, როგორ უნდა დამეარცხნოს.

— შენი ყველაზე დიდი წარმატება რომელ ქვეყანას უკავშირდება?

— საბერძნეთში, ქალაქ სალონიკის მერი ამოვიდა სცენაზე და საპატიო მოქალაქეობა მომანიჭა. ეს ჩემს ცხოვრებაში უბედნიერესი დღე იყო. ასევე ბედნიერი დღე იყო, როცა ჩემი სკოლის (მესხეთე გიმნაზიის) საპატიო მოსწავლე გახვდი და გიმნაზიის „ოქროს წიგნში“ ჩამწერეს... სხვათა შორის, სალონიკში ძალიან უსიამოვნო ამბავი შემემთხვა. კონცერტები ჩავატარე და ბარგი შევკარით. უცბად, შემოვიდა სასტუმროს დირექტორი და გვითხრა: ვერ გაგიშვებთ, რადგან ფული არ გადაგიხდათ. თურმე ჩვენს ბერძენ იმპრესარიოს აუღია მთელი თანხა და გაპარულა. საშინელ დღეში აღმოვჩნდი. მხოლოდ წყალს ვგაძლევი. მე და სტუდია „თელას“ მოცე-

კვებები ორი დღე-ღამის განმავლობაში ვიყავით დატყვევებული. ბოლოს, იმდენი მოვახერხეთ, რომ მეორე სართულის ფანჯრიდან ჩავუშვით თოკით ფული და გამვლელგმა ბუტერბროდები ამოგვიგზავნეს. ასე გადავურჩით შიმშილს... მესამე დღეს, დავნიშნეთ ორი კონცერტი. პირველიდან შემოსული თანხით ვალი გადავიხადეთ, მეორე კი, საქველმოქმედო კონცერტი ჩავატარეთ, სალონიკისთვის. სწორედ მაშინ მომინიჭა სალონიკის საპატიო მოქალაქეობა.

— უახლოეს მომავალში, ყველაზე მეტად რას ისურვებდი?

— კალიფორნიაში, ჰიუსტონის სკოლა მინდა დავამთავრო, მაგრამ ძალიან ძვირი ჯდება. ჯერჯერობით ამ ოცნებას ვერ ავისრულებ, მაგრამ დარწმუნებული ვარ — დიდი წარმატება მელიდება. ჩემი მომავალი ალბათ ისეთივე ბრწყინვალე იქნება, როგორც ბავშვობა იყო: მახსოვს, გიტარაზე 32 სოლო პარტიას ვუკრავდი. ასე იყო იმ დღიდან, როცა ოთხი წლის გავხდი. ჩემი ყველა სიმღერა „ბისზე“ გადიოდა. შეუძლებელია, ეს ყველაფერი არ მენატრებოდეს და არ მაკლდეს... მთელი მსოფლიო მაქვს მოვლილი. ვერც თვითმფრინავს ვიტანდი, ვერც ავტობუსს, გზაში ცუდად ვსდებოდი, მაგრამ ამის გამო, არასდროს მიწუწუნია. ბევრჯერ კულისებში თოჯინებით მითამაშია. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში მქონდა პირველი სოლო კონცერტი. სანამ კოსტიუმს ვიცვლიდი, „თელას“ წევრები ცეკვავდნენ. თეატრის მთავარმა რეჟისორმა, გურამ მელიქიძემ ყველა სიმღერისთვის დეკორაცია შეცვალა: ასეთ ნიჭიერ ბავშვს მაქსიმუმ რომ არ გაუუკეთო, არ შემძლიაო... ის კონცერტი ანშლავით ჩატარდა, რის შემდეგაც ბევრი მეუბნებოდა: ოპერის მოძიერალი გახდი. მაგრამ მე საესტრადო სიმღერები უფრო მიტაცებს.


— კონცერტზე გამოსასვლელად რომ გინწვევენ, რამდენად დიდ ყურადღებას ამახვილებ ჰონორარის საკითხზე?

— მე მომღერალი ვარ და ჩემი მოთხოვნილებაა ვიმღერო. უფრო ხშირად, საქველმოქმედო კონცერტებში ვმონაწილეობ. როცა მირეკავენ და მეკითხებიან — როგორი „სტაუკა“ გაქვსო? — ყოველთვის თავს უხერხულად ვგრძნობ. „ოქტაგონზე“ რომ მიმიწვიეს, მაშინვე დავთანხმდი, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: ანგინა დამეძარო, ორმოცი გრადუსი სიცხით გავედი „ოქტაგონზე“. ირმა სოხაძე გადაირია, შეწუხდა — ასეთი ყელით სიმღერა სარისკოა, ხმა არ დაკარგო. მაინც არ დავიშალე, რადგან მსმენელი მელიდა, მას კი არასოდეს გავაწუბილებ.



ჩოგონ ამზადებდა ნინო ჩაშიშვილი ბესიკ ბაკურაძის სასიძოვ

21 წლის ბესიკ ბაკურაძეს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში „ქართული“ უცეკვია. თურმე პარტიერში ნინო ჩაშიშვილი და ილიკო სუხიშვილი ისხდნენ. ცეკვის დამთავრების შემდეგ, ფრიდონ სულაბერიძე სცენაზე ასულა, ხელი მოუკიდია ახალგაზრდა კაცისთვის და ნინოსა და ილიკოსთვის წარუდგენია: ჩემი გაზრდილია და თუ მინდობით, სწორედ ის კაცია, ვინც თქვენს ანსამბლს გამოადგებაო... ილიკოს აუხედ-დაუხედავს მოცეკვავეისთვის და სახელი უკითხავს. მერე კი უბრალოდ უთქვამს: ჰოო... ხვალე, შვილო, ნულა-მესტებს აიღებ და 12 საათზე სარეპეტიციოში მოხვალ... ის ახალგაზრდა მოცეკვავე (სხვათა შორის, ცნობილი დიზაინერის — ბაკურ ბაკურაძის უფროსი ძმა გახლავთ) დღეს უკვე 41 წლისაა. უდიდესი რიდით ლაპარაკობს „სუხიშვილების“ ანსამბლში გატარებულ დროზე, იხსენებს, საზღვარგარეთ გასტროლებისას, იქაური მაცურებელი ფეხბურთის ბაკუნით როგორ გამოხატავდა ოვაციებს, იმას, თუ რატომ ეძახდნენ ანსამბლის წევრები ნინო ჩაშიშვილს „მამიდას“, როგორ ცდილობდნენ „პანმელიაზე“ მყოფი ბიჭები მის მოტყუებას და ვერ კი ახერხებდნენ, და კიდევ ბევრ სხვა საინტერესო ამბავს...



6060 ჩაპახიშვილი

— 6 წლიდან დავდიოდი ცეკვაზე პიონერთა სასახლეში. ჩემი ხელმძღვანელი რობერტ დარაზველიძე გახლდათ. ბაბუ-აჩემს თურმე ძალიან უნდოდა, რომ მოცეკვავე გამოვსულიყავი: ბავშვი ცეკვას ისწავლის და ქორწილებში გვასახელებს ხოლმეო. 15 წლის ვიყავი, როდესაც ფრიდონ სულაბერიძესთან მივედი. ერთ-ერთი გასტროლების დროს „რუსთავის“ ანსამბლის რამდენიმე წევრი ტრაგიკულად რომ დაიღუპა და ანსამბლში გადახალისება მოხდა, მისი წევრი გავხდი. ბატონი ფრიდონი ჩემთვის ეტალონი იყო, მაგრამ ხომ იცით — ყველა მოცეკვავეს დაუოკებელი სურვილია, „სუხიშვილებში“ იცეკვოს. ამიტომაც წამოვედი „რუსთავიდან“.

— „სუხიშვილებში“ თქვენი პირველი მისვლა თუ გახსოვთ?

— რა დამავიწყებს?! ილიკომ დამიბარა რეპეტიციაზე და მეც მივედი. დიდხანს ვიდექი, მაგრამ თვითონ ილიკო არ გამოჩნდა და ვიფიქრე, წავალ-მეთქი. შესასვლელ კარში შემხვდა, კაბინეტში შემიყვანა და მდივნის თანდასწრებით მითხრა: გავიგე, რომ ცოლი და პატარა ბავშვი გყავს და 120 მანეთ ჯამაგირს დაგინიშნავო; ხელფასს კი არა — ჯამაგირსო... დღემდე მახსოვს ეს სიტყვები. რეპეტი-

ციაზე შევედი და გავხვედი: ამდენი ლამაზი ქალი და კაცი ერთად არსად მენახა! ძნელი იყო ომარ მხეიძის, ჯემალ ნავროზაშვილის, ჯუმბერ ბერაძის, მანანა აბაზაძის გვერდით დგომა. როდესაც ჯემალ ნავროზაშვილმა პენსიაში გასვლა გადაწყვიტა, ნინო ჩაშიშვილს უთხრა: ბევრი კარგი მოცეკვავე გყავს, მაგრამ „აჭარულის“ ცეკვას ისე, როგორც მე ვცეკვავდი, მარტო ბესო შეძლებს და ნახეთო... ცოტას კი ვწეროვო. საერთოდ, რამიშვილი დიდ წნეხში ატარებდა ხოლმე ანსამბლისთვის, ფეხის ფრჩხილიდან თმის ბეწვამდე. დიდი თავი ან გრძელი ცხვირი რომ გქონოდა და კარგადაც რომ გეცეკვა, მაინც არ მიგიღებდა! იყო შემთხვევაც, როდესაც გრძელი ცხვირის გამო დაიწუნა და პირდაპირ უთხრა: ჯერ ცხვირის ოპერაცია გაიკეთე და მერე მოდიო. იმიტომაც იყო, ანსამბლში სულ წარჩევი წარჩევი მოცეკვავეები რომ ჰყავდა. ერთხელ დარბაზში სასწორი დადგა და მოცეკვავე ქალებს გამოუცხადა: 50 კილოზე მეტი თუ იქნებით, დარბაზში ვერ შემოხვალთო. ატყდა ერთი ამბავი. მთელი ანსამბლის გოგონები დიეტაზე „დასხდნენ“. ერთი ასაკშეპარული მოცეკვავე გყავდა — ნელი, უკვე საპენსიოდ იყო მზად. რამდენიმე დღის შემდეგ „ჭიპინიას“ — მერაბ ჩაჩხიანს „აზიაცკების“ ჩაცმის დროს თავზე დაადგა და გული

გაუწყალა: ჭიპონ, ჭიპონ, შეხედე, როგორ ვხდებიო... შეხედა ჭიპინიამ და ვითომ არაფერიო, ისე უპასუხა: კი არ ხდები, შე უბედურო, უკვე ხმები და ვერ ხვდებიო... ეეჰ, ძალიან კარგი დრო იყო...

— ქალბატონი ნინოს სიმკაცრეზე ბევრი რამ გვსმენია. ამბობენ, რეპეტიციებზე მოცეკვავეებს ტყავს აძრობდაო...

— მკაცრი იყო — სხვანაირად 120 ადამიანს როგორ დაიმორჩილებდა?! მაგრამ როგორც კი რეპეტიცია დამთავრდებოდა, ყველას „მამიდა“ და ყველას გაჭირვების ტალკვესი ხდებოდა. ვერაფერს გამოაპარებდი. როცა „პანმელიაზე“ ვიყავით, რეპეტიციის დროს უკანა რიგში ვდგებოდი ხოლმე, მაგრამ მაინც შეგვამჩნევდა და გვარებს ჩამოთვლიდა: ეს, ეს და ეს წინა რიგში დადექითო. მის პირდაპირ ვიდექით და როგორღა მოვატყუებდით?! საოცარი ქალი იყო... ამით იცით, რას აჩვენებდა სხვებს? — ესენი წინა რიგში დავაყენე, დავსაჯე და ნახეთ, ახლა რას გუზამო... სინამდვილეში კი, შედევას გვიკეთებდა — რთულ მოძრაობებს არ გვაკეთებინებდა და, ფაქტობრივად, ფეხს არც კი გვანძრევინებდა.

— ცეკვაგდით „ქართულს“, „აჭარულს“, თითქმის ყველა ცეკვაში იყავით დაკავებული და არც ერთი გასტროლი საზღ-

**ვარგარეთ არ გამოგიტოვები-
ათ. ალბათ ბევრი საინტერესო
რამ გადაგხდენიათ...**

– მთელი მსოფლიო მოვიარეთ. არას-
დროს დამავიწყდება, მაყურებელი ემოციებს
რომ ვეღარ თოკავდა და ტაშის დაკერი-
დან ფეხების ბაკუნზე გადადიოდა ხოლმე...
ჩვენს ანსამბლს ხომ საოცრება ყოველთვის
თან სდევდა. ერთ-ერთი გასტროლების
დროს (ორი თვე ვიყავით ბელგიაში, შვეი-
ცარიასა და ლუქსემბურგში), რეზო თა-
ბუკაშვილი გვახლდა. 1982 წელი იყო.
დიდი ეროვნული საქმე გააკეთა მაშინ
თაბუკაშვილმა: თამარაშვილის ნეშტი
გადმოასვენა და მამინდელი ხელისუფლება
დიდუბის პანთეონში დასაფლავების
უფლებას რომ არ აძლევდა, ორი კვირის
მანძილზე თავის სარდაფში ჰყავდა დას-
ვენებული... 1987 წელს ინგლისში გვქონ-
და გასტროლები და მაშინაც, როგორც
წესი, უშიშროების თანამშრომელი გა-
მოგვაცოლეს. მის გვარსა და სახელს არ
გავამხელ — ახლაც კარგ თანამდებობაზე
მუშაობს... ახალგაზრდა კაცი იყო, ყო-
ფილი მოცეკვავე. ბიჭები ვმეგობრობდით
კიდევ მასთან. ერთხელ, სასტუმროში რომ
ვიყავით და „ბასეინზე“ ვნებივრობდით,
უცებ ჩემს მეგობარს ვუთხარი: წამოდი,
ბარემ წავიდეთ-მეთქი. ყურები დაცქვითა:
სად მიდიხართო? სათვალის ყიღვა გვინ-
დოდა და გვთხოვა: მეც მიყიდეო. კი,
ბატონო-მეთქი, — დავპირდი. გამყიდველს
ვთხოვე, რომ ძალიან მუქი სათვალე აძო-
ერჩია. იცით, როგორი სათვალე ვუყი-
დეთ? ალპურ ზონაში, თოვლში რომ უნდა
გაიკეთო — იმ სათვალედან მაშინ ხელავ
რაიმეს, როდესაც თოვლიდან ანარეკლი
ეცემა. მოკლედ, შევაფუთვინეთ საჩუქარი
და მივეცი. ისე მოეწონა, აღარ იცოდა,
რა ექნა: ეს რა მაგარი სათვალე მომი-
ტანეთო... გაიკეთა, წამოწვა და ისევ მზეს
მიეფიცხა, მაგრამ რად გინდა? — მზეს კი
არა, ვერაფერს ვერ ხელავს! ხმასაც არ
იღებდა, წამოჯდებოდა, მოისხნიდა

სათვალეს, დავეინაზ-
ავდა, რომ ყველანი
იქვე ვიყავით, ისევ
გაიკეთებდა და ისევ
ვეღარაფერს ხელავ-
და. მოკლედ, გაგიჟ-
და კაცი, მაგრამ
ისტორიარი აღარ გა-
იტენა და სამი დღე
იცით, როგორ და-
დიოდა? სათვალე
ცხვირზე ჰქონდა
წამოსკუპებული და
სადღაც, ზემოდან
იყურებოდა. ბოლოს,
ვეღარ მოითმინა და
რამიშვილთან დაგვ-
აბეზლა: ქალბატონო
ნინო, თქვენი ანსამ-
ბლის წევრებმა სპეციალურად,
ისეთი სათვალე
მიყიდეს, რომ საერთოდ
ვერაფერს ვხედავო...
რა თქმა უნდა, უშიშროების
შიშით უცხოელ ქალებსაც
ვერ მივეკარებო-
დით. ლოს-ანჯელესში
ვიყავით. ერთ სა-
ღამოს, ჟურნალისტმა
ქალბატონმა ჯერ
ავტოგრაფი მიხოვა,
მერე მითხრა: ინტერ-
ვიუს ჩაწერაც მინდა
თქვენთანო. კი, გე-
ნაცვალე-მეთქი. არა,
აქ არა, „ბი-ბი-სი“-ს
სტუდიაში უნდა წამოხვიდეო.
წამოხვიდე, კარგია!
ვინ გამიშვებდა?!
რა თქმა უნდა,
უარი ვუთხარი. ეტყობა,
ამ უარმა გაანაწყენა
და მითხრა: თქვენს
სასტუმროში ვიყავი
და გავიგე, რომ თურმე
ბიჭები ნომერში
ერთად ცხოვრობთ,
„გალუბოები“ ხომ არა
ხართო?... დარევის-
ტრიბულები ვართ ასე,
მაგრამ ვის სად
გვძინავს, თქვენი
საქმე არ არის, ისე
კი, „გალუბოები“ ნამდვილად
არ ვართ-მეთქი,
— სიტყვებითა და
გამომხივრებით ქალბატონი...
აბა, უშიშროების
გადამკვიდეს, სხვა
რა გზა მქონდა?!

**— ბარემ ისიც მომიყევით,
ნინო რამიშვილი სასიძოდ რომ
გამზადებდათ...**

– თენგიზ სუხიშვილის მეუღლემ,
ქალბატონმა ინგა თევზაძემ
სადიპლომო თემად
„ქეთო და კოტე“ აირჩია.
არანაირი სიძღვრეა —
იქ ყველაფერი ცეკ-
ვით სრულდებოდა.
პერსონაჟებს ნინო
რამიშვილი ანაწი-
ლებდა. ვინ თავად
ლევანი იყო, ვინ
ვაჭარი, ვინ სიკო
და ნიკო, ვინ ხანუმა...
მოკლედ, აღმოჩნდა,
რომ მე „არავინაც“ არ ვი-



ყავი და ცოტა არ იყოს,
გაენაწყენდი. მივედი
რამიშვილთან და ბოლიშის
მოხდით ვთხოვე: თუ არ
გჭირდებოდა, რეპეტიციებიდან
მინც გამათავისუფლეთ-
მეთქი. მომიბრუნდა და
მიპასუხა: რაღაც ძალიან
გეჭქარება ყველაფერი და
ასეც არ არისო... კოტესთვის
არ ვყოფილვარ „შემონახული“?
— თურმე სასიძოდ მამზა-
დებდა, როგორც მერე
მითხრა სიცილში: სიძღვრით
ვერ შეედრები ცხონებულ
ბათუ კრავიშვილს, მაგრამ
იქნებ ცეკვით მაინც
იცეკვო ისე, როგორც
ილიკომ იცეკვა „ქეთო
და კოტეში“... ბარემ
იმ ამბავსაც მოგიყვებით,
კახეთში სანადიროდ
რომ გავიპარე. პარასკევი
დღეა და კახეთიდან
დამირეკეს მეგობრებმა:
ჩამოდი, იმდენი იხვია,
ჭკუიდან გადახვალ. არა-
და, შაბათს რეპეტიცია
მაქვს, რა უნდა ვქნა?
გათენდა თუ არა, ძაღლები
ჩავსვი მანქანაში,
თოფები ავიღეთ და ორი
მანქანით, მეგობრებთან
ერთად, კახეთისკენ
გავეშურე. იქამდე კი,
დილის 5-6 საათზე,
ბატონი ილიკოს მდივანს
დავადექი თავზე შინ,
ბოლიში მოეუხადე და
ვუთხარი: დღეს რეპეტიციაზე
ვერ მოვალ, ბიძაჩემი
რაჭაში წავიდა, მაგრამ
არც იქ ჩასულა და არც
უკან დაბრუნებულა,
რაჭაში დიდი თოვლი
ყოფილა და აღარ ვიცით,
რა ვიფიქროთ, ახლა
საძებნელად მივდივართ-
მეთქი. — კარგი, ასე
გადავცემ ბატონ ილიკოსო,
— შემპირდა ქალი.
კახეთში კარგად რომ
ვინადირეთ, ჯანდარის
ტბაზეც გადმოვვლით.
ნაცნობები შეგვხვდნენ
და იქაც ვინადირეთ.
მოკლედ, უკან ვბრუნ-
დებით. რუსთავში
შემოვვლით და ავტო-
გასამართ სადგურზე
გავჩერდით. მე ვღ-
გავარ, იხვები მხარზე
მაქვს გადაკიდებული,
ტალახში ვარ თავიდან
ბოლომდე ამოსვრილი,
საწვავის „პისტოლეტი“
მაქვს მანქანის ავზში
ჩადებული. უცებ,
ჩვენ გვერდით „იკარუსი“
გაჩერდა და... ჩემს
დანახვაზე ანსამბლის
წევრები ჟრიაშით
ჩამოცვივდნენ ავტობუსიდან:
თურმე

შაბათს რაღაც ღონისძიებაზე მიიწვიეს ანსამბლი რუსთავეში და იქიდან ბრუნდებოდნენ... აი, ასე „ჩაგვარდი“... რა თქმა უნდა, ეს ამბავი რამიშვილის ყურადღებაც მივიღა, მაგრამ თავს იმით ვიმართლებდი: მე თქვენ ხომ არ მოგატყუეთ – ციალა (მდივანი) მოგატყუე-მეთქი...

— თქვენ კი, ყველაფრის მიუხედავად, ანსამბლიდან მაინც წამოსვდით, რატომ?

— 1990 წელს ამერიკაში ვიყავით, როდესაც ამერიკა-ერაყის ომი დაიწყო. ჩვენი გასტროლები შეწყდა. ნიუ-იორკში შევიტყვეთ, რომ საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია გახდა. აქაც აირია სიტუაცია, ომი დაიწყო... ქართველი კაცის ბუნება ისეთია, უჭირს თუ უღზინს, მაინც ცეკვავს და მღერის. მაგრამ მაშინ აღარავის ჰქონდა საამისო განწყობა. რა გეცეკვებათ, როცა ქვეყანაში ომი და ყველაფერი თავზე გვენგრევთ?! — გვეუბნებოდნენ. თანაც, როცა სახლში შეიღებს საჭმელი არ ჰქონდათ, ცეკვაზე როგორღა უნდა გეფიქრა? ამიტომაც წამოვედი ანსამბლიდან, თუმცა, ძალიან გამიჭირდა. წარმოიდგინეთ, აღამიანი სუფთა ჰაერით რომ სუნთქავ და უცებ ამ ჰაერს გადაგიკეტავენ! გელარ სუნთქავ, თითქოს ისრჩობი... დიდი წვალებების შემდეგ, ავტობროფილაქტოროუმი გავხსენი და იმ მძიმე წლებში ასე გადავარჩინე ოჯახიცა და ახლობლებიც, რომლებიც იქ დავასაქმე. დღესაც ვამუშავებ ამ „პროფილაქტიკას“, ის კი არა და, ახლახან, მეორეც ავაშენე იქვე. იმხელაა და ისეთი ფორმისაა, გარედან რომ შეხედავ, იფიქრებ: ეს „პროფილაქტიკა“ თუ ფილარმონიაა?!

— ეტყობა, ფილარმონიისა

და ცეკვის ნოსტალგია გკლავთ. ქორეოგრაფიული სტუდიის გახსნაც ამიტომ გადაწყვიტეთ?

— წლების მანძილზე ვცნებობდი, რომ გამეკეთებინა სტუდია, რომელიც ჯანო ბაგრატიონის სახელობისა იქნებოდა და რომელიც ნებისმიერი ცნობილი ანსამბლისთვის ბაზად გამოდგებოდა: იგივე „სუსნიშვილებისთვის“, „რუსთავეისთვის“, თუნდაც ახლა — „ერისიონისთვის“. ახლა უკვე ფრთები ესხმება ამდენი ხნის ნალოლიავებს ოცნებას, თუმცა არის ერთი მომენტი, რამაც ძალიან მატკინა გული: უმცროსი ჯანოს უკითხავად მაინც ვერ დავარქმევდი ამ სტუდიას მამამისის სახელს, ამიტომაც მივედი მასთან და ვუთხარი, რის გაკეთებასაც ვაპირებდი. კაცმა ემოცია ველარ დამალა: უბედნიერესი კაცი ვარ, რომ შენ, ბესიკ, ამ სტუდიის გახსნით მამაჩემს სამუდამო ძეგლს დაუდგამ, ყველანაირად გვერდში დაგიდგებიო, — დამპირდა. რამდენიმე დღეში კი გამომიცხადა: ოჯახში ვთქვი ეს ამბავი და გაირკვა, რომ თურმე მათაც უნდათ ასეთივე სტუდიის დაარსება და იქნებ დაილაპარაკოთ... წარმოვიდგენით? თურმე 30 წელი ოცნებობდნენ ჯანო ბაგრატიონის სახელობის სტუდიის გახსნაზე და ხმამაღლა ვერ ამბობდნენ... უბრალოდ, ძალიან საწყენია... სტუდიას უკვე ვაკეთებ, სადაც არის, მიღებასაც გამოვაცხადებთ მე და ბაკური (ის პოლიუმისთვის შეარჩევს გოკონებს), მაგრამ საწყენია, რომ სტუდია ჯანო ბაგრატიონის სახელობის კი არა, ბაკურ ბაკურაძის სახელობის იქნება!

— ბაკურზეც გვითხარით რაიმე...

— ბაკურზე 11 წლით უფროსი ვარ. როცა პატარა იყო, ყოველთვის დამყავდა კონცერტებზე. კულისებში ყველაფერს აკვირდებოდა, აინტერესებდა, მოცეკვავეები გრიმს როგორ იკეთებდნენ, წამწამებს როგორ იმაგრებდნენ და ა.შ. საზღვარგარეთ რაკი ხშირად დავდიოდი, ტანსაცმელსაც (უფრო ხშირად, ცნობილი ფირმებისა) ძირითადად, იქ ყვიდულობდი ხოლმე ჩემთვისაც და ჩემი ორივე ძმისთვისაც. თვითონაც ძალიან მიყვარს კარგი ჩაცმა და ბაკურის გემოვნებაც თანდათან იხ-

ვეწებოდა... დღეს კი უკვე ცნობილი დიზაინერია. ისე, ბაკური პროფესიით ისტორიკოსია. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ერთხანს უსაქმოდ იყო და დედაჩემმა მითხრა: ამდენ ხალხს იცნობ და იქნებ როგორმე სამსახური უშოვოო. მაშინ „მეორე არხი“ მგონი, სულ რაღაც ერთი წლის გახსნილი იყო. მის გენერალურ დირექტორთან, ზაზა დარასელთან ვმეგობრობდი. მივიყვანე ბაკური და ვუთხარი: ინგლისურად კარგად საუბრობს, ნაკითხია, „შეხედულია“, ხატავს, ქსოვს, ძერწავს და იქნებ გამოგადგეს-მეთქი. ფეხი რა ზომა გაქვს-მეთქი? — უცებ ვკითხე ზაზას. ცერად გამომხედა: რატომ მეკითხებიო? — დავიყინე: არა, რა ზომა გაქვს, მითხარი-მეთქი. — ორმოცდაორიო, — მიპასუხა. ჰოდა, თუ არ ივარგებს ბაკური, ამოარტყი წიხლი და სახლში გამოუშვი-მეთქი... გაეცინა... მოკლედ, ასე დაიწყო ბაკურმა „მეორე არხზე“ მუშაობა, ჯერ საინფორმაციო გამოშვებაში, მერე პროგრამაში — „დილა“, მერე კი გააკეთა გადაცემა „პოლიუმი“. აქედან დაიწყო ბაკურის დიზაინერობაც.

— საუბრის დასასრულს, როგორც „სუსნიშვილების“ ანსამბლის ყოფილ მოცეკვავეს, არ შემიძლია არ გვითხოთ, რა აზრის ხართ ილიკო სუსნიშვილის მიერ დადგმულ ახალ ცეკვებზე? საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობაა...

— ქართული ცეკვის ფუძე და ფესვები, შინაარსი კონცერტის პირველ განყოფილებაში კარგად ჩანს — ამის მოკვეთა უბრალოდ შეუძლებელი და გაუძარტლებელი იქნებოდა და, სხვათა შორის, მეორე განყოფილებაც სწორედ იმავე ფესვებიდან არის ამოზრდილი. პროგრესი ყველა სფეროში აუცილებელია, მით უმეტეს — ხელოვნებაში. გულანდილად რომ გითხრათ, ძალიან მომწონს პატარა ილიკოს ეს დიდი ნაშრომი... ზოგი ამბობს: ადრე კაცებს მიჰყავდათ ორივე განყოფილება, ახლა კი ქალებს მიჰყავთო — და ეს არ მოსწონთ, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? ზოგი კი, ირლანდიურ რივერდანსთან აიგივებს. ბოლიშს ვიხდი გამოთქმისთვის, მაგრამ დღევანდელი ქართული ცეკვა და რივერდანსი, ვირი და მანიკიურივით არის ერთმანეთთან! უამრავი ილეთი გვაქვს და რა გვჭირს საიმისო, რივერდანსს რომ შევედართო?! ■



„ხანდახან ვმტნია, ისევე ის 16 წლის კოვნიკი მტვრე უნ...“

„ბაბო მარუსა“ — ასე მიმართავს მას ყველა: 5 წლის ბავშვიც და 60 წლის ადამიანიც. ამ უზუცესმა ქალბატონმა საუკუნეს გადააბიჯა — ამა წლის 2 აპრილს 100 წელი შეუსრულდა. მარიამ სოლულაშვილი გორის რაიონის სოფელ ხიდისთავში ცხოვრობს. საკმაოდ მხნედ და ენერგიულად გამოიყურება, ყოველდღე აუცილებლად 3 ჭიქა ღვინო ან არაყი უნდა დალიოს.

ბაბო მარუსა საოცრად ცნობისმოყვარეა: ყველაფერი უნდა იცოდეს — ვინ სად წავიდა, ვის რა შეემთხვა... დადგება ხოლმე ჭიშკართან და გამვლელ-გამომვლელს ინტერესით ადევნებს თვალს. თუ უცნობი შენიშნა, აუცილებლად ჰკითხავს: ვინ ხარ, საით გაგინევიანო?

მარიამ სოლულაშვილი მშვენიერი მოსაუბრე აღმოჩნდა. ის სამოგნებით იხსენებს მრავალი ათეული წლის წინ მომხდარ ამბებს.



ირველივ. ნაცნობი ყმაწვილი შეხვედრით, ის თურმე ამინდს შეუშინებია და შუა გზიდან მობრუნებულა; მამასაც იგივე ურჩია, მაგრამ ილო ჯანანაშვილს, განა ვინმე რამეს შეასმენდა?! ეს იყო ურჩი, საოცრად კერპი და თავისნათქვამა კაცი. რამეს თუ რაიფიქრებდა, სიცოცხლის ფასადაც რომ დასჯდომოდა, მაინც შესარულებდა. მამას ამ ბიჭისთვის დაუბარებია: ცალი ხელთათმანი დაკვარე და თუ იპოვე, შემიწახეთო... ცოლ-ქმარს ერთი სახიფათო ადგილი უნდა გაევილო. ქვეყნად სიოც რომ არ ყოფილიყო, იქ მაინც ყოველთვის ძლიერი ქარი ქროდა და ხომ წარმოვიდგენიათ, იმ დღეს რა იქნებოდა! სწორედ ეს მიდამო გახდა მათთვის საბედისწერო: ცოლ-ქმარი გაიყინა, საცოდავები, უზარმაზარი თოვლის საფრის ქვეშ მოჰყვნენ. 2 თვე ითვლებოდნენ უგზო-უკვლოდ დაკარგულებად. ჩემმა უფროსმა ძმამ ჯილდოც დააწესა — 2 ტომარა სიმინდის ფქვილი მისთვის, ვინც მამას იპოვიდა — არ ჰქონდა მნიშვნელობა, ცოცხალსა თუ მკვდარს. გაზაფხულამდე მწყემსებმა მართლაც იპოვეს გვამი (ცოლის სხეული ვერ აღმოაჩინეს). ნამდვილი საოცრება იყო: მისი სხეული ისე შენარჩუნებულიყო, მიცვალებულს არც ჰგავდა — თითქოს ეძინა. მხოლოდ ერთი ხელი, რომელზეც ხელთათმანი არ ეცვა, გაშავებოდა.

როგორ ქორწინდებოდნენ უნინ? ალბათ მშობლები წყვეტდნენ შვილების ბედს...

— რა თქმა უნდა. ჩვენს ოჯახშიც, მამის თანხმობის გარეშე არავინ დაქორწინებულა. ერთ შემთხვევას გავიხსენებ. ჩვენკენ, მთებში, ოსური სოფლებია, საიდანაც ქართველ ვაჟებს ხშირად მოჰყავდათ პატარძლები, რომლებმაც ქართულიც კი არ იცოდნენ. ერთხელაც მამა, ერთ-ერთი ოსური სოფლიდან რომ ჩამოვიდა, ჩემს უფროს ძმას განუცხადა: იქ ერთი კარგი გოგო ვნახე და შენთვის დავნიშნეო. ისე დაქორწინდნენ, ერთმანეთი არც ენახათ. ვაჟი — 18 წლის იყო, ქალი კი 14-ის.

გამიგონია, რომ ძალიან ლამაზი ყოფილხართ. ალბათ ბევრი თავყვანისმცემელი გყავდათ?

— ბევრი მიხონვნილი მყავდა, მაგრამ მამა ვერავისთვის მიმეტებდა. არავინ მიანდა თავისი შვილის ტოლად და სწორად. ერთი ჩვენი სოფელი ყმაწვილი (ტეტიკაანთ ვანას ეძახდნენ) განსაკუთრებით გადამეკიდა. ახმახი, ტანადი, ჩვენი სოფ-

ძლება მეტი მიწა შეეძინა. იმ პერიოდში თავადები ნელ-ნელა ყიდდნენ მიწებს. მამა ფიქრობდა: ესენი სულელები არიან, მე კი ჭკვიანიო, ბოლოს კი მოტყუებული თვითონ აღმოჩნდა („განკულაკების“ პერიოდში).

მონულ პროდუქტს თუ ყიდდით ქალაქში?

— არა. მამას გასაყიდად მხოლოდ ხის მორები მიჰქონდა მტკვარზე (ტივებს აკეთებდნენ). დედა, მით უმეტეს ჩვენ — ბავშვები, არასდროს ვყოფილვართ ქალაქში (არც თბილისში, არც გორში). სოფლის ფარგლებს იშვიათად ვცილდებოდით. მხოლოდ გორიჯვარში (გორიჯვარობის დღესასწაულზე) დავდიოდით ხოლმე ხშირად. მივიდიოდით ურმებით, მიგყავდა დასაკლავად ქათმები და ცხვრები და ღამეს ქეთვში ვათენებდით. სამწუხაროდ, მალე დავობდით (დედა კიბოთი გარდაიცვალა).

მამათქვენს ცოლი აღარ შეურთავს?

— როგორ არა? კიდევ 3 ცოლი ჰყავდა — ყველა მასზე გაცილებით ახალგაზრდა. მეორე ცოლთან 4 შვილი გაუჩნდა, ის ბოლო მშობიარობას გადაჰყვა. მესამე ცოლიც მალე დაეღუპა. მამას კი მეოთხე ცოლთან ერთად ეწერა სიკვდილი (დედაჩემის გარდაცვალებიდან 20 წლის თავზე).

როგორ დაიღუპა მამათქვენი?

— სუფსარქისი იყო. ცოლ-ქმარი ფეხით მიდიოდა წალკისკენ (ქალის სამშობლოში). საშინელი ყინვა იყო, ქარბუქი, ისე ბარდნიდა, რომ არაფერი მოჩანდა

ელენე ხირსელი

— მარუსა ბაბო, სად დაიბადეთ, ვინ იყვნენ თქვენი მშობლები?

— დავიბადე კასპის რაიონში, სოფელ ხოლელეში. მშობლები — ილიკო და მათიკო ჯანანაშვილები, გამრჯე, შრომისმოყვარე გლეხები იყვნენ. როცა დაქორწინდნენ, დედა 14-ის, მამა კი 20 წლის იყო. მათ კარგი ცოლქმრობა ჰქონდათ. შეეძინათ 7 შვილი — 4 ვაჟი და 3 ქალი. დედა უსიტყვო, წყნარი ქალი იყო. მამას ვინმე რომ მოაკითხავდა (როცა ის სახლში არ იყო), ჭარხალივით წითლდებოდა, რცხვენოდა მამაკაცთან დალაპარაკების და მე გამეზავნიდა ხოლმე: წადი, უთხარი — ილო შინ არ არისო... მამა ძალიან მკაცრად გვზრდიდა. ერთი წუთითაც არ გვაჩერებდა უსაქმოდ. მუშაობაში ყველას ჩავგვრთავდა, ყველაზე უმცროსს — 3-4 წლის ბავშვსაც კი. საღამოობით, გარეთ ახალგაზრდები იკრიბებოდნენ გასართობად. მამა იტყოდა ხოლმე: ჩემი შვილი რომ გაერიოს მათში, ყელს გამოეჭრიო, — და აბა, მამის შიშით თავს როგორ გავყოფდით გარეთ?! ჩემი გართობა იყო ქსოვა, და-მმას სულ მე ვუქსოვდი. საჭმელ-სასმელი თავზე საყრელად გვქონდა. ყველით გატენილი უშველებელი კასრები გვედგა, გვქონდა ყველანაირი ხილი — რა გინდა, სულ და გულო... სამაგიეროდ, აბრანბულები, დაფლეთილი, დაკემილი ტანსაცმლით დავდიოდით. მამა ფულს იმისთვის ზოგავდა, რომ რაც შეი-

ინფორმაციულ-მედიაციური კოლაჟი

ეონა დვალის უბის ნივნაკიდან:

1. გოდერძი მახარაშვილის ტანკი 416 ნომერი იყო.
2. ამერიკულ გრიზლის არაფრის და არავისი არ ეშინია.
3. პაიაიანე ტბა არის ფინეთში, ოუვიასკი-ულაა – ქალაქი.
4. 1913 წელს, ჰიათურა მსოფლიო მარ-განეცის 40%-ს იძლეოდა.
5. არჩილ ჯორჯაძე ბათუმის ერთ-ერთ სასტუმროში გარდაიცვალა.
6. რონალდ რეიგონის არგენტინული ფეხბურთის პრინცს ეძახიან.
7. ტოკიოს კოლეჯის სასკოლო ფორმა 1882 წლიდან არ შეცვლილა.
8. „ონ სოხდალ ინტანაციუ ვ რუსესკოი კულტურე,“ – ამბობენ რუსები ბულატ ოკუჯავაზე.
9. პინგვინები 20 მეტრის სიღრმეზე ყვინთავენ და ცურვისას შეუძლიათ 50 კილომეტრი საათის სიჩქარე განავითარონ.
10. ყველაზე მეტი ფეხბურთელი წლე-ვანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე ფეხბურთ-ში მილანის „ინტერმა“ წარმოადგინა. კო-რეა-იაპონიაში ამ კლუბის 13 წევრი გაემე-ზავრა.
11. დენუნციატორს ჩვენებურად „ჩამშვე-ბი“ ჰქვია, მამაპაპურად კიდევ სხვა რამესაც ეძახიან.
12. მალარიის გამომწვევ კოლოს მატლებს პატარა თევზი გამბუზია ანადგურებს. იგი შვიდ სანტიმეტრზე დიდი არ იზრდება და ცოცხლადმშობია.
13. არგენტინის საფეხბურთო ნაკრების კაპიტანს, ზუან სებასტიან ვერონს, მარჯვენა მხარზე ერნესტო ჩე გევერას სვირინგი აქვს გაკეთებული.
14. გესტაპო აბრევიატურაა და ასე იში-ფრება: ეპიქმე შტატასპოლიზეი – საიდ-უმლო სახელმწიფო პოლიცია.
15. ოთხსტრიქონიანი ლექსი – ღუბათი, ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა სპარსულ-ტავჯიკურ ფოლკლორში.
16. სავარჯიშო მოწყობილობას კრივში, რომელიც გრძელი ზამბარით ჭერზე ჩამოკ-იდებულ ბურთს წარმოადგენს, ხოლო იატაკზე თოკითაა დამაგრებული დოპელენდბოლი ჰქვია.
17. ქართულ მხატვრულ ფილმში „ღონ კიხოტი“ თემურ წიკლაური თამაშობს, „ახ-ალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა-ში“ – ჭაბუა ამირეჯიბი, „შემოდგომის მზ-ეში“ – ლადო გუდიაშვილი.
18. „მკირფასო დაო მარიამ, მე სოფლად ცხოვრება აღარ შემიძლია, ფიზიკურმა შრომამ გამტეხა წელში. ახლაც ავად ვარ. ახლა სიმშვიდე და წაძლობა ჩემთვის საჭირო.

საუკუნის ტოლი



მარიამ სოლულაშვილი შეილებთან – მაყვალასა და რემოსთან ერთად. 1950-იანი წლები

ლის ავანგარდნი და ჩხუბისთავი იყო. მან ჩემი მოტაცება გადაწყვიტა (16 წლის ვიყავი). ერთ დღეს ჩემმა რძალმა, ახალმა პატარძალმა, მიხოვა: ქალო, შენ გენაცვალე-ვერ გიბედავ და იქნებ, წყალი მოიტანო – ლობიო უნდა შევდგაო. მეც ავიღე კოკა და წყაროზე წავიღე. წყაროსთან ვიყავი უკვე, რომ ზურგზე ვილაცის ღონიერი ხელი ვიგრძენი, მივიხედე და ტექტიკანთ ვანა რომ დავინახე, გავიქციე, მაგრამ მისი ორი მეგობარი წამომეწია. ერთ-ერთმა თმაში ჩამავლო ხელი და ასე, მიწაზე ფორთხი-ალით, ვანას სახლამდე მიმთრია. თავად ვანა გარეთ დარჩა. შინ ჩემი სადედამთი-ლო და ახალი პატარძალი იყო. გტიროლი, ვწიოკობდი, გაქცევას ვლამობდი. სახლ-თან მთელ სოფელს მოეყარა თავი. ჩემი რძალიც გამწარებული მოვარდა და ქვე-ბით ჩაამსხვრია ფანჯრის მინები. მამაჩე-მის ეშინოდა ძალიან: რომ გაიგოს, მე გავგზავნე წყალზე, გამაგდებს... ჩემმა ძმამაც მიატოვა ცხვარი და უძალე იქ გაჩნდა. ჩემი ბიძაშვილებიც მოცივიდნენ ხანჯლებით და სულ დაჯიჯგენეს კარი. როგორც იქნა, კარი შემომატვრის. ფეხშიშველი, თმა-გაწეწილი, კაბაჩამოხეული გამოვვარდი გარეთ. ბრბომ ახლა ჩემს სახლთან გად-მოინაცვლა.

მამათქვენი სად იყო ამ დროს?

– მომხდარი მამას ყურამდე რომ მივიდა, უკვე შინ ვიყავი. ის და დედა სოფლიდან მოშორებით საყავრეში იმყო-ფებოდნენ. მამამ ცუდი ამბის მიმტანს, ერთი მაგრად ჩაცხლო თავში, აიღო თივის დიდი ორკაბიანი ჩანგალი და სოფელში გამოიქცა. ისევ მე დამადანაშაულა, მეჩხ-უბა – როგორ მოგე-რიენენო?! ბიძაშვილ-მა მხარი დამიჭირა: რას ამბობ, კაცო, ტე-ტიკანთ ვანას ვინმე მოერევაო?! მამა იმავე დღეს გაემურა ახალ-ქალაქში საჩივლეულად. თუმცა, ამას აზრი არ

მარი ბაბოს შეილები რემო და ვალიკო ჯარში ყოფინას. 1951 წ.



ჰქონდა, რადგან ისინი უკვე მოექრთამთ ვანას ახლობლებს. იმ დამეს, მამა რომ წასული იყო, სახლშიც კი მოგვეჭრნენ მომტაცებლები და იქამ-დე არ გაიქცნენ, სანამ სროლა არ აუტეხეს ჩემმა ბიძაშვილებმა.

რატომ არ უნდოდათ თქვენებს ასე ძალიან ეს კაცი სასიძოდ?

– გარდა იმისა, რომ მამას ის პი-რადად არ მოსწონდა, ეს ერთგვარი პაექრო-ბაც იყო: როგორ უნდა გვაჯობონ? – ეს ხომ გვარის დამცირება იქნებაო!..

მერე, როგორ დასრულდა ეს ამბავი?

– მამას ურჩიეს, ცოტა ხნით იქაუ-რობას გავერიდებინე და სოფელ ხიდის-თავში, ნათესავთან ჩამიყვანა. ეს ოჯახი ძალიან ვიწროდ ცხოვრობდა: ერთ დიდ ტახტზე სამი ცოლ-ქმარი იწვა, იმავე ოთახში იწვნენ მათი შშობლები და შვილე-ბი. მეც იქ გამიშალეს ლოგინი. ისე მრცხვენოდა, აღარ ვიცოდი, რა მექნა. ისე გავეხვეოდი საბანში, თავიც არ მიჩანდა. არც მე მინდოდა დამენახა რამე და არც ის მინდოდა, სხვას რომ დავენახე ვინმეს. მომტაცებლებმა იქაც ჩამომაკითხეს. სხვა გზა არ იყო, უნდა გავეთხოვებინე, ამიტომ გამირიგეს ამავე სოფელში მცხოვრები გლეხი ივანე სოლულაშვილი. 16-ის ვიყავი, ის კი 23 წლის.

მოგეწონათ საქმრო?

– წესიერად არც კი მინახავს. ჩემს სანახავად რომ მოვიდნენ, სასიძოსთვის არც კი შემინებდავს (ასეთი წესი იყო). მე ვინ რას მეკითხებოდა? – შშობლები წვევტდნენ ყველაფერს.

როგორ წარიმართა თქვენი ცოლქმრული ცხოვრება?

– ძალიან კარგი ურთიერთობა გვექონ-და. თავიდან, ჩვენც, ყველანი ერთ ოთახში ვიწვეით: მე და ჩემი მეუღლე, მახლი და დედამთილი (საბანში ტოლმასავით გავეხ-ვეოდი, რამე არ გამომინდეს-მეთქი). სა-ბედნიეროდ, მალე, ერთი ოთახი მივაშენეთ და მეც ამოვიხუნთქე. სრულიად ახალ-

გაზრდა, 40 წლის ასაკში დაექვევრდები.

როგორ დაიღუპა?

რკინიგზის ხიდზე ღამის დარაჯად მუშაობდა (1941 წელი იყო). ერთხელაც, სიბნელეში წაიქცა და თავი ლიანდაგს დაარტყა. სამსახური მაინც არ მიუტოვებია, მაგრამ იქ ჩაეძინა და ძილში გარდაიცვალა - ტვინში სისხლი ჩაექცა. მეგონა, ცხოვრება დასრულდა. მას შემდეგ, აგერ უკვე 60 წელიწადია, არც შავები გამიხდია და არც თავმალი მომიხდია.



შვილ-რძალთან, შვილიშვილთან და შვილთაშვილებთან ერთად

თქვენ თუ გიმუშავიათ სადმე?

40 წელი - 80 წლის ასაკამდე (სანამ შვილი დამეღუპებოდა) კოლმეურნეობაში ვმუშაობდი. როგორც მოწინავე მუშამ, მრავალი მედალი და სიგელი მივიღე, თუმცა, დღენისთვის არც ერთი აღარ შემრჩა: ყველა, ბავშვებს და ვურთიგე. მხიარული, სიცოცხლით სავსე ქალი ვიყავი, მიყვარდა ჩემი საქმე, იმხელა ენერჯია მქონდა, ახალგაზრდა ბიჭებს ვეჯიბებოდი მუშაობაში. სამწუხაროდ, კოლმეურნეობამ, ჩემი იქ მუშაობის დამადასტურებელი საბუთები დამიკარგა, ამიტომაც ვერ ვიღებ ჩემთვის - შრომის ვეტერანისთვის განსაზღვრულ პენსიას - 35 ლარს.

ახლა თქვენს შთამომავლებზეც მოგვიყვით.

5 შვილი გამიჩნდა. დღეს მხოლოდ ერთია ცოცხალი - რეზო, 77 წლის (ვისთან ერთადაც ვცხოვრობ). პირველი შვილი უღლეური დაიბადა და მაშინვე გარდაიცვალა. მეორეა რეზო, მესამე იყო ილო - 23 წლის წინ, 50 წლის ასაკში ავტოავარიამი დაიღუპა. მეოთხე შვილიც უღროდ დამეღუპა; ბოლოს, მეხუთე - მაყვალა, რამდენიმე წლის წინ, სიმსივნისგან გარდაიცვალა. მყავს 8 შვილიშვილი, 12 შვილთაშვილი. მეოთხე თაობას მოვესწარი - მყავს შვილიშვილის შვილიშვილიც. ზოგი თბილისში ცხოვრობს, ზოგი გორში, ზოგი კი ჩემს სოფელში.

თქვენზე მითხრეს, როდესაც შვილი ავტოავარიაში დაეღუპა, თავის მოკვლა სცადაო.

ვაშლის შხამი (უძლიერესი შხამია, ადამიანის გადარჩენა თითქმის გამორიცხულია) ჩავასხი შამპუნის ბოთლში და გადავკარი. ძალიან ცუდად გავხდი. სასწრაფოდ გამაქანეს გორის საავადმყოფოში და კუჭი ამომიღებეს. ექიმების გასაოცრად, არაფერი დამიზიანდა ორგანიზმში: სხვათა შორის, ჩემი იქ ყოფნის დროს, ახალგაზრდა ქალი, 3 შვილის დედა მოიყვანეს (ქმარმა უღალატა), რომელმაც იგივე საწამლაგი დალია, მაგრამ ის ვერაფრით გადაარჩინეს - ნახევარ საათში

გარდაიცვალა.

ახლა თუ შეგიძლიათ მუშაობა? რას აკეთებთ ხოლმე სახლში?

ჩემს თავს მე თვითონ ვუვლი. მიყვარს სისუფთავე, ხშირად ვბანაობ, თავად ვირეცხავ ტანსაცმელსა და თეთრეულს. არ მიყვარს წოლა და ჯდომა, სულ დავდივარ: ხან ბაღში, ხან ეზოში, ხანაც მეზობლებთან ვაკვიდვარ. ხალხმრავლობა მიყვარს ძალიან. მიყვარს ადამიანებთან საუბარი. უზომოდ ცნობისმოყვარე ვარ და ყველაფერი მაინტერესებს.

ჯანმრთელობას ხომ არ უჩივით?

ცოტა მუხლი მაწუხებს, თორემ, ისე არაფერი მტკიავს. ექიმთან არასდროს ვყოფილვარ. ცხოვრებაში არაფერი მტკივებია, არ ვიცი სად მაქვს გული, ღვიძლი ან თირკმელი... მეხსიერება და აზროვნება ძალიან კარგი მაქვს. ხშირად ჩემს შვილიშვილებს, რამე რომ დაავიწყდებათ, ისევ მე შევახსენებ ხოლმე. მრავალი ათეული წლის წინ მომხდარი ამბები კი, სულ დაწვრილებით მახსოვს.

ძირითადად, რას მიირთმევთ?

ძალიან მიყვარს მცენარეული საკვები. ვაკეთებ სხვადასხვა ბალახის შეჭამანდს: ჭინჭრის, დოღოს (ნივგზით არ მიყვარს, მხოლოდ უბრალოდ მოხარშულს ვჭამ). მიყვარს ხილი, მწვანილი, კამეჩის მარცხენი. საერთოდ, ბევრს არ ვჭამ.

როგორ ფიქრობთ რაში მდგომარეობს თქვენი ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის საიდუმლო?

ალბათ თვითონ ორგანიზმი მაქვს ძლიერი. თუმცა, ალბათ ჩემმა აქტიურმა ცხოვრებამაც იმოქმედა და კიდევ იმან, რომ არასდროს ვყოფილვარ ღორმუცელი. ძალიან ცოტა ყოფილა ერთი საუკუნე - თვალის დახამხამებაში გაიბრინა. თითქოს გუშინ იყო ყოველივე დრო უღობიერი და ვერავა. ისე მიქრის, შენ არც არაფერს ვეკითხება. ხანდახან მგონია, ისევ ის 16 წლის კოხტა და კოპწია გოგო ვარ... ■

ინფორმაციულ-შეფასებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალის უბის წიგნაკიდან:

საზოგადოებას თუ რაღმე ეფასება ჩემი თავი, უნდა მიპატრონოს. იქნებ რამე სამსახური გამომიძებნოთ. წერილს სხვებს არავის ვწერ, რადგან ვიცი, ჩემთვის თავს არავინ გაიცხელებს. თქვენი მარად პატივისმცემელი ვაჟა-ფშაველა: - ეს წერილი 1909 წელს არის დაწერილი.

19. მარადონას გაცილების შემდეგ არგენტინაში გადავწყვიტეს, რომ ქვეყნის ნაკრებში 10 ნომრით აღარავის ეთამაშა, მაგრამ ფიფა ამის სასტიკი წინააღმდეგი გამოვიდა და ამყამდ, როგორც წინა ჩემპიონატში, 10 ნომრით დანიელ ორტეგა ასპარეზობს.

20. რედიარდ კიპლინგის „მაუგლის“ ყველა პერსონაჟ ცხოველს თავისი საფიცარი სიტყვა ჰქონდა: შერ-ხანი მის მიერ მოკლულ ხარს იფიცებდა, მაუგლის დედა-მეგლი - მის მიერ მოკლულ სამბჰურს, ბაგირა - მის განმათავისუფლებელ დამსხვრეულ კლიტეს (შავი ავაზა ადამიანებს შორის, გალიაში იყო დაბადებული და გაზრდილი, შემდეგ დაამსხვრია კლიტე და ჯუნგლში გაიქცა), პითონი კაა - თავის პირველ კვერცხს, ხოლო თავად მაუგლი - ბაგირას მიერ მოკლულ ხარს, რომლითაც შავმა ავაზამ პატარობაში მისი სიცოცხლე გამოისყიდა. შ. „მაუგლის“ ვერც ერთი ეკრანიზაცია ოდნავაც ვერ ასახავს კიპლინგის ამ ნაწარმოების სილამაზეს.

21. „ბორჯომის“ რეკლამაში გადაღების შემდეგ ქუჩაში ბავშვები დამსდევდნენ ყვირლით „ბორჯომი, ბორჯომი!“ - ყვებოლა დუტა სხირტლაძე.

22. ვერცხლის ჯვარი, ოქროს გვირგვინით შექმული გელი, მხედარი, ცხენის თავი, ექსი ლომი, ცხვარი, დათვი, 16 გული, სამი გვირგვინი და ურჩხული. ეს ყველაფერი დანიის გერბზეა გამოსახული.

23. „საფერავი“ მიყვარს ძალიან, მელანივით რომ დარჩება ჭიქაზე, - თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში ოთარ მელენიეთუხუცესმა.

24. როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ჰოლივუდ-ტაისონის ამ რამდენიმე წლის წინანდელ მატჩზე ტაისონმა მეტოქეს ყური მოაჭამა. ამ ინციდენტის ამსახველი კადრები ერთმა ფირმამ სარეკლამო რგოლში შენელებული ჩვენებით გაუშვა. ასეთი ფორმით ფირმამ თავის ვებგვერდებზე რესტორანს გაუკეთა რეკლამა.

25. გიორგი ჩართოლანს ერთ-ერთ თავის გადაცემაში მამა-შვილი, გელა და ირაკლი ჩარკვიანები, ჰყავდა მიწვეული. გადაცემის დასასრულს გელა ჩარკვიანმა იხუმრა, ამ გადაცემის შემდეგ თბილისში ანეკლოტი გაჩნდება. „ქიმიურიონი“ სამი სვანი იჯდა და შონბერგზე ლაპარაკობდაო. ■



ასაჟის მეშვეობით არა მარტო ახალგაზრდობის დიდი ხნით შენარჩუნება, არამედ მრავალი ავადმყოფობის განკურნებაც შეიძლება. დიდი ხნის განმავლობაში, კლექოპატრამ უძილობა და შაკიკი აწუხებდა. ერთხელ, მონა დედოფალს დაჰპირდა, რომ ამ უსიამოვნებისგან სრულიად განკურნავდა. კლექოპატრამ კი, წარმატების შემთხვევაში, სანაცვლოდ თავისუფლების მინიჭება და დასაჩუქრებაც აღუთქვა. ყოველ დღით მასაჟისტი კლექოპატრას საძინებელში მომცრო ზომის ქოთნით შედიოდა, რომელშიც მკვდარი ზღვის ოღნავ შემთბარი ტალახი ესხა. ახალგაზრდა მონა ამ ტალახს კლექოპატრას, მხრებზე, ყელსა და ხერხემალზე უსვამდა და შემდეგ, ნელ-ნელა იწყებდა სხეულზე სამკურნალო ტალახის შეზღვევას. მასაჟის შემდეგ მონა თავისი ხელისგულებით უხუჭავდა თვალებს კლექოპატრას და დედ-

„ამქვეყნად ყველაზე დიდ სიამოვნებას სხეულის სრული მასაჟი მანიჭებს“, – ეუბნებოდა თურმე ეგვიპტის ლეგენდარული დედოფალი კლექოპატრა თავის საყვარელ მამაკაცს მარკუს ანტონიუსს. სიამოვნების ფასი კი დედოფალმა საკმაოდ ხარგად იცოდა.

სამკურნალოება



ოფალიც მშვიდად იძინებდა. ავადმყოფობამ კლექოპატრას საკმაოდ მალე გაუარა, მაგრამ თავის მხსნელ მონას ვეღარ შეეღია და შეპირებული თავისუფლება არ უბოძა.

მკვდარი ზღვისა და სამკურნალო წყაროების ტალახისგან შექმნილ კოსმეტიკურ ნაწარმს ოდითგანვე ძალიან აფასებდნენ. სახისთვის განკუთვნილი ტალახის ნილაბი კანის ფერს აუმჯობესებს, მკვდარ უჯრედებს აქრობს და წვრილ ნაოჭებს ასწორებს. სანამ ნილაბი გაშრება, თითის ბალიშების მსუბუქი დარტყმით ის კანზე უნდა შეიზილოთ; ეს პროცედურა შუბლის არედან უნდა დაიწყეთ. ცხვირის ნესტოებთან, წარბებთან, ნიკაპის შუაში და საფეთქლებზე

დარტყმა ოღნავ გააძლიერეთ და თითი მცირე ხნით კანზე მიჭერილი გააჩერეთ. სწორედ ამ ადგილებშია განლაგებული ის წვრილიტილები, რომელიც კუნთების მოღუნებას, სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესებასა და ორგანიზმის დამცავი ძალების აქტივიზაციას უწყობს ხელს. უმჯობესი იქნება, თუ ამ დროს, ქუთუთოებზე ცხიმთან მკვებავ კრემს წაისვამთ. მასაჟი მაშინ შეწყვიტეთ, როცა ნილაბი გაშრობას დაიწყებს.


ტალახის ნილაბი მთელ ტანსაც ძალიან რგებს. ის ხელს უშლის ცელულიტის წარმოქმნას და მისი წყალობით კანი უფრო რბილი და ელასტიკური ხდება. მაგალითად, ცნობილმა ამერიკელმა კინოვარსკვლავმა ნორ შირერმა ტალახის

აღამიანის მაგვარი მარტუნი	- მიშველე, ... ვილუკები! („წუნა და წრუწუნა“)	პარტია „... მეპარჯევენები“	კინოსთან კავშირშია: პრიქველი, ... რიმიეი	სურამის ქედი ანუ ... ქედი	მდინარე რომში			
ბოი	იევი	სხეი	ასანი	სიქველი	დი	სისი	სი	ხი
ქალაქი - სტალინის სამშობლო	თხელი ტალახი	„ზაფხულია, ... ბუღ ასდის ქალაქს“	კარგი გუნება	ნაწილაკი რაჭულ დილექტში	მომღერალი ... ბეგელია	ხამი წყალი	ბრიგადის	

მასაჟების მეშვეობით წონაში 16 კილოგრამის დაკლება, სახის, ყელის, მუცლისა და თეძოების კანის დაჭიმვა და ფეხების ახალგაზრდული ფორმის აღდგენა ისეთნაირად შეძლო, რომ კვლავ დაუბრუნდა კინემატოგრაფს, რომლის კარი მისთვის თითქოს უკვე საბოლოოდ დახშული იყო.

მასაჟსა და ტალახის აბაზანებს ლეგენდარული მსახიობი მერილინ მონროც აქტიურად იყენებდა. მისი სპილოსძვლისფერი ხავერდოვანი კანის საიდუმლოს სწორედ სამკურნალო ტალახი წარმოადგენდა. ამბობენ, რომ ერთხელ, ჯონ კენედიმ გადაწყვიტა, საყვარელი ქალი მოულოდნელად მოენახულებინა. გოგირდწყალბადის სუნით გაჟღერებული და ტალახწასმული მერილინის დანახვაზე კენედიმ წარმოთქვა: „არ მეგონა, თუ შენი პრეზიდენტისთვის ასეთი მსხვერპლის გაღება შეგეძლო“. — „ვინ მოგასენა? — ჩემი კანი მარტო შენ კი არა, მთელ ამერიკას ეკუთვნის!“ — ჩაიცინა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა მერილინმა.

ნეტოლდ - ჟღერ



მასაჟის სახეობათაგან მერილინ მონროს ყველაზე მეტად, ბრძული მოსწონდა. ამგვარი მასაჟის მიმზიდველობა ის არის, რომ მის შემდეგ ადამიანი დაღლილობას არ გრძნობს და არც ეძინება. მასაჟი ძალიან ეფექტურია მათთვის, ვისაც ნივთიერებათა ცვლის დარღვევის გამო, ზედმეტი წონა აწუხებს. ამ მასაჟის ჩასატარებლად სჯობს, სპეციალისტს მიმართო, თუმცა, ოჯახის წევრიც შეგიძლიათ დაიხმაროთ. მასაჟის დაწყებამდე, მუცელზე, ორ ბალიშზე უნდა დაწვეთ. პროცედურა კისრის არედან ხერხემლის დაბოლოებამდე, სამკურნალო ტალახის ძალდაუტანებელი შეხელებით იწყება. შემდეგი ეტაპი კვლავ კისრის არედან ქვევით, ხელების შემხვედრი მოძრაობაა. მომუშტული მარჯვენა ხელის ძვლებით შედარებით ძლიერი მასაჟი ხერხემლის არეში კეთდება. ამას მსუბუქი „ჩქმეტა“, ხელისგულის გვერდითი ნაწილით მსუბუქი „ხერხვა“ და გაშლილი ხელისგულებით ზურგზე ნაზი მოძრაობა მოჰყვება. შემდეგ მასაჟი გადაჯაჭვული ხელებით, ისევ კისრიდან იწყება და ქვევით — თეძოებსა და ფეხებზე გადაინაცვლებს.

ამ მასაჟის რეგულარული ჩატარება მუხლისა და კოჭის არედან ეფექტურად „ხსნის“ ზედმეტ სანტიმეტრებს. მასაჟი თითების ბოლოებით, ზურგზე ფრთხილი მოძრაობით უნდა დაასრუ-

ლოთ. ამ დროისთვის ტალახის ნილაბი ტანზე უკვე გამშრალი უნდა იყოს. ოცი წუთის შემდეგ, რეკომენდებულია თბილი შხაპის მიღება, რომელსაც ტალახის ჩამორეცხვისთანავე, ოდნავ გააცივებთ. ყოველივე ამის შედეგად, თქვენი კანი ნაზ ვარდისფერ ელფერს შეიძენს, წონაში დაახლოებით სამას გრამს დაიკლებთ, ხოლო ორგანიზმი მრავალრიცხოვანი ტოქსინისგან და ზედმეტი სითხისგან გათავისუფლდება. მასაჟის ეფექტის გასაძლიერებლად, ტანი ხაოიანი პირსახოცით შეიმშრალეთ და კანზე მკვებავი მალამო შეიზილეთ.



გამოდი, კუთანი	წყალქვეშა კაღე	ბუღისტია მასწავლებლები	გულ-ღვიძლის ძეხვი	ქართული ფულის ერთეული	ბერძენი მილიარდერი, არისტოტელე ...	დედამიწის სფეროს ყველაზე ცხელი სარგველი
ა	ვ	ი	ო	ვ	ი	ა
ხელმძღვანელი	სპორტის სახეობა: ... სრილი	შიში ... ისხის სიკვდილსა...	ილიკო ჩიგოგიძე და ... შექრდნაძე	პირველი სამიშნა რიცხვი	ხილის გაზიანი სასმელი	რიცხვი 3,14
						ეტიმოლოგიური ლექსონი

სალომე შოშიტაშვილი

ცოდვა გამხელილი სჯობს და ქართველები თუ ხმაღ-სატყვირის უბადლო ოსტატობით იწონებენ თავს, თოფისა და ზარბაზნებ ისტორიაში მაინცდამაინც დიდი წარმატებისთვის ვერ მოუღწევიათ. უფრო მეტიც, როდესაც მტერი ზარბაზნებით მოდიოდა, ქართველებს თითო-ორიოლა თოფი თუ ჰქონდათ და მათი იმედი მკლავის ძალა და ბასრი სატყვიარი იყო...

საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღი XVI საუკუნიდან შემოსულა. ერთი საუკუნე დასჭირვებია, რომ ადგილობრივ ოსტატებს თოფების დამზადება შესწავლათ, თუმცა საუკეთესო ლულები საზღვარგარეთიდან შემოდიოდა (მხოლოდ მოგვიანებით დაუწყიათ ადგილობრივის წარმოება). ასე ჩნდებოდა ქართულ სინამდვილეში ირანული და თურქული იარაღი (აღნიშნული იარაღი მეტწილად ბრძოლაში მოპოვებული ნაალაფარი იყო). რაც შეეხება ევროპიდან ტრანზიტს, ქართველებს ოსმალეთი უშლიდა ხელს და იბუღებულნი იყვნენ თოფები თუ ლულები ყირიმის გზით შემოეტანათ. ასე დამკვიდრა ჩვენს ფოლკლორში ხირიმის თოფი, რომელიც შეიძლება ყირიმელიც ყოფილიყო და უფრო ხშირად ფრანგულ-იტალიური...

მოგვიანებით, ქართველმა მეფეებმაც მოიცალეს თოფებისთვის. ამ მხრივ, განსაკუთრებით ერეკლე მეორემ გამოიჩინა თავი. XVIII საუკუნის 80-იან წლებში თბილისში ცეცხლსასროლი იარაღის ქარხანა დაარსდა, სადაც თოფების გარდა ქვემეხებსა და ზარბაზნებსაც ამზადებდნენ. ძველ თბილისში რამდენიმე ცნობილი თოფხანაც არსებობდა.

რაც შეეხება თოფის წამლისა და ტყვიის დამზადებას, ამ საქმეში ჩვენს წინაპარს დიდი წარმატებისთვის მიუღწევია. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ამზადებდნენ თოფის წამალს. თუშეთის სოფლებში დართლოსა და ილიურთაში დღესაც შემონახულია წამლის სანაყი ვებურთელა ქვები, შუაში მრგვლად ამოთხრილი, რომელშიც „ნაყავდნენ“ წამალს (იგი ძირითადად თხილის ან ვერხვის ხის ნახშირისა და გოგირდის ნაზავს შეადგენდა).

ადგილობრივი მეწარმეები ამზადებდნენ აგრეთვე ტყვიასაც. ტყვიას გააღებდნენ დიდ, საგანგებო ტაფაში და რკინის სპეციალურ ყალიბებში ჩაასხამდნენ. ყალიბი იხსნებოდა, ზემოდან პატარა სვრელები ჰქონდა ტყვიის ჩასასხმელად, შიგთითაც მრგვალი ადგილები, რომლის საშუალებითაც ტყვიას სასურველი ფორმა ეძლეოდა. თბილისში განთქმული ყოფილა თოფის წამლის სარეწაო, რომელიც ვინმე ისაია თაყუაშვილს გაუხსნია XVIII საუკუნის 70-იან წლებში

ხირიმის თოფი მხოლოდ ყირიმული არ ყოფილა...

**როგორ გგონიათ,
ერეკლე მეორის ნაქონ
თოფს ავიღებთ, ჩახმასხ
შეგმართავთ და ლაგოდების
ნაკრძალში
ირემს დაგუმინებთ?**



თოფ-იარაღის სახელოსნო თბილისში (1896-97 წლების ფოტო)

და ამ სარეწაოში ასამდე მუშა ჰყოლია დაქირავებული.

ძალზეც პრიმიტიული წესით ხდებოდა თოფის დატენა, ანუ საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანა: ლულის ტუჩიდან საპირისწამლით ჩაყრიდნენ წამალს, რომელსაც ეწ. სასწრაფო-თი ჩატენდნენ, მერე ძონძს ჩაუღებდნენ, შემ-

დეგ ტყვიას, მერე კვლავ ძონძს და ხის ჩიბუხით (ზუზბოთი) ფრთხილად, მაგრამ საიმედოდ „დალუქავდნენ“.

ერთი სიტყვით, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართველთა ლაშქრის 38 პროცენტი თოფით ყოფილა შეიარაღებული.

ერეკლე მეორეს ინჟინერ-არტილერიისტა ვკუევიც ჰყოლია (პ. ანდრონიკაშვილი, გ. თარხან-მოურავი, ვ. გურამიშვილი, ს. ჩოლოყაშვილი). ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში ახლაც ინახება ქართული ქვემეხი...

აღა-მაჰმად-ხანის 1795 წლის შემოსევას თბილისის საარტილერიო ქარხანაც შეეწირა. ქართველები ვერც სამამულო ქვემეხებმა იხსნეს და თოფ-ზარბაზნის ოსტატებიც ირანის შაჰმა ოჯახებიანად წაასხა თეირანში...

ვესაურები ქართული იარაღ-საჭურვლის ახალგაზრდა მკვლევარს, ეთნოლოგ მამუკა ქაფიანიძეს.

— მამუკა, იქნებ უფრო დეტალურად მოგეითხრო, სად მზადდებოდა თოფები საქართველოში?

— თბილისის გარდა თოფხანა იყო ტყვიავში, როგორც ჩანს, ამ სოფლის სახელწოდებაც აქედან მოდის. ტყვიავში კაჟიან თოფებსა და ქვემეხებს ამზადებდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ კაჟს საგანგებოდ არჩევდნენ. ვასუშტი ბატონიშვილის თქმით, „ხრეისის (სოფელია ქართლში. — ავტ.) ქვეით ითხრების კაჟი ჩახმასისა ფრიად კარგი“. გუდამაყრელი პაპოსა და ხევსური სამწას თოფებსაც გაუთქვამს სახელი. ოზურგეთშიც აუთვისებათ დარღულიანი თოფების წარმოება. აჭარაში დამაჩების წარმოების ცენტრი ყოფილა, ეწ. მაჭახელა და აქ დამზადებულ დამაჩებსაც „მაჭახელას“ ეძახდნენ.

გუდამაყარში სახელგანთქმულ თოფის მოხელეს, პაპო მჭედელს ჩვეულებრივი თოფის ლულისგან განსხვავებული ცხრაღარიანი თოფის ლულა დაუმზადებია. მის ნახელავს ბევრი მდიდრული გასჩენია და უბრალო მჭედელი ძალე პირველი კაცი გამხდარა, თანაც იძუენად ცნობილი, რომ უძღეროდნენ კიდევ:

დემაცხის ჰაჰო მჭედელიო
ნიცვაი დედამენსაო,
დემაცხის ჩადგი ქვაცხერიო,
შორითი შეზარავს მცერისაო...
შახილო, შაიფრიონ მავანსა,
ცხრას-ცხრას შაქმსიონ ტარისაო...

— მამუკა, რას ეძახდნენ მაყარს, უცხოეთიდან შემოტანილ თოფის ლულას ხომ არა?

— მართლაც ასე იყო, მაყარი უნგრეთიდან შემოსულ თოფს ან თოფის ლულას ერქვა.

თვით სიტყვაც მადიარის ანუ ენგერელის (უნგრულის) სახეცვლილება...

სხვა ქვეყნებიდან შემოსულ თოფებს რას ეძახდნენ?

— უბრალოდ, ფრანგულს, ინგლისურს, გერმანულს, ირანულს... გარდა ამისა, სხვა ტერმინებიც გვხვდება — მაჭახელა, ხარა, სიათა, ხორასანი, ყირიზული და ა.შ.

მუზეუმის ფონდში რამდენი თოფია?

— რომ ვითხრა, სახელმწიფო საიდუმლოს ვერ გავთქვამ-მეთქი, მართალი არ ვიქნები. ჩვენთან ხუთასზე მეტი სხვადასხვა სახის თოფი თუ დამბაზა ინახება. აქ არის როგორც კაჟიანი, ასევე ფისტონიანი და ფითილიანი თოფები, ნემსიანი შაშხანები, ე.წ. ბომბარდირები და კულვერინები... თქვენი უურნალის მკითხველს, ვიცი, ისიც დააინტერესებს, ეს თოფ-დამბაზები „საბრძოლო მზადყოფნაში“ თუ არა...

ახლა ზუსტად ეგ უნდა მეკითხა, მართლა აინტერესებთ...

— როგორ გგონიათ, ერეკლე მეორის ნაქონ თოფს ავიღებთ, ჩანძახს შევმართავთ და ლაგოდეხის ნაკრძალში ირემს დაუვუძინებთ? დღეს მგონი, მხოლოდ ჩვენ, მეცნიერები ვუფრთხილდებით ეროვნულ საგანძურს... ისე კი, ალბათ, საკმარის დიდი დრო დასჭირდება გამოცდილ ხელოსანს, ეს ძველებური ყაიდის თუნდაც ერთი თოფი ან დამბაზა რომ „აამუშაოს“. გარდა ამისა, თუ ყურადღებით დააკვირდებით, კაჟიანი თოფებისა და დამბაზების დიდ ნაწილს კაჟიც კი აღარა აქვს (როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში ამოვარდა ან ამოცალეს).

ასე რომ, თოფების „ასამოქმედებლად“, პირველ რიგში, კაჟის მოძიება მოგვინევს... თუმცა სჯობს, კაჟიანი თოფი დავახსიათათ.

— კაჟიანი თოფების კონდახი, ტარი და ღარი ძირითადად კაკლის ხისგან არის დამზადებული. კონდახები მეტწილად ძველით ბოლოვდება, რომელიც ლითონის ხრახნითა დამაგრებული ლულაზე. ხის ღარში ჩამჯდარი ლულა ტარზე სამჭვალითა დამაგრებული. ლულას აქვს ორი სამიზნე (ე.წ. კორა). ერთი ბოლოში, ლულის კუდთან, ხოლო მეორე წინ — ლულის ტუჩზე. ეს უკანასკნელი შეიძლება მართკუთხედის ფორმისა იყოს და ზემოდან ჩალარული. დამიზნებისას, ბოლო კორის ნახვრეტში უნდა ჩაჯდეს წინა კორა, რომ გასროლა ზუსტი და უცდომელი იყოს. ლულა ხის ღარზე სალტყებითაა ჩამაგრებული. აქვე ნახვრეტები თასმის გასაყრელად. ხის ღარი მთლიანად გახვრეტილია სიგრძეზე და ეს ხვრელი განკუთვნილია ზუმბოს — „ხის ჩიბუხისთვის“. ხის ტარში ზის ჩანძახი, იგი შედგება ჩანძახის ფისგან, ანუ დამცემი მექანიზმისგან, კვეისგან და სასხლეტი რკალისგან. ყბა და კვეისი სადგარზეა (ლითონის სქელ დაფაზე)



ფისტონიანი ლულის დამბაზები

დამაგრებული და ჩანძახის მექანიზმის დამჭერ ფოლადის ფირფიტას ეყრდნობა. ჩანძახის ყბაში ვდება კაჟი და მავრდება ხრახნის საშუალებით. სასხლეტი რკალი, ჩანძახის ქვემოთ, ხის ტარის შუაშია მოთავსებული და ყბას ზამბარით უკავშირდება. ჩანძახის შეწყნებისას სასხლეტი რკალი მოძრაობაში მოდის, ხოლო სასხლეტი რკალის თითის გამოკერისას ყბა ძლიერად ეცემა ფოლადის კვესს, რომელიც ჩანძახის სადგარზე ანჯამითაა დამაგრებული. როდესაც კაჟი დაეცემა კვესს, წარმოიქმნება ნაბურწკლები, კვესი ანჯამის საშუალებით უკან გადავარდება და ნაბურწკალს გზას მისცემს ლულის ბოლოში არსებულ ვიწრო მილში მოსახვედრად, სადაც თოფის წამალია — ხდება აფეთქება და შესაბამისად, გასროლა.

— სიმართლე გითხრა, თითქმის ვერაფერი გავიგე, თუმცა ყველაფერი სიტყვასიტყვით ჩავიწერე და ვფიქრობ, იარაღის მოყვარულთათვის საინტერესო იქნება კაჟიანი თოფის მექანიზმი. ამ თოფით ხომ არცთუ ისე შორეულ წარსულში ჩვენი წინაპარი მარტო მწყერზე და მეღობურებზე კი არ ნადირობდა, მტერსაც ებრძოდა.

ერთ ძველთბილისურ ფოტოზე, რომელიც 1896-97 წლებითაა დათარიღებული, თოფიარაღის სახელოსნოა გამოსახული.



კაჟიანი თოფები კაჟით (ზემოთ) და კაჟამოცლილი



— ძველ თბილისში არაერთი სახელოსნო და ღუქანი იყო, სადაც თოფიარაღს ნახავდით. იარაღზე მუშაობდნენ არა მხოლოდ მეთოფეები ან მეჩანძახეები, არამედ ოქრომჭედლებიც, რომლებიც თოფებსა და დამბაზებს რთავდნენ. ამიტომ, არცთუ ისე იშვიათია ქართული ოქრომჭედლების „ხელწერა“ როგორც საქართველოში დამზადებულ, ასევე უცხოეთიდან შემოტანილ თოფებზე.

ინახება თუ არა მუზეუმში ცნობილი ადამიანების თოფები?

— ჩვენთან ინახება ერეკლე მეორის, გიორგი მეთორმეტის, სოლომონ პირველისა და სოლომონ მეორის კაჟიანი თოფები, ვერცხლით გაწყობილი, წნული ვერცხლისვე ორნამენტებით მორთული, ოქრო-ზარნიშმანი წარწერებით... ასევე ვინახავთ წარსულში ცნობილი მრავალი ადამიანის შემოწირულ იარაღს...

ახლა რაც შეეხება დამღებს.

— დამლა თითქმის ყველა თოფს (და საერთოდ საჭურველს) აქვს. ძირითადად იგი ლულაზე ან ჩანძახის ფირფიტაზე კეიდებოდა. დამლები არა მარტო ოსტატის ან თოფის პატრონის ვინაობას გვაძენობს, არამედ იარაღის ვარგისიანობასაც. ასე მაგალითად, თურქულ თოფებზე ხშირად შეხვდებით ხელოსნის მიმინშებულ დამლასთან ერთად მეორესაც, რომელშიც ჩაწერილია სიტყვა „მეტიხან“, რაც ნიშნავს „გამოცდილია“ — ესე იგი, თოფმა გამოცდა გაიარა...

ჰო, მართლაც, ღუელის დამბაზები თუ გაქვთ?

— გვაქვს რამდენიმე კომპლექტი, ძირითადად, ვეროპული, თუმცა ერთი მათგანი თბილისშიც დაუმზადებიათ. სამწუხაროდ, ცნობილი არ არის, ამ დამბაზების წყვილებიდან რომელიმე გამოიყენეს თუ არა ღუელში...

ღუელის დამბაზები ისეთ მოხდენილ ყუთებშია მოთავსებული და ისე თვალისმომჭრელად გამოიყურება, რომ ძველი წარმოსადგენია ორი მოქიშპის ხელში...

რა თქმა უნდა, თოფიარაღით დაინტერესებულ მკითხველს კიდევ მრავალი შეკითხვა დარჩა პასუხსაუკეთელი. ამიტომ, კარგი იქნებოდა, სახელმწიფო მუზეუმშიც თუ შეივლიდით, სადაც იარაღის მართლაც საინტერესო კოლექციებს ნახავდით...

«მსოფლიო ჩემპიონატი მაინც დაგვიტოვებ!»

ალექსი რეხვიაშვილი

ჯერ კიდევ 1956 წელს, შვედეთში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატამდე ორი წლით ადრე, ლისაბონში ფიფას კონგრესი გაიმართა, რომელზეც 1962 წლის მუნდიალის მასპინძელი ქვეყნის საკითხი წყდებოდა. ტურნირის ორგანიზატორობის სურვილს კი, იმ დროისათვის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, არგენტინა და ჩილე გამოთქვამდნენ. ამ შემთხვევაში ფიფას კონგრესის დელეგატებმა პრინციპულადაა გამოიჩინეს, ევროპასა და სამხრეთ ამერიკაში მუნდიალის მონაცვლეობით ჩატარების შესახებ წლების წინ მიღებული შეთანხმება გაითვალისწინეს და მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის მსურველი ქვეყნებიდან დასავლეთ გერმანია გამოირიცხეს. ასე რომ, არჩევანი ჩილესა და არგენტინას შორის უნდა გაკეთებულიყო. არგენტინას კი, თავის კონკურენტთან შედარებით, იმ დროისათვის დიდი უპირატესობა ჰქონდა: ამ ქვეყანაში უკვე მზად იყო სტადიონები, რომელზეც შესაძლებელი გახდებოდა მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების გამართვა და ისევე, როგორც დღეს, ფეხბურთი გაცილებით მაღალ დონეზე იყო განვითარებული, ვიდრე ჩილეში, რომელიც პინოჩეტის სამხედრო გადატრიალებამდე 11 წლით ადრე, ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისს მოეცვა. გარდა ამისა, ჩილეს ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებს მნიშვნელოვანი წარმატებებისთვის არასოდეს მიეღწია, რაც მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლად ამ ქვეყნის არჩევნისათვის კიდევ ერთი უარყოფითი ფაქტორი იყო. ერთი სიტყვით, არგენტინასთან შედარებით, ჩილე მეტისმეტად არასახარბიელო სიტუაციაში აღმოჩნდა. და მაინც, მუნდიალის ორგანიზატორობისთვის დაეა მანც ამ ქვეყნის სასარგებლოდ გადაწყდა, რაშიც უმთავრესი დამსახურება ჩილეს ფეხბურთის ფედერაციის თავაკის, კარლოს დიტბორნ პინტოს მიუძღოდა. 32 წლის პინტო თავისი ქვეყნის მოსახლეობას შეჰპირდა, რომ პლანეტის უმთავრეს საფეხბურთო ტურნირს ჩილე უმასპინძლებდა და დანაპირები შეასრულა კიდევ და ამაში, მისთვის თვით 1960 წლის მაისში მომხდარ სამხედრო მიწისძვრასაც კი არ შეუშლია ხელი, რომელმაც 5 ათასზე მეტი ჩილეელის სიცოცხლე შეიწირა. ამ ტრაგიკული ფაქტის გამო, ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ფიფა 1962 წლის



ბრაზილია-ჩეხეთი. 1962 წ.

მუნდიალის ჩატარებას უკვე არგენტინაში აპირებდა, თუმცა, საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციის სხდომაზე კარლოს დიტბორნ პინტოს უთქვამს ისტორიული ფრაზა, რომელსაც დიდი გავლენა მოუხდენია კონგრესის დელეგატთა საბოლოო გადაწყვეტილებაზე: „ჩილეში უკვე აღარაფერი არის, ამიტომ მსოფლიო ჩემპიონატი მანც დაგვიტოვებ!“

ჩილეს ხელისუფლებაც და მოსახლეობაც დიდი ენთუზიაზმით ჩაება მუნდიალისათვის მზადებაში. იმ დროისათვის ქვეყანაში არსებული სტადიონები შეაკეთეს, სანტიაგოში კი, ახალი ეროვნული სტადიონი ააშენეს. სამწუხაროდ, კარლოს დიტბორნ პინტო მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე სულ რაღაც ერთი თვით ადრე მძიმე სენისგან გარდაიცვალა და ველარ მოესწრო იმ სპორტულ ღონისძიებას, რომლის მასპინძლობის უფლების მოპოვებასა და ორგანიზებაშიც უდიდესი წვლილი მიუძღოდა. კარლოს დიტბორნის სახელი ეწოდა ქალაქ არიკაში აგებულ სტადიონს, ხოლო სანტიაგოს ეროვნული სტადიონის გარშემო გააკეთეს უზარმაზარი ტრანსპარანტი ფრანთით – „ჩილეში უკვე აღარაფერი არის, ამიტომ მსოფლიო ჩემპიონატი მანც დაგვიტოვებ!“ – რომელმაც სამუდამოდ უკვდავყო მემკვიდე მუნდიალის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორის სახელი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში.

ჩემპიონატისადმი ინტერესი პლანეტის

მთელი ცივილიზებული ნაწილის მასშტაბით თანდათან იზრდებოდა, ფიფა კი ცდილობდა, რომ სხვადასხვა კონტინენტის გუნდებისთვის ტურნირზე მოხვედრის შანსი მუნდიალის სპორტულ-სანახაობრივი ინტერესების გათვალისწინებით მიეცა. ამიტომ იყო შემთხვევები, როდესაც მსოფლიო თასის გათამაშების ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლებისათვის ერთმანეთს სხვადასხვა კონტინენტის წარმომადგენელი ნაკრები გუნდები ხვდებოდნენ. შესარჩევ ტურნირში 51 ქვეყანა მონაწილეობდა. ბრაზილიის გუნდმა, როგორც წინა მუნდიალის გამარჯვებულმა და ჩილემ, როგორც ტურნირის მასპინძლმა, შესარჩევ მატჩებში მონაწილეობის გარეშე მიიღეს მუნდიალზე თამაშის უფლება. დანარჩენი 14 ადგილისათვის კი, სხვადასხვა კონტინენტის შესარჩევ ქვეჯგუფებში საინტერესო და დამაბული მატჩები გაიმართა. უკვე 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ მოხდა სენსაცია: ტურნირზე 1958 წლის მუნდიალის ვერცხლის მედალოსანი შვედები და ბრინჯაოს პრიზიორი ფრანგები კერ მოხვდნენ. მათ მსოფლიო ჩემპიონატის საგზურები შესაბამისად, შვეიცარიელებსა და ბულგარელებს დაუთმეს. მუნდიალის დანარჩენი საგზურები კი, ჩეხოსლოვაკიის, ვერონის, საბჭოთა კავშირის, უნგრეთის, არგენტინის, ურუგვაის, ინგლისის, კოლუმბიის, იტალიის, ესპანეთის, ოუგოსლავიისა და მექსიკის ნაკრებმა გუნდებმა მოიპოვეს.

მუნდიალის დაწყებამდე, 1962 წლის 18 იანვარს სანტიაგოში გაიმართა კენჭისყრა, რომლის შედეგებმაც ფიფას მიერ მიღებული ახალი ცვლილებები შეიტანა მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების სისტემაში. პირველი იმაში მდგომარეობდა, რომ ქვეჯგუფებში თანაბარი ქულების მქონე გუნდებს შორის უპირატესობა იმ გუნდს მიენიჭებოდა, რომელსაც გატანილი და გაშვებული გოლების უკეთესი შეფარდება ეწეებოდა, რაც დამატებითი მატჩების ჩატარების აუცილებლობას გამოიწვევდა. მეორე ცვლილება კი ის იყო, რომ მომავალ ჩემპიონატებზე, ამა თუ იმ ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში მხოლოდ იმ ფეხბურთელებს შეეძლოთ თამაში, რომლებსაც ადრე არ ჰქონდათ ნათამაშები სხვა ქვეყნის ნაკრებ გუნდებში.

1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატის

ფინალისტები, ბრაზილიისა და ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ნაკრები გუნდები ერთ ქვეჯგუფში მოხვდნენ, მექსიკასა და ესპანეთთან. ბრაზილიელებმა მექსიკელები და ესპანელები შესაბამისად, ანგარიშით 2:0 და 2:1 დაამარცხეს, ხოლო ჩეხოსლოვაკიის გუნდმა ასევე მოუგო ესპანეთის ნაკრებს (1:0), თუმცა ანგარიშით 1:3 დათმო შეხვედრა მექსიკელებთან. რაც შეეხება თავად ბრაზილია-ჩეხოსლოვაკიის მატჩს, იგი საერთოდ უგოლოდ დასრულდა. ეს ანგარიშით კი ორივე გუნდს ხელს აძლევდა და ბრაზილიამ და ჩეხოსლოვაკიამ მეოთხედფინალში გააგრძელეს ასპარეზობა, სადაც შესაბამისად, ინგლისელები (3:1) და უნგრელები (1:0) დაამარცხეს.



ვაჟას გოლი (1962 წელი)

ნახევარფინალურ მატჩში ბრაზილიის გუნდს ჩილეს ნაკრები შეხვდა. ტეტრაკამპიონებმა მასპინძლების (4:2) დაამარცხება შეძლეს და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს. მათმა მომავალმა მტერებმა, ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა კი, იუგოსლავიის გუნდს სძლია (3:1) და 1934 წლის შემდეგ მეორედ გავიდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში.

მესამე ადგილისთვის მატჩში, რომელიც 1962 წლის 16 ივნისს გაიმართა, ჩილეს ნაკრებმა, იუგოსლავიის გუნდი მინიმალური ანგარიშით (1:0) დაამარცხა და ბრინჯაოს პრიზორი გახდა.

ფინალური შეხვედრა 17 ივნისს, საბტაგოს სტადიონ „ნასიონალზე“ ჩატარდა. მატჩს 68700 ადამიანი ესწრებოდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ საპასუხისმგებლო შეხვედრას საბჭოთა არბიტრი ნიკოლაი ლატიშევი სჯიდა. ანგარიში უკვე მატჩის მე-15 წუთზე, ჩეხმა მასოპუსტამ გახსნა, თუმცა სულ რაღაც ორ წუთში, ამარილდომ გაათანაბრა (1:1). ამის შემდეგ ტეტრაკამპიონ-


თა უპირატესობა უკვე ამკარა გახდა. მეორე ტაიმში კი, ზიტომ და ვაჟამ კიდევ ორი გოლი გაიტანეს და თავიანთ გუნდს, ურუგვაისა და იტალიის მსგავსად, მეორედ მოუტანეს ყოულ რიშეს თასი.

როდესაც 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი საოცარი უხეშობით და შეიძლება ითქვას, ფეხბურთელების მიერ ერთმანეთისადმი სისასტიკითაც კი გამოირჩეოდა. მსაჯებს შეიძვერ მოუხდათ მოედნიდან ფეხბურთელის გაძევება, რის გამოც გუნდები ხშირად არასრული შემადგენლობით თამაშობდნენ. ფინალური მატჩის წინ დიდმა მღელვარებამ მოიცვა მთელი ბრაზილია, რადგან დისკვალიფიკაციის გამო, გარინჩას გადამწვევტ შეხვედრაში თამაშის უფლება არ ჰქონდა. სწორედ ამ დროს საქმეში ბრაზილიის პრემიერ-მინისტრი ჩაერია, რომელიც ფიფას სამსაჯო კომიტეტისადმი გაგზავნილ არაერთ ტელეგრამაში, გამონაკლისის

დაშვებას და გარინჩასათვის დისკვალიფიკაციის მოხსნას ითხოვდა. მისმა თხოვნამ შედეგი გამოიღო და გარინჩას ფინალურ მატჩში თამაშის უფლება დართეს, თუმცა, ამის გამო აჯანყდნენ ჩილელები, რომლებმაც ასევე მოითხოვეს იუგოსლავიელთა წინააღმდეგ. მესამე ადგილისათვის ჩასატარებელ მატჩში მათი თუნდაც ერთი დისკვალიფიცირებული ფეხბურთელის დაშვება. ევროპელთა საბედისწეროდ, თამაშის უფლება როხასს დართეს, რომელმაც იუგოსლავიის ნაკრების კარში ერთადერთი ბურთი გაიტანა და თავის გუნდს ბრინჯაოს მედლები მოაპოვებინა. ტრავმის გამო ჩემპიონატში თითქმის არ უთამაშია აგრეთვე პელეს, რომელიც ღირსეულად შეცვალა ახალგაზრდა ამარილდომ.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ მანუელ დუმ სანტუმ ფრანსისკო გარინჩა დასახელდა. გარინჩა მეშვიდე მუნდიალის საუკეთესო ბომბარდირიც (4 გატანილი ბურთით) გახდა.

ბრაზილია — სპანდურ-ნენსპიური მუნდილის სიუჟეტული



ალექსი რეხვიამვილი

ამა თუ იმ განვლილი მსოფლიო ჩემპიონატის გახსენება ფეხბურთის გულშემატკივრებს ძალიან ხშირად რაღაც კონკრეტულ ასოციაციას აღუძრავს. მაგალითად, 1958 წლის მუნდიალი 17 წლის პელესთან ასოცირდება, 1974 წლისა კი — ყველაზე ხშირად, პოლანდიელთა ბრწყინვალე გუნდთან, რომელსაც ლეგენდარული იოჰან კრუიფი ლიდერობდა. 1986 წლის ჩემპიონატზე საუბრისას, ფეხბურთის გულშემატკივრებს, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, დიეგო მარადონა, მისი სკანდალური, „ღმერთის ხელის“ დახმარებით ინგლისელთა კარში გატანილი ბურთი და აგრეთვე, ის ულამაზესი გოლი ახსენდებათ, რომელიც მარადონამ იმავე ინგლისელებს ცოტა ხნის



ში ჩარჩა. ტურნირი იტულებით (ამ სიტყვით პირდაპირი მნიშვნელობით) დაატოვებინეს ესპანეთის საკმაოდ ძლიერ გუნდს, რომლის თამაშიც ნამდვილად დაამშვენებდა ჩემპიონატის ნახევარფინალურ (და თუნდაც ფინალურ) მატჩს. სამაგიეროდ, გასულ მსოფლიო ჩემპიონატზე გაბრწყინა ბევრისთვის უცნობი აფრიკული ქვეყნის, სენეგალის გუნდმა, რომელიც ტურნირის დაწყებამდე აშკარა აუტსაიდერად იყო მიჩნეული. საკმაოდ სიმპათიური გუნდის შთაბეჭდილება დატოვა აშშ-ის

ეროვნულმა ნაკრებმა, რომელსაც მსაჯთა შეცდომების გამო (ამერიკელების მიერ მეოთხედფინალურ მატჩში გერმანელთა კარში გატანილ და მცველის მიერ ხელით გამოტანილ ბურთზე მატჩის არბიტრს არავითარი რეაქცია არ ჰქონია), არ მიეცა გერმანიის ნაკრებთან ბრძოლის გაგრძელების საშუალება. ამ ჩემპიონატზე ფეხბურთის გულშემატკივრებმა იხილეს ის, თუ რამხელა პროგრესი განიცადა თურქულმა ფეხბურთმა და აგრეთვე ისიც, თუ რამდენის მიღწევა შეუძლიათ კორეელებს ბრწყინვალე მწვრთნელის, შრომისმოყვარეობის, დიდი მონღომებისა და მსაჯთა მხრიდან ასევე დიდი დახმარების შედეგად. ჩემპიონატის ფინალში კი, გავიღწე გუნდები, რომელთა თამაშსა და მთავარ მწვრთნელებსაც ჯერ კიდევ მსოფლიო პირველობის შესარჩევი ტურნირის მსველელობისას კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ. რა თქმაუნდა, ტურნირის დასაწყისში ბრაზილიისა და გერმანიის ნაკრები გუნდები (განსაკუთრებით სამხრეთამერიკელები), როგორც ყოველთვის, ანგარიშგასწავევ ძალად იყვნენ მიჩნეულნი, თუმცა, მათ არცთუ ისე ბევრი ფეხბურთის სპეციალისტი და გულშემატკივარი მიიჩნევდა მსოფლიო თასისათვის ბრძოლაში, იმავე არგენტინელებისა და ფრანგების ღირსეულ კონკურენტებად. მიუხედავად ამისა, გერმანიისა და ბრაზილიის გუნდებს შორის გამართული ფინალური შეხვედრა მეჩვიდმეტე მსოფლიო ჩემპიონატის ყველაზე საინტერესო და ლამაზ მატჩად იქცა, რომელშიც ერთმანეთის პირისპირ იდგა ერთიმეორისაგან დამეტრულად განსხვავებული საფეხბურთო სკოლის ორი წარმომადგენელი. სამხრეთამერიკელებმა ინდივიდუალური ტექნიკისა და შემტევი თამაშის წყალობით, დამსახურებულად გაიმარჯვეს და მეხუთედ დაეუფლნენ მსოფლიო თასს. მეჩვიდმეტე მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო

ფეხბურთელად და ბომბარდირად (8 გატანილი გოლით) რონალდო მოგვევლინა. მას სამ-სამი ბურთით ჩამორჩნენ: მისივე თანაგუნდელი რივალდო და გერმანელი მიროსლავ კლოზე.

რონალდო: „მსოფლიო თასი სექსზე უკეთესია“

ფეხბურთის მოყვარულთათვის ალბათ საინტერესო იქნება საფეხბურთო სამყაროში კარგად ცნობილი პიროვნებების აზრი მეჩვიდმეტე ჩემპიონატის ფინალის შესახებ. თუმცა, ვიდრე მათ გამონათქვამებს გაგაცნობდეთ, კიდევ ერთხელ გავიხსენებ სენეგალის ნაკრებს, რომელმაც მუნდიალიდან გამოთიშვის შემდეგ, აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში ამხანაგური მატჩების გამართვას მიჰყო ხელი და კვლავ მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ყურადღების ცენტრში მოექცა. აძვირად კი, დასავლეთაფრიკელებმა კუნძულ ტაივანზე გამოიჩინეს თავი, ოღონდ არა თავიანთი საფეხბურთო, არამედ ამურული „საგმირო საქმეებით“: რამდენიმე დღის წინ, ტაივანური გაზეთები შემოვლოებით იუწყებოდნენ, რომ სენეგალის ნაკრების ფეხბურთელებს 37 მეძავი დაუქირავებიათ. ადგილობრივ პოლიტიკოსებს ამ ინციდენტის გამო აუცილებლობად მიუჩნევიათ, რომ ხელისუფლებასათვის აფრიკელი ფეხბურთელების ქცევის სპეციალური გამოძიების ჩატარება მიეთხოვათ. თუმცა, ტაივანში სენეგალის ელჩმა, ადამ სარმა, პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაცია უარყო: „მე ვესაუბრე ფეხბურთელებს და მათ მითხრეს, რომ შეძახვებთან ურთიერთობა არ ჰქონიათ“, — განაცხადა სარმა, რომელსაც მინც მოუწია ტაივანის ხელისუფლებისთვის ბოდიშის მოხდა თავისი ქვეყნის პრეზიდენტის სახელით, რადგან სენეგალელ ფეხბურთელებს, გადაღლილობის მიზეზით, გულშემატკივრებისთვის ავტოგრაფების დარიგებაზე უთქვამთ უარი...

ახლა კი, ფინალურ მატჩს დავუბრუნდეთ, რომელზე საუბარსაც იაპონიაში დიეგო მარადონას მიერ ჩატარებული პრესკონფერენციით დავიწყებ: „ამერიკელებმა იაპონიაში ატომური ბომბები ჩამოყარეს, მაგრამ მათ

ბლაგერი და პელე თასს გადასცემენ ბრაზილიელთა კაპიტან კაფუს

შემდეგ გაუტანა.

მიუხედავად იმისა, რომ კიდევ დიდხანს ისაუბრებენ რამდენიმე დღის წინ კორეა-იაპონიაში დასრულებულ მეჩვიდმეტე მუნდიალზე, შეიძლება ითქვას, რომ იგი უკვე ისტორიის კუთვნილებაა. დღეს ალბათ ძნელია იმის თქმა, თუ წლების შემდეგ რა ამოუტივტივდებათ მეხსიერებიდან და წარმოუდგებათ თვალწინ ფეხბურთის გულშემატკივრებს 21-ე საუკუნის პირველი მსოფლიო ჩემპიონატის გახსენებისას, რადგან ამ ტურნირზე იმდენი მოულოდნელი, სენსაციური და უსიამოვნო ფაქტი დაფიქსირდა, რომ რომელიმე მათგანისთვის უპირატესობის მინიჭება და „სამუნდილო ასოციაციის“ სახით ვონების „სამახსოვრო ოქროს ფონდში“ შენახვა, იოლი არავისთვის იქნება. არაორდინარული მოვლენა კი, მსოფლიო თასის მეჩვიდმეტე გათამაშებაზე მართლაც ბევრი იყო: ასპარეზობას გამოეთიშნენ ტურნირის უპირველეს ფავორიტებად მიჩნეული, საფრანგეთისა და არგენტინის ნაკრები გუნდები. თუმცა გამოთიშვაცაა და გამოთიშვაც... ვერც ერთმა მათგანმა ქვეჯგუფიდან ვერ გააღწია. ამასთანავე, ფრანგებმა მუნდიალი ისე დატოვეს, რომ გოლის გატანა საერთოდ ვერ მოახერხეს, არგენტინის ნაკრებმა კი, მხოლოდ ორი ბურთი გაიტანა (ისიც სტანდარტული სიტუაციებიდან — კუთხური, პენალტი — და არა განთქმული არგენტინელი კომბინაციური და ლამაზი თამაშის შედეგად). თავისი უსახური თამაშის (და მართლა არაპროფესიონალიზმისა თუ უსამართლობის) გამო, ცოტა მოგვიანებით, არგენტინისა და საფრანგეთის გუნდების ბედი იტალიის ეროვნულმა ნაკრებმაც გაიზიარა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ასევე ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა. თავი ვერაფრით დაგვამახსოვრა ევროპის წამყვან საფეხბურთო კლუბებში მოთამაშე ოსტატებით დაკომპლექტებულმა პორტუგალიის ნაკრებმაც, რომელიც აშშ-ისა და ტურნირის ერთ-ერთ მასპინძელ, კორეის გუნდთან ბრძოლას შეეწირა და ქვეჯგუფ-



ოლივერ კანი

ამ ქვეყანაში ჩამოსვლას არავინ უშლის. პერუს ყოფილი პრეზიდენტი, ალბერტო ფუჰიმორი თავის ქვეყანაში საშინელებებს სწავლიდა, დღეს კი არხინად ცხოვრობს იაპონიაში. მე არც ერთი იაპონელი არ მომიკლავს, და მაინც, ამ ქვეყანაში არ მიშვებდნენ. მე ფეხბურთის ისტორიის ნაწილი ვარ, ძალიან პატარა, მაგრამ მაინც ნაწილი, და ჩემთვის ძალიან უცნაური იყო, რომ ამდენი ხნის განმავლობაში, მსოფლიო ჩემპიონატზე დასასწრებად არ მიშვებდნენ“, — განაცხადა დიეგო და პოლიტიკური თემატიკა კუბაზე საუბრით გააგრძელა, რომლის მიმართ დაწესებული ემბარგოც 11 სექტემბრის ტერაქტის ტოლფას დანაშაულად მიიჩნია და აშშ-ის პრეზიდენტიც კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა: „კუბის სახელმწიფოებრივ წყობას ბევრი ნაკლი აქვს, თუმცა, ეს ფიდელ კასტროს ბრალი არ არის. უფრო მეტიც — კასტრო საუკეთესოა კუნძულზე. ამერიკის შეერთებული შტატები, რომელმაც ყელში წაუჭირა არგენტინას და მთელ სამხრეთ ამერიკას და მათ სისხლისაგან ცლის, საუკეთესოა? კასტრო ხომ ათჯერ უკეთესია, ვიდრე ჯორჯ ბუში“.



დიეგო არმანდო მარადონა

რა თქმა უნდა, მარადონა მუნდიალის თემასაც შეეხო და მას „საშუალო დონის“ უწოდა. „მსოფლიო ჩემპიონატი უინტერესო აღმოჩნდა და ფინალსაც დიდებულს ვერ ვუწოდებ. გერმანიის ნაკრები ამ გუნდის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სუსტი იყო. ადრე გუნდი გაცილებით ძლიერად თამაშობდა. ბრაზილია კი, გამოკვეთილი ინდივიდუალისტების კომპანია აღმოჩნდა და არა გუნდი“, — განაცხადა არგენტინელმა ვარსკვლავმა, რომელმაც შეაქო სენეგალისა და კორეის ნაკრები გუნდები, თუმცა, უკმაყოფილო დარჩა რონალდოს საუკეთესო ფეხბურთელად დასახელების გამო: „მე რომ ამერიკა ჩემპიონატის ორი საუკეთესო მოთამაშე, რობერტო კარლოსსა და რივალდოს დავასახელებდი. ცხადია, მთავარ გმირად რონალდო იქცა, მაგრამ აშკარა იყო, რომ მას მუხლი სტკიოდა, რის გამოც, ტექნიკურად ისე ვერ თამაშობდა, როგორც შეეძლო, მაგრამ დამსახურება არ უნდა დაუეკარგოთ: მან ხომ ამ ჩემპიონატში სული და გული ჩაღო. თუ იგი ტრავმირებული არ იქნება, ძალიან იოლად გახდებდა საუკეთესო მოთამაშე მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე“.

დიეგო მარადონას თანამემამულე და წლების წინ თანაგუნდელ ფიასკოგანცდილ გაბრიელ ბატისტუტას კი, არგენტინის ნაკრების ჩემპიონატიდან გამოთიშვის შემდეგ, თურმე საერთოდ არ აინტერესებდა ის, თუ რა ხდებოდა კორეა-იაპონიის სტადიონებზე. „გადაწყვეტილი მაქვს, ოჯახთან

ერთად რაც შეიძლება შორს გავემგზავრო სამოგზაუროდ. შვებულებისას სიამოვნებას ვიღებ და სრულიად არ მადლეებს ის, თუ რა ხდება მსოფლიო ჩემპიონატზე. შევიტყვე, რომ იქ მსაჯობასთან დაკავშირებით ბევრი სკანდალი ატეხილა, რაღაც ამის მსგავსს შეგობრები მეუბნებოდნენ, მაგრამ მსოფლიო პირველობის შესახებ არც რაიმე ვიცი და არც მინდა ვიცოდე. მე ნაკრებს სინანულით ვტოვებ, თუმცა არ მიძინია, რომ რაზე დავაშავე. ნაკრებისათვის არაფერი დამიშურებია. სამწუხაროა, რომ ნაკრებში ჩემი კარიერა ასე წარუმატებლად დამთავრდა. ჩვენ ამ ტურნირის მოგება შეგვეძლო. შევლებთან მატჩში გვაგაყეთეთ ყველაფერი, რაც კი შეგვეძლო, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ჩვენ ხომ მხოლოდ ორი გოლი გავუშვით, ერთი — პენალტით, მეორე კი, საჯარიმოდან. ვფიქრობ, ვიმსახურებდით შემდგომ ეტაპზე გასვლას. რადგან მოწინააღმდეგე ჩვენზე უკეთესად არ თამაშობდნენ“.

ფინალური მატჩის შემდეგ, გერმანიის ზოგიერთი ქალაქში გულშემატკივრებმა საკმაოდ ემოციურად გამოხატეს თავიანთი უკმაყოფილება საყვარელი გუნდის დამარცხების გამო. პოლიციამ 850 ფანი დააპატიმრა, მანჰაიმში კი, 39 წლის მამაკაცი დაიღუპა. თავად გერმანელთა ნაკრების თავგაცმა, რუდი ფილერმა, დამარცხების მიუხედავად, დადებითად შეაფასა თავისი გუნდის გამოსვლა მეჩვიდმეტე მუნდიალზე და არც ბრაზილიელთა მიმართ დაიშურა საქებარი სიტყვები: „ბრაზილიელებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს. ისინი ინდივიდუალურად არაჩვეულებრივად ნიჭიერები არიან. ჩვენ პირველი 35 წუთის განმავლობაში კარგად ვთამაშობდით და მატჩის მსვლელობას ვაკონტროლებდით, თუმცა შემდეგ, ბრაზილია მთელი ძალით ათამაშდა და აშკარა გახდა ის, თუ რამდენად ნიჭიერი არიან ეს ფეხბურთელები. ისინი ჩვენს მცველებს ერთი-ერთზე ატყუებდნენ და ძალიან სწრაფად თამაშობდნენ პასებით, რითაც სულ უფრო მეტ პრობლემას გვიქმნიდნენ. ეჭვიც არ უნდა გვეპარებოდეს იმაში,

რომ ბრაზილია ღირსეული მსოფლიო ჩემპიონია, მაგრამ ჩვენ ბუნდერები ვართ, რომ ფინალში გავგედიოთ. ამისათვის პირველ რიგში, ოლიგერ კანს უნდა გადაუხადოთ მადლობა. ამასთანავე, ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი გუნდი ტრავმების სერიამ მოიცვა“. აღსანიშნავია, რომ საფინალო სასტვენის შემდეგ, ბევრი გერმანელი გულშემატკივარი ყვიროდა: „გვიყურეთ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, როდესაც შინ ვითამაშებთ!“ ერთ-ერთმა გერმანელმა ფანმა, მარკო რააბმა კი, განაცხადა: „ბუნდერი ვარ ბრაზილიელთა გამარჯვების გამო, მათ ბრწყინვალედ ითამაშეს, ჩვენ კი, 2006 წელს გავხდებით მსოფლიო ჩემპიონები!“.

გერმანელთა თამაშით კმაყოფილი დარჩა 2006 წლის მუნდიალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ფრანც ბეკენბაუერიც. „შეგვიძლია ოპტიმიზმით დაველოდოთ 2006 წელს. ამ მსოფლიო ჩემპიონატმა გვიჩვენა, რომ ჩვენ ბევრი კარგი მოთამაშე გვყავს“, — აღნიშნა ლეგენდარულმა გერმანელმა ოსტატმა.

ბრაზილიელთა გამარჯვებას მუნდიალზე კიდევ ერთი ფიასკოგანცდილი სამხრეთამერიკელი, ურუგვაიელი ფეხბურთის ვარსკვლავი, ალვარო რეკობაც გამოეხმაურა: „რა თქმა უნდა, მე არ უნდა მიხაროდეს ის, რომ ბრაზილია საუკეთესო გახდა; რადგან ჩვენ ძველი მოწინააღმდეგე ვართ. მიუხედავად ამისა, ძალიან ბუნდერი ვარ ჩემი მეგობრის, რონის წარმატებით. ეს მისი მუნდიალი იყო და მან დაიმსახურა ეს წარმატება, თუნდაც მხოლოდ იმის გამო, რაც მან ბოლო წლების განმავლობაში გადაიტანა“, — აღნიშნა რონალდოს თანაკლუბელმა მილანის „ინტერის“ ნახევარცენტრმა. თავად ფინალური მატჩის გმირმა, რონალდომ კი, ასეთი შედარება გააკეთა: „ფინალში ორი გოლის გატანამ სექსზე მეტი სტიმონება მომეგვარა... „მსოფლიო თასის მოგებაც ასევე სექსზე უკეთესია. ბოლოს და ბოლოს, მსოფლიო ჩემპიონატი ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება. სექსი კი, უფრო ხშირად არის ხოლმე“, — დასძინა ბრაზილიელთა ტრიუმფატორმა...

ნომის აქციონი
ქონსუეტაცია
ინკიმი (18 წლიდან)
822 009 005
 „მგითი“ „ჯეოსილი“
 „მეკუკომი“ — 0,70 ლ.
 თბილისი — 0,45 ლ.
 რაიონები — 0,65 ლ.

პარსკვლავი

ხუთიოდე წლის წინ, ინგლისელებმა – მერჩანტმა და აივორიმ ენტონი ჰოპკინსი და ჯულიანა მური ისტორიულ დრამაში – „ცხოვრება პიკასოსთან ერთად“ შეახვედრეს. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელმა მსახიობებმა ეს ფილმი საკმაოდ ცივად მიიღეს, ინგლისელებმა რეჟისორმა რილდი სკოტმა აღნიშნული სამსახიობო დუეტი კვლავ ერთად შეჰყარა გადასატებ მოედანზე ფილმში „ჰანიბალი“.



მონსხვი ჯულიანა მური

ქანაზა გაუიზვლავს ფილოსოფიურად უღებავს



ამბები არასოდეს მაინტერესებდა“. მეორე დღეს ჯულიანას აგენტი კვლავ დაუკავშირდა და აცნობა, რომ „ჰანიბალის“ რეჟისორს, რილდი სკოტს მასთან შეხვედრა სურდა. ეს ისტორიული შეხვედრა 2000 წლის 9 თებერვალს შედგა. „თავს ძალიან უხერხულად ვგრძნობდი, რადგან სცენარს არ ვიცნობდი და არ მესმოდა, რას მოითხოვდნენ ჩემგან, – იხსენებს მური. – რილდომ დამამშვიდა და მითხრა, რომ იმჟამად სცენარის გადამუშავება მიმდინარეობდა, ასე რომ, მე დასრულებულ ვარიანტს გავეცნობოდი“. გავიდა კიდევ ერთი დღე და აგენტმა ჯულიანას აცნობა, რომ კლარისას როლი მას ხვდა წილად. ბრიუს უილისთან ერთად დაგეგმილი სურათის გადაღება აღარ შედგა, რადგან ამ ორი ფილმის შექმნის გრაფიკი ერთმანეთს ემთხვეოდა. იმავდროულად, „ჰანიბალის“ პროდიუსერმა დინო დი ლაურენტისმა განაცხადა, რომ მსახიობები „კლარისა ნომერ ერთს“ (ჯოდი ფოსტერი „კრაავთა დუმლში“), ფილმ „ჰანიბალის“ დაწყებიდან ორ წუთში დაივიწყებდა. რილდი სკოტმა კი აღნიშნა – არჩევანი ჯულიანა მურზე იმის გამო შევჩერე, რომ იგი თავისი თაობის ყველაზე ნიჭიერ მსახიობად მიმჩნეოდა.

შემიძლია, რომ ჩემ მიერ შექმნილი კლარისა მკვეთრად განსხვავდება ჯოდი ფოსტერის მიერ ნათამაშები გმირისგან. ჯოდი შესანიშნავი მსახიობია და ბრწყინვალედ ითამაშა, მაგრამ მე არ მსურდა გავყოლოდი მის კვალს. „კრაავთა დუმლის“ შემდეგ ათმა წელმა განვლო. ამ პერიოდში კლარისა შეიცვალა. საერთოდაც, „კრაავთა დუმლი“ სრულიად სხვა, ცალკე მდგომ ფილმად მიმაჩნია. „ჰანიბალი“ სხვა ფილმია და მას განსხვავებული თემატიკა აქვს. ეს ჩემი კინოა!“ მიუხედავად ჯულიანას ამ განაცხადისა, ყველა აღნიშნავდა ჯოდი ფოსტერისა და ჯულიანა მურის კლარისას ქცევისა და ხმის საოცარ მსგავსებას. თავდაპირველად, გემის მიხედვით, „ჰანიბალიში“, აგენტი კლარისა სტარლინგი ჯოდი ფოსტერს უნდა განესახიერებინა, მაგრამ ფილმის პროდიუსერ დინო დი ლაურენტისს უთხრეს: „ჯოდი სცენარსაც არ წაიკითხავს, თუ მას 20 მლნ

მსახიობი ჯულიანა მური ირწმუნება, რომ „ჰანიბალიში“ მას კლარისას როლი ძალიან „სწრაფად და მისთვის მოულოდნელად“ ერგო. 2000 წლის დასაწყისში ის სხვა გადაღებებისთვის ემზადებოდა და ერთ-ერთ ფილმში ბრიუს უილისის გმირის ცოლი უნდა განესახიერებინა. მოულოდნელად, მას აგენტმა დაურეკა და გაურკვეველი ფრაზა უთხრა: „შენ „ჰანიბალის“ სიაში მოხვდი“. „მამინ ვერც კი მივხვდი, თუ რაზე იყო საუბარი, – ამბობს მური. – ამ ფილმის სცენარი ნანახი არ მქონდა, არც წიგნი მქონდა წაკითხული. საერთოდაც, კაციათების შესახებ შეთხზული

40 წლის მურს, რა თქმა უნდა, ესმოდა, რომ ასეთი განცხადებების შემდეგ მას მსახიობები და კრიტიკოსები მცირე შეცდომასაც კი არ აპატიებდნენ. ჯულიანამ ისიც კარგად იცოდა, რომ საუკეთესო მსახიობთა გამოვლენის მიზნით მსახიობებს შორის ჩატარებულ გამოკითხვის შედეგების მიხედვით არასდროს გამოირჩეოდა. „არ შემიძლია წინასწარ გავწვიტო მსახიობის რეაქცია, – აღნიშნავდა მური ფილმ „ჰანიბალის“ პრემიერის წინ. – მაგრამ იმის თქმა თამამად



დოლარზე ნაკლებ თანხას შესთავაზებთ და ამას ფილმის მოგების 15 პროცენტსაც არ დაამატებთ“. ამის შემდეგ დილაურენტიმსა განაცხადა: „ჯოდი ფოსტერს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მინც ვეჭვები – ნახვამდის. ეს უაზრო გარიგება იქნებოდა“. ჯულიანა მურმა „ჰანბალში“ შესრულებული როლისთვის 3 მლნ დოლარი მიიღო.

რეჟისორმა რიდილი სკოტმა კი, „ჰანბალის“ გადაღების დასრულების შემდეგ აღნიშნა, რომ მურმა კლარისა სტარლინგი ბევრად უფრო ემოციურად განასახიერა, ვიდრე ჯოდი ფოსტერმა: „ჯულიანამ მაყურებლის წინაშე კლარისას ხასიათის სრულიად განსხვავებული მხარეები წარმოაჩინა“, – თქვა რეჟისორმა.

მსახიობის ნამდვილი სახელი ჯულიენ სმიტია. ის 1960 წლის 3 დეკემბერს ბოსტონში დაიბადა. მამამისი სამხედრო მოსამართლე იყო, დედას კი ფსიქოლოგიის დარგში სამი სამეცნიერო ხარისხი ჰქონდა მიღებული. ჯულიანას მამა გამუდმებით გადაჰყავდათ ერთი ქალაქიდან მეორეში, ამიტომაც ჯული და მისი და-ძმა იძულებულნი იყვნენ, საცხოვრებლად ქალაქიდან ქალაქში, ზოგჯერ კი, ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასულიყვნენ. ჯულიანა იხსენებს, რომ ბავშვობაში საცხოვრებელი ადგილის შეცვლა 23-ჯერ მოუხდა და თავს შინ ვერსად გრძობდა. 15 წლის ასაკში ის გამხდარი, მოუქნელი, ავადმყოფურად მორცხვი იყო, წითური, ჭორფლიანი და თანაც სათვალეს ატარებდა. „მორიგ ახალ სკოლაში მისული, მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობდი: როგორ მოვქცეულიყავი, რომ არავის შევეჩხნე. – იხსენებს მსახიობი. – მე არ ვეკუთვნიდი იმ გოგონათა რიგს, ვისაც თავის გამოჩენა უყვარს, თუმცა ამასთანავე, ისიც მესმოდა, რომ ასე ცხოვრება არ შეიძლებოდა“. ჯულიანას მშობლები თავიანთი საქმით იყვნენ დაკავებული და მუდამ ეგონათ, რომ შვილები მათ კვალს უნდა გაჰყოლოდნენ. მშობლებმა იცოდნენ, რომ გოგონა მთელ საღამოებს წიგნების კითხვაში ატარებდა და ჯული ხან მეცნიერად წარმოედგინათ, ხან ექიმად, ხან კი მხატვრად...

თუმცა მომავალში ჯულიმ ყველა ეს პროფესია ეკრანზე „აითვისა“: „ლტოლივში“ მან ექიმი განასახიერა, „დაკარგულ სამყაროში“ – მეცნიერი, მხატვარი კი სამჯერ იყო – ფილმებში: „მოკლე ნაჭრები“, „ცხოვრება პიკასოსთან ერთად“ და „დიდი ლებოვსკი“. მშობლებისთვის ადრე ვინმეს რომ ეთქვა, როგორი მრავალმხრივი კარიერა ელოდა მომავალში მათ ქალიშვილს, ისინი ნამდვილად გაოცდებოდნენ, რადგან გოგონა თითქმის არ დადიოდა კინოში და ტელევიზორსაც ძალიან იშვიათად უყურებდა. 15 წლის ჯულიმ პირვე-

ლად გადადგა თამამი ნაბიჯი: „კოკა-კოლის“ ბოთლების ჩაბარებით ფული შეაგროვა და თვალის კონტაქტური ლინზები იყიდა, ვარცხნილობაც შეიცვალა. ამ ცვლილებამ სასიკეთო შედეგი გამოიღო – ჯულიმ ყმაწვილების ყურადღება მიიქცია. „თავი უფრო თავისუფლად ვიგრძენი, – იცინის მსახიობი, – მაგრამ ჩემი აზროვნება ამას არ შეუცვლია. თავს მინც მოუქნელ გოგონად მივიჩნევი და დარწმუნებული ვიყავი, რომ მთელ ცხოვრებას რომელიმე ლაბორატორიაში ან მუზეუმში გავატარებდი. მეცნიერება ყოველთვის მიზიდავდა. მართალია, ტექნიკურ საგნებში კარგად ვერ ვერკვეოდი, მაგრამ ლიტერატურა ძალიან მიყვარდა. ჩემთვის გმირები მწერლები იყვნენ, მსახიობი კი საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ გავხდი“.

სკოლაში, უფროს კლასში სწავლის დროს, ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ჯულიანა თითქმის ძალით გაგზავნა დრამატულ წრეზე. პირველივე გაკვეთილის შემდეგ, გოგონა სკოლის თეატრმა გაიტაცა – იგი სცენამ დაიპყრო. როცა მური სკოლას ამთავრებდა, მასწავლებელმა ჰკითხა, ხომ არ აპირებდა პროფესიონალ მსახიობობას? „რა თქმა უნდა, ვუპასუხე, რომ ამაზე არც კი ვფიქრობდი, – იხსენებს მური. – მეჩვენებოდა, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა. არც ერთ მსახიობს არ ვიცნობდი და პროფესიონალურ დადგმებში მონაწილეობა მიღებული არ მქონდა, მაგრამ სამსახიობო განათლების მიღების იდეა გენიალურად მომეჩვენა: ამით ხომ სიმორცხვის დაძლევა შეეძლებოდა!“ სიმორცხვე მსახიობმა მინც ვერ დაძლია. ინტერვიუს დროს ის წითლდება, ხოლო როცა უხერხულ შე-



კითხვაზე უწევს პასუხის გაცემა, თვალებს ხრის და აშკარად დელავს.

მოკლედ, სკოლის დამთავრების შემდეგ, ჯულიმ დრამატულ სასწავლებელს მიაშურა და სულ მალე მიხვდა, რომ თავისი მომავალი სწორედ დრამატული ხელოვნებისთვის უნდა დაეკავშირებინა. „მშობლებმა ეს საშინლად განიცადეს, – იხსენებს მური. – როცა პირველად განვაცხადე, რომ მსახიობობას ვაპირებდი, მათ ეს ხუმრობად მიიჩნიეს. შემდეგ კი, როცა მიხვდნენ – ამას სერიოზულად ვამბობდი, ჩემს ინტელექტუალურ მონაცემებში შეიტანეს ეჭვი, თანაც მიიჩნიეს, რომ ჩემი მონაცემები ტყუილად გაიფლანგებოდა, რადგან მათი აზრით, მსახიობობა მხოლოდ გარეგნულ მონაცემებსა და სითამამეს მოითხოვდა...“

1983 წელს ჯულიანამ ბოსტონის უნივერსიტეტთან არსებული დრამატული სკოლა დაამთავრა და ნიუ-იორკში გაემგ-

დევიდ ლუბონისთან ერთად





ენგონი ჰოპკინსთან ერთად

რნალმა ეოპლე-მა მსოფლიოს 50 ულ-ამაზესი ადამიანის სიაში შეიყვანა. მას იმავე მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, რასაც ჯულია რობერტსს, მაგრამ მურმა კომედიებსა და მელოდრამებს ბევრად უფრო სერიოზული და ოდნავ უცნაური ფილმები ამჯობინა.

მოგვიანებით, ჯულიანა მური სტივენ სპილბერგმა „დაკარგულ სამყაროში“ პირველყოფილი დინოზავრების კომპანიაში ათამაშა, ამ ფილმის შემდეგ კი რეჟისორები ჯულიანას ბოვეიკებშიც იწვევდნენ, მაგრამ მსახიობს აპლუა არ შეუცვლია: „მე ძალიან მინდოდა სტივენ სპილბერგთან მუშაობა, ამიტომაც, ინტელექტუალებს ისვან გამოთქმული შენიშვნებისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, — ამბობს მსახიობი. — სტივენ სპილბერგს უდიდეს, გამორჩეულ რეჟისორად მივიჩნევ“.

სპილბერგთან გადაღების შემდეგ, ჯულიანამ დებუტანტი-რეჟისორის ბარტ ფრენდლიხის ფილმში — „მითი თითის ანაბეჭდების შესახებ“ მიიღო მონაწილეობა. ფილმი ოჯახურ ურთიერთობებს ასახავს და იმითაც გახდა მისთვის სამსახიობო, რომ მისი გადაღების პერიოდში მურს საკუთარ ოჯახშიც გაუჩნდა პრობლემები.

რვა წლის განმავლობაში ჯულიანა მსახიობ ჯონ გულდ რუბინის ცოლი იყო, მაგრამ მათ ვერაფრით შეძლეს ნორმალური, ოჯახური ცხოვრების აწყობა. მუდმივი

ზავრა. თავიდან მან სატელევიზიო „საპანის ოპერაში“ განსხვავებული ტიპაჟები — ტყუბი და განასახიერა და აღნიშნა, რომ ტელევიზიაში მუშაობა საოცრად ერთფეროვანი იყო. თუმცა, მიუხედავად ამისა, მან ისე განასახიერა ორი განსხვავებული გმირი, რომ დღის სერიალისთვის დაწესებული პრემია „ემი“ მოიპოვა. როგორც კი ჯულიანამ ცოტაოდენი პოპულარობა მოიპოვა, მაშინვე მიატოვა ტელევიზია და დიდ კინოში გადაინაცვლა. პატარა, მაგრამ დასამახსოვრებელმა როლებმა ფილმებში: „ხელი, რომელიც აკვანს არწევს“ და „ბენი და ჯუნი“ რეჟისორთა ყურადღება მიიპყრო და ბუნებრივად წითურთმიან, იშვიათი გარეგნობის მსახიობს ჰოლივუდის კარი გაუღო.

სახელის მოხვეჭა მურმა 1993 წელს შეძლო, როცა რობერტ ოლტმანმა ის ფილმში — „მოკლე ნაჭრები“ მიიწვია. ჯულიანას გმირს ფილმში გაშიშვლება უწევს, მაგრამ მსახიობი ამას ფილოსოფიური თვალთახედვით მიუღდა: „დედაჩემი მუდამ მეუბნებოდა: მირჩევნია შიშველი გნასო, ვიდრე მკვდარი“, — ამბობს ჯულიანა.

კარიერის დასაწყისში, მას „ველური ვარსკვლავი“ უწოდეს. პირველი შესამჩნევი როლების შემდეგ კი, ეგზოტიკური გარეგნობის წითურთმიანი მსახიობი ფუ-

გადაღებების გამო ცოლ-ქმარი ერთმანეთს იშვიათად ხვდებოდა. 1994 წელს ისინი გაიყარნენ, მაგრამ უკეთესი მომავლის იმედით, განქორწინება ოფიციალურად არ გაუფორმებიათ. მიუხედავად ამისა, მურმა და რუბინმა 1995 წელს მაინც ოფიციალურად გააფორმეს განქორწინება. ამ პერიოდს, ფილმ „მკვლელების“ ჩავარდნა დაემთხვა. ჯულიანას მონაწილეობით გადაღებული ეს ფილმი პრემიერის შემდეგ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს. ასე რომ, ჯულიანამ ორი დიდი დარტყმა მიიღო — როგორც ქალმა და როგორც მსახიობმა.

„სიბრაზისგან საკუთარ თავთან ლაპარაკი დაევიწყე, — ჰყვებოდა მოგვიანებით ჯულიანა. — მოულოდნელად აღმოჩნდი სრულიად მარტო — როგორც ფიზიკურად, ასევე იურიდიულად, ეს კი მძიმედ გადასატანი იყო ჩემთვის... ვცადე გამეანალიზებინა ის ქმედებები, რამაც მარტოობამდე მიმიყვანა. ვფიქრობ, ამ წელიწადმა მე შემცვალა როგორც პიროვნება და როგორც მსახიობი“.

მიუხედავად ამ პრობლემებისა, ჯულიანამ რეჟისორ ბარტ ფრენდლიხთან ითამაშა ფილმში „მითი თითის ანაბეჭდების შესახებ“ და მასთან რომანიც გააჩაღა. მოგვიანებით, ჯულიანამ ბარტისგან ბიჭიც გააჩინა, მაგრამ წყვილს თავისი ურთიერთობები ოფიციალურად მაინც არ გაუფორმებია.

2001 წელს, „ჰანბალის“ გარდა, ჯულიანამ მონაწილეობა მიიღო ფილმებში: „სომალდის სიანხლები“, „ეგოლუცია“ და „მიწიერი მოგზაური“.

გარდა ამისა, შარშან ჯულიანა მური კომპანია ლევონ-მა თავისი კოსმეტიკური ნაწარმის სარეკლამო სახედ შეარჩია და ამასი მსახიობისთვის ხელი არც იმას შეუშლია, რომ იმხანად მური მეორე ბავშვზე იყო ფეხმძიმედ. ლევონ-მა ჯულიანას 3 მლნ დოლარის კონტრაქტი გაუფორმა და ჩათვალა, რომ მსახიობის ორსულობა კოსმეტიკის რეკლამას მეტ ხიბლსაც კი შესძენდა. აღსანიშნავია, რომ კომპანია ლევონ-ი სარეკლამო სახეებად მხოლოდ სახელგანთქმულ ქალებს ირჩევს: თავის დროზე მის კოსმეტიკას მსახიობები მეღვინე გრიფიტი და ჰოლი ბერი, ასევე სუპერმოდელები სინდი კროუფორდი და კლაუდია შიფერი უწევდნენ რეკლამას.

ამრიგად, გასული წელი მსახიობისთვის მართლაც დამაბული და მძიმე აღმოჩნდა, ამიტომაც ჯულიანამ გადაწყვიტა, საფუძვლიანად დაისვენოს ზაფხულში. იგი ცხელ დღეებს ლონგ-აილენდის პლაჟზე ატარებს და თავის ცხოვრებას ანალიზებს. საკუთარ თავს კი, ნამდვილ გმირობად ერთ საქციელს უთვლის: მან, როგორც იქნა, სიგარეტს დაანება თავი.




ფრანკო ბენილუკი

ბენილუკი

აზა-აზა მარშალ ლამბდენი

უკვე აღარ ვიცი, რა ვუნოდო ჩემს ამერიკულ შთაბეჭდილებებს. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა „ოდისეად“ ვნათლავდი ბრუკლინის ქუჩებიდან აღქმულ ყოველდღიურ მოულოდნელობებს. აქ გატარებულმა პირველმა ხუთმა თვემ პირისპირ დამაყენა არცთუ ისე სასურველ რეალობასთან. ახლა მე ვეკ ლონდონის ხელმოცარულ ოქროსმადიებელს ვგავდი, მრავალი წლის წინ რომ ჯიქურ მიინვედა თვალისმომჭრელი საბადოსკენ, მერე კი ან ოქროს ელვარება აბრმავებდა ან ყინულის სამფლობელოში იძირებოდა. იქიდან თავის დაღწევა კი არცთუ ისე იოლი იყო...



რა შესაძლებელია თბილისურ ზერსსლის გეგმას ანუ ისევ საკუთარი თავის იმედად ამერიკაში...

ჰოდა, ასე დავდიოდი ბრუკლინის ქუჩებში რესტორან „ЗОЛОТОЕ КОЛЬЦО“-ს ერთ დროს „პოპულარული“ მზარეული, ლამის მოძღვრულ ვარსკვლავად რომ ვიქეცი. რუსულ რესტორანში მოსული ნოსტალგიამოძიებულ რუსები და რუსი ებრაელები ჩემი სიმღერებით და კისას განუყოფელი კრებით იქარვებდნენ ნაღველს. შუგულისკის, ვისოკისა და ბუბა კაკაბიძის სიმღერებმა ერთ თვეში სახელიც მომიხვეჭა და... ქუჩაშიც გამოძვლო. რას იზამ, ქართველ კაცს ალფონსობას ყველაფერი უჩვენია და მეც ასე აღმოვჩნდი ისევ ბუდისმძიებელთა რიგში, რომელთა რიცხვი ამერიკაში დღითი დღე მატულობს. ამრიგად, „გზის“ წინა ნომრებიდან ოლიმპისაკენ მიმავალი მოგზაური ისევ აფუფასანი სასტუმროს ჩეჩენი ბინადრის – მუსას იმედზე დავრჩი...

„ბირჟავიკების“ გარემოცვაში

„უმუშევრობის“ პირველმა დღეებმა საშუალება მომცა ამერიკული ყოველდღიურობის რიტმს დაგვირგვინებოდა. ნოუ-იორკში, ისევე როგორც ვერაპის დიდ ქალაქებში, სამუშაო დრო დილის 7-8 საათიდან იწყება და ამიტომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი უკვე 6 საათიდან გადატვირთულია. ყველა ცდილობს, სამუშაოზე არ დაგვიანოს და ისე მიქრიან, თითქოს ერთმანეთს მისდევდნენ ან კიდევ „ჰოლექტორ“ მართონში მონაწილეობენ.

მეც შეუუერთდი ამ მართონს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ყოველდღიურად სამუშაოს საშინელად მივყვებოდი მუსას. თუმცა პირველად, დილაადრიანად საერთო საცხოვრებელიდან რომ გამოვვლიდი და ხალხით გადატვირთული ქუჩები დავინახე, ათი წლის წინან-

დელი თბილისი გამასხენდა პიკის საათის დროს (თორემ ახლა დილის ექვს საათზე კი არა, 8-9 საათზეც თითქმის ცარიელია ქალაქი).

– ამ ხალხს არ ებინა? ასე ადრე სად გარბიან? – კითხვა კითხვაზე დავაყარე მუსას.

– წამო, წამო!.. ჩქარა, რა დროს შეკითხვებია? შეიძლება ვერ მოვასწროთ!

– რა ვერ მოვასწროთ? – დავინტერესდი კიდევ ერთხელ.

მუსამ აბჯურად არ მიპასუხა და ლამის სირბილზე გადავიდა. სხვა გზა არ მქონდა, მორჩილად ავედევნე. კიდევ კარგი, შორი მანძილი არ გვქონდა გასავლელი, თორემ ნამდვილად ვერ მოვახერხებდით გაჭვდილ ავტობუსში შეღწევას.

ამასობაში ბირჟასაც მივუახლოვდით. როგორც მერე გავიგე, ევროპულ წოდებულ ბრუკლინის რუსულ ბირჟაზე მივდივით. აქ იკრიბებიან ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ჩამოსულნი და როდესაც პირველად მოვხვდი მათ შორის, ასე მეგონა, მიტინგზე ამოვყავი თავი.

„ფორტ ჰამილტონის“ (ასე ერქვა ამ ადგილს) მოპირდაპირე მხარეს ორმოცდაათამდე მამაკაცი იდგა. ზოგი სპორტულ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი, უმეტესობას ზურგანთა ჰქონდა მოკიდებული (ალბათ სამუშაო იარაღები ეწყით)... ყველას მოუთმენელი მოლოდინი აღბეჭდვოდა სახეზე. თითქოს ინსტინქტურად მოქმედებდნენ – ცქუტავდნენ, მოუსვენრად სცემდნენ ბოლთას და სივარეტს სიგარეტზე უკიდებდნენ.

ამ მომლოდინე ხალხის გვერდით რომ დავდექი, თითქოს მამნვე გადმოხედი მათი

განცდები. მუსას ამ საზოგადოებაში უკვე კარგად იცნობდნენ, თითქმის ყველას ესალმებოდა. ჩემთვის ზედაც არ შემოუხედავთ, რაც ცოტა არ იყოს, უხერხულ მდგომარეობაში მაგლებდა – განზე ღვომას დაჩვეული არ ვიყავი, მაგრამ რას ვიზამდი, სხვა არჩევანი არ მქონდა – მოვლენებს უნდა დავლოდებოდი.

„ბირჟავიკების“ დამახურობამ კულმინაციას მამნ მაღწია, როდესაც ნელი სვლით მომავალი მანქანა გამოჩნდა და გზის პირას შეჩერდა. მუსა ჩემ გვერდით იდგა და თავის „მეგობრებს“ ელაპარაკებოდა. მანქანის დამუხრუჭება და მათი გაქრობა ერთდროულად მოხდა, თუმცა, მუსამ ყველას გაასწრო. ალბათ თავის დროზე მძლეოსნობის სექციაში რომ ჩაწერილიყო და ყოველდღე სტადიონზე ასე ერბინა, მსოფლიო რეკორდსმენიც გახდებოდა. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ მთელი ეს „ნროვა“ უმაღლესი კლასის სპორტსმენებით, მუსასავით დარბოდა. მიზანი ყველას ერთი ჰქონდა – პირველი მიჭრილიყო მანქანასთან, მოლაპარაკებოდა კლიენტს და სამუშაოდ გაჰყოლოდა.

პირველ მანქანას მეორე მოჰყვა, მეორეს მუსამე და ა.შ. ხან ქუჩის ერთ მხარეს ჩერდებოდნენ, ხან მეორე მხარეს. სამუშაოს მძიებლებიც აქეთ-იქით გარბოდნენ და გამორბოდნენ. მათგან იმხელა ენერგია მოდიოდა, კარგა ხანს გაოგნებული ვიყავი, ვიდექი და უაზროდ შევყურებდი ამ უჩვეულო სანახაობას. ვერ გადამეწყვიტა, ჩავრთულიყავი თუ არა მართონში.

– ვაი, ჩემს პატრონს! ასე გაბირებ ამერიკაში ფულის შოვნას?! – ხმამალა ვუთხარი საკუთარ თავს და კიდევ ერთხელ შევეუერთებე ლოთ ბორიას, კისას გადარეულ თაყვანისმცე-

მელს, რომელმაც იბულებული გამხადა რესტორანში მუშაობა მიმეტოვებინა (თბილი ადგილი სამხარელოში და მომავლის „კარიერა“ „ჯეკონჯეტ რეკომენდ“-ს სცენაზე). კიდევ ერთხელ დაიწვევლე თაველი, მაგრამ არა, სწორედ ახლა უნდა მომეკრიბა მთელი ჩემი ფიზიკური და გონებრივი რესურსები, რომ ამკარა ჭაობიდან ამოვსულიყავი. მოშვების უფლება ნამდვილად არ მქონდა. პირველ რიგში გამჭირავსობა მჭირდებოდა და... რაც მთავარია, ხელი არ უნდა ჩამეჩნია.

დღეს რატაც, ბედი არ მწყალობს!..

ერთი საათი იტრიალა და იბზრიალა ჩემმა ჩქერმა გზამკვლევა, მაგრამ ვერც ერთ მანქანასთან ვერ მივიდა პირველი. ბოლოს, აქოზინებული მომიასლოვდა:

– დღეს რატაც, ბედი არ მწყალობს!.. – შემომიძვილა.

– მუსა, სამუშაოს ასე შოულობ, ასეთი უაზრო სირბილით? – დავინტერესდი.

– აბა, სხვანაირად ბირჟაზე რას იშოვი?! უნდა იაქტიურო, ძმაო!

– კი მაგრამ, ამდენ სირბილს და ერთმანეთის გასწრებ-გამოსწრებას არ გირჩევენათ, როგორ ჩადგეთ? – თითქოს მათ ამაღამი გარეული არ ვიყავი, ისე დაუწყვე კკუის სწავლება.

მუსამ გაკვირვებით შემომხვდა:

– შენ, კაკო, მივარიდან ხომ არა ხარ ჩამოსული... ამერიკაში ხარ, ამერიკაში! აქ ვუნებლის კანონი მოქმედებს – ძლიერი იმარჯვებს... სუსტი არავეის სჭირდება, ყველას უნდა გაასწრო, უნდა მოერიო, რომ რაიმეს მაიაწვიო.

– კი, მაგრამ, ყველას ხომ არ შეუძლია, ასე დასწრებაზე იბრძოლოს, კაცი შეიძლება კარგი სპეციალისტი იყოს, მაგრამ სირბილი არ შეეძლოს და ულუკმაპუროდ უნდა დარჩეს? – ვიცოდი, რა პასუხსაც გამცემდა, მაგრამ ჩემსას არ ვიშლიდი.

– მაშინ, ძმაო, ამ ქვეყანაში უნდა დაბადებულიყავი და ყოველგვარი უფლება გექნებოდა – სწავლის, მუშაობის, ფულის კეთების ადამიანური პირობები. სხვა შემთხვევაში კი, თუ არ იაქტიურე, დაიღუბები... და იცი, რას გეტყვი, კაკო? ბევრს ნუ ფიქრობ. მოიქეცი ისე, როგორც ჩვენ ვიქცევით და ნუ გეშინია, წარმატებასაც მაიაწვევ!

ეს უკვე დაცინვა იყო:

– ასე უნდა ვირბინო, როგორც თქვენ დარბიხართ წალბა-უკულმა?! – გულდაწვეტილმა ჩავილაპარაკე.

– რა ვიცი მე! სხვა გზას ვერ ვეკვრობით ვერ ვხედავ და იქნებ შენ იპოვო! – ირონია გავრია ხმაში და მანიშნა – შემეშვიო (ეტყობა, თავი მოვაბეზრე), თან დასძინა: როგორმე სასწრაფოდ ფული უნდა ვიმოყო, ბინის ქირა მაქვს გადასახდელიო...

ბოლოს მუსამ იმდენი იტრიალა, რომ რომელიღაც მანქანაში მოახერხა ჩავჯდომა

და ჩემკენ არც გამოუხედავს, ისე წავიდა. დავრჩი ბირჟაზე მარტო (მუსას გარეშე, თორემ უმუშევართა ნაკადი სულ უფრო მატულობდა). ერთი-ორჯერ მეც შევეცადე, მანქანასთან მიმერბინა, მაგრამ კონკურენტებმა ისე ჩამიქროლეს, თავი დამცირებულად ვიგრძენი და საერთო საცხოვრებლის გზას დავადექი...

ნუგეზის იმედით... გლორიასთან

აღარ ვიცოდი, უიღბლოდ დაწყებული დღე როგორ გამეტარებინა და ჩემს ნივთებს დავეუწყე ქექვა. ხელში ამერიკაში ნაყიდი რვეულები შემრჩა, რომელშიც ნოტებსა და სიმღერების ტექსტებს ვიწერდი, აგრეთვე სხვადასხვა ჩანაწერს ვაკეთებდი იმ დღეებში, როცა დროს გამოვებნდი ბიბლიოთეკაში წასასვლელად.

ტანსაცმელი გამოვიცვალე და ბიბლიოთეკაში ამოვყავი თავი. უნდა გენახათ გლორიას გაცოცება, როცა ამდენი ხნის შემდეგ მის „უბანზე“ დამინახა.


ჰემინგუეის რუსული თარგმანები მოეითხოვე და ვერ წარმოიდეგნო, რა ბედნიერი ვიყავი, როცა რამდენიმე წუთში ჩემს მაგიდასთან „მშვიდობით იარაღი!“ გაჩნდა. კმაყოფილება იმით გამოვხატე, რომ მაღლიერების ნიშნად გლორიას თბილისიდან წამოღებული სუვენირი მივართვი – გიშრისთვლიანი ვერცხლის ბეჭედი. აი ისეთი, საღონებში რომ მრავლად იყო იმ პერიოდში, თბილისელ გოგონებს დიდად რომ არ ემატებოდათ გულზე, მაგრამ გლორიას ისე მოეწონა, ბიბლიოთეკაში რომ იმ ვყოფილიყავით, ალბათ სიამოვნებით მაკოცებდა...

არ ვიცი, საჩუქარმა იმოქმედა თუ ჩემმა დარდადამ გამომეტყველებამ, გლორიას სულ დაავწყდა, წინა კვირებში როგორ ეკვიანობდა, როცა მუსიკალურ განყოფილებაში გატარებული მთელ დროს მშვენიერი სარას გარემოცვაში (გახსოვთ, ალბათ, რუსულ სიმღერებს ვსწავლობდი კისასა და მისი კლიენტების გასართობად).

მოულოდნელად, თითქოს რაღაც გაახსენდაო, გლორია სამკითხველოდან გაქრა და რამდენიმე წუთში ერთიანად გაბრწყინებული დაბრუნდა. ხელში რაღაც წიგნი ეჭირა, ოღონდ ვერაფრით წარმოვიდეგნდი, თუ ჩემთვის მოჰქონდა.

– ეს თქვენთვის ავარჩიე, კაკო, მგონი სულაც ქართველი მწერალი უნდა იყოს... – ისე შემომძიმა ქერთიანამ გლორია, რომ დილანდელი ხელისმითვარვა სულ გადამაძვიწყდა.

მაგიდაზე ნოდარ ღუმბახის „მე, ბებია, ილიკო



და ილარიონი“ იღო, რუსული თარგმანი. არა, დღეს ნამდვილად აღარ მოვიწყენდი.

წამოვიჭერი და მაღლიერების ნიშნად, გლორიას ხელზე ვაკოცე. ამას კი აღარ მოელოდა. როცა ხელი ვაფუშვი, შევამჩნიე, რომ ჩემი ნაჩუქარი ბეჭედი უკვე გაეკეთებინა. ორივემ ერთდროულად შეგვეღვით თვალი გიშრის თვალს და ორივეს გაგვეცინა...

გლორია ახალგაზრდა ამერიკელი ქალი იყო, ლამაზი, სამუშაოც ჰქონდა და არც სასტუმროში უწევდა ღამის გათევა... ჩემნაირი მკითხველიც მრავლად ჰყავდა, მათ შორის ალბათ, თავყინისმცემლებიც...

ჩვენი ურთიერთობა იმ გიშრისთვლიანი ბეჭდის ამბავს არ გასცილებია, მაგრამ როცა ზოგჯერ გლორიაზე ვფიქრობ, რატომღაც მგონია, რომ მოვწონდი და ახლა მის ბიბლიოთეკაში შესული რომ დამინახოს, სიხარულით ცას ეწვევა-მეთქი. რას იზამ, ასეთი თვითდაჯერებულები ვართ ქართველები!

„გადავლება“ ამერიკაშიც სცოლდნიათ...

ბიბლიოთეკაში ჩვეულებრივზე მეტხანს შევრჩი. საერთო საცხოვრებელში გვიან დაბრუნებულს მარტოს მომიწია ტელევიზორთან ვჯლომა. ჩქერნი მუსა იგვიანებდა. ალბათ ორი საათი იქნებოდა, რომ მოლასკლავდა. ქუჩის მათხოვარს უფრო ჰყავდა, ვიდრე ჩემს დილანდელ „კოლეგას“. სახე ერთიანად გაძუროდა და ისეთი დატანჯული იყურებოდა, თითქოს მთელი კაცობრიობის ცოდვები ეკადა კისერზე.

– სად იმუშავე, მუსა? – ვერ მოვითმინე

და კითხე.

– „დემოკრატიზაცია“... – უხალისოდ მი-
პასუხა.

– ეს რაღაა?! – გამოკვირდა.

– სახლების ნგრევა! ძალიან ჭკუჭკიანი
და დამღვლილი საქმეა!

– რამდენი გადავიხადეს? – დავინტერეს-
დი, მაგრამ შევაძინე, რომ ეს კითხვა მუხს არ
ესაძიებინა და უპასუხოდ დამტოვა. ვერ მოე-
თინე და კითხვა კვლავ გავეუმორე.

– არაფერი!.. – სახეზე აღუვება და-
ეცყო.

– ეს როგორ? – გაოცება ვერ დაგმაღე.

– როგორ და დეგენერატი რომ ვარ, ისე!
მთელი დღე ვირივით ვიმუშავე. ბოლოს ფული
არ მომცეს და „ამაყიარავს“.

– ვერ გავიგე, – უხაროდ შევახერხე
მუხსას.

– რა ვერ გაიგე?! – მთელი დღე გამო-
მიყენეს, ღელა მიტირეს და ჯამაგირი არ
გადამიხადეს!.. – გაღიზიანდა ჩემნი.

– მერე ვერ მოსთხოვე? – ტვინი შევე-
ჭამე.

– როგორ მომთხოვა? დილიდან ჩვენთან
ტრიალებდა, „ლანჩი“ მოგვიტანა, ყურადღებას
არ გვაკლებდა. საღამოს კი... გაქრა.

– მერე სად წავიდა, ვერ გაიგეთ?

– საიდან უნდა გამოვყო? როდესაც შენო-
ბის მეპატრონეს მისი ვინაობა კითხეთ, მან
მობილურის ნომერი მოგვცა, მაგრამ რად მი-
ნდა? – ვრეკავ და სულ გამოითოვლია...

– არა უშავს, მუსა, იპოვი და ფულსაც
მოგვცემს... – შევეცადე დამემშვიდებინა.

– ე-ე კაკო, რომც ვიპოვო, ვერაფერსაც
ვერ მოვთხოვ. იტყვის, საემიგრაციო სამსახ-
ურში დავრეკავო... „გადაციარავებს“ იმხელა
გამოცილებს მაქვს, რომ არ შეეცდები, ასე
იქნება!

– გამოდის, რომ შერჩება? – უკვე მე
გავღიზიანდი ასეთი უსამართლობით.

– ასე გამოდის. უმეტესად მუშების დამ-
ქირავებლები პატიოსნად იხდიან ჯამაგირს,
მაგრამ ხშირად ასეთებაც გამოერევიან. მათ
იცინა, რომ კანონით ვერაფერს მოვითხოვთ და
ამით სარგებლობენ...

– ხშირად ჩავარდნილხარ ასეთ სიტუა-
ციაში?

– სამწუხაროდ, ხშირად, მაგრამ
ამ ტიპზე ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი,
ისეთი ანგელოზური სახე ჰქონდა...

მუსამ ხელი ჩაიჭია, პირსახო-
ცი აიღო და სააბაზანოში შევიდა.

ამ შემთხვევამ სერიოზულად დამ-
აფიქრა. საკუთარი თავი მის ადვ-
ილას წარმოვიდგინე და მუსა კიდევ
უფრო შემბრადა. მის მდგომარე-
ობაში ალბათ ვერც მე გაგაკეთებდი
რაიმეს. თუ ამერიკაში იმას ითხოვ,
რაც კანონით არ გეკუთვნის, ასე
წელი ვერ მიიღებ, – სამაგიეროდ,
ხათაბალაში სულ იოლად შეიძლე-

ბა გაჰყო თავი.

რას იზამ, თუ ტურისტად ჩამოხვედი და
ქვეყნის ღირსშესანიშნაობების თვალთვლების
ნაცვლად, საშუალო ტენა დაიწყე, ეს კანონის
„უხეში“ დარღვევაა. ამერიკაში კი კანონი მარ-
თლაც უზენაესია, მის დარღვევას არაფერს გა-
ატიებს. ეს ამერიკული რეალობაა – იმ
შემთხვევაში, ჩემთვის და მუსასთვის სამწუხ-
არო, მაგრამ მაინც რეალობა!

ისევ შენიანი თუ დაგეხმარება...


ერთი კვირის განმავლობაში ყოველდღე
დავფიქრობდი მუსას ბირჟაზე, საღამოობით ავტოს
კურსკავდი, მაგრამ საშველი არსაიდან ჩანდა.
პირველ დღეებში მანქანამაინც არ მამინებდა
უბერსაქტევიობა. დილით იმ იმედით ვიღვი-
ტებდი, რომ ახლა მაინც ვიშოვიდი საშუალოს,
მაგრამ ამაოდ. თავპირისმტვრევით სირბილი
და მუგლუგუნებით მანქანასთან მისწრება თავ-
მოყვარების შელახვად მიმაჩნდა. არადა, ფული
მითავფიქროდა და საარსებო წყარო სასწრაფოდ
უნდა მეპოვა. უიმედო მდგომარეობა სა-
სოწარკვეთაში მაგდებდა.

... იმ ერთი კვირის განმავლობაში, რაც
ბირჟაზე დავდიოდი, მეც გავიჩინე ნაცნობები.
ისინი ძირითადად, ის ადამიანები იყვნენ, რომ-
ლებიც ძნელად ახერხებდნენ მანქანასთან მის-
ვლას – ან ჩემსავით ელოდნენ, რომ კლიენტი
თვითონ მოვიდოდა და მანქანამაინც მათ
დაადებდა ხელს – მხოლოდ შენ უნდა წამოხ-
ვიდე ჩემთან საშუალოდ... ჰოდა, ვიდევით
ერთად ხელმოცარულები და ჩვენს პრობლე-
მებზე ვსაუბრობდით.

– შენ რაღა გადევლებს? – ქართველი
რომ ვიყო, თქვენს ბირჟაზე წავიდიოდი... –
მითხრა ერთმა უკრაინელმა, რომელიც, ეტყობა,
ჩემი სახის გამოიმეტყველებით მიმიხვდა
გასაჭირს.

– რაღაც ვერ გავიგე, რას მეუბნები? –
საეჭვოდ შევეხე „კონკურენტს“.

– აქ ახლოს (და ადგილი დამის-
ახელა) კიდევ ერთი ბირჟაა, მარ-
თალია, იქ ბევრი კლიენტი
არ მიდის, მაგრამ ასეთი „ჩემ-



ვა“ გამოიცნოვლია... – გაავრძელა უკრაინელმა
ქართველების ბირჟის ქება.

– იქ რა, სხვა სამყაროა თუ რა? – უფრო
დავეკვდი. თანაც გავიფიქრე, აქედან ჩემი
მომხრება უნდა და ამას იმიტომ მეუბნება-
მეთქი.

– არა, უბრალოდ, იმ ბირჟაზე უმეტესად,
ქართველები ტრიალებენ, სიტუაციას აკონ-
ტროლებენ და რაც ასეთი „ბარდაკა“. მით
უმეტეს, ქართველებს უყვართ ერთმანეთის პა-
ტივისცემა (პირველად მოვისმინე საზღვარგა-
რეთ, ერთმანეთის გატანისთვის რომ აქებდნენ
ქართველს და გამეხარდა): ვერ ერთმანეთს
ენმარებათ, საშუალო ინაწილებენ და მერე
სხვებს უშვებენ. წადი, ქართველი ხარ და
პრობლემა ნაკლები გექნება...

ვირწმუნე, რომ მართლა უნდოდა ჩემი
დახმარება უკრაინელს. მუსასაც კითხე ამ
ბირჟის შესახებ და მანაც დამიდასტურა. კი,
მაგრამ, თუ ეს იცოდი, აქამდე რატომ მიმალა-
ვლი-მეთქი? – სერიოზულად გავეცხვლდი.

– მაქვს მიზეზი და იმიტომ? – მოკლედ
მომიჭრა.

– ამისხენი, თუ კაცი ხარ, რა მიზეზია
ამისთანა?

– ორჯერ ვიყავი და ორივეჯერ მუშტი
მომხვდა!

– მაინც რა დაშავე ისეთი, რომ მუშტი
მოგხვდა?

– არაფერიც არ დამიშავებია! უბრალოდ,
მანქანასთან მისვლა დავასწარი სხვებს და
შენიშვნა მომცეს. მორიდდეს რომ იფიქრე გავიმ-
ეორე, ერთმა შენმა თანამემამულემ გვერდზე
გამიყვანა და ყოველგვარი გაფრთხილების
გარეშე ისეთი მღეწა, გონს როდის მოვედი,
აღარც მასხვოს! ისე, ჩვენში დარჩეს და, ცოტა
გიჟები კი ხართ ეს ქართველები!

გამეცინა და მუსას ხელი გადავხვიე.

– წამო, მუსა! მასწავლე, ის ადგილი სად
არის, ერთად მივიდეთ და პირობას გაძღვე,
არაფერს გავწყინებ. თუ რაიმე სასწაუ-
ლი არ ჩაივინე...

მუსა მიყურებდა და ვერ გადა-
ეწყვიტა, რა ეპასუხა. ბოლოს ძალიან
მოიკრიბა, შემომხვდა და ჩაიბურ-
ტუნა:

– ჯანდაბას შენი თავი, ბოლოს
და ბოლოს, ძმები ვართ და ერთ
ოთახში ვცხოვრობთ... ციცი, არ
გამწირავ და რისი უნდა შემინ-
ოლეს?!

... უკრაინელს მაღლობის ნიშ-
ნად ხელი ჩამოვართვი და მუსას-
თან ერთად, დაიმედებული, გავემურე
ქართველების ბირჟაზე...

P.S. თუ როგორ განვითარდა
მოვლენები ქართველების ბირჟაზე
და როგორ ჩავები სერიოზულ
ამერიკულ ბიზნესში, ამის შესახებ
ჩემი მომდევნო პუბლიკაციებიდან
შეიტყობთ.

დასწავლი იხ. „გზა“, №25

— აბა რა! — აიტაცა ლალამაც, — მარიძე ხომ ორივე მკვლელობაზე, უფრო ზუსტად, იმ მოკლულ მოცეკვავეებზე ათას სხვა ჭორსაც ჰყვებოდნენ. მაგალითად, მეორე გოგოზე, მგონი, ღია თუ ლეღა რომ ერქვა, ამბობდნენ, რომ ერთმა საყვარელმა მეორესთან წაუსწრო და იმიტომ მოკლაო... გოგამ კი ისიც გაიხსენა, რომ მანამდე თავად იმ საყვარლებმა კინაღამ ერთმანეთიც დაბრიდესო...

— გოგა ვინლა? — ჩაეძია ლუკა.

— გოგა?... — დაბნეულად წარმოთქვა ლალამ და ანის მავედრებელი თვალებით გადახედა: შემომეშველეო, მაგრამ მერე ლუკას გამჭოლ მზერას წააწყდა და სასწრაფოდ დანებდა:

— გოგა გოგიშვილი ჩვენი მოცეკვავეა... ძალიან კარგი ბიჭია... მართლა, მართლა... — ლალას ხმაზე შეეტყო, რომ ხასიათი გაუფუჭდა.

— მისმინე, გოგონი, — ლამის თანაგრძობით გაელიმა ლუკას, — ჩვენ შენი გოგას დაპატიმრებას ნამდვილად არ ვაპირებთ, უბრალოდ, ვალდებულნი ვართ, გადავამოწმოთ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ამ საშინელი მკვლელობების საქმეს სულ ოდნავ მაინც წინ წასწევს. გასაგებია?

— დიახ, დიახ, ყველაფერი გასაგებია! — მოწაფესავით დაეთანხმა გახარებული ლალა!

ლუკა ფეხზე წამოდგა და ვაჟასაც ანიშნა, ჩვენი წასვლის დროაო. „ყველაფრისთვის დიდი მადლობა, თუ კიდევ რამეს გაიხსენებთ, ან რაიმე საეჭვოდ მოგეჩვენებათ, სასწრაფოდ დაგვირეკეთ!“ — დასძინა მან ბოლოს.

ლუკა და ვაჟა ხის კიბეზე ხმაურით დაეშვნენ. პირველ სართულზე, მარის ბინის შეღებული კარიდან ისევ სინათლე გამოდიოდა.

— მოდი, შევიხედოთ, ექსპერტიზის საქმე როგორღა მიდის, — შესთავაზა ლუკამ ვაჟას და ის იყო, კარს ხელით მიაწვა, რომ ვაჟა პიჯაკის სახელოში ჩააფრინდა:

— ბატონო ლუკა...

— მოდი, რა, მოვეშვათ თქვენობითა და ბატონობით ლაპარაკს და უბრალოდ, ლუკა დამიძახე, — გააწყვეტინა ლუკამ.

— ლუკაია, წიე, დღეს პირში ერთი



რუსულან ბერიძე

ლანდენის ცეხვა

ლუკმა მაინც თუ ჩავსვლია? — სასწრაფოდ ისარგებლა მინიჭებული უფლებით ვაჟამ. — არ იცი, რომ მამლარ კუჭზე ტვინი უკეთესად მუშაობს?

— ისემც რა გითხარი, — „ხურდა“ დაუბრუნა ლუკამ და ღია კარში შეაბიჯა, — ეს ქვეყანა რომ მშვიერი მონების აშენებულია, ჩემგან უნდა გესწავლებოდეს?

თავიანთი საქმე ექსპერტებსაც თითქმის მოეთავებინათ, ერთმა მათგანმა უკვე პატარა ჩემოდანიც ხმაურით დაკეტა და ის იყო, წასასვლელად მოემზადა, რომ თვალი გამომძიებლებსაც მოჰკრა:

— ო-ო-ო... დეტექტივებს ჩვენი სალაპი! თუ გინდათ, ამ კახების თითის ანაბეჭდებსაც დღესვე ავიღებ, — მიმართა მან ვაჟას, რადგან ლუკამ ამ დროს უკვე ოთახის ერთ-ერთ კუთხეში მიმდგარიყო და მოკლულის უბის წიგნაკს გულმოდგინედ ათვალიერებდა.

— რაო, რა თქვი? — წიგნაკი ხმაურით დაკეცა ლუკამ. — ეს ქალები სადაური შენი კახები არიან?

ვაჟას ჩხუბის სუნი ეცა და ის იყო, სამშვიდობო სიტყვის ჩაგდებას აპირებდა, რომ ისევ ექსპერტმა გააბა:

— ნეტავ რამ გაგაცოფა? ისე იფ-

ხორები, თითქოს ორ უტვინო მოტლინკავე გოგოზე კი არა, დედოფლებზე გელაპარაკებოდე... და საერთოდაც, არ გიცნობ, არ მიცნობ, რას გადამიქვიდე?

სანამ ვაჟა რამეს მოიმოქმედებდა, ლუკამ ორი ნაბიჯით ლამის მთელი ოთახი გადაჭრა და მისი ასეთი სწრაფი მიახლოებით დამფრთხალ ჩია ექსპერტს ზემოდან ისე დააცქერდა, თითქოს თავის გადანსნასა და შიგ ჩახედვას უპირებდა.

— კარგად დაიმახსოვრე, რასაც გეტყვი, — უკვე მართლა გრგვინავდა ლუკა, — ჯერ ერთი, ეს ქალები შენთვის კახები ან დამნაშავეები კი არა, მხოლოდ და მხოლოდ მოწმეები არიან, მსხვერპლი კი, უბრალოდ, მესამე კახა კი არა, მათი უახლოესი მეგობარი იყო! იმიტომ, სანამ კიდევ რამის თქმას დააპირებ, ტვინი გაანძირე, თორემ მაგ ენას ძირში ამოგაძრობ! ახლა დანარჩენ ორ საკითხს რაც შეეხება. პირველი: თითის ანაბეჭდების აღებას ზვალისთვის გადადებ. და მეორე: მიცნობ თუ არა, ამას საქმისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. თუმცა, ისე, მაინც გეტყვი, რომ მე ლუკა ძიძიგური ვარ და ამ გამოძიებასაც მე ვხელმძღვანელობ. ყველაფერი გასაგებია?

ექსპერტს სიმწრის ოფლმა დაასხა, შიშით, მგონი, კიდევ უფრო დაპატარავდა და ძლივს ამოიღულლულა:

— მაპატიეთ, ბატონო ლუკა, არ ვიცოდი, თუ უკვე ჩამოხვედით... არ ვიცოდი, თუ თქვენ იყავით... კიდევ ერთხელ გთხოვთ პატიებას...

— კარგი, კარგი, — მოლბა ლუკა, — შენ შესახებ ვაჟამ ბევრი კარგიც მიაბო — საუკეთესო სპეციალისტი ყოფილხარ... ისე, ცოტა ზრდილობაც არ გაწყენდა, რას იტყვი?..

— დიას, ბატონო ლუკა, როგორც მიბრძანებთ...

— უბრალოდ, ლუკა დამიძახე, — გააწყვეტინა ლუკამ და ამით ისიც აგრძნობინა, რომ ინციდენტი ამოწურული იყო.

სასამართლო ექსპერტმა შვებით ამოისუნთქა...

მოგვიანებით ვაჟა ლუკას კარგა ხანს ეპატიჟა, ღამე ჩემთან გაათიეო, მაგრამ ვერაფრით რომ ვერ დაითანხმა, ერთ იაფფასიან სასტუმროში დატოვა, თავად კი ღიღინ-ღიღინით თავისი ხუთი შინაბერა დის სანახავად გასწია...

როგორც კი ანიმ საკუთარი სახლიდან ბოლო პოლიციელი გაისტუმრა, კარი საგულდაგულოდ ჩარახა და როგორც იქნა, შვებით ამოისუნთქა. მაგრამ მეორე სართულზე ასულმა ტახტზე წამოკოტრიალებული და საჭორაოდ მომზადებული ლალა რომ დაინახა, ისევ მოიღუშა. ცხადია, ანის ლალა მართლა გულით უყვარდა, მაგრამ ახლა მისი ლაქლაქისა და გაუთავებელი შეძახილების — „აჰ, ნეტავ, რატომ?“ და „ოჰ, ნეტავ, რისთვის?“ მოსმენის თავი ნამდვილად აღარ ჰქონდა. ამიტომ, რას არ გაიღებდა, ვინმე რომ გამოჩენილიყო და ლალა ცოტა ხნით მაინც სადმე გაეტყუებინა. ლალას გატყუების იდეამ, რატომღაც, ჯერ მანიაკი მკვლეელი გაახსენა, შემდეგ — მასზე სანადიროდ გამზადებული ვაჟა და ლუკა. ვაჟამ ამჯერად ველარაფრით მოხიბლა. ლუკამ კი... ლუკა რომ როგორმე წარმოედგინა, ანიმ წუთით თვალებიც კი მილულა, მაგრამ ამის სანაცვლოდ, თვალწინ მაშინვე მორგის საშინელი შიშველი კედლები აესვეტა და იქ გამეფებული სტერილური სიცივეც თითქოს ხელახლა იგრძნო... მაგრამ ყველაზე საშინელი მაინც მორგის მაგიდაზე უნუგ-

ეშოდ გართხმული მარის უსიცოცხლო სხეულის გახსენება იყო...

როცა ლალა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ, როგორც თავად იტყოდა, ანის საუბარში ჩათრევის „ბონტი არ იყო“, ერთი ამოიოხრა და დასაძინებლად თავისთან ჩავიდა. მარტოდ დარჩენილმა ანიმ, ბოლოს და ბოლოს, შვებით ამოისუნთქა და ახლავდა გაახსენდა, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე, პირში ლუკამაც კი არ ჩასვლია...

სამზარეულოში გავიდა და, კარგა ხნის ფიქრის შემდეგ, ჯერ კიდევ დილით მოხარშული კვერცხის შეჭმა გადაწყვიტა. მაგრამ პირველივე ლუკმა ყელში გაეჩხირა, რადგან ისევ მარი გაახსენდა და გულიც ყელში მოებჯინა. თანაც, თავადაც რომ ვერ მიმზვდარიყო, რატომ, უკვე მერამდენედ გაიფიქრა: „ვინ იცის, იქნებ, მარი რომელიმე ჩვენმა საერთო ნაცნობამაც კი მოკლა?..“

ანის საკუთარ ეჭვებზე ლუკასთვის არაფერი უთქვამს. არადა, გრძნობდა, რომ ამის გაკეთება აუცილებელი იყო. მარი ხომ ბოლო ხანებში ზომაზე მეტად თავგზააბნეულიც კი ჩანდა... ეს გულუბრყვილო გოგო მუდამ რომანტიკული იდეალის ძებნაში იყო... თანაც, გზად შემხვედრი ნებისმიერი მამაკაცი, რატომღაც, ამ იდეალის შესაფერისიც ერვეებოდა. მაგრამ გამოხდებოდა ხანი და ხელში მთლად უკანასკნელი ნაძირალა თუ არა, ვინმე ხელმოცარული და უსაქმური მაინც შერჩებოდა ხოლმე... არადა, მარტო ანი კი არა, უკვე ლალაც კი კარგად ხედავდა, რომ მარის ყოველი მორიგი პარტნიორი წინაზე ბევრად უარესი იყო... ერთი სიტყვით, მარი მხეიძე უფსკრულისაკენ მთელი სისწრაფით მიექანებოდა. თანაც, არც შევლას ითხოვდა და, პრინციპში, აღარც მშველელი ჰყავ-

და...

ანი ხვდებოდა, რომ, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მარის ცხოვრების ეს დეტალები ლუკასაც უთუოდ უნდა სცოდნოდა. მაგრამ თავიდან მაინც დუმილი ამჯობინა, რადგან იმ წუთებში მისთვის ყველაფერზე მთავარი პოლიციელების თავიდან მოშორება იყო, თანაც, ლუკამ ხომ თავისი უხეშობითა და ჯიქური კითხვებით ისედაც კარგა გვარიანად დაღალა...

ანი თავისი პროფესიის მამაკაცებთან ურთიერთობას იყო ნაჩვევი. ისინი კი, ძირითადად, თავქარიანები, მაგრამ ზედმიწევნით დახვეწილებიც იყვნენ. ლუკას თავქარიანობაზე, ცხადია, ლაპარაკიც არ შეიძლებოდა, მაგრამ ანის თვალში ის არც დახვეწილობით გამოირჩეოდა. ის კი არა და, ეს „ტლანქი პოლიციელი“ უკვე თავისი არსებობითაც კი აფრთხობდა, ხოლო როცა ერთი-ორჯერ ლუკა იმდენადაც მიუახლოვდა, რომ მისი ძალუმი სუნთქვაც მოესმა, ანიმ თავი სრულიად უმწეოდ და დაუცველადაც კი იგრძნო...

ანი ხვდებოდა, რომ თუ მოისურვებდა, ლუკა მას ბოლომდეც სულ ადვილად დაიმორჩილებდა. მსგავსი ძალადობის ატანა კი მისთვის აქამდე სრულიად მიუღებელი რამ იყო. მაგრამ უფრო გამაოგნებელი ანისთვის მაინც მეორე აღმოჩენა იყო: თურმე, ნუ იტყვი და რაც არ უნდა მტკიცე და შეუპოვარიც იყოს ქალი, მისი დამორჩილება მაინც ნებისმიერ მამაკაცს შეუძლია!

თუმცა, ბოლოს და ბოლოს, თავს მაინც გამოუტყდა — ლუკას მისი დამორჩილება აღარც დასჭირდებოდა. იმ-იტომ რომ... იმიტომ, რომ საკმარისი იყო, კიდევ ერთხელ მისი სუნთქვა ასე ახლოს ეგრძნო, რომ მკლავებში საკუთარი ნებით ჩაუვარდებოდა... კიდევ კარგი, ლუკა იმდენად ტაქტიანი მაინც აღმოჩნდა, რომ ვიფი ლალას წინადადება თავადაც არ აიტაცა



და ანის მართლა არ ჩაუსახლდა... თანაც, – საბრალო მარის ნაცვლად...

მარის სახელმა ანის ყველა წინა მკვლელობაც გაახსენა. შოუს მოცეკვავეები ამ მკვლელობების დეტალებზეც კი ხშირად და გაცხოველებით მსჯელობდნენ ხოლმე. თავის აზრს ანიც გამოთქვამდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოკლული მარის ნახვამ მაინც ისეთი თავზარი დასცა, თითქოს, მანამდე მსგავსი რამ საერთოდ არ გაეგონა.

მართალია, ანიმ მხოლოდ მარის სახეს მოჰკრა თვალი, მაგრამ მისთვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა. მარის, სახე, თითქოს, მოყვითალო-მონაცრისფრო ცვილისგან ჰქონდა ჩამოსხმული, თანაც, თვით ეს საშინელი ფერიც ალაგ-ალაგ შერჩენოდა, რადგან სახის დიდი ნაწილი უმოწყალოდ ჰქონდა დამანინჯებული: ტუჩები არაბუნებრივად დიდი და შეშუპებული მოუჩანდა, ცხვირი კი ჩაჭყლეტილი ჰქონდა... საბრალო გოგო ისეთი შეცვლილი იყო, რომ ანის მისი უცბად ცნობა მართლა გაუჭირდა, მაგრამ შემდეგ მარცხენა წარბს ზემოთ ასე ნაცნობი ნაიარევი შენიშნა და... თანაც, მარის ყურის ბიბილოებიც განსაკუთრებული ფორმისა ჰქონდა, თავად რომ ზოგჯერ ხუმრობით, ვიოლინოებს ეძახდა. საერთოდ კი, თავისი უცნაური ყურები ძალიან სძულდა, ამიტომ მუდამ თმით ან მასიური საყურეებით „ინილბავდა“ ხოლმე...

ანი სასტუმრო ოთახში ნერვიულად მიდი-მოდიოდა... შემდეგ ფანჯარას მიუახლოვდა, შუბლით ცივ მინას მიეყრდნო და ბალი მოათვალიერა. იქ საკმაოდ ბნელოდა. ანი შიშმა აიტანა. ღმერთო, რა საშინელებაა მართლობა, პირდაპირ აუტანელია! – ჩაილაპარაკა თავისთვის. – იქნებ, რამე საქმე გამოვძებნო, თუნდაც ზვალინდელი ნომერი წავიმეცადინო?.. ჰო... ჰო... ცეკვა ცეკვა, თუ მიშველის...

საძინებელში შესულმა ანიმ პირსახოცის რბილი ხალათი სასწრაფოდ გაიძრო, სკამზე მიაგდო და საცეკვაო ტრიკო და ჩუსტები ამოიკვა! შემდეგ თმა კეფაზე შეიკრა და ისევ სასტუმრო ოთახში დაბრუნდა. ამ ოთახს ის ხშირად სარეპეტიციოდ იყენებდა... გულს ბაგაბუგი გაჰქონდა... ანი კედლის დიდ სარკეში მთელი ტანით გამოჩნდა... ცოტა

ხანს საკუთარ ორეულს გულმოდგინედ უცქირა, შემდეგ ყველა კუნთი დაჭიმა და ცეკვა დაიწყო... „ცეკვა ყოველთვის უნდა შევძლო... რაც არ უნდა მოხდეს, მაინც უნდა ვიცეკვო...“ – გაუთავებლად იმეორებდა თავისთვის...

ცეკვა ანის ცხოვრებაში მართლაც ყველაზე მნიშვნელოვანი რამ იყო: მისი აულაგმავი ვნება და ჯადოსნური ნავსაყუდელი... შვიდი წლის იყო, ცეკვის პირველ გაკვეთილს რომ დაესწრო და მოძრაობის ეს საოცარი სამყარო მაშინვე შეიყვარა...

იმ წრეში, ანი რომ იზრდებოდა, პიანინოზე დაკვრა, ცეკვა და ხატვა აღზრდის აუცილებელ ატრიბუტებად ითვლებოდა. ამიტომ ანიც, მისი უფროსი დებივით, მუსიკაზეც დაჰყავდათ, ცეკვაზეც და ხატვაზეც... მაგრამ დებისგან განსხვავებით, პიანინოზე დაკვრა ანისთვის მხოლოდ მოთმინების გამოსამუშავებელი უცილობელი ბოროტება იყო, ხატვა კი წარმოსახვას ოდნავადაც არ უღვიძებდა... მაგრამ ცეკვა... ცეკვამ მართლაც მთელი სამყარო აჩუქა! ანის ლამის ერთნაირად უყვარდა ყველა და ყველაფერი, რაც კი ცეკვასთან იყო დაკავშირებული: იქნებოდა ის დიდსარკეებიანი დარბაზი, ნატიფი და გრაციოზული ცეკვის მასწავლებელი თუ ახალი, ვარდისფერი საცეკვაო ტრიკო და ასეთივე ფერის ჩუსტები... საცეკვაო სტუდიაში შესვლისთანავე ანიმ სრულიად უცნობი და, თანაც, საოცრად აღმეზნები სამყაროც აღმოაჩინა და იმასაც მაშინვე მიხვდა, რომ ამიერიდან მშობლები ადვილად ვეღარ დაიმორჩილებდნენ...

ანის მშობლების ურთიერთობა ერთი შეხედვით, სავსებით ცივილიზებულიად გამოიყურებოდა, მაგრამ სინამდვილეში, ამ ურთიერთობაში არც სითბოს, არც სიყვარულს, არც ერთმანეთის პატივისცემასა და ერთგულებას ადგილი არასოდეს ჰქონია. ანი ბავშვობაში ხშირად შესწრებია, მშობლები ერთმანეთს გაყრით როგორ ეშუქებოდნენ, მაგრამ დრო გადიოდა, ისინი მაინც ერთად იყვნენ და ერთმანეთს გულმოდგინედაც ტანჯავდნენ. შემდეგ კი... შემდეგ, რევაზ და თამარ ახვლედიანები, როგორც ჩანს, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ცოლ-ქმარს შორის სიყვარული აუცილებელი სულაც არ არის, მთავარია, ერთმანეთს იმდენად გაუძლონ, რომ

ოჯახი შეინარჩუნონ და კიდევ შეინარჩუნეს, მაგრამ რის ფასად?..

ანისთვის ბავშვობიდანვე უდიდესი ტანჯვა იყო იმ პირფერობისა და სიყალბის ატმოსფეროში ცხოვრება, რომელიც მათ ოჯახში იყო გამეფებული. ამიტომ, მთელმა მისმა სიყმაწვილემ მშობლების აღზრდის მეთოდების წინააღმდეგ ბრძოლაში გაიარა. ამ მეთოდებმა ზომ მისი უფროსი დები აბსოლუტურ ნევრასტენიკებად აქცია და ახლა ანის ჯერი იდგა. თუმცა, არა! ანიმდე ჯერ ლალი იყო – რევაზ და თამარ ახვლედიანების მესამე ქალიშვილი... დედის თავის ტკივილისა და მამის მრისხანების მუდმივი მიზეზი...

თავნება, იმპულსური, ვნებიანი და, თანაც, ძალიან ლამაზი ლალი მშობლებს ცხოვრებას მუდმივად უწამლავდა. მათ შეგონებებს არად აგდებდა და საკუთარ ცხოვრებასაც ჯიუტად და ნაბიჯ-ნაბიჯ, მხოლოდ გულის კარნახით აწყობდა. ლალისთვის სულერთი იყო, სხვები რას იტყვოდნენ ან რას იფიქრებდნენ... ახვლედიანების სახლში, რომლის ბინადართაც სითბო აგრერივად აკლდათ, ლალი იმ კაშკაშა ცეცხლის ალს ჰგავდა, ცივი ზამთრის გრძელ ღამეებს რომ გადაგატანინებდა. ამიტომ, ანისთვის ყველაზე ბედნიერი ის წუთები იყო, როცა მუდმივად ვილაცით ან რაღაცით გატაცებული ლალი უმცროსი დაიკოსთვის მოიცლიდა ხოლმე და ხან მის ლამაზ თმაზე ექსპერიმენტებით ირთობდა თავს და უცნაურზე უცნაურ ვარცხნილობებსაც უკეთებდა, ხანაც თავის დიდ სიყვარულზე უამბობდა...

ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერში ზედაპირულ ლალის, საკმაოდ გამჭრიახი გონება ჰქონდა. ამიტომ, ყველა, მეტ-ნაკლებად საინტერესო მოვლენაზე დაწვრილებით მსჯელობა უყვარდა და დასკვნაც ისეთი ლოგიკური და ზოგჯერ ყოვლისმომცველიც კი გამოჰქონდა, რომ ანი მაშინვე ეთანხმებოდა. თანაც, იმასაც გრძნობდა, რომ ლალის წყალობით ინტელექტუალურადაც საკმაოდ სწრაფად იზრდებოდა და წინ მიიწევდა.

მაგრამ... შემდეგ... ლალის დიდზე დიდი უბედურება შეემთხვა... ანის ის საშინელი საღამო თვალწინ კვლავ მთელი სიცხადით დაუდგა. სასტუმრო ოთახში მაგიდას ოთხნი

უსხდნენ: დედა, მამა, ანი და ანის უფროსი და ლია. მუდამ პირქუში და მღუმარე ბატონი რეზო, გაზეთს ჩასციებოდა, ცნობისმოყვარე ლია ვითომ ფერადი ჟურნალის ფურცლით იყო გართული, ქალბატონი თამარი და ანი კი კამათობდნენ. ანის ის-ის იყო, 17 წელი შეუსრულდა, გაზაფხულზე სკოლას ამთავრებდა და სწავლის გასაგრძელებლად აუცილებლად თბილისში უნდა გამიშვათო, არწმუ-

გაფანტვა სურდა. მგონი, მართლა გაჭრა და ანიც მაშინვე რეალობას დაუბრუნდა.

„მანც რა ეშმაკი შემომიჩნდა? – იმის ნაცვლად, რომ ისედაც მძიმე დღის შემდეგ, ერთი-ორი საათი მანც დამეძინა და ძალები მომეკრიბა, მანამ არ მოვისვენე, სანამ ყველაზე უსიამოვნო მოგონებები არ წამოვშაღე და უძილობაც არ გამოვიწვიე!“



ნებდა დედას. ქალბატონ თამარს ხმაში სიცივე ემატებოდა: „ისე მოიქცევი, როგორც მამაშენი და მე გადავწყვეტთ! ასე რომ, მოვლენებს წინ სულ ტყუელად უსწრებ... ამ დროს ლიამ ჟურნალი გვერდზე გადადო და ძაფით თხელი ტუჩები უცნაურად დაბრიცა:

– კარგი, რა, დედა, ნეტავ, რას უშლი... წავიდეს თბილისში, თუ ასე ძალიან უნდა... ეტყობა, მაგასაც ლალისავით, ვიდაც ვივინდარასგან დაფეხმძიმება აქვს გადაწყვეტილი... ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა, ანის მშობლები კი ცვილის ფიგურებივით გაშეშდნენ... თავად ანიმ ჰაერი ერთი ღრმად ჩაისუნთქა და იკივლა:

– ვინ ვითხრა? შენ ეს საიდან იცი?...
– რა შენი საქმეა, ტუტუცო! ვიცი და მორჩა! – არ შეეპუა ლია.
შემდეგ კი დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო...

ანიმ თავი ისე მკვეთრად გაიქნია, თითქოს იმ საშინელი მოგონებების

პოლიციის მთავარი სამმართველოდან ლუკა გაცოფებული გამოვიდა. იქვე მდგარი მანქანის კარი ლამის გამოვლიჯა და ვაჟას გვერდით სავარძელში კი არ ჩაჯდა, ჩაენარცხა: „წავედით ლამის კლუბში, ვაჟა!“ – ლუკა სიბრაზის ჩახშობას ყველანაირად ცდილობდა. მაგრამ არაფერი გამოუვიდა და ბოლოს, ღრიალით დააყოლა:

– არაკაცი ვიყო, თუ იქ კიდევ ვინმე დაგვხვდეს! არა, მართლაც რა ძაღლური პროფესია გვაქვს?! – ყველგან მარტო ნაგავი რატომ უნდა ვქექოთ და ვსუნოთ?! – შემდეგ ერთი ღრმად ჩაისუნთქა და დაავიკრივინა:

– ყველა ერთადაც ჩაძაღლებულია! მაგათი...

ვაჟამ მთელი ეს ტირადა მშვიდად მოისმინა, თავისთვის ისიც კიდევ ერთხელ დაასკვნა, რომ მსგავსი „მარგალიტები“ ერთ ყურში უნდა შეუშვა, მეორედან კი გამოუშვაო და მანქანების ნაკადში სოლივით შეიჭრა.

სავარძლის საზურგეზე მისვენებული ლუკა ლამის თბილისის ქუჩებს ისე აკვირდებოდა, თითქოს პირველად ხედავსო. თანაც, ფიქრით ტვინსაც გულმოდგინედ იზურდავდა: „ეს რა ახირება აქვს ამ ჩემს უფროსს?! საქმეს, მანცდამანც, იმ

დროს უნდა მოვწყვიტოს, როცა ყველაფერი ცხელ კვალზეა გამოსაკვლევ-გასაკეთებელი... ბოლოს და ბოლოს, აქ ჩამოსასვლელად ლამის მთელი მსოფლიო იმიტომ გამოვიარე, რომ აქაური „კაბინეტის ვირთხე-ბივით“, მარტო ქალაქები ვქექო?“ სამმართველოში მისული ლუკა მართლაც, მთელი ოთხი საათი ავსებდა დოკუმენტებს...

– ისე, სერგოს გაგებაც შეიძლება! – ახლა უკვე ხმამაღლა წამოიძახა ლუკამ და გოცებულ ვაჟას მიუბრუნდა, – პრესა ხომ მეძებარი ძაღლივით კვალში უდგას და შემოდანაც თითს უქნევენ, – მკვლელი უთუოდ უნდა აღმოაჩინო და დაიჭიროო. ჰოდა, ისიც ზედმეტად ფრთხილობს, თორემ...

ამ დროს ვაჟამ მანქანა ათასფრად გაბრღვიალებულ ქუჩაზე ცოტა ხანში მკვეთრადაც დაამუხრუჭა. გამომძიებლები ლამის კლუბ „ციცინათელას“ წინ იდგნენ. ირგვლივ ცხოვრება დულდა და გადმოდულდა. ბარებსა და რესტორნებში ხალხის ტევა არ იყო. მთელი ქუჩა ფუტკრის სკასავით გუგუნებდა. „ციცინათელას“ კარზე კი, თითქოს, ყველას ჯიბრზე, „მშვიდად“ ეკიდა ფირნიში წარწერით „დაკეტილია!“. ლუკამ ფირნიში შეაბრუნა, კლუბის კარი ჯიქურ შეაღო და მკრთალი შუქით ოდნავ განათებულ ფოიეში შეაბიჯა. მას ვაჟაც ფეხდაფეხ მიჰყვა. კარის მიხურვა და ქუჩის ხმაურის შეწყვეტა ერთი იყო. გამომძიებლები მიხვდნენ, რომ აქედან უკვე სულ სხვა სამყარო იწყებოდა...

ლუკა და ვაჟა ღერეფანს იქით-კენ გაუყვნენ, საიდანაც როიალზე დაკვრის ხმა მოისმოდა და, კიდევ ერთი კარის შეღების შემდეგ, თითქმის მთლიანად ჩაბნელებულ დარბაზში აღმოჩნდნენ. პროჟექტორის შუქი მხოლოდ სცენას ანათებდა. როიალთან მიმჯდარი პიანისტი დაუდევრად ასრულებდა რომელიღაც ჯაზურ კომპოზიციას. საიდანაც მამაკაცის მბრძანებლური ხმა მოისმოდა, რასაც სცენის ხის იატაკის ფიცრების რიტმული ჭრიალი მოსდევდა. სცენაზე კი, მშვენიერი მოცეკვავე ქალების მოზრდილი ჯგუფი, რომელიღაც ცეკვის ილეთებს ხეწდა...

გაგრძელება იქნება

ციხე-კოშკის ტბი ვატსკულაუის დაუის საგნად იქცა

მაიკლ ჯექსონმა შოტლანდიაში ზღაპრული ციხე-კოშკის შექმნა გადაწყვიტა, თუმცა ამისთვის გაცხარებულ ვაჭრობაში ჩაბმა და მადონასთან ურთიერთობის დაძაბვაც შეიძლება მოუხდეს, პოპ-დედოფალსაც იმავე კოშკზე უჭირავს თვალის. დიდ ბრიტანეთში გამართული გასტროლები დროს ჯექსონმა თურმე შოტლანდიური ციხე-კოშკ-



ცდაუტლცა დრამიწას შემთუტუნს

ცოტა ხნის წინ კინოვარსკვლავმა ჯონ ტრავოლტამ პრეს-კონფერენცია პირდაპირ ლოს-ანჯელესის საერთაშორისო აეროპორტში მოიწვია. ის ტელეკამერების წინ მფრინავის ლურჯ ფორმაში გამოწყობილი გამოჩნდა და თავისი თვითმფრინავის „ბოინგ-707“-ის კაბინაში ჩაჯდა. ლანერის კორპუსს ავსტრალიური ავიაკომპანიის ანტას ირლინეს-ის ლოგოტიპი ამშვენებდა. სწორედ ამ ავიაკომპანიაში გაიარა 48 წლის მსახიობმა გამოცდა და „ბოინგის“ ტიპის თვითმფრინავის მეორე მფრინავის კვალიფიკაცია მიიღო.

ტრავოლტას მიერ დაგეგმილი ავიატური „მეგობრობის სული“ 1 ივლისს დაიწყო; მსახიობი ოჯახთან ერთად ლოს-ანჯელესის აეროპორტიდან აფრინდა. პირველად ავსტრალიას ეწვევა, შემდეგ კი რვა ქვეყანას მონახულებს, მათ შორის: იაპონიას, სინგაპურს, გერმანიას, იტალიასა და საფრანგეთს. ავიატურის სიგრძე სულ 64700 კმ-ს შეადგენს და აგვისტოში, ნიუ-იორკის აღმოსავლეთ სანაპიროზე დასრულდება. ■

დიდმა ლუჩანომ სცენიდან წასვლის თატილი გამთაცხადა

ტელეკომპანია CNN-ის პირდაპირ ეთერში გამოსვლისას ცნობილმა ტენორმა ლუჩანო პავაროტიმ განაცხადა, რომ სცენას იმ დღესვე მიატოვებს, როგორც კი 70 წლის გახდება, ეს კი 2005 წლის 12 ოქტომბერს მოხდება. პავაროტიმ დასძინა, რომ ამ სიტყვას შეასრულებს და შხაპის მიღების დროსაც კი აღარ იმღერებს. სხვათა შორის, უდიდესი ტენორის კარიერის დასრულებაზე ბოლო დროს ძალზედ ხშირად საუბრობდნენ, ხოლო მას შემდეგ, რაც მომღერალმა ნიუ-იორკში დაგეგმილი ორი კონცერტი არ გამართა, ჟურნალისტები პირდაპირ აღაპარაკდნენ მისი კარიერის დასასრულზე, თუმცა პავაროტიმ არაერთხელ აღნიშნა, რომ გარკვეულ ხანს, მშობლების სიკვდილის გამო დეპრესიაში იმყოფებოდა. ნიუ-იორკის კონცერტების ჩაშლის შემდეგ მომღერალი ტრადიციულ კონცერტზე – „პავაროტი და მეგობრები“ წარდგა მაყურებლის წინაშე. ■



ების ბროშურები დაათვალიერა და კუნძულ ჰარისზე მდებარე ისტორიული მამულის ყიდვა გადაწყვიტა. „ჯექსონმა თვალბში შემომხედა და მითხრა, რომ შოტლანდიაში ციხე-კოშკის შექმნა გადაწყვიტა, რადგან ეს ქვეყანა ძალიან უყვარს და იქ უფრო ხშირად ყოფნა სურს“, – განაცხადა 43 წლის მომღერლის ერთ-ერთმა მეგობარმა. ჯექსონმა ამ კოშკის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მისთვის გაგზავნა დაავალა. რა თქმა უნდა, პოპ-ვარსკვლავი თავისი ოცნების განსახორციელებლად თანხასაც არ დაიშურებს. ასე რომ, პრობლემას მხოლოდ მადონა წარმოადგენს, რომელიც მასავით აპირებდა ჰარისზე მდებარე ამ უძრავი ქონების შექმნას. ■

„გლადიატორი-2“ ტასულ ძბთუს გატუშუ?!




პროდიუსერები „ოსკარების“ გადაცემის 73-ე ცერემონიაზე საუკეთესო ფილმად აღიარებული „გლადიატორის“ გაგრძელების გადაღებას აპირებენ. ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს, პრობლემა მხოლოდ ის არის, რომ მაქსიმუსი (მსახიობი რასელ ქროუ) პირველ ფილმში დაიღუპა და მისი დაბრუნება შეუძლებელია. „გლადიატორის“ ერთ-ერთი შემქმნელი უოლტერ პარკსი აცხადებს: „მაქსიმუსი პირველ ფილმში დაიღუპა, ახალ სერიაში ის ვეღარ დაბრუნდება, მით უმეტეს, რომ ახალი ამბავი, პირველი ფილმის მოვლენებიდან 15 წლის შემდეგ ვითარდება“. მიუხედავად ამისა, ფილმის სცენარისტები ცდილობენ, შექმნან ისეთი ეპიზოდური როლი, რომელსაც რასელ ქროუ შეასრულებს. „გლადიატორის“ სიქველის რეჟისორი ალბათ ისევ რიდლი სკოტი იქნება. ■



სპილბერგმა და ლუკასმა „ეპიზოდური თემი“ ვერ გაიყვეს

ჰოლივუდის ორი გამოჩენილი რეჟისორი – სტივენ სპილბერგისა და ჯორჯ ლუკასის სახელები სამართლიანადაა შესული მსოფლიოს გამოჩენილ კინემატოგრაფისტთა სიაში. ეს ორი მოღვაწე ერთმანეთთან მეგობრობს კიდევ, მიუხედავად ამისა, ძველი წყენაც შემორჩენიათ. სტივენ სპილბერგმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ მუდამ უკვირდა, რატომ არ ანდო მას ჯორჯ ლუკასმა 1977 წელს გადაღებული და საკულტოდ აღიარებული „ვარსკვლავური ომების“ გაგრძელება: როგორც ცნობილია, 1980 წელს „ეპიზოდი მეხუთე. იმპერიის საპასუხო დატემა“ ნაკლებად ცნობილმა რეჟისორმა – ირვინ კერშნერმა გადაიღო, „ეპიზოდი მეექვსე. ჯელაის დაბრუნება“ კი – 1983 წელს რიჩარდ მარკუანდმა. სპილბერგი სინანულით აღნიშნავს, რომ მაშინ, როცა 1977 წელს „ვარსკვლავური ომები“ პირველად ლუკასის მეგობრებმა – კობოლამ, დე პალმამ და სპილბერგმა იხილეს, ფილმის წარმატებისა, სპილბერგის გარდა, არავის სჯეროდა და ჩავარდნასაც კი უწინსწარმეტყველებდა. სპილბერგი იმანაც გააკვირვა, რომ პირველი ფილმის ესოდენ დიდი წარმატების შემდეგ ლუკასმა რატომღაც ამ პროექტის რეჟისორობას დაანება თავი და ეს საქმე სხვებს ანდო, თავად კი პროდიუსერობასა და სცენარის ავტორობას დასჯერდა. თუმცა, 15 წლის შემდეგ ლუკასი მაინც დაუბრუნდა რეჟისურას: 1999 წელს მან გადაიღო „ეპიზოდი პირველი. მოჩვენებითი მუქარა“, წელს კი ეკრანებზე გამოვიდა „ეპიზოდი მეორე. კლონების შეტევა“. 2005 წლისთვის ჯორჯ ლუკასი „მესამე ეპიზოდის“ გადაღებას გეგმავს. „ვარსკვლავური ომები“ მთლიანად ლუკასის პროექტია, – ამბობს სპილბერგი, – ამიტომაც მესმის, რომ ჯორჯს წარმატების გაზიარება არავისთან სურს, მაგრამ მე მასზე გაბრაზებული არ ვარ – მე ხომ ჩემი „იურიული პერიოდის პარკი“ მაქვს.

პიტს მბთსნანმა ამერიკულში გაანაწყნა



აგენტმა 007-მა – პირს ბროსნანმა თავისი ბოლო გამოსვლით ძალიან გაანაწყნა ამერიკელები. ირლანდიური წარმოშობის მსახიობი ამერიკაში 11 სექტემბერს მომხდარი ტერაქტის თემას შეეხო და აღნიშნა, რომ ის ხალხს მალე დაავიწყდება და სრულიად ზედმეტია ტერაქტების ამსახველი ფილმების შეზღუდვა, რადგან ისინი სულაც არ უწყობენ ხელს ტერორიზმს: „ხალხი კინოში ყოველდღიური ერთფეროვანი ცხოვრების გასახალისებლად დადის. ჰოლივუდი აუცილებლად დაუბრუნდება მსგავსი ფილმების წარმოებას, რადგან მათ კარგი შემოსავალი მოაქვს. 11 სექტემბერის ტრაგედია კი ამერიკელებს მალე დაავიწყდებათ“, – თქვა მსახიობმა. პირს ბროსნანის ნათქვამმა საოცრად აღაშფოთა 11 სექტემბერის ტერაქტის მსხვერპლთა უკვდავყოფის ორგანიზაციის წევრი სტივენ პაში, რომელმაც მსახიობისგან დაუყოვნებლივ ბოდიშის მოხდა მოითხოვა.

ანჯელინა ჯთლი დმანს გამთოცა

ანჯელინა, ბილი ბობ ტორნტონს გამოექცა, ბევრლი ჰილზის მდიდრული აპარტამენტები მიატოვა და ნაშვილებ ბიჭუნასთან ერთად, სასტუმროში გადავიდა საცხოვრებლად. ჟურნალისტებმა სასტუმროში შეღწევა მოახერხეს და ანჯელინასთან გარემოებათა გარკვევას შეეცადნენ. მსახიობმა მათ თავისი პატარა ვაჟი წარუდგინა და უთხრა: „ეს ჩემი შვილია. მას ბევრი ზრუნვა სჭირდება, მაგრამ ის ჩემი საუკეთესო მეგობარ-



ია“. თურმე მას შემდეგ, რაც წყვილმა იურიდიული ფორმლობები გადალახა და ბავშვი იშვილა, ბილი ბობმა პატარაზე ეჭვიანობა დაიწყო და ჩათვალა, რომ ანჯელინა მას მეტისმეტად ბევრ დროს უთმობდა. თავად ჯოლი ქმრისგან გამოქცევის მიზეზებს არ აკონკრეტებს, იმედი აქვს, რომ ისინი მალე შერიგდებიან და ბობისგან პირველ ნაბიჯს ელოდება, მაგრამ ტორნტონი ცოლთან შერიგებას არ ჩქარობს, მეტიც: ამას წინათ, ის ნახევრად შიშველი ლამაზმანების კომპანიაში უნახავთ და როგორც ამის მომსწრენი აღნიშნავენ, მძიმე განცდა სრულიად არ ეტყობოდა... წყვილის მეგობრები კი მაინც აცხადებენ, რომ ბობი ანჯელინაზე მოსიყვარულე და ერთგულ ქალს ვერ იპოვის, იმედს გამოთქვამდნენ, რომ კაცი, ბოლოს და ბოლოს, გონს მოეგება და ანჯელინას პატიების თხოვნით დაუბრუნდება.

ელტონ ჯონმა 200 მლნ დოლარი დაკარგა

მომღერალმა ორ ფინანსური კომპანიას უჩივლა და განაცხადა, რომ შარშან მათი შეცდომის გამო, სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობისას ზედმეტი 20 მლნ დოლარი დახარჯა. ელტონ ჯონის ადვოკატი ამ თანხის დაბრუნებას მოითხოვდა. „ელტონ ჯონი უპირველესად მუსიკოსია, – აცხადებდა ადვოკატი, – ის ბიზნესმენი და ბუღალტერი არ არის, მისმა პარტნიორებმა კი ელტონის უზომო გულუხვობით ისარგებლეს“. მომღერლის სარჩელი სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია და განსახილველად არ მიიღო, ასე რომ, ელტონ ჯონს დაკარგულ ფულს ალბათ არაფერს დაუბრუნებს.

ძეით მთხი ისე მღერის



ახლახან ცნობილი გახდა, რომ ბრიტანულმა ჯგუფმა რიშალ შერეამ-მა ცნობილი მოდელი ქეით მოსი ახალი ალბომის ჩაწერაში მონაწილეობისთვის მიიწვია. ჯგუფის ლიდერთან ბობი ჯილე-სპაისთან ერთად ქეითმა სიმღერა – შიმე V ელვეტ ორნინგ ჩაწერა, ჯილე-სპაიმ კი ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მოდელს „ევროპული“ ხმა აქვს. ქეით მოსს მანამდე უკვე ჰქონდა ამ ჯგუფთან თანამშრომლობის გამოცდილება. 1997 წელს ქეითმა მონაწილეობა მიიღო ჯგუფის ერთ-ერთ ვიდეოკლიპში, შარშან კი ჩაწერა სიმღერა – იამონდ ლუე, სადაც ბობ ჯილე-სპაი მას აკუსტიკური გიტარით უწევდა აკომპანიმენტს. ■


ღვივ მუქებში ღებრსიდიან მტუკლინმა გამთიყვანა



თანამედროვე ფეხბურთის ვარსკვლავმა დევიდ ბექჰემმა აღიარა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში ბრაზილიელებთან ინგლისელთა დამარცხებამ ნაკრების კაპიტანი ღებრესიაში ჩააგადო და მისი ამ მდგომარეობიდან გამოყვანა მხოლოდ მისმა სამი

წლის შვილმა – ბრუკლინმა შეძლო. „საოცრად იმედგაცრუებული ვიყავი, რადგან ვფიქრობდი რომ ჩვენ ჩემპიონობას მივალწევდით. როცა ბრუკლინმა აეროპორტში დამინახა, ჩამეკონა და წამწურჩულა: მამიკო, ძალიან-ძალიან მიყვარხარო, – ფანტასტიკური გრძნობა დამეუფლა“. – აღნიშნა ბექჰემმა. ცხადია, დევიდის გვერდით მისი მეუღლე ვიქტორიაცაა, რომელიც სექტემბერში მას მეორე შვილს აჩუქებს. ■

ბტში უილიამსი სახალხოდ გამიშულდა



ცნობილი მომღერალი რობი უილიამსი ერთ-ერთი ტელეარხის საბავშვო გადაცემაში მიიწვიეს. უილიამსსა და სხვა ვარსკვლავებს ბავშვებისთვის ბურთის ფლობის ტექნიკა უნდა ეჩვენებინათ. ვინაიდან რობის სპორტი არ იტაცებს, მან პატარების ყურადღების მიპყრობა სხვაგვარად გადაწყვიტა: შარვალი ჩაიხადა და კამერებს უკანალი მიუშვია. მშობლები მომღერლის ქცევამ ალაშფოთა და მათ ტელეკომპანიას „ამ საზიზღრობის დემონსტრირების“ გამო უჩივლეს. შოუ ეთერში აღარ გადის და შეიძლება, დაიხუროს კიდევ. თუმცა, მომხდარის მიუხედავად, ნახევარ მილიონზე მეტი გამოკითხული რობი უილიამსს, მაიკლ ჯექსონსა და ელვის პრესლიზე უფრო პოპულარულ მომღერლად მიიჩნევს. ■

სელინ დიონი სალსს აშინებს

ნებისმიერი სხვა ვარსკვლავის მსგავსად, მომღერალი ცდილობს, თავისი სახლი აბეზარი თაყვანისმცემლებისგან და ცნობისმოყვარე უსაქმურებისგან დაიცვას. ფლორიდაში მდებარე სახლი თანამედროვე სისტემის სიგნალიზაციითაა აღჭურვილი: თუ ჭიშკარს არასასურველი სტუმარი მიუახლოვდა, სიგნალიზაცია ადამიანის ხმით მოსთხოვს, რომ სასწრაფოდ მოშორდეს სახლს. სისტემას მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს – ზოგჯერ მისი ავტომატურად ჩართვა ხდება. ერთ დღეს სელინს სტუმრები ჰყავდა მოწვეული და მათ უეცრად, მოესმათ: „სდექ! სახლს არ მიუახლოვდე!“ დაბნეული სტუმრები ძლივს მივხდნენ, რომ სიგნალიზაცია „ელაპარაკებოდა“. სიტუაცია სელინმა სასწრაფოდ მოაგვარა, რომელიც საერთოდ, გულღია მასპინძლის სახელით არის ცნობილი. ■



„ფრმინაფტმა“ დიდფტმტმს მესამედ გამთუტა სელი



ცნობილმა ამერიკელმა მსახიობმა არნოლდ შვარცენგერმა თავისი ახალი ფილმის – „ტერმინატორი-3“-ის გადაღებები შეწყვიტა, რათა ოცტორ ოფ უმანე ეტტერს-ის სამეცნიერო ხარისხი მიეღო. ეს შვარცენგერისთვის მესამე სადოქტორო ხარისხია და ჩჰაჰმან-ის უნივერსიტეტმა მიანიჭა (კალიფორნიის შტატის ქ. ორანჟი). სადოქტორო ხარისხი მსახიობს საზეიმო ცერემონიაზე გადასცეს, რის შემდეგაც მან წაიკითხა ლექცია თავისი საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ. სხვათა შორის, ამ უნივერსიტეტმა დოქტორის

წოდება 56 წლის მსახიობს სწორედ საქველმოქმედო საქმიანობისთვის მიანიჭა. უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლებმა განაცხადეს: „შვარცენგერმა ეს პატივი იმისთვის დაიმსახურა, რომ გონებრივად ჩამორჩენილი ადამიანებისთვის მთელი ოლიმპიური მოძრაობა წამოიწყო და სამხრეთ ფლორიდის ბავშვებისთვის ყოველწლიურ სპორტულ თამაშებს დაუდო ჩათავე“.

კუნნიუტას შტტცი გახადრეს

ცნობილ ჩოგბურთელს ანა კურნიკოვას არასოდეს მოუგია უიმბლდონის ტურნირი. ამ „ტრადციის“ დარღვევას ანასგან წელსაც არავინ ელის, თუმცა კორტებზე მისი გამოჩენა არასოდეს რჩება შეუძმნეველი. ინგლისის სამეფო კლუბის წესების თანახმად, მოთამაშეები ფორმებში უნდა იყვნენ ჩაცმულნი. კურნიკოვა კი კორტებზე შავი შორტი გავიდა. პასუხისმგებელი პირები მაშინვე კორტზე ჩავიდნენ და ანას შავი შორტის გახდა მოსთხოვეს. სხვათა შორის, კურნიკოვას თეთრი შორტი თან არ ჰქონდა და მწვრთნელმა ჰაროლდ სოლომონმა თავისი ათხოვა. საოცარი ის არის, რომ უკვე რამდენიმე წელია ანა ჩოგბურთის სამყაროში ტრიალებს და უიმბლდონის წესები ჯერაც ვერ აუთვისებია.



ტამი სჩიტრტმა ტტფტმტრტლს მტა?



კლაუდია შიფერმა თითქმის მილიონ-ნახევარი დოლარი გადაიხადა და მაიორკაში, თავისი მამულის გვერდით მდებარე მთა შეიძინა. სუპერმოდელმა ეს იმით ახსნა, რომ მთის კალთებიდან მისი სახლი და მამული კარგად ჩანს და მრავალი ტურისტის და ცნობისმოყვარე ადამიანი ადევნებს თვალებს. ამ „ბუნებრივი უძრავი ქონების“ ყიდვაში კლაუდიას მისი ძველი მეგობარი – ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი დაეხმარა და

ხმელთაშუაზღვის სანაპიროს 150 კვადრატული მეტრი ფართობის მიწა 1,47 მლნ დოლარად შეაფასა. ცოტა ხნის წინ გათხოვილი შიფერისთვის მაიორკაში მდებარე სახლი რიგით მეშვიდეა: მას აქვს სახლები ნიუ-იორკში, ლონდონში, გერმანიაში, მონტე-კარლოში და ციხე-კოშკი ინგლისში, სადაც ახალგაზრდებმა ქორწილი გადაიხადეს.



უილ სმიტი ჯენიტუტ ლტპესს ულტრტმა...

ფილმის „ადამიანები შავებში“ ვარსკვლავმა უილ სმიტმა ჯენიფერ ლოპესს დაადგა თვალი – რა თქმა უნდა, გადატანითი მნიშვნელობით, რადგან უილ სმიტი დიდი ხანია ცოლშვილიანი კაცია. უბრალოდ, სმიტმა გადაწყვიტა, რომ მომდევნო ფილმში მას პარტნიორობა აუცილებლად ჯეი ლომ უნდა გაუწიოს. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ჯენიფერი დაკავებულია და თავისუფალი დრო არა აქვს, უილ სმიტი თანახმაა, მანამდე ელოდოს ლათინურ ამერიკელ მზეთუნახავს, სანამ ის რომანტიკულ კომედიაში უილთან ერთად არ მიღებს მონაწილეობას. ეს ალბათ არ გაახარებს სმიტის მეუღლეს – ჯადა პინკეტ სმიტს, რომელმაც საკმაოდ ინერვიულა „ადამიანი შავებში-2“-ის გადაღებებისას, სადაც მის ქმარს მხარს უმშვენებდა აფთარი ლამაზმანის სახელით ცნობილი ლარა ფლინ ბოილი. თუმცა, ეს შემთხვევა ნაკლებად საშიში იყო, რადგან უილს თურმე თავისი თანატოლი თეთრკანიანი ქალები არ ხიბლავს. სამაგიეროდ, ლოპესი შეიძლება, მართლაც საშიში მეტოქედ მოეგლინოს ჯადას.

მოამზავა

მანანა ლოლოპარიძე



ახალი Bentley-ს კონტეხი გამოიხვეთა

უახლოეს ხანს ახალი, წარმომადგენლობითი ლიმუზინის – Bentley Arnage T-ის გაყიდვა დაიწყება. ეს მანქანა გერმანულ-ბრიტანული კოოპერაციის პირველ პროდუქტს წარმოადგენს: როგორც ცნობილია, 1998 წლიდან უძველესი ინგლისური მარკები – „ბენტლი“ და „როლს-როისი“ გერმანულ კონცერნ „ფოლკსვაგენს“ ეკუთვნის, თუმცა მეორე – დროებით, რადგან 2003 წლიდან „როლს-როისი“ BMW-ს საკუთრებაში გადავა.

„ფოლკსვაგენმა“ საკმაოდ სოლიდური თანხა დახარჯა მანჩესტერის მახლო-

ბლად მდებარე იმ ქარხნის მოდერნიზაციისთვის, რომელიც ინგლისურ ლიმუზინებს აწარმოებს. მაგალითად, დიზაინის ქვედა-აყოფი, რომელშიც წინათ სულ 4 კაცი მუშაობდა, ახლა 40 თანამშრომელს ითვლის. დიზაინერებს სათავეში უდგას დიკ ვან ბრეიკელი, რომელმაც ბევრი „აუდი“, „ფოლკსვაგენი“ და „შკოდა“ შექმნა.

Bentley Arnage T ფირმის პირველი ავტომობილი იქნება, რომლის დიზაინი და აეროდინამიკა კომპიუტერული მოდელების მეშვეობით შემუშავდა. ამის შედეგად, 2.6 ტ წონის ლიმუზინი 100 კმ/სთ

სიჩქარეს 6 წმ-ზე ნაკლებ დროში განავითარებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 270 კმ/სთ-ს მიაღწევს.

კომპანია უკვე ახალ მოდელზე – Bentley GT Coupe-ზე მუშაობს, რომლის პრემიერა შემოდგომაზე, პარიზის ავტოსალონზე შედგება. Arnage T-სგან განსხვავებით, რომელიც 8-ცილინდრიანი ძრავითაა აღჭურვილი, კუპეს 12-ცილინდრიან აგრეგატს ჩაუდგამენ, რომლის სიმძლავრე 500 ცხ.ძ-ს მიაღწევს. ამ ძრავით უკვე აწარმოებენ კონცერნის სხვა წარმომადგენლობით ლიმუზინს – Phaeton-ს. „ბენტლის“ ამჟამინდელმა თავკაცმა, გერმანელმა ფრანც-იოზეფ პეფგენმა, რომელიც მანამდე „აუდის“ ხელმძღვანელობდა, თავის ახალ ხელქვეითებს ძალზედ საპასუხისმგებლო ამოცანა დაუსახა: „ბენტლის“, რომელიც ტრადიციულად, „როლს-როისის“ ჩრდილში იმყოფებოდა (ეს ორი ფირმა 1931 წელს გაერთიანდა), საკუთარი, ყველასგან გამორჩეული სახე უნდა შეუქმნან. Bentley GT Coupe-ს იერსახე მკაცრად გასაიდუმლოებულია, თუმცა, საქმეში ჩახეული ადამიანები ამტკიცებენ, რომ საეჭვოა, ის რევოლუციური აღმოჩნდეს. ვან ბრეიკელი არ მალავს, რომ რეტროსტილის დიზაინი მას ნაკლებად იზიდავს; მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება მაინც მყიდველზე დამოკიდებული. მანამდე კი, „ბენტლის“ თავკაცი პეფგენი იმედს გამოთქვამს, რომ ფირმა წელიწადში 4000 ავტომობილის გაყიდვას შეძლებს. ახალი „ბენტლი“ 150.000 ევრო ეღირება, ■

Mitsubishi-ს ბებებები

იაპონურმა კომპანიამ Pajero Pinin-ისა და Colt-ის საიუბილეო ვერსიები გამოუშვა. Pajero-ს 1,8 ლ მოცულობის ძრავა ექნება, აღჭურვილობით კი, სტანდარტულ მოდიფიკაციებს საგრძნობლად აჯობებს: საიუბილეო ვერსიას მსუბუქი შენადნობისგან დამზადებული 16-დევიმიანი დისკები, ბურუსის საწინააღმდეგო მამუქები ექნება, სპოილერი და გვერდითი სარკეები მარისფრადაა შეღებილი. ოპციად მომხმარებელს 4-საფეხურიან ავტომატურ გადაცემათა კოლოფს შესთავაზებენ.

5-კარიანი საიუბილეო Pajero Pinin-ი ევროპაში 20.990, 3-კარიანი კი – 19.990 ევროდ გაიყიდება. საიუბილეო Colt-ი ორი ვარიანტით გამოვა: 1,3 ლ და 1,6 ლ მოცულობის ძრავებით. ფასიც ამის შესაბამისად მერყეობს – 13.280 და



14.990 ევრო.

უახლოეს 3 წელიწადში, კომპანია იაპონური ბაზრისთვის კიდევ 10 ახალი მოდელის წარმოებას აპირებს. „მიცუბიშის“ კაპიტალის 37,3% გერმანულ კონცერნს – „დაიმლერ კრაისლერს“ ეკუთვნის, რომელიც ამჟამად, ფირმის საფუძე-

ლიან მოდერნიზაციას ახორციელებს. უპირველეს ყოვლისა, ის მენეჯმენტის სფეროს შეეხება. მაგალითად, უახლოეს ხანს, ფირმის ხელმძღვანელად კვლავ გერმანულ როლფ ეკროდტს დანიშნავენ, რომელიც სადღეისოდ, „მიცუბიშის“ მსუბუქი ავტომობილების სექტორს თავკაცობს. ■



Maybach-ის შესაძენად ხიგში ენეხებიან

„დაიმლერ კრაისლერის“ ხელმძღვანელობამ წარმომადგენლობითი კლასის ლიმუზინის ფასი გამოაცხადა. ამ მანქანის გაყიდვა ოქტომბერში დაიწყება. ბაზარზე მის ორ ვარიანტს გამოიტანენ: **Maybach 57-ს** (5,72 მ სიგრძის) და **Maybach 62-ს** (6,16 მ). პირველი ვერსია 310.000, ხოლო მეორე – 360.000 ევრო ეღირება. მანქანა 12-ცილინდრიანი, 550 ცხ.ძ-იანი ძრავით აღიჭურვება, რომელიც სადღეისოდ, მსოფლიოში ყველაზე ძვირი სერიული ავრევატია.

„მაიბახის“ შესაძენად უკვე 200-მა მომხმარებელმა შეიტანა განაცხადი. კომპანიის ხელმძღვანელობის ვარაუდით, ლუქსის კლასის ახალი ავტომობილის გასაღების ძირითად ბაზრად აშშ მოიაზრება (იქ საერთო პროდუქციის 40%-ის რეალიზაციას გეგმავენ). რაც შეეხება ევროპას – იქ წარმოებული მანქანების 25%-ის, აზიაში კი – 19%-ის გაყიდვას იმედოვნებენ. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში უკვე „მაიბახის“ 50 სპეციალიზებული ავტოსალონი შენდება. ავტომობილს ხელით ააწვებენ ქალაქ

ზინდელფინგენში მდებარე ქარხანაში. სპეციალისტთა ვარაუდით, წარმოების მოცულობა წლიურად 1000 ცალს მიაღწევს. ექსპერტები სხვადასხვაგვარად აფასებენ ამ კლასის ავტომობილების ბაზარზე არსებულ მდგომარეობას. ამჟამად დადებითი დინამიკა შეინიშნება, მაგრამ ამ სეგმენტში ჩადებული ინვესტიციის ამოღებისთვის საჭირო რენტაბელობის მისაღწევად, 2008 წლისთვის ამ მანქანაზე მოთხოვნა სულ ცოტა, ორჯერ მაინც უნდა გაიზარდოს. ■

სევადი Opel Meriva

კომპანია „ოპელის“ ახალი მინი-ვენის, რომელიც ცნობილი კომპაქტური ავტომობილის – **Opel Corsa-ს** პლატფორმაზე შეიქმნა, სერიულად მომავალი წლის შუა პერიოდის დასაწყისში გამოვა. 4,04 მ სიგრძის „მერივაში“ თავისუფლად ეტევა 5 მგზავრი. საჭიროების შემთხვევაში, უკანა სავარძელი იკეცება ან იატაკში იმალება. ანალოგიური კონსტრუქცია უკვე წარმატებით იყო გამოყენებული უფრო დიდ ვენზე – **Opel Zafira-ზე**.

მომხმარებელს შესთავაზებენ აგრეთვე „მერივას“ უფრო კომფორტაბელურ, 4-ადგილიან მოდიფიკაციას, რომელსაც გაყოფილი უკანა სავარძლები ექნება. მანქანა ორნაირი ძრავით შეიძლება აღიჭურვოს: ბენზინის 1.6 ლ-იანით (75 ცხ.ძ.) და დიზელის 1.8 ლ-იანით (125 ცხ.ძ.) ახალი მინი-ვენის ოფიციალური პრეზენტაცია პარიზის ავტოსალონზე

გაიმართება. აქვე უნდა ითქვას, რომ „ოპელის“ პორტუგელში არაერთი ახალი პროექტია, ინგლისელი მარტინ სმიტი კი, რომელიც სულ ახლახან დაინიშნა ფირმის მთავარ დიზაინერად, აცხადებს, რომ ფირმა ევროპაში ლიდერის პოზიციის მოპოვებას აპირებს. სმიტი 1997 წლიდან მუშაობს „ოპელში“ და „ასტრას“

სამოდელი რიგის დიზაინის ავტორია. მასვე ეკუთვნის კონცეპტუალური მოდელების – **G90-სა** და **Snowtrekker-ის** დიზაინი. ექსპერტთა შეხედულებით, გერმანიის სახელგანთქმულ ფირმა „პორშეში“ ნამუშევარი სმიტის ხელმძღვანელობით, „ოპელის“ ავტომობილები გამოკვეთილად სპორტულ „ხასიათს“ შეიძენენ. ■



მსოფლიოს ისტორია სავსეა სახელისუფლებო ინტრიგებით. საზოგადოებრივი წყობის მიუხედავად, ბრძოლა ძალაუფლებისთვის ათასგვარი ბინძური ხერხებით მიმდინარეობდა. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი. ინტრიგები და დაპირისპირებები 21-საუკუნოვანი ისტორიის მანძილზეც (ჩვ.წ.ალ-ით III-ახ.წ.ალ-ით XVIII ს.ს.) თან სდევდა ყველა ფეოდალურ თუ საერთო ეროვნულ სამეფო კარს. ამ მოვლენას ქართლის სამეფოს წარმოქმნისთანავე, ძვ. წ. III საუკუნიდან ვხვდებით. იგი აზოსა და ფარნავაზის დროიდან დაიწყო და ერეკლე მეორისა და გიორგი მეცამეტის მეფობის ბოლო წლებში დასრულდა. დასრულდა სამეფო კარზე, თორემ სახელისუფლებო ოლიგპზე — ნურას უკაცრავად. თუმცა ამჟერად, სამთავროებისა და სამეფოების მაგალითებით შემოვიფარგლებით...



ინტრიგები

საქართველოს სამეფო კარზე

ანტიურ-ელინისტური პერიოდი (ჩვ.წ.ალ-ით IV-ახ.წ.ალ-ით IV ს.ს.)

პირველი გაერთიანებული ქართული სახელმწიფოებრივი ერთეული — ქართლის (იბერიის) სამეფო, ჩვ.წ.ალ-მდე IV-III საუკუნეთა მიჯნაზე წარმოიქმნა. IX საუკუნის საისტორიო წყაროს — „მო-



ქცევაი ქართლისაი“ თანახმად, მას საფუძველი ჩაუყარა არიან ქართლის (ტაო-კლარჯეთი) მეფის ძემ აზომ. პირველი ინტრიგებიც სწორედ მისი გამეფების დროიდან დაიწყო. კერძოდ, მის წინააღმდეგ აღდგა აზოსთან ბრძოლაში დაღუპული მცხეთის მამასახლისის, სამარას ძმისწული ფარნავაზი. მან აზოს ამაღლებაში თავი გამოიჩინა, ჯერ როგორც შესანიშნავმა სარდალმა, ხოლო შემდეგ, ლეგენდარულ გამოქვაბულში აღმოჩენილი სიმდიდრის მეშვეობით (სავარაუდოდ, ეს ქონება მას გადასცა სელევკიდების სახელმწიფოს მეფე ანტიოქოს პირველმა) გაჩენილი შესაძლებლობები აზოს წინააღმდეგ წარმართა. პირველ რიგში, ფარნავაზი დაუკავშირდა აზოს ერისთავს დასავლეთ საქართველოში ქუჯის. ქუჯი აზოს წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობაზე დათანხმდა. მათ დაიქირავეს ჩრდილო კავკასიაში მოსახლე ოსები და ლეკები. აზოს ჯარების ერთი ნაწილიც (1000 ჯარისკაცი) ფარნავაზის მხარეზე გადავიდა. აზომ იგრძნო მოახლოებული საფრთხე და სამეფო ღელაქალაქი — მცხეთა მიატოვა და მამაპაპულ კლარჯეთში გადავიდა. აქ მას დამხმარე ლაშქარი მოუვიდა პონტოს სამეფოსაგან (მდებარეობდა სამხრეთ შავიზღვისპირეთში), ხოლო ფარნავაზმა მიიღო საჭირო სამხედრო დახმარება სელევკიდებისაგან

(ელინისტური სახელმწიფო წინააზიაში, დააარსა ალექსანდრე მაკედონელის სარდალმა სელევკმა). მომდევნო წელს მოხდა გადაწყვეტი ბრძოლა, რომელშიც ფარნავაზმა გაიმარჯვა. ბრძოლაში თავად აზოც დაიღუპა. გამარჯვებულ ფარნავაზს ქართლის სამეფო გვირგვინი, უშუალოდ სელევკიდების მეფე ანტიოქოს პირველმა (ჩვ.წ.ალ-მდე 280-260) გამოუგზავნა.


ხელისუფლების შიდა თუ გარე ინტრიგების მეშვეობით ხელში ჩაგდების ცდა, მომდევნო პერიოდის საქართველოშიც საკმაოდ აქტიურად გავრცელდა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია, ახ.წ.ალ-ით I საუკუნის I ნახევარი. იმ დროინდელი ქართლის სამეფო კარი აქტიურად მონაწილეობდა იმ პოლიტიკურ ინტრიგებში, რომელსაც სომხეთის დასაუფლებლად ერთმანეთის წინააღმდეგ ხლართავდნენ რომის იმპერია და პართია (ირანი).

35 წელს, რომის საწინააღმდეგოდ, პართიის მეფე არტაბან მესამემ სომხეთში თავისი ვაჟი არშაკი გაამეფა. საპასუხოდ, რომის იმპერატორმა ტიბერიუსმა უბრძანა იბერთა მეფე მითრიდატეს, რომ სომხეთიდან პართიელები განედევნა. ეს ამოცანა, რომის მხარდაჭერით, განხორციელდა კიდევ: ქართლის ჯარები ტახტის მემკვიდრის, ფარსმანის სარდლობით სომხეთში შეიჭრნენ. პართიელე-

ბი სასტიკად დამარცხდნენ. სომხეთში ფარსმანის უმცროსი ძმა, მითრიდატე (მეფე მითრიდატეს ძმისშვილი) გამეფდა.

მალე გარდაიცვალა იბერიის მეფე მითრიდატეც, და ქართლის სამეფო ტახტზე ფარსმანი ავიდა. ფარსმანს რომისგან დამოუკიდებლად, სომხეთზე ქართლის უშუალო ჰეგემონობის დამყარება სურდა, რასაც რომაელთა ვასალი – მისი ძმა მითრიდატე იმთავითვე წინ აღუდგა. ურჩი ძმის დასასჯელად, ფარსმანმა არტაქსატაში (სომხეთის დედაქალაქი) საიდუმლო მისიით უფროსი ვაჟი და ტახტის მემკვიდრე რადამისტი მიავლინა, რომელიც ბიძას, ვითომ მამასთან წაჩხუბებული, ისე წარუდგა. ეს ვიზიტი რადამისტმა სომეხი ღიღებულების გადასაბირებლად გამოიყენა, ხოლო შემდეგ, თითქოს მამას შეურიგდა და სამშობლოში დაბრუნდა. ამჯერად ფარსმანმა შვილს სომხეთში შესაჭრელად ღიღადლი ჯარი მისცა. შეშინებულმა მითრიდატემ არტაქსატა დატოვა და გარნის ციხეში შეიკეტა, სადაც რომაული გარნიზონი იდგა. რომაელებმა ფარსმანს სომხეთის დაუყოვნებლივ დატოვება მოსთხოვეს, მაგრამ გულხელდაკრეფილი არც ენერგიული რადამისტი იყო: მან მოისყიდა გარნის რომაული გარნიზონის უფროსი, რომლის გავლენით მითრიდატე რადამისტსა და იბერთა ლაშქარს დანებდა. ფარსმანის ბრძანებით, რადამისტმა ბიძა მიუღი თავისი ოჯახით ამოაწვევინა. სომხეთის დაპყრობის სურვილი უფრო ძლიერი აღმოჩნდა ფარსმანში, ვიდრე სიყვარული ძმისა. მიუხედავად ამისა, არც რადამისტის მმართველობა გაგრძელებულა სომხეთში ღიღხანს. ადგილობრივი არისტოკრატის მხარდაჭერით, მალე პართიის მეფე ვოლოგეზმა არტაქსატაში თავისი ჯარები შეიყვანა და იბერები სომხეთიდან განდევნა. რადამისტმა გაქცევით უშველა თავს და მამისეულ სამეფოში დაბრუნდა. ბიძისათვის სამეფოს წართმევაში დამარცხებულმა, ამჯერად მამისთვის ტახტის წართმევა ისურვა, მაგრამ ფარსმანმა დაასწრო: დედოფალ ჰამასასუხის წაქეზებით (რადამისტის დედინაცვალი, რომელსაც ფარსმანის შემდეგ თავისი ვაჟის – მითრიდატეს გამეფება სურდა), მან მოლაღატე შვილი მოაკვლევინა. ფარსმან პირველის გარდაცვალების შემდეგ, იბერთა ტახტზე სწორედ ჰამასასუხის შვილი, მითრიდატე ავიდა.

ქართლის სამეფო კარზე განსაკუთრებით ხმაურიანი ინტრიგები მეორე საუკუნის პირველ ნახევარში, ფარსმან მეორე



ქველის მეფობის დროს მოხდა. ისინი ამჯერადაც საგარეო ფაქტორმა გამოიწვია: ქართლის სამეფოს გაძლიერებით შეშფოთებულმა პართიის მეფე ვოლოგეზმა, ფარსმანი რომის იმპერატორ ანტონინუსს პიუსთან დააბეზლა, მაგრამ ფარსმანის ცნობილმა სტუმრობამ რომში და კაპიტოლიუმის წინ დადგმულმა მისმა ქანდაკებამ, პართიელთა ჩანაფიქრი ჩაშალა. მაშინ ისინი ღია აგრესიაზე გადავიდნენ. „ქართლის ცხოვრებაში“ ხატონადაა აღწერილი ფარსმანის ბრძოლა სპარსელთა ზღაპრულ გოლიათ ჯუმბერთან, რომელსაც ერთი ხელით შეეძლო ლომის მორევა. ამ ბრძოლაშიც და მცხეთასთან გამართულ კიდევ 12 შერკინებაშიც ფარსმანი გამარჯვებული გამოვიდა. მაშინ პართიელებმა კვლავ ინტრიგას მიმართეს. მოისყიდეს ფარსმანის სამეფო კარი და მეფე მოაწამლეს. ფარსმანის დაღუპვის შემდეგ, ტახტი არა მისმა უშუალო მემკვიდრემ, არამედ პართიანულად განწყობილმა ხსეფარანუგმა დაიკავა.

ინტრიგები სამეფო კარზე მეოთხე საუკუნეშიც გრძელდებოდა და ამჯერადაც რომისა და ირანის კავკასიაში დაპირისპირებამ გამოიწვია. თავდაპირველად, ორ იმპერიას შორის 363 წელს ხელმოწერილი 30-წლიანი ზავით, აღმოსავლეთ ამიერკავკასია ირანის გავლენის სფეროში გადავიდა. ირანის შაჰი, შაბურ მეორე ამიერკავკასიის უშუალო დაპყრობას შეუდგა. ირანელები ჯერ სომხეთში შეიჭრნენ. სომეხთა მეფე არშაკმა თავი ქართლს შეაფარა. ქართლის მეფე საურმაგი არშაკს დაეხმარა და სომხ-

ეთიდან ირანელები განდევნა, მაგრამ შაბურმა შემოიტყუა არშაკ მეორე და მისი სახელგანთქმული სარდალი ვასაკ მამიკონიანი და არტაქსატა კვლავ ირანის კონტროლს დაუქვემდებარა. 368 წელს ირანის ჯარები ქართლშიც შეიჭრნენ. საურმაგი ძალთა სიმცირის გამო, ქვეყნიდან გაიქცა. ქართლის ახალ მეფედ შაბურმა პრიორანული ორიენტაციის ასფაგური დასვა, მაგრამ შექმნილ მდგომარეობასთან შეგუებას რომი არ აპირებდა. რომაელთა ახალმა იმპერატორმა ვალენტმა (364-378), არშაკ მეორის მემკვიდრეს, პაპს სარდალი ტერენციუსი მიაშველა. სომხეთში რომაელთა ჰეგემონობა აღდგა. სომხეთის შემდეგ, რომაელები ქართლის განდევნილ მეფე საურმაგსაც დაეხმარნენ. ტერენციუსის 12 ლეგიონით ზურგამაგრებული საურმაგი ქართლში შეიჭრა. ქართლის პრიორანული ორიენტაციის მეფე ასფაგურმა საურმაგს დაზავება შესთავაზა. მიღწეული შეთანხმებით, ქართლი ორად გაიყო. ორ მეფეს შორის საზღვრად მდინარე მტკვარი გამოცხადდა. მაგრამ ქართლის ორად გაყოფა (370 წ.) ღიღხანს არ გავრძელებულა: 377 წელს – რომის იმპერიის დასავლეთ პერიფერიებზე ვესტგუთების (გერმანული ტომები) აჯანყება დაიწყო და იმპერატორი იძულებული გახდა, ტერენციუსის ლეგიონები კავკასიიდან ბალკანეთში გადაესროლა. ამ პერიოდისადაც აღდგა ირანელთა ჰეგემონია კავკასიაშიც. ასფაგურმა ირანელთა ჯარით საურმაგი კვლავ დამარცხა და გაერთიანებული ქართლის ტახტი დაიბრუნა.

ვეგეტოლოგია

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამბაშვილი

ამ დიაგნოზის დროს ბევრს ჰგონია, რომ „თავბრუსხვევა და სისუსტე არაფერია; უბრალოდ, ნაკლები უნდა ვიფიქროთ ავადმყოფობაზე“. და ეს დიდი შეცდომა გახლავთ, რადგან ვეგეტოლოგიისთან ხუმრობას არ გირჩევთ.

როგორც წესი, ვეგეტოლოგიის სლდარლოგვანი დისტონია ჯერ კიდევ ბავშვობაში ვლინდება ხოლმე. ასეთი ბავშვები ზედმეტად კონფლიქტურობი, გაღიზიანებულები არიან, ხშირად ავადმყოფობენ, ცუდად იტანენ ფიზიკურ და ინტელექტუალურ დატვირთვას. სუსტი, ფერმკრთალი, ემოციური შეტევებისადმი და გულის წასვლისადმი მიდრეკილი ბავშვები თამამად შეგვიძლია მივაკუთვნოთ „ვეგეტაციური ნერვული სისტემით დაავადებულთა“ ჯგუფს.

რაც დრო გადის სისუსტე ღრმავდება: განსაკუთრებით რთულია ასეთი ადამიანისათვის „გარდატეხისა“ და კლიმაქსის პერიოდები. სპეციალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ წნევის თამაში, ემოციური ლაბილურობა, ოფლიანობა და სიცხის შეგრძნება „გარდატეხის“ ასაკში სხვა არაფერია, თუ არა ვეგეტაციური დისტონიის გამოვლინება. ჰორმონული ძვრების გარდა, ადამიანში მსგავსი ცვლილებები შეიძლება გამოიწვიოს ქრონიკულმა სტრესმა, აგრეთვე სერიოზულმა დაავადებამ, ზედმეტმა ფიზიკურმა დატვირთვამ, ძლიერმა ემოციურმა ტრავმამ (ახლოებული ადამიანის ან სამუშაოს დაკარგვამ).

თუ თქვენ ადვილად კარგავთ ფერს ან წითლდებით, ხშირად გეხვევათ თავბრუ, გაქვთ მომატებული ოფლიანობა, გახშირებული ან შენელებული პულსი, დისკომ-

ფორტი სუნთქვის დროს, ძილის დარღვევა, გიცვივლებით და გიბუყვლებით ფეხები, ადვილად იღლებით და თავს „გამოწურული ლიბონით“ გრძნობთ, ეჭვს ნულა შეიტანთ – თქვენ ვეგეტაციური დისტონია გაქვთ. და რადგანაც ასეა, ყველაფერი უნდა გააკეთოთ მისი გამოვლინებების თავიდან ასაცილებლად.

უპირველეს ყოვლისა, გაზარდეთ ძილის ხანგრძლივობა. დღეში 8-9 საათამდე მაინც. შეზღუდეთ ალკოჰოლის გამოყენება და თავი დაანებეთ სიგარეტს. მეტი იარეთ მზეზე.

ვეგეტაციური დარღვევებისას კარგი საშუალებებია ყოველდღიური კონტრასტული შხაპი, ფიზიკური აქტიურობა (ცურვა, სიარული, სირბილი, აერობიკა) და სპეციალური დიეტა კალციუმის მომატებული შემცველობით (კალციუმი ბევრია კარტოფილში, ბადრიჯანში, კომბოსტოში, ატამში, შავ ქლიავში). აგრეთვე მიიღეთ კალციუმი 3 ვიტამინთან ერთად. ხოლო მწნილეული, მაგარი ჩაი, ყავა, შოკოლადი უმჯობესია, შეზღუდოთ.

თუ ყველაფრის მიუხედავად მაინც შეუძლოდ ხართ და სულ უფრო და უფრო მეტად გრძნობთ სისუსტეს, უნდა გაფრთხილდეთ, რადგან ღრმა დისტონიას ხშირად პანიკური შეტევები მოსდევს თან. როგორც კი ავადმყოფი ხალხმრავალ ადგილას ხვდება, სული ეხუთება, წნევა ემატება, გული უფრიალებს, ცივი ოფლი ასხამს, კანკალებს და ამ ყველაფერს თან ახლავს სიკვდილის შიში. ეს დისტონიის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე გამოვლინებაა. ასეთი უსიამოვნო პერსპექტივა რომ თავიდან აიცილოთ, დროულად უნდა მიმართოთ ექიმ-ნევროლოგს.

ვეგეტაციური დისტონიის სამკურნალოდ დღეს მედიცინის უკანასკნელი მიღწევებიც გამოიყენება: თანამედროვე მედიკამენტები, „მშრალი“ ჰიდროსამასაჟო აბაზანა და სპეციალური გამაჯანსაღებელი კაფსულა ფოტოთერაპიით, განსაკუთრებული ტემპერატურული რეჟიმით, ვიბრაციული მასაჟით და ინდივიდუალურად შერჩეული მუსიკით. მედიკამენტურ მკურნალობას უნდა ავსებდეს ფსიქოთერაპია.

მაგრამ ყველა მეთოდი უძლური იქნება თქვენი დაავადების წინააღმდეგ, თუ თა-



ვად არ ისწავლით მოღუწებას, სწორად სუნთქვას. სწორი სუნთქვაა ე.წ. „მუცლით“ ანუ დიაფრაგმული სუნთქვა, რომლის დროსაც ჩასუნთქვისას მუცელი უნდა გაბეროთ, ხოლო ამოსუნთქვისას – შეწიოთ. დიაფრაგმული სუნთქვა აუმჯობესებს ფილტვებისა და გულის სისხლით მომარაგებას და კარგად ხსნის შინაგან დაძაბულობას. სასურველი შედეგის მიღწევაში დაგეხმარებათ სპეციალური ვარჯიშები, რომელთა დროს ასრულებთ სახის, კისრის, მხრის სარტყლის და ზურგის კუნთების თანამიმდევრულ, ხოლო შემდგომ ერთდროულ მოღუწებას.

ფიტორეცეპტები

ვეგეტაციური დისტონიის დროს რეკომენდებულია შემდეგი რეცეპტები:

თავმავას ნაყენი (15 გ ბალახს დაასხით 1 ჭიქა მღუღარე წყალი; დააყოვნეთ თავდახურულ ჭურჭელში 30 წუთს, გაწურეთ). თბილ-თბილი დალიეთ 2 ს/კ 3-4-ჯერ დღეში, ჭამამდე 15 წთ-ით ადრე.

ფუტკარის თაფლი – მიიღეთ 100 გ დღეში ნებისმიერი სახით. ძილის წინ კარგია თაფლიანი წყალი (1 ს.კ. თაფლი გახსენით 1 ჭიქა თბილ წყალში).

კრაზანას ნაყენი (2 ს.კ. ბალახი 1 ჭიქა წყალზე) მიიღეთ 1/3 ჭიქა 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.



ქალი და მამაკაცი

ნიშანი 1: დააკვირდით მის სუნთქვას. ქალები ჰაერის შესუნთქვას მკერდით აკეთებენ, კაცები კი – მუცლით. ეს მათი ფიზიოლოგიური თვისებების გამო ხდება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მკვლამარე ცხოველების წესი მამაკაცებში ართულებს დიაფრაგმის სუნთქვით მოძრაობებს.

ნიშანი 2: დააწერით ტექსტი კარნახით: მამაკაცები ქალებთან შედარებით გაცილებით მეტ შეცდომებს უშვებენ საქმიან და პირად მიმოწერაში და მათზე 4-ჯერ უფრო ხშირად აღენიშნებათ პათოლოგიური გაუნათლებლობა წერისა (დისგრაფია) და ზეპირი მეტყველების (დისლექსია) დროს. დამნაშავე კი მამაკაცის სასქესო ჰორმონი – ტესტოსტერონია. ჯერ კიდევ მუცლად ყოფნის მეექვსე კვირიდან ეს ჰორმონი ამუხრუჭებს ტვინის მარცხენა ნახევარსფეროს განვითარებას, რომელიც პასუხს აგებს მეტყველებაზე, კითხვაზე, წერაზე და აბსტრაქტულ აზროვნებაზე. სწორედ ამიტომ, ბიჭები ლაპარაკს გოგონებზე უფრო გვიან იწყებენ, უფრო ცუდად კითხულობენ, არ აქვთ სანაქებო კალიგრაფია, აგრეთვე ძნელად ეგუებიან კოლექტივის, ხანგრძლივად განიცდიან მშობლების გაყრას და უფრო ხშირად ავადდებიან ნევროზით და დეპრესიით.

ნიშანი 3: სთხოვეთ მოგიტანოთ რაღაც. ქალს აქვს უნარი, რამდენიმე წამში მოტანოს ნებისმიერი ნივთი სახლში თუ სამსახურში. ეს დეტალიზაციისადმი მისი მიდრეკილებით აიხსნება, ქალი ყურადღებას ამახვილებს უმნიშვნელო დეტალებზეც კი, ხოლო მამაკაცების ტვინს არ სეუძლია ასე დახურდავება – ისინი გლობალურად აზროვნებენ. აი, რატომაც რომ ხშირად დიდ სატანჯველად იქცევა ხოლმე კაცისათვის საკუთარი ნივთების ძებნა.

ნიშანი 4: დასვით ტელევიზორთან ტრაგედიის საყურებლად.

ყველაზე სულის შემძვრელი ამბავი, ისევე როგორც ყველაზე ძლიერი ნერვიული სტრესიც კი ვერ აიძულებს ნამდვილ მამაკაცს, ცრემლი გადმოყაროს. თუმცა კაცები ქალებთან შედარებით უფრო ცუდად იტანენ სულიერ და ფიზიკურ ტკივილს, ისინი მინც იმეათად ტირიან. ცრემლების ღვრის შესაძლებლობა ფსიქიკური დაძაბულობის მოხსნის თავისებური საშუალებაა. ქალბატონებში ეს მექანიზმი საჭიროების დროს ავტომატურად მუშაობს (ეს განსაკუთრებით ხდება საღამოს 19 სთ-დან 22 სთ-მდე), ხოლო მამაკაცებში სიცოცხლის დიდი ნაწილის განმავლობაში უშუშევარ მდგომარეობაშია. ამაში კარგი არაფერია: „გამოუტირებელი“ უარყოფითი ემოციები ზემოქმედებას ახდენს ქვეცნობიერებაზე

და ძლიერი სქესის წარმომადგენლებს აგრესიულებს, გაღიაზიანებულებს ხდის, ზრდის მათში გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკს. ამასთან, ცრემლებთან ერთად ორგანიზმში გამოიყოფა სიაპოვინების ჰორმონები – ენდორფინები, რომელიც ამცირებს ტკივილს და ადამიანს დამშვიდებაში ეხმარება. სწორედ ამიტომ ქალები ადვილად იტანენ განსაცდელს.

ნიშანი 5: ყურადღება მიაქციეთ, როგორ იქცევა ადამიანი გამოღვიძებისას.

დამთქნარების დროს პირზე იფარებს მუშტს და არა ხელისგულს? გაზომრების დროს კი ხელს მალა სწევს, შლის და არ ხრის იდაყვებში? ორი აზრი არ არსებობს – თქვენ წინაშე მამაკაცია.

ნიშანი 6: გაგზავნეთ იგი მივლინებაში. ითვლება, რომ ძლიერი სქესის წარმომადგენლები ადვილად ეგუებიან მონეტალურ ცხოვრებას. მაგრამ ამერიკის ერთ-ერთი დიდი ბანკის 11 ათასამდე თანამშრომლის გამოკვლევამ აჩვენა, რომ მივლინებაში მოსიარულე მამაკაცები 80%-ით უფრო ხშირად საჭიროებენ ფსიქოთერაპევტის კონსულტაციებს, ვიდრე მათი კოლეგები, რომლებიც ერთ ადგილას სხედან. ქალებში კი ეს განსხვავება 18%-ს შეადგენს. ქალის ფსიქიკა მამაკაცისაზე მდგრადია: შორეული მოგზაურობა და ოჯახთან განშორება არც ისე ღრმად აისახება ბიზნეს-ქალბატონების ჯანმრთელობაზე და ისინი იშვიათად მიდიან სტრესამდე.

ნიშანი 7: სთხოვეთ დაასახელოს სუნამო სუნის მიხედვით.

მამაკაცთა უმრავლესობა ვერაფრით ვერ ასხვავებს „შანელს“ „პუაზონისაგან“. ქალური ყნოსვა მამაკაცურზე უფრო ნატიფია.

ნიშანი 8: დააკვირდით ჩაცმისა და გახდის მანერას.

მამაკაცი ჯერ შარვალს იცვამს, შემდეგ – პერანგს. ქალი კი პირიქით იქცევა. მამაკაცი ქამარს ჭიპის ქვემოთ იკრავს, ქალი კი ზემოთ. მაისურის გახდისას კაცს ხელები უკან მიაქვს და ტანსაცმელს ზუგადან იხდის, ქალი ხელებს მკერდზე იჯვარედინებს და წინიდან იხდის.

ნიშანი 9: ტელევიზორს ხმა ბოლომდე აუწიეთ.

ხმაურზე ქალები ყურებს უნებლიეთ თითებიან იხშობენ, ხოლო მამაკაცები – ხელისგულებით იფარავენ.

ნიშანი 10: აიძულეთ არასტანდარტული სიტუაციის პროგნოზირება.

ყბადღებული ქალური ინტუიცია გამონაგონი როდია. მამაკაცები ძლიერები არიან იქ, სადაც სწორი აზრი და მათემატიკური ანალიზია საჭირო, ხოლო ქალები თავს კარ-

გად გრძნობენ ირაციონალურ სიტუაციებში, რომელიც ლოგიკურ პროგნოზირებას არ ექვემდებარება. ასე, რომ ყველა დიდი ფირმის ხელმძღვანელს ანალიტიკოსთა გუნდში და ლოვისტიკის განყოფილებაში ერთი ქალბატონი მაინც უნდა ჰყავდეს.

ნიშანი 11: სთხოვეთ, გაჩვენოთ ხელები.

მან თქვენს წინ ხელისგულები გაშალა? ასე მხოლოდ მამაკაცები იქცევიან. ქალები, როგორც წესი, ხელის ზურგის მხარეს აჩვენებენ ხოლმე.

ნიშანი 12: დაავალეთ ერთდროულად რამდენიმე საქმე.

მეცნიერთა აზრით, მამაკაცისათვის ასეთი დაავლება მეტად რთულია, ხოლო ქალისათვის – ზედგამოჭრილი. ძლიერი სქესის წარმომადგენლებისათვის კატეგორიულად დაუშვებელია ერთდროულად საბუთების თვალიერება და საუბრის წარმოება, საქმიანობის გეგმის შედგენა და ფლეიერის მოსმენა, მანქანის ტარება და ტელეფონზე საუბარი. მამაკაცის ტვინს არ შეუძლია ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით მუშაობა. ქალური ფსიქიკა კი მრავალფუნქციურია. ამიტომ, ფსიქოლოგები ურჩევენ ხელმძღვანელებს, რომ სწორედ ქალებს დაავალონ ერთბაშად რამდენიმე პროექტის კურირება.

ნიშანი 13: სთხოვეთ, დაიხედოს ფეხის ძირებზე.

კაცები ფეხს წინიდან აწევენ და ტერფს ამოაბრუნებენ, ხოლო ქალი ფეხს უკან წაიღებს და ზურგიდან შეხედავს ტერფს. თუ პლაჟზე იმყოფებით, დააკვირდით, თქვენთვის საინტერესო პიროვნება როგორ გადაადგილდება ცხელ ქვიშაზე. ქალები ფეხის წვერებზე დადიან, მამაკაცები კი – ქუსლებით, გრძელი ნაბიჯებით.

ნიშანი 14: გააგზავნეთ გამოსაცდელი პიროვნება კოსმოსში.

სპეციალისტთა მტკიცებით 45 წელს გადაცილებული ქალები ყოველგვარი ყოყმანის გარეშე შეიძლება გაიგზავნონ ხანგრძლივ კოსმოსურ ექსპედიციაში. ისინი უფრო მშვიდები, გაწონასწორებულები არიან, ვიდრე მამაკაცები, ნაკლები საკვები და ყანგბადი ესაჭიროებათ, ხანგრძლივად ინარჩუნებენ კარგ ფიზიკურ და ინტელექტუალურ ფორმას. ალბათის უნივერსიტეტის კარდიოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ დიდი დატვირთვისათვის ამტანაინობა ქალებში ყოველ 10 წელიწადში 2%-ით ქვეითდება, ხოლო მამაკაცებში 10%-ით. ტვინისა და სხვა შინაგანი ორგანოების ფუნქციები ქალებში 70 წლის ასაკიდან იწყებს ჩაქრობას, ხოლო კაცებში – 5 წლით ადრე. კიდევ იტყვიან – ძლიერი სქესიაო!



პასუხი

კითხვა: რას წარმოადგენს სიმსივნური მარკერები და როგორია მათი როლი სიმსივნის დიაგნოსტიკის საქმეში?

პასუხი: სიმსივნის მარკერები არის ნივთიერებები, რომელსაც სიმსივნური უჯრედები გამოიმუშავენ გაცილებით დიდი რაოდენობით, ვიდრე – ნორმალური უჯრედები. სიმსივნური მარკერების დონე სისხლში ონკოლოგიურ

ავადმყოფებს უფრო მაღალი აქვთ, ვიდრე პაციენტებს ანთებით დაავადებით და კეთილთვისებიანი წარმონაქმნებით.

ცნობილია საკვრცხვების კიბოს, საშვილოსნოს კიბოს, სარძევე ჯირკვლის კიბოს, წინამდებარე ჯირკვლის კიბოს, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ორგანოთა კიბოს, ფილტვის კიბოს და ზოგიერთი სხვა, ავთვისებიანი წარმონაქმნის სიმსივნური მარკერები.

სიმსივნური მარკერების ანალიზი მკურნალ ექიმს დამატებით ინფორმაციას აძლევს დაავადების შესახებ, მკურნალობის დაწყებამდე; ამ ანალიზით შეიძლება განსორციელდეს მკურნალობის ეფექტურობის კონტროლი.

როგორც ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოსტიკის დამოუკიდებელი მეთოდი სიმსივნური მარკერების გამოკვლევა არ გამოიყენება, მაგრამ სხვა სადიაგნოსტიკო ტესტებთან ერთად მას დიდი მნიშვნელობა აქვს.

კითხვა: ჩემი მეუღლე სახლში ინახავს დიდი რაოდენობით საღებავს და კიდევ რაღაც ქიმიკატებს. ამბობს, რომ ეს ყველაფერი გამოგვადგება. ოჯახში პატარა ბავშვი გვყავს. მოახდენს თუ არა ჩვენი „მარაგი“ გავლენას მის ჯანმრთელობაზე?

პასუხი: ტოქსიკურ ნაერთთა შედარებით მცირე კონცენტრაციებს, რომელიც ადამიანის ორგანიზმზე ხანგრძლივად მოქმედებს, უფრო მეტი ზიანის მოტანა შეუძლია, ვიდრე მაღალ კონცენტრაციას, რომელიც ადვილად აღმოსაჩენია და მის წინააღმდეგ ღონისძიებებს შედარებით სწრაფად ვატარებთ ხოლმე.

საყოფაცხოვრებო ქიმიკატებით მოწამვლის ხშირი შემთხვევები იმაზე მეტყველებს, რომ კიდევ არსებობს მოსახლეობის დიდი ჯგუფი, რომელზეც ასევე იმოქმედებდა ქიმიკატები, მაგრამ ნაკლები ხარისხით. მათთვის ამ კონტაქტის შედეგები მომავალში გამოვლინდება (ე.წ. ტოქსიკურ ნივთიერებათა მოქმედების შორეული ეფექტები).

თანამედროვე საღებავები, რომელთაც შენობების შესაღებად იყენებენ, ჯანმრთელობისათვის საშიშ აქროლად გამხსნელებს შეიცავს. თუ მათი ხმარების შემდეგ არ უზრუნველყოფთ ეფექტურ ვენტილაციას, მაშინ შენობაში შეიძლება ასეთ გამხსნელთა ტოქსიკური კონცენტრაცია შეიქმნას. არის მობინადრეთა მოწამე-



ლის შემთხვევები მსგავს სიტუაციებში:

საშიშია გამხსნელზე დამზადებული სხვა პრეპარატებიც, მაგალითად, ლაქის ამოყვანები, სამქლორეთანი, ოთხქლორიანი ნახშირბადი, სამქლორეთილენი, ტოლუოლი, დიქლორმეთანი. ამ ნაერთთა შორის არის ნივთიერებები, რომელიც დიდი კონცენტრაციით ზემოქმედებისას ცხოველებში სიმსივნეს იწვევს.

გარკვეულ საშიშროებას ქმნის პესტიციდების დაუფიქრებელი გამოყენება. ისინი უერთდება სახლის მტვერს და ხანგრძლივად რჩება ბინაში, განსაკუთრებით საშიშია ბავშვებისათვის (პირველ რიგში მცირეწლოვანებისათვის, რომლებსაც იატაკზე თამაში უყვართ).

ძალზე მნიშვნელოვანია ყველა ამ ქიმიური პრეპარატის სწორი შენახვის ორგანიზება. ოპტიმალური ვარიანტი სახლის გარეთ, სპეციალურ სათავსოში შენახვაა. ქალაქის პირობებში ეს ცოტა რთულია, მაგრამ მაინც შეგიძლიათ გამოყოთ ადგილი აივანზე ან შეიძინოთ სპეციალური, დახურული კარადა, რათა ქიმიკატებიდან აორთქლებული ნივთიერებები არ შეერიოს ბინის ჰაერს და ეს ადგილი ხელმისაწვდომი არ იყოს ბავშვებისათვის.

კითხვა: 20-25 წლის წინ, დამეწყო მარჯვენა ფეხის-გულის გაცხელება, შემდეგ გადავიდა მარცხენაზეც. ბოლო ორი წელია, ხელისგულებიც ისე მიცხვდება, რომ საბნის შიგნით ვერ ვაჩერებ. შემდეგ დამეწყო ფეხების შემუშება ფეხზე დგომის დროს. ამასთანავე, მაქვს მაღალი წნევა (რომელიც მყარი არასდროს არ არის). ექიმების რჩევებმა ვერ მიშველა, იქნებ თქვენ დამეხმაროთ ჩემი ავადმყოფობის გამოკვლევაში.

პასუხი: კარგი იქნებოდა, შეკითხვაში უფრო დაწვრილებით მოგეთხროთ სხვა ჩივილებზეც და იმ სამედიცინო გამოკვლევებზეც, რომელიც გაგიკეთებიათ. ეს ინფორმაცია მოგვცემდა უფრო სრულყოფილი პასუხის გაცემის საშუალებას. ახლა კი, იმ ზოგადი ვარაუდის შესახებ, რაც თქვენი შეკითხვის ირგვლივ შეიძლება ითქვას.

ხელ-ფეხის სიმშრევალის შეგრძნება შესაძლოა იყოს შემდეგი სახის დარღვევის გამოხატულება: 1) სისხლძარღვოვანი; 2) ნევროგენული; 3) ნივთიერებათა ცვლის მოშლა (ენდოკრინული დარღვევის საფუძველზე).

სისხლძარღვოვანი პათოლოგიის სასარგებლოდ მეტყველებს კიდევ ერთი სიმპტომი ფეხების შემუშება ფეხზე დგომის დროს. ასეთი ნიშანი ვენების ვარიკოზულ გაგანიერებას ახასიათებს, თუმცა იგივე სიმპტომი შესაძლოა, გულის ქრონიკული უკმარისობის გამოვლინებაც იყოს.

სიმპათიკური ნერვული სისტემის ტონუსის მატება ან პირიქით – კლება, ასევე შეიძლება იწვევდეს სიმშრევალისა და სიცივის შეგრძნებებს კიდურებში.

ნივთიერებათა ცვლის დარღვევა ხშირად ენდოკრინულ დარღვევებს სდევს ხოლმე თან. კერძოდ, ფარისებრი ჯირკვლის ჰიპერფუნქციას – მისი ჰორმონის ჭარბ გამოყოფას სისხლში (ჰიპერტირიოიდიზმს) ახასიათებს სწორედ მსგავსი სიმშრევალის შეგრძნება და სითბოს აუტანლობა. ასეთ დროს წნევაც მატულობს (უპირატესად ზედა ანუ სისტოლური წნევა, ქვედა კი კლებულობს).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დიაგნოზის დასაზუსტებლად თქვენ გესაჭიროებათ სრულყოფილი სამედიცინო გამოკვლევა და ენდოკრინოლოგის, ნევროპათოლოგისა და ანგიოლოგის (სისხლძარღვთა სპეციალისტის) კონსულტაცია.



		ნაპოლეონის მშობლიური ეუნხელი	რაფაელის სატრო	შარელის სახეობა		მხიარული ნაღიმი	პოპულარული ამერიკელი მსახიობი	
ამერიკელი მეცენატი		იტალიური წარმოშობის რუსი არქიტექტ.		სინთეტიკური				
იტალიელი რეჟისორი ვიტორიო დე ...							ცეცხლო-გამოღებელი საშუალება	
მხალი							ბეჭდვითი ანბანის ასო	ხორცის უფრო ნაჭერი
						ამერიკელი მეტსახელი		
						ფრანგული ყურძენი		კურორტი იტალიაში
						დიდი საზოგადოებრივი ბაღი	სპარჩეთი	

სამშობლო სათვის თავდადებული		„მაუკლის“ პერსონაჟი	საეპისკოპოსო			საქართველო დამოუკიდებელი რეპუბლიკა				
ასპირანტი ფულადი დახმარება						კონტრასტ მხავის გამოძიებელი	მვირფასი ბუნების მქონე მღვდელი			
								ჯარი, ლაშქარი (საბა)		
						ბღლიანი სათამაშო კოჩი	პერუს ძირძველი მცხოვრებელი			
მვირფასი სახეობა (ბუ)		სიხლის გადორება ინდოელი გამოსხვება	პაპარაზი მღვდელი							
						ჯალაქ დასაქმებული	მუღას მამა			
ბოსნიის მქონე მსხველი ძროხა						ტურინული ავტომობილი				
რობის ამერიკელი ადრისული ნაწილი		ხელის გასწვრივ გაკეთებული მოჯირთი	ტა ჩრდილო ამერიკაში			ლუიზის პოლიტიკა 20-იან წლებში				
საგანებლო დავალება										

შეადგინა რამაზ ალაინაძე

კვირის (8 - 14 ივლისი) ასტროლოგიური პროგნოზი


პირნიშო - 22/VI-22/VII



ვირჯეთ, კვირის პირველი ნახევარი საოვაზო საქმეებს დაუთმობთ. თიხშაბათიდან სიტუაცია თქვენ გარშემო გაუმჯობესდება,

პარასკევი კი, შეიძლება ითქვას, მთელი ივლისის მანძილზე, ყველაზე იბლიანი დღე იქნება თქვენთვის. თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ გრანდიოზული პროექტების წამოწყება ჯერჯერობით ნაადრევია.


ლომი - 23/VI-23/VII



მანამდე, სანამ ყველაფერი თქვენი სცენარით წარიმართება, გარშემომყოფებს კეთილგანწყობისა და გულისხმიერების განსახიერებად მოეჩვენებთ.

მაგრამ ნებისმიერი წაფორნილება ჩვეული კალაპოტიდან ამოგადებთ და მოულოდნელად, პრობლემებს შეგიქმნით. ამ დროს კი, მუშტის დაკვრაც უნდა შეძლოთ...


ქალწული - 24/VI-23/VII



კვირის დასაწყისში მიღებული რაღაც ახალი ინფორმაცია გაიძულებთ გეგმები შეცვალოთ, მაგრამ ამის გამო გულს ნუ გაიტყნით, მთ უშეტვს, რომ ცვლილებები, რომელსაც ახლა წამოიწყებთ, ცხოვრების ახალ ეტაპზე გასვლის პერსპექტივას გადაგიშლით და წარმატებების საფუძველი გახდება.

მაგრამ ამის გამო გულს ნუ გაიტყნით, მთ უშეტვს, რომ ცვლილებები, რომელსაც ახლა წამოიწყებთ, ცხოვრების ახალ ეტაპზე გასვლის პერსპექტივას გადაგიშლით და წარმატებების საფუძველი გახდება.

სასწიპო - 24/VI-23/VII



მოულოდნელად ჩამოსულ ნათესავებთან შეხვედრების გამო, დატვირთული კვირა გელით. ისე კი, ახლა თქვენთვის ინფორმაციის დაგროვება მთავარი. რაც შეეხება აქტიურ მოქმედებას - სჯობს, ეს მომავალი კვირისთვის გადადოთ, მიუხედავად იმისა, რომ უქმეებში უკვე მოუთმენლობას იგრძნობთ. და მაინც, სჯობს, დაუოკებელი ინერგია აქტიურ გარიბობაზე დასარჯოთ.

მაგრამ ამის გამო გულს ნუ გაიტყნით, მთ უშეტვს, რომ ცვლილებები, რომელსაც ახლა წამოიწყებთ, ცხოვრების ახალ ეტაპზე გასვლის პერსპექტივას გადაგიშლით და წარმატებების საფუძველი გახდება.


ღობინკალო - 24/VI-22/VII



ამ კვირაში ყურადღება რომანტიკულ სფეროზე გადაიტანეთ. შესაძლოა, ხუთშაბათს ამ მხრივ, რაღაც ძალზედ საინტერესოსა და სასიამოვნოს „გამოპკრათ ხელი“. რაც შეეხება თქვენს საქმიანობას ძნელია - ცოტა უნდა მოიცადოთ, რადგან მომდევნო კვირამდე არანაირი სიახლის იმედი არ უნდა გქონდეთ.

ამ კვირაში ყურადღება რომანტიკულ სფეროზე გადაიტანეთ. შესაძლოა, ხუთშაბათს ამ მხრივ, რაღაც ძალზედ საინტერესოსა და სასიამოვნოს „გამოპკრათ ხელი“. რაც შეეხება თქვენს საქმიანობას ძნელია - ცოტა უნდა მოიცადოთ, რადგან მომდევნო კვირამდე არანაირი სიახლის იმედი არ უნდა გქონდეთ.

მშვილდოსანი - 23/VI-21/VII



რაოდენ ძლიერიც არ უნდა იყოს ლიდერობისკენ თქვენი ლტოლვა, უმჯობესია, ეს დროებით მაინც დაივიწყოთ. წარმატებას მხოლოდ სხვებთან ერთად - კოლექტიური ქმედებისა თუ გადაწყვეტილების შედეგად შეიძლება მიადწიოთ, თანაც, ამ კოლექტივის თავკაცობა თქვენ არ მოგბწევთ - სამსახურში იქნება ეს თუ ოჯახში.

რაოდენ ძლიერიც არ უნდა იყოს ლიდერობისკენ თქვენი ლტოლვა, უმჯობესია, ეს დროებით მაინც დაივიწყოთ. წარმატებას მხოლოდ სხვებთან ერთად - კოლექტიური ქმედებისა თუ გადაწყვეტილების შედეგად შეიძლება მიადწიოთ, თანაც, ამ კოლექტივის თავკაცობა თქვენ არ მოგბწევთ - სამსახურში იქნება ეს თუ ოჯახში.

თხის რქა - 22/VI-20/VII



ვირჯეთ, მინიმუმადე დაიყვანოთ იმ ამიანთა წრე, ვისთანაც ამ კვირაში მოგიწევთ ურთიერთობა. რატომღაც აღრენილი და ყველაფრით უკმაყოფილო იქნებით. სამსახურში გაგონილი განყენებული საუბრებიც კი გაგადიზიანებთ. არც თქვენი ოჯახის წევრებს დაადგებათ კარგი დღე, ამიტომ უმჯობესი იქნება, თუ წინასწარ გააფრთხილებთ ახლობლებს, რომ ზედმეტად არ შეგაწუხონ...

ვირჯეთ, მინიმუმადე დაიყვანოთ იმ ამიანთა წრე, ვისთანაც ამ კვირაში მოგიწევთ ურთიერთობა. რატომღაც აღრენილი და ყველაფრით უკმაყოფილო იქნებით. სამსახურში გაგონილი განყენებული საუბრებიც კი გაგადიზიანებთ. არც თქვენი ოჯახის წევრებს დაადგებათ კარგი დღე, ამიტომ უმჯობესი იქნება, თუ წინასწარ გააფრთხილებთ ახლობლებს, რომ ზედმეტად არ შეგაწუხონ...

მშენებელი - 21/VI-19/VII



იმის გამო, რომ ანკობის გუნებაზე იქნებით, სჯობს, ამ კვირაში მაქსიმალურად გამოთავისუფლდეთ საზრუნავისგან, ყველაზე გადაუდებელ საქმეებს კი, თიხშაბათისთვის მოუყარეთ თავი. რაც შეეხება უქმეებს - ეცადეთ, თავი აარიდოთ ყოველგვარ კონფლიქტს, რადგან მუტისმეტად გაგიძლიერდებათ თავგანწირვის ლტოლვა.

იმის გამო, რომ ანკობის გუნებაზე იქნებით, სჯობს, ამ კვირაში მაქსიმალურად გამოთავისუფლდეთ საზრუნავისგან, ყველაზე გადაუდებელ საქმეებს კი, თიხშაბათისთვის მოუყარეთ თავი. რაც შეეხება უქმეებს - ეცადეთ, თავი აარიდოთ ყოველგვარ კონფლიქტს, რადგან მუტისმეტად გაგიძლიერდებათ თავგანწირვის ლტოლვა.


თქვიზი - 20/VI-20/VII



პარასკევამდე ყველაფერი ჩვეული კალაპოტით წარიმართება. კვირის ბოლოსთვის კი, სასიამოვნო სურპრიზის იმედი შეიძლება გქონდეთ. საქმე საინტერესო შეხვედრასთან გექნებათ, რომელიც რომანტიკულ ურთიერთობაში შეიძლება გადაიზარდოს. თუმცა, არც შემოქმედებითი ძალების მოზღვაება გაპოროცხული.

პარასკევამდე ყველაფერი ჩვეული კალაპოტით წარიმართება. კვირის ბოლოსთვის კი, სასიამოვნო სურპრიზის იმედი შეიძლება გქონდეთ. საქმე საინტერესო შეხვედრასთან გექნებათ, რომელიც რომანტიკულ ურთიერთობაში შეიძლება გადაიზარდოს. თუმცა, არც შემოქმედებითი ძალების მოზღვაება გაპოროცხული.

მშვილდოსანი - 21/VI-20/VII



ამ კვირაში მუტისმეტად ენაწყლადი იქნებით, ისეთი გრძობა დაგუფლებათ, თითქოს მატარებელში, შემთხვევით თანამგზავრებთან ერთად იმყოფებით და მათთან დაახლოების სურვილმა შეგიპყროთ. გაითვალისწინეთ, რომ ასეთი განწყობის შედეგად, რაღაც საიდუმლო გეგმებიც შეიძლება გაანდოთ იმ ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ, ბოროტად გამოიყენონ ეს ინფორმაცია.

ამ კვირაში მუტისმეტად ენაწყლადი იქნებით, ისეთი გრძობა დაგუფლებათ, თითქოს მატარებელში, შემთხვევით თანამგზავრებთან ერთად იმყოფებით და მათთან დაახლოების სურვილმა შეგიპყროთ. გაითვალისწინეთ, რომ ასეთი განწყობის შედეგად, რაღაც საიდუმლო გეგმებიც შეიძლება გაანდოთ იმ ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ, ბოროტად გამოიყენონ ეს ინფორმაცია.


მშვილდოსანი - 21/VI-21/VII



ყველაფრიდან ჩანს, რომ ამ კვირაში სერიოზული არჩევანის გაკეთება მოგიწევთ. სავარაუდოა, რომ ეს რაღაც მატერიალური პრობლემის გადაწყვეტასთან იქნება დაკავშირებული. თუმცა, სერიოზული ნაბიჯის გადადგმა არ გავიჭირდებით, უფრო მეტიც: საჭიროების შემთხვევაში, თქვენი პოზიციის სისწორეში სხვების დაწინაურებასაც შეძლებთ.

ყველაფრიდან ჩანს, რომ ამ კვირაში სერიოზული არჩევანის გაკეთება მოგიწევთ. სავარაუდოა, რომ ეს რაღაც მატერიალური პრობლემის გადაწყვეტასთან იქნება დაკავშირებული. თუმცა, სერიოზული ნაბიჯის გადადგმა არ გავიჭირდებით, უფრო მეტიც: საჭიროების შემთხვევაში, თქვენი პოზიციის სისწორეში სხვების დაწინაურებასაც შეძლებთ.

მშვილდოსანი - 22/VI-21/VII



ეს კვირა ჯინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების რამდენიმე შესაძლებლობას გარჩევთ. თუმცა, გაფრთხილდით: აქცენტს სარიისკო ვარიეტაზე ნუ გადაიტანთ. არ დაგაეწიყდეთ, რომ ნამდვილი წარმატება მხოლოდ დამაბული შრომისა და სერიოზული გარჯის შედეგად მოიღოს.

ეს კვირა ჯინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების რამდენიმე შესაძლებლობას გარჩევთ. თუმცა, გაფრთხილდით: აქცენტს სარიისკო ვარიეტაზე ნუ გადაიტანთ. არ დაგაეწიყდეთ, რომ ნამდვილი წარმატება მხოლოდ დამაბული შრომისა და სერიოზული გარჯის შედეგად მოიღოს.

როგორ გავლენას ახდენს უპილიუპილიუპი? ზახოებისა და ბებიებისთვის

1) ყიდულობთ თუ არა შვილიშვილებისთვის ნაყინს ან კანფეტს პირველი თხოვნისთანავე?

- ა) სადილის წინ არა - 10;
- ბ) ყიდულობთ, ოღონდ იშვიათად - 5;
- გ) თითქმის ყოველთვის - 1.

2) როგორ იქცევით, როცა თქვენი ცელქი შვილიშვილები სათამაშოებს ფანტავენ და სახლში მყუდროებას გირღვევენ?

- ა) მისცემთ შენიშვნას - 10;
- ბ) მოსთხოვთ, რომ მიაღაგონ სათამაშოები და უფრო წესიერად მოიქცნენ - 5;
- გ) თქვენი შვილიშვილები თამაშის შემდეგ თვითონ ალაგებენ ყველაფერს - 1.

3) როგორ მოიქცევით, თუ შვილიშვილები უშესადა ან უზრდელად მოგმართავენ?

- ა) ამგვარ ლაპარაკს კატეგორიულად აუკრძალავთ - 10;
- ბ) გააფრთხილებთ, რომ თუ კიდევ გაიმეორებენ, მათ მშობლებს ეტყვიან და ისინი დასჯიან - 5;

გ) ყურადღებას არ მიაკცევთ და ხუმრობაში გაატარებთ - 1.

4) როგორ ცდილობთ შვილიშვილებში შრომისმოყვარეობის გაღვივებას?

- ა) პირადი მაგალითით - 10;
- ბ) მოთხოვნით - 5;
- გ) არ მიგაჩნიათ საჭიროდ ბავშვი პატარაობიდანვე შრომას შეაჩვიოთ - 1.

5) როგორ იქცევით, თუ შვილიშვილი დაუფინებით გთხოვთ რაიმე სათამაშოს ყიდვას?

- ა) შეჰპირდებით, მაგრამ ყიდვას არ იჩქარებთ - 10;
- ბ) ყველაფერი სათამაშოს ფასზეა დამოკიდებული - 5;
- გ) ყოველთვის ცდილობთ, შვილიშვილის სურვილი დაუყოვნებლივ შეასრულოთ - 1.

6) ასწავლით თუ არა შვილიშვილებს კარგისა და ცუდის გარჩევას?

- ა) მუდამ უხსნით, რა არის კარგი და რა - ცუდი - 10;
- ბ) ცუდი საქციელის ჩადენისთანავე ეჩხუბებით - 5;
- გ) მიგაჩნიათ, რომ ბავშვები როცა წაშობიზრდებიან, კარგისა და ცუდის გარჩევას თვითონ შეძლებენ - 1.



7) როგორ მოიქცევით, თუ პატარა შვილიშვილი შემთხვევით საყვარელი ლარნაკი გაგიტეხათ?

- ა) დაამშვიდებთ და ნატყხებს შეაგროვებთ - 10;
- ბ) მკაცრად გაკიცხავთ - 5;
- გ) მოსთხოვთ, რომ შემდგომში ნივთებს უფრო ფრთხილად მოექცეს - 1.

8) როგორ რეაგირებთ, როცა თქვენი შვილიშვილები დამოუკიდებლობის გამოვლენას ცდილობენ?

- ა) ყველანაირად ხელს უწყობთ - 10;
- ბ) ბავშვის ამ თვისებას მოსაწონად მიიჩნევთ - 5;
- გ) მიგაჩნიათ, რომ პატარა

ბავშვს დამოუკიდებლობა არ ესაჭიროება - 1.

9) როგორ მოიქცევით, თუ მშობლები თქვენს შვილიშვილებს სახლის დალაგებას დააგალებენ?

- ა) ეტყვიან, რომ ამ საქმეს მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ - 10;
- ბ) არაფერს ეტყვიან - 5;
- გ) გაბრაზდებით, რადგან სახლის დალაგება ბავშვის საქმედ არ მიგაჩნიათ - 1.

10) როგორ ექცევით შვილიშვილებს, როცა ისინი რაიმეს ამაყებენ?

- ა) უწყობით - 10;
- ბ) დასჯით იმით, რომ ტკბილეულს არ უყიდით - 5;
- გ) ბავშვის მხარეს დიქერთ და გაამართლებთ - 1.

დააჯავამით ქულები


76-100 ქულა: ნამდვილად კარგი ბებია ან ბაბუა ხართ. შვილიშვილების აღზრდაში მშობლებს აქტიურად ეხმარებით და ცდილობთ, კეთილი და დამწყვრი შვილიშვილები აღზარდოთ. თუმცა, მკაცრიც ხართ და საკუთარ პრინციპებსაც იცავთ. თუ შეამჩნევთ, რომ ბავშვები თქვენ მიმართ გულცივობას იჩენენ, ეცდებით მათთან, უფრო თბილი ურთიერთობა დაამყაროთ.

33-75 ქულა: თბილი და ყურადღებიანი ბებია ან ბაბუა ხართ, შვილიშვილების მიმართ სიმკაცრეს ვერ იჩენთ, მაგრამ თუ შეამჩნევთ, რომ ბავშვების საქციელი ზღვარს

გადასცდა, აუცილებლად გამოამყვრებთ ცოტადენ სიმკაცრეს. თქვენსა და შვილიშვილებს შორის გამეფებული სიყვარული, სითბო და ურთიერთგაგება ძალზედ მისასალმებელია, მაგრამ გადამეტებულმა სიყვარულმა სწორ აღზრდას ხელი არ უნდა შეუშალოს.

32 ქულა და ნაკლები: თქვენი გადამეტებული სიყვარულით შვილიშვილებზე ძალიან ცუდზეგავლენას ახდენთ. აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ, რომ ერთ დღეს, თქვენ წინაშე გათავსდებული და ჭირვეული მოზარდები დადგებიან და ასეთ პიროვნებებად მათ ჩამოყალიბებაში თქვენც დიდი „ღვანლი“ მიგიძღვით.

ხეცამამ საფრანგეთში ჰანიკა გამოიწვია



ამ ცოტა ხნის წინ საფრანგეთის ტელეარხებზე და პრესაში იღვწა რეკლამა გაჩნდა. მასში ნათქვამი იყო: „ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებულ პროდუქტში აღმოჩენილია მჟავის, ვერცხლისწყლისა და ამიაკის ნაკვალევი“. სხვა კომენტარი რეკლამას არ ეროვოდა. მითითებული იყო მხოლოდ სპეციალური უფასო ტელეფონი, რომლის მეშვეობითაც, დაინტერესებულ პირებს ყველაფერს აუხსნიდნენ. ამ ნომერზე ათასობით ადამიანმა დარეკა, რადგან შეშინდნენ, კვების რომელიმე პროდუქტზე ხომ არ იყო საუბარი, მაგრამ გაირკვა, რომ აღნიშნული ანტირეკლამა სივარეტს ეხებოდა. ეს კამპანია ერის ვაჯანსაღების დიდი პროგრამის ნაწილს წარმოადგენდა და 4.4 მლნ დოლარი დაჯდა. სხვათა შორის, საფრანგეთში სივარეტის ნაწარმის ღია რეკლამა აკრძალულია.

ეხომჰაში საცვლებს ქალაღისგან ეხიკვენ


მოდური ტანსაცმლის ერთ-ერთმა უმსხვილესმა ევროპულმა მწარმოებელმა, შვედურმა კომპანიამ H&M-მა ქალაღისგან ქალის საცვლების წარმოება დაიწყო. კომპანიის წარმომადგენელმა განაცხადა: „ეს საცვლები უკვე იყიდება, ისინი შეუცვლელია: იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მოულოდნელობა შეგემთხვევთ, ბარგს დაკარგავთ ან გამზავრებისას, საცვლების წაღება დაგავიწყდებათ“. სიახლე უნივერსალური ზომისაა. პატარა შეკვრაში წითელი, მწვანე და შავი საცვლებია მოთავსებული. მამაკაცებისათვის განკუთვნილი მსგავსი ნაწარმის გამოშვება ჯერჯერობით გათვალისწინებული არ არის. არადა, მოდელიერებს მიაჩნიათ, რომ ეს იღვა ბევრ მამაკაცს მოეწონებოდა. თუმცა, ქალებისთვის განკუთვნილი ქალაღის საცვლების საცდელმა ტესტებმა უჩვენა, რომ ის გამძლეა, მაგრამ მთლად მოსახერხებელი აღბათ არა.

აშშ-ში გამოიჩიედი გონების მაიმენი მოხვდა



ვაშინგტონის უნივერსიტეტში მოკვდა 29 წლის მოლაპარაკე შიმპანზე – მოჯა, რომელიც საოცრად გასაგებად გამოხატავდა თავის სურვილებს შესტიკულაციით. მისი სიკვდილის მიზეზი მუცლის ღრუში გაჩენილი თიაქარი გახდა. მოჯა შიმპანზეთა იმ სუთეულში შედიოდა, რომელსაც ამერიკელმა ზოოლოგებმა

საგანგებო პროგრამით შესტებით ლაპარაკი შესწავლეს.



ხოღიზეუმი გაყიდელია

იტალიის კულტურის მინისტრის მოადგილე ვიტორიო სგარბი თანამდებობიდან გადადგა. ამის მიზეზი, იტალიელთა ეროვნული სიამაყის – კოღიზეუმის კერძო მფლობელობაში გადაცემა გახდა. რომაული არქიტექტურის უძველესი ძეგლი კომპანიებმა – Patrimonio Spa და Innfrastructure Spa-მ შეიძინეს. ხალხი აღშფოთებას ვერ მალავს, მათ დამშვიდებას კი, ქვეყნის პრემიერი, სიღვიო ბერლუსკონი ასე ცდილობს: „ჩვენ მხოლოდ ის გვსურს, რომ კოღიზეუმის გზა მათთვისაც გავხსნათ, ვისთვისაც ხელოვნებისთვის განკუთვნილ ამ ტაძარში შესვლა ადრე მიუწვდომელი იყო, თანაც ეს კომპანიები ამ რელიკვიას უწინდელზე კარგად მიხედავენ“.

ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვა ბატონმა ლევან ბერძენიშვილმა.

კულოცავთ ბატონ ლევანს და ვუსურვებთ წარმატებებს!


უსარგებლო ნივთი

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნება)


ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გავარჯიშებას ვთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დაავროვებს.

ვთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის კალენდრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩაავდეთ სამშაბათის (9 ივლისის) 13 საათამდე.



„ფანტაზია“

უსარგებლო
ნივთი




„ფანტაზიურიკოს
მკითხველი“

ტანო ტატანო

სიძილი ჯანმრთელობა!

b/2 / 26



ქართველ ძალოვანებს აბალი „სამიზნე“
 მკვლელ ქართველი ჟურნალისტები
 „ისტაფეტა“ სამხედრო პროკურატურამ დაინგო — სატელეფონო
 საუბარში ჟურნალისტს „გაფართობლებით“ დაემუქრა
 ქართველი სამხედროები „სიტყვის კაცები“ არიან
 სე რომ, მალე ყველა ჟურნალისტი „იფართობლებს“.

**იპიტხაით ყოველ
 სამუაბათს,
 იძინაით ყოველდღე!**